

114
1942



საქართველოს
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

მნათობი

3

თბილისი
1942



გნათობი

სტალინიძე საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სასკოლურ და საბოტაჟურ-საკვლავი
ქიურნალი



წელიწადი მშენებლობა

118/00
3830

3

19 მ ა რ ბ ი 42
ს ა ხ ი ლ შ ა მ ი



პ/შგ. რედაქტორის მოადგილე კარლო კალაძე

ხელმოწერილია დასახელებად 14/IV-1942. წ. შ0 1378. ანაწყოების ზომა 7 X 12. ნიშნითა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 50.688. საავტორო ფორმათა რაოდენობა = 13,8 შეკვეთის № 446. ტირაჟი 2600.

სახელგამის ბეჭდვითა სიტყვის კომბინატი, ფორესის ქ. № 5. რედაქციის მისამართი:
ფორესის ქ. № 5, სახელგამი. ტელ. 3-53-80.

ალიო მასაზვილი

გაზაფხული

დადნა თოვლი და მორჩა ზამთარი,
მდინარეებზე ჩატყდა ყინული,
მზე იშმუნება, ვით ნაზავთარი —
ყინულის აბჯარ-შემორკინული.
ტყეში ბუნება სძგერს აღშფოთებით,
წყალნი ჩარბიან ხრამში ყივილთ,
ხეებს მოუსხამთ კვამლის ფოთლები,
ისმის ტყვიების ყივილ-ხივილი.
ისევ დაჰბერა ქარმა დასაველით,
ზეცა მრისხანე და სასტიკია,
მოსწყდა მეწყერი და წარღვნასავეთ
ქვეყნის წალეკვას ლამობს სტიქია.
არის გრგვინვა და ხიშტების ელევა,
წვიმაც დაეშვა ტყვიისფერ თოშად,
დასაველეთისკენ დაიძრა ლელვა,
მზე გაზაფხულის მიუძღვის დროშად.

გმირო-მხედარო!

გმირო-მხედარო რწმენაა ერთი,
ამ დიად რწმენას ჰქვია მამული,
ღღეს მტრების ფეხქვეშ ძგერს მისი შკერდი,
სისხლის წვეთებით-გადანამული,
გასწი სახსნელად! დაე, იბრძოდეს
მტერი ტყვიით და მუხანათობით,
გასწი უშიშრად! წინ მიგიძლოდეს
ბელადის დროშა, როგორც მნათობი.
გასწი იქ, სადაც ცეცხლი ატყდება,
გაჰქუსლე ლურჯა, ქარივით მალი,
დაჰკარ, დასქევე! არ გადატყდება
გმირის მარჯვენას შეზრდილი ხმალი.
ქანცმილეული და მოკრუნჩხული
მტერი მოისპოს ძირფსვიანად,
რომ არ ბუდობდეს ქვეყნად ურჩხული,
რომ არ დაძრწოდეს პირგესლიანად.

გასწი იქ, სადაც ცეცხლი ატყდება,
გაქქესლე ლურჯა, ქარივით შალი,
გწამდეს, — არასდროს არ გადატყდება
მაშულისათვის აწვდილი ხმალი.



ჩემი ღექსები

იყო ცხოვრება მშვიდი, ნარნარი,
დღეებს ანთებდა მზის ნაკვესებით,
სურნელს აფრქვევდა ირგვლივ ბალნარი,
ლაღად მღეროდნენ ჩემი ლექსებიც.
ყველგან ისმოდა მათი ელურტული,
აღარ ჩიოდნენ კვნესით, მუდართით,
აღარ სდევნიდნენ ქვით და შურდულით,
ჰქონდათ სახლკარი და საბუდარი.
ჰქონდათ ცხოვრება უანგარებო,
სულით მშვიდობას გრძნობდა პოეტიც,
მათთვის მშობლიურ ქვეყნის გარემო
იყო ზაფხული და ინდოეთიც,
ეხლა ბრძოლის ველს დასტრიალებენ,
ქროლვით უვლიან ცეცხლის კამარას,
შურდულებივით დასტრიალებენ
და წყრიალებენ ფრთების ამარა.
ხან შეხვდებიან ქართველ მეომართ,
ჰსურთ მზის შუქივით ჩასწვდნენ უბეში,
რომ შთაუბერონ ვულში მხნეობა,
უთხრან მშობლიურ ქვეყნის ნუგეში.
ხან გაარღვევენ კვამლის მაღაროს,
კალმის ნისკარტით მოაქვთ ამბავი,
რომ ვაჟკაცების დედებს ახარონ
ბრძოლის ფურცელი დაუსტამბავი.
მალე ჩაქრება ომის ხანძარი,
განიკურნება მთელი ხმელეთი,
გადაეშვება ზღვაში ზანზარით
მშით დაღაბურული ქვეყნის ბნელეთი.
ისევ სათნო და საიღვრესბო
მოვა ცხოვრება ფრინველთ გუნდებით,
თქვენც დაბრუნდებით, ჩემო ლექსებო,
და სამურად აღუღუნდებით.

კარლო კალაძე

ღ ე ბ ი

მე თქვენს აწყობილ ფეხისხმას ვიცნობ,
ჩვენს ქუჩას ხოლმე სწრაფად აივლით,
მე ვიცი თქვენი სარკმელი ვიწრო,
კლდეზე შემდგარი სახლი აივნით!

მე ვიცი, საით ისწრაფვით ერთად,
ჩუქურთმებივით თანატოლები,
ბუდიდან დილით რა აგაფრენდათ
გულის წყურვილით და ათრთოლებით...

ბესიკის აღმართს შიაჩნდა მისად
დამშვენებული თქვენი რონინი,
თქვენი ორ-ორი ნაწნავი თმისა,
ალეათა მზრებზე გადასროლილი!

ჩემად ყოველთვის გდევთ ჩემი თვალი,
შან გამოიცნო ლტოლვა დებისა,
როგორ მონახეთ მოხუცი ქალი
სადღაც, თბილისში, დაბინდებისას.

გულზელდაკრეფით მჯდარა კარგარედ,
ფრთად მოუკეცავს შავი თავშალი...
და მისი მზერა თქვენ გაახარეთ,
ვით წყაროსთვალი, ჯავრით დამშრალი.

არ გაძინებდათ ფიქრები გვიან,
მესმოდა თქვენი გულის ფართქალი,—
ერთს, როგორც მახსოვს, ფატმანი ჰქვიან,
ხოლო მეორეს კი თამარ-ქალი!

დიდიხანია არაფერს გწერდათ
თქვენი ძმა შორით, ომში წასული,
და სანთლებივით ჰქრებოდით ერთად
მისი ორი და — ორი ასული.

მაგრამ წუხილის დასასრულამდე
 ღამის მანძილიც მოკლე ყოფილა, —
 სანატრელ ბარათს მოჰყვან სურათი
 და ძმის ამბავი შეგვატყობენა.



გახარებული უცქერდით სურათს,
 ბუნდოვნად სჩანდა უცხო ქალაქი.
 ნანგრევზე იჯდა ძმა ვაჟაკურად,
 გვერდით კი ორი სხვა ამხანაგი.

ეცვით სამთავეს უცხო რამ ჯუბაჲ,
 თექის ჩექმა და თბილი თათმანი, —
 და ჰკითხულობდით წარწერას ჩემად
 ხან თამარ-ქალი და ხან ფატმანი.

ეწერა: „ძმობა ჩვენი მტკიცეა,
 გრიგალმა ერთად გადაგვიქროლა
 ერთი აქ ლევან გორგასლიძეა,
 მეორე — თქვენთვის უცხო მიკოლა“.

გამოუვლიათ ბრძოლა, ტყვეობა,
 ჰირში ერთმანეთს ძმურად შევლოდენ,
 და ეხლა იმათ კეთილდღეობას
 დე სიხარულის ცრემლიც შევწოდეს...

მათი ერთგული დები თქვენა ხართ,
 სახიერება წმინდა ფიცისა...
 და თქვენც გინდოდათ ვინმე გენახათ
 ნაცნობი ლევან გორგასლიძისა!

ნატრობდით: „ნუ თუ არ ეყოლება
 თბილისში ტოლი და ნათესავი!..
 ძმა—ჩვენი მკვიდრი ძმა გვეგონება,
 ვინ შეიყვარებს დედას ჩვენსავით?“

მიმოვლეთ მთებით შეკრული ზღუდე,
 მტკვრის ფერდობებზე დიდხანს იარეთ,
 და ბოლოს მაინც მონახეთ ბუდე,
 დედა-არწივი ააფრთხიალეთ!

გულზელდაკრეფით მჯდარა კარგარეთ,
 ფრთად მოუქეცავს შავი თავშალი...
 და მისი მზერა თქვენ გაახარეთ,
 ვით წყაროსთვალი, ჯავრით დამშრალი!

შეხმატებილეთ... იყო საერთო
ოცნება, ზრუნვა და სიყვარული.
მაგრამ თვითველ გულში აენთო
თითო ნაპერწყლის ცეცხლი ფარული.



საქართველოს მწიგნობართა კავშირი

იმ უცნობ ვაჟკაცს ნატრობდა დედა,
თმა რომ წარბამდე აქვს ჩამოშლილი:
„მხნედ სურათიდან წამოდგეს, ნეტა,
დავლოცო, როგორც მეორე შვილი.

„შვილს ჩაუმჭრალი დახედება კერა,
შმაც გაგვახარებს იმავ დღესავე...
მაგრამ გულს სწვდება უცნობის მზერა,
ჩემი ვაჟკაცი არის მესამეც...“

ასე ამბობდა ქართველი დედა,
უკრთოდა ცრემლი დანაგუბარი...
თამარ-ქალმა და ფატმანმაც, ვხედავ,
კვლავ გაამართლეთ ჩემი გუმანი!

რა ნაპერწყლითაც ჩუმად იწოდით,
დას არ გაანდობს, ვიცი, დობილი, —
მე კი წინასწარ მაშინ ვიცოდი,
რომ გახდებოდით გულჩათხრობილი!

თქვენს მზავიდაზე იგი მუდმივად
დარჩა გადაშლილ წიგნების გვერდით!
გიცქერდათ, როცა ჩვეულებრივად
თქვენს გაკვეთილებს ჩურჩულით სწერდით.

მართლაც ჰმატებდა ბედი მხნეობას,
თუმცა ის იყო მშვიდი ბუნებით,
მისი თვალების მომხიბვლელობას
თქვენც ენდობოდით განაბულები!

ერთი იმედი თქვენც აგისრულათ,
აგაფრთოვანათ დები სამხრეთით...
და ისევ ერთად ეტრფოდით სურათს,
ხოლო გულისთქმას აღარ ამხელდით.

თ ა მ ბ ა ქ ო

1.

ნელისპირულად თოვს.

ახალგაზრდა, შაფ-თვალ-წარბა დესის მკლავში ხელი ჩაუვლია პირ-თეთრ, ჭერა ქალისათვის და საბურთალოს მიმართულებით მიჰყავს.

ჭერა ქალს ხელში კარგა მოზრდილი ჩემოდანი უჭირავს და კიდევ ერთი პატარა ბოხჩა. დესის, რედიკიულის გარდა, მომცრო საკვოიაციც უკავია.

ორთავენი გავსებულის ნაბიჯით მიდიან მდუმარენი.

იმავე დროს დესი თოვლის ფართო ნაფლეთებს შესტკერის: როგორ ბარდნის, როგორ რბილად ეცემა ქუჩის ასფალტს და იქვე როგორ მყისვე დნება.

თითქო უხარია დესის ამის ყურება და სიამოვნებით ეგებება მასზე შემოხვეულ ამ თეთრ ცელქებს, ცხვირპირში რომ მოურიდებლად უტევენ, ლოყებს უსველებენ, გრძელ წამწამებს კანდიერად ზემოდან რომ აწვებიან.

თეთრი ქალი კი თოვლს იმდენად ყურადღებას არ აქცევს, რამდენადაც გარემოს და ღრმა ფიჭრისაგან შეტყმუნული შუბლი ოდნავ ეხსნება. ცოტა ჩაიღმილა კიდევ.

— ჰა, ჰა! ეს ხომ პირდაპირ რუსულ ქალაქის სანახაობასა ჰგავს?!

სამხური კონტრალტოთი იყო წარმოთქმული ეს სიტყვები.

— რა? თოვლი? — შეეკითხა დესი.

— არა. გარშემო სანახაობა: სახლები, ქუჩა...

დესის ცოტა ეწყინა:

— რატომ ფიქრობთ, რომ ჩვენ ევროპულად ვაწყობილი ქალაქები არა

გვაქვს?

თეთრმა ქალმა დესისკენ პირი მიიბრუნა. სახეში ახლო ჩაბედა და გაიკვირვა დესის ნაწყენი კილო. წარმოსთქვა:

— არა, მე კავკასიაში არასოდეს არა ვყოფილვარ.

ამ დროს ცოტა ჩაივაკეს. ჩელიუსკინელების მოედანზე იყვნენ.

— ოჰ, ეს კი მშვენიერებია! — წამოსცდა დესის მეზობელს და ცოტა ხანს შედგა ზოპარკის მისასვლელთან.

ნისლი ჩაწოლილიყო მოედნის ღრადოში და, თითქო სალუქი ლეჩაქი გადაუფარებიათო, ისე ვანრიდებულად გამოეჩინა ირგვლივ აგებული ახოვანი შენობები.

აბრეშუმის ქარხნისაკენ ჩაკბეჩილი მზარე ამოვსილიყო ბუნების ამ სიფრიფანა ქსოვილით, საიდანაც ვაუბედავად გამოიყურებოდნენ ნაადრევად ანთებული ლამის ლამპრები, თითქო თეთრი საბნის ბრჭყვიალა, მაგრამ მონივრული დილებიაო.

დესის იამა, რომ მის თანამგზავრს აქაურობა მოეწონა და თვითონვე მიუთითა:

— აგერ, შეხედეთ, ჩვენ წინ... ეს ასბინიანი კომბინატია თავისი პარკომეტ-სართლიანი კოშკით. ზედავთ, როგორ დევემირად არის აყულებული ამ თავის მურულ სინათლეში. იქით კიდევ, ცოტა შეღმართზე, მეორე ვოლითი რომ გამოიყურება, რკინის გზის საინჟინერო ინსტიტუტია, თქვენს მხარეშია... ამჟამად ისიც მიძინებულია... სიზმარში მომჩვენებია ასეთი ბინდვადაკრული სანახაობა.

თანამგზავრს ღიმილი მოუვიდა და ადგილიდან დაიძრა, მაგრამ დესიმ შეაჩერა:

— აი ეს კი მართლა საუცხოვოა!.. შეხედეთ, შეხედეთ, ჩვენს პირდაპირ, ბეჭობზე... მრგვალი ტაძარი რომ მოსჩანს... ეს ცირკია, ამ არე-მარის შვევებზე და ჯაფარი...

— ცირკი? — და მეზობელიც შედგა და გახედა სანახავს:

ცირკის ერთ ნაწილს მისივე სახურავის პროექტორი ანათებდა და კარგა ძალზე შეთხზოდა გარშემოხვეულ ბურუსს. ერთგან ეს თეთრი მარამაშის ფარდა, წინამოსკენ, თითქოს განგებ აკეცილიყო, რომ შენობის კეთილშობილი ხვეტები და მის წინ ჩამოქიკვიკებული, გულ-უხვი საფეხურები მალლა აქანებული, სტუმართმოყვარე კიბისა არ დაემალა.

მათ წინ თოვლის ფიფქები განათებულ არეში ცქვიტად ხლტოდნენ და თითქო საციკვოდ იწვევდნენ კიბესაც და ზემო-გადმოწყურე უძრავ, მყარ კედლებსაც.

შორიდან ისე სჩანდა, თითქო ნელიად ირბევო, ეს ხელთ-დაუჭერელი, უცნაური ფარდა.

დესი განაგრძობდა:

— მართლაც რა ზღაპრულად გამოსჩანს ჩვენი კობტა ცირკი! ძალიან არა ჰგავს ძველ, ბერძნულს, საერთოდ ანტიურ ტაძარს?

თანამგზავრი კიდევ ერთხელ დაუკვირდა დესის. ეტყობოდა, რომ ამ გოგონას პიროვნება თანდათან უფრო ანციფრებდა.

დესი კი ელურტულებდა:

— ასეთი რამ, ასე გაშუქებული სწორედ სიზმარში... ან და კიდევ უკეთესი: თეატრში მინახავს... დიად, ესეთი მიზნედილი, ლეჩაქმიფარებული დეკორაცია...

აქ გაეცინა. მხოლოდ ეხლა შეამჩნია, რომ ბარგი-ბარხანით დატვირთული თანამგზავრი ამ თოვლში გაჩერებული ჰყავდა თითქმის ტყუილ-უბრალოდ, და ბოლიში მოიხადა.

დაიძრნენ. ცოტა რომ წაიარეს, დესის მოესმა შეკითხვა:

— თეატრში ხშირად დადიხართ?

დესი თითქოს სადღაც სხვა, საოცნებო მხარეში იყო გადაკარგული და შესმენილი პირველად კარგად ვერ გაიგო. შემდეგ ცოტა ეწყინა—ვინა ვგონივარ ამ ქალსაო, და ძალიან შეევეცილად, ცოტა მკვებე კილოთიც უპასუხა:

— დიად.

სინუმთ ჩაიარეს კარგა მანძილი.

დესი ეხლა ამას უღრმავდებოდა:

ვინ უნდა იყოს ეს ქალი? არა, იცის, რომ ევაკუირებულია, შორი ჩრდილოეთიდან არის ჩამოსული, მაგრამ რატომ ასე ხამივით უჭირავს თავი? ჯერ ქალაქის სიკეთემ გააკვირვა, შემდეგ თეატრში სიარულმა... ნუთუ თვითონ თეატრში არ დაიარებოდა, სადაც იყო? ასე გაუთლელ ქალს რომ არა ჰგავს?

ჰკვიანი თვალემა, დარბაისლური სახე, იერიანი, წარმოსადეგი, სანდომიანი. დღეს იქ, კანტორაში, მოეწონა კიდევ. მაგრამ თუ ასეთი ტლანქი აღმოჩნდა... არა, ძალიან შესცდა, რომ თანხმობა განაცხადა — ჩემთან დავეყენებო. ვითომ გარეგნობამ მოატყუა? ენახოთ, ენახოთ...

ისევ გადაიყარა სევდა.

დესის ახალგაზრდა, ცოცხალი და ჯერ შეუშფოთებელი ბუნება დიდხანს წუხილს არ იყო ჩვეული.

მაღე ინტეგრა თაგი:

— მაინცდამაინც რა მითხრა ისეთი? ბევრი არაფერი, ეს მე ვარ ასეთი გვიანი... მეტი-მეტი მგრძობელობით თუ მომდის, თორემ... უთუოდ მაღე შევეწყოებით... სახელი კი მშვენიერი რქმევია: ლიუდმილა. შეუძლებელია ამ სახელის პატრონი უხეში და უხეირო იყოს...

ამაზე გული დააჯერა.

ამასობაში მიაღწენ კიდევ დესის ბინას.

დესი სტუმარ ქალს წინ გაუძღვა და ოთახის კარები გაუღო. ელდენის შექმნე გამოჩნდა, რომ სუფთა ოთახი იყო, ქალიშვილის ნაზი გემოვნებით მორთული.

ეტყობოდა სტუმარს იჭაურობა მოეწონა.

2.

რომ მილაგ-მოლაგდნენ და თავ-თავიანთი კუთხე მიიჩინეს, დესიმ და ლიუდმილამ ერთმანეთს შეხედეს.

ორთავეს ღიმილი მოუვიდა.

ეს იყო მათი დაახლოების პირველი საწინდარი.

— ჩემო კარგო! დესი... მმ... მამის სახელი რომ არ ვიცი?

— დამიძახებთ ეგრე... უბრალოდ, პირდაპირ...

— ეს... შემდეგში, როცა ძალიან დაგიახლოვდებით...

დესის კვლავ გულმა რეზი უყო. გაიფიქრა: წელან ღიმილით დამიახლოვდა, ეხლა ისევ შორს გაიწია. უნდა რომ ჩვენს შორის რაღაც მანძილი იყოს. რა მიუკარებელი ქალი-ყოფილა!

ლიუდმილამ კი ასე აუხსნა:

— ჩვენ, რესებს, ჩვეულებაა გვაქვს მამის სახელით ბსენება ადამიანისა. სხვაფრივ უზრდელობაა ჩვენთვის... ძალიან მახლობელი უნდა იყოს ადამიანი, რომ მარტო სახელით მიმართო...

დესიმ განა არ იცოდა ყველაფერი ეს, მაგრამ მაინც დაუბნდა, რომ ლიუდმილას მისი მოპყრობა მიუკარებლობის გამო არ მოსვლია. თავის გულში გაამართლა კიდევ:

„მე ჩემზე უფროსია, გამოცდილი, ნანახი, უეტრად ადამიანს აბა რად მიიახლოვებს? ჯერ კარგა ასწონ-დასწონის, კბილს გაუსინჯავს და შემდეგ... ეგრე უნდა! მე ახალგაზრდა ვარ, მოფეთქებული და უცბათ ვიცი მინდობაც და საკითხის გადაწყვეტაც. სწორედ აგრე სჯობია. ლიუდმილა მართალია“.

ამან ყოველივე უცბათ გაუელვა თავში და ცოტა შეგვიანებით, მაგრამ მაინც აუხსნა, რომ მისი ოფიციალური სახელი დესპინეა და მამას მურზაყანი ერქვა!

„მურზაყანი“ ცოტა გააჭირვა საქმე; მაგრამ შევეჩვევიო, და ამ ემად ლიუდმილამ დესის ასე მიმართა:

— მე, უკვე იცით, ლიუდმილა ნიკოლაევნა ვარ, გვარად სოკოლოვა, პროფესიით ახლად გამომცხვარი მეტალურგი. ევაკუირებული ვარ და პირითულეზაც აქეთვინ, თბილისისა მაქვს მოცემული. მეტალების ქარხანა ყოფილა აქ და მეც იქ უნდა მივემავარო. ეს არის სულ. მაშ იცოდეთ ეს და მიწვალდეთ და შემვივრდომებდეთ.

თან ამ ბოლო ხუმრობას ლმობიერი ღიმილი დააყოლა.

დესიმ შენიშნა, რომ მის ახალ მდგმურს მშვენიერი ღიმილი ჰქონდა.

ესეთ ღიმილში თითქო მოსჩანდა ამ ქალის უსაზღვრო კეთილი გული, ადამიანის შემტკობი და თანაზიარი. არა ფუქსავატი, არა უშინაარსო, ზერელე და არც თუ პირმოთნეობით, ძალ-დატანებით გამოწვეული.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ „ახლად გამომცხვარიო“ რადა ბრძანეთ?

— პა, პა! — გაეცინა ლიუდმილას, — ბებერი გგონივართ?

დესი წამოწითლდა: რად ვაწყენინეო. გაშლილ სახეზედ შეხედა: პირის კანი მეტად სუფთა ჰქონდა და ჰკვიანი თვალები ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე. უნდოდა ამის გარშემო ეთქვა რაღაც, მაგრამ ლიუდმილამ აღარ დააცალა:

— ჩემ ხანში ქალებს არ უყვართ თავის ხნოვანობის გამომჟღავნება. ეს, მე ზგონი, ყველგან ეგრეა, მაგრამ გეტყვით პირდაპირ: არც ისე ბებერი ვარ. ოცდათხუთმეტისა ვარ. „ახლად გამომცხვარი“ კი იმიტომა ვთქვი, რომ ქარხანაში მუშაობას ეხლახან შევეუდექ, რაც ომი დაიწყო. მანამდე კი იმავე ქარხანაში დამლაგებლად ემსახურებდი.

დესი წამოდგა და ასე მოიბოდიშა:

— მომიტევეთ, გეთაყვა! მე თქვენ აქ გალაპარაკებთ და ის კი მავიწყდება, რომ თქვენ უკვე დანაყრებაც გვირდებათ და დასვენებაც.

— აი მაგაზე ვერც ერთზე ვერ ვიტყვი უარს, თუმცა დანაყრება... მე მაქვს ჩემი საგზალი... აი ცხელ წყალს რომ მიშოვიდეთ დიდი მადლობელი ვიქნები.

— თქვენ ნუ შეხუმრებით, — ვითომდა წყენით შეუბრუნა დესიმ, — ცხელი წყალი რას მიქვია? ჩაიცა მაქვს და შაქარიც, პურიცა მაქვს და ყველიც... ოო, რა ყველია! ჩვენებური, ერბო რომ მოწვეთს... თქვენ არ გექნებათ ჯერ გასინჯული. მგონი, რომ მოგეწონებათ. მერე რა მაქვს, რომ იცოდეთ? მანდარინები, მსხელი, ტკბილი.

— ოო, მანდარინები უკვე ვიკემე. ამ მხრივ დალოცვილი ყოფილა თქვენი ქვეყანა. მქონდა გაგონილი, რომ კავკასია მეტად ნაყოფიერი მხარეაო.

აქ შეაწყვეტინა დესიმ, რომელიც უკვე ნავთქურას დაფუსფუსებდა, ჩაიდანს აღგამდა და საერთოდ სამხრის სემზადისში იყო.

— რატომ მუდამ კავკასიას ახსენებთ, ლიუდმილა ნიკოლაევნა?

ლიუდმილამ გაკვირვებით შეხედა:

— განა კავკასიაში არა ვარ?

— თქვენ იმყოფებით კავკასიის ერთ-ერთ ნაწილში, რომელსაც ჰქვიან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

— ეგ ვიცი.

— პო-და კავკასია გეოგრაფიული ცნებაა, საქართველო კი პოლიტიკური. ლიუდმილა თითქოს ჩაუფიქრდა დესის სიტყვებს, მაგრამ მაინც წამოდგა და თავის ზოხაში იწყო „ბუჯური“.

დესი განაგრძობდა თავის „ლექიას“.

— თქვენ რომ, მაგალითად, სერბიაში იყოთ, განა იტყვით, რომ ბალკანეთში ვარო? უთუოდ ჯერ სერბიას დაასახელებთ, რადგან ბალკანეთში სერბიაც

შედის, რუმინეთიც, ბულგარეთიც და სხვა პოლიტიკური ერთეულებიც, ხალკანეთი ხომ გეოგრაფიული ცნებაა, ისეა აქაც. კავკასიაში შედის საქართველოც, სომხეთიც, აზერბაიჯანიც და სხვა მთელი რესპუბლიკებიც, ყველა ცალკეული პოლიტიკური ერთეულია. კავკასია მეცნიერებს დედამიწის გეოგრაფებს, გეოლოგებს, ლინგვისტებს და სხვ.

ამას ამბობდა დესი, მაგრამ გულში კი ასე ფიქრობდა: ისევ ვშორდები ამ ქალს, თითქო ის იყო დაიწყო ჩვენი დაახლოვება, მაგრამ ახლა ვშორდები. მისი ბრალაა, თვითონ ჩამომიშორა თავისი „კავკასიით“. ეს ხომ დიდმპყრობელური ცნებაა. ამას ჰქონდა იმ დროში თავისი მიზეზები, თუ რად უნდოდა მეფის რუსეთს, რომ „კავკასიით“ ლაღა-გადასმული ყოფილიყვნენ მთელი ჩეხი ქვეყნები. რომ კავკასიაში რუსულ გუბერნიებია მხოლოდ, საქართველო, სომხეთი და სხვები კი არ არსებობენ. ამ ქალს, ცხადია, ამიტომ არ შოსდის, მაგრამ შეხე, როგორ ძვალ-რბილში გასჯდომია ხალხს ოდესღაც ჩვენს დამამცირებლად შემოღებული მშვენიერი და ბრწყინვალე სახელი კავკასიისა! ამასაც კი, ამ მუშა ქალს, მაშასადამე, ჩვენიანს და საბჭოთა მოქალაქეს, „კავკასია“ ჰგონია ყველაფერი და აქ მოსახლე ხალხსა და რესპუბლიკებში ვერ ვრკვევა.

იმეფე დროს ლიუდმილამ თავის ბოხიდან ამოალაგა შენახული სანოვაცე და დიდი ჩემოდანიც ვახსნა, საიდანაც პირსახოცი, საპონი და თეთრეული ამოიღო. შემდეგ გააღო ის მომცრო საკვოიაფიც, დესს რომ გზაში მოჰქონდა და გულიანი სიცილით დესის შესძახა:

— არა ვარ ბებერი, არა, დესპინე მურზა... კანოენა... აი შეხედეთ!

ბელში ლამაზ შავი ბის ჩარჩოში ჩასმული წითელარმიელის სურათი ეჭირა.

— აგრეა, — განაგრძო ლიუდმილამ. — ამოდენა შვილი მყავს, მაგრამ ბებერი მაინც არა ვარ...

და გამოუთქმელის სინაზით ერთხელ კიდევ დახედა ვაჟის სახეს.

დესის მოპბერა კვლავ დაახლოვების სიომ.

მიიჭრა ახლოს და ისიც დააცქერდა.

საუცხოვო ვაჟაკის სახე დაინახა.

იმდენად ლამაზი არ იყო, რამდენად მიმზიდველი, ენერგიული, დამპყრობი.

ჰგავდა დედას სახის ნატიფობასა და სიმკვეთრეში, მაგრამ იყო რაღაც კიდევ სხვა, რაიც შეიღს დედაზე უფრო ამალღებდა.

ასე იგრძნო დესიმ, მაგრამ რა იყო ეს სხვა, ვერ აეხსნა.

თან საკვირველი:

უდიდესი სიახლოვე იგრძნო დესიმ ამ სრულიად უცნობი კაცის გამოსახულებასთან.

თითქო დიდიხნის მეგობრები არიან, დიდიხანია იცნობენ ერთმანეთს და ერთმანეთთან დიდიხანია თქმული აქვთ ყველაფერი, ნათათბირევი და გადასინჯული, გამორკვეული.

დიდად ეოცა ეს ამბავი, როდესაც კარვად განსჭვრიტა.

— ხომ მოგეწონა? — ამაყად შეეკითხა დედა.

დესიმ ამაზე არაფერი სთქვა, მხოლოდ ეს ჰკითხა:

— ფრონტზეა ებლა?

— სწორედ! — თან ნელი ოხერა ამოაყოლა ლიუდმილამ.

— მერმე და მხოლოდ რიგითი წითელარმიელია... — აქ სიტყვა შემოაკლდა დესის. მაინც დაითავა: — ესეთი ვაჟაკი?

— პროფესიით ზეინვალია, თან სტახანოველი, მაგრამ ისე უმადლესში დაუსწრებელზე სწავლობდა.

— აჰ, ჩემსავითი! — სიხარულით აღმოხდა დესის.



3.

— მაშ თქვენ ერთსა და იმავე დროს ქარხანაშიაც მუშაობთ და დაუსწრებელზედაც სწავლობთ... ყოჩალი ყოფილხართ! — წარმოსთქვა ლიუდმილამ და შეიღის ჩარჩოიანი სურათი მაგიდაზე დადგა.

— ზომ შეიძლება? — დადგმის შემდეგ შეეკითხა დესის.

დესიმ ისეთი მომღიმარი და ლომობიერი თვალით შეხედა, რომ თუ რამეკვიპკონდა ლიუდმილას თავის სითამამისა, სრულიად გაუქარწყლდა.

ჩაი მოდულდა. მაგიდას მიუსხდნენ.

საუბარში გამოირკვა, რომ დესი ობოლი ქალია, ერთი უმფროსი ძმის გარდა არავინა ჰყავს და ისიც ამჟამად ომშია, ფრონტზე. თვითონ ძმის გზარდლია, ჯერ სოფელში, შეიდწლედში ჰყავდა სასწავლებლად, შემდეგ აქ გადმოიყვანა ქალაქში. ხელეწიროდ იყვნენ ორივენი და ამიტომ ქალი ქარხანაში შეეღდა ჯერ უბრალო მუშად, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ისე დახელოვნდა, რომ რამდენიმე დაზგას ამუშავენს აბრეშუმის ქარხანაში. დაწინაურებულად ითვლება და ამის შემოსავლით ცხოვრობს. ძმა რომ აქ იყო, კიდევ უფრო კარგად იყვნენ. ძმა უცოლოა და მარტო დაძმანი ცხოვრობდნენ ამ კობტაოთაში. ერთი ოთახია მხოლოდ თავისი წინა აივნით და უკანა საკუქნაოთი. პაწია ეზოცა აქეთ. გაზაფხულობით, ძმა რომ აქ იყო, ცოტაოდენ ბოსტანსაც აკეთებდნენ. ეხლა კი არ იცის დესიმ, მარტო შესძლებს თუ არა.

ლიუდმილას უნდოდა ეთქვა მე დაგეზმარებო, მაგრამ თავში გაუელვა — ნუ თუ გაზაფხულზედაც აქ ვიწებო და თავი შეიკავა. კითხვით კი სულ სხვა რამ ჰკითხა: თქვენი ძმა რა პროფესიის კაცი იყო?

მზარეული ყოფილა, ჯერ სოფელშივე ამ ხელობას შესწევია და შემდეგ, ქალაქში გადმოსვლისას, ისევ ამ გზას გაჰყოლია.

დესი, ეტყობოდა, თითქო უბოდიშებდა ძმის პროფესიას, მაგრამ ლიუდმილა მიუხედა და თითქო გასამხნეებლად ასე მიმართა:

— ყველა პროფესია საბატიოა, საქირო და პასუხსაგები, ჩემო კარგო, თუ კი შენი საქმე კარგადა გაქვს შეთვისებული და ერთვულადაც ასრულებ შენს მოვალეობას... მე ეს ცხოვრებამ დამანახვა და გამოცდილებამ შემძინა.

— ზო-და სწორედ ეგეთია ჩემი ძმაც. თავის საქმეში პირველია. მოსკოვშიაც კი იყო კულნარულ კურსებზე და შემდეგ კიდევ უფრო დაწინაურდა. ბევრი სიგელებიცა აქვს მიღებული მადლობისა და გამხნეებისა სხვადასხვა დაწესებულებისაგან... აფერ...

და დესიმ გამოსწია მაგიდას უჯრა.

— მაგრამ არა, უკეთესია მის უკანასკნელ წერილს გიჩვენებთ, ეს უფრო საგულსხმომ იწნება თქვენთვისაც. ზომ ნებას მომცემ?

ლიუდმილამ თანხმობით თავი დაუქნია.

— აქედან კარგად გავიგებთ, თუ რითი სუნთქავს ამჟამად ჩემი ძმა, რა ასულდგმულეებს...

— თქვენ ძალიან დალაგებით ლაპარაკობთ, დესპინე მურზაქანოვნა... მომიტყევთ და... ცოტა მაღალფარდოვანად...

— პა, პა! — გაეცინა დესის. — მართლა? ეს შეიძლება უნივერსიტეტში და-
მაშინია ასეთი კვალი... აქი მოგახსენეთ, რომ მე დაუსწრებელზე ვსწავლობ,
სალიტერატუროზე... ძალიანაც მიყვარს მხატვრული ლიტერატურა...

— პოო! მაშ თვითონაც სწერთ უთუოდ?

— დიალ... ჩემთვის ვეარჯიშობ...

— ლექსებს, არა? — მეგობრული ეშმაკობით შეაპარა ლიუდმილამ.

დესი წამოწითლდა:

— დიალ.

და გაახსენდა უკანასკნელი ლექსი, თავის სოფლის მდინარეს რომ უძღვნა:

ტებურო, ჩემო ტებურო,
მეგობარე, ლაქვარდოვანო.
ნაპირზე ზოგან ტყიანო,
და ზოგან კიდევ კლდოვანო!

როგორ მიყვარდი ყმაწვილსა
ბეთლემს გაშლილი ქალითა,
მშფოთარე, დაუდგრომელი
გმირს ჰგავდი ღონით, ძალითა.

შეგ კალმახები რომ ხტოდნენ,
ტობი და წვერა ცბიერი...
აროდეს დამავიწყდება
შენი შნო, შენი იერი...

აქ შესწყვიტა თავის გუნებაში განმეორებული თავისი შირი და არც თუ
ისე მოეწონა, როგორც წინათ შეჰხაროდა ყოველ მის პწყარს.

ვერაფერი პოეზიააო, — გაიფიქრა, გალექსილი პროზაა მხოლოდ. კიდევ
კარგი, რომ არაეის მოუსმენია აქამდე და ეხლაც ლიუდმილას ვერ გააგონებს,
თორემ ხომ შეაკვივა ქალი...

ძმის წერილი ამოიღო, გაშალა. თან შინაც ლექსებზე ფიქრობდა. უთუოდ
ამიტომ მომწონდა, რომ ძალიან მიყვარს ჩემი სოფელი.

სოფელი ბეთლემი!

რა საყვარელია მისთვის!

შეიძლება სხვებისთვის დიდი არაფერიც იყოს, რადგან ამისთანა მშვენიერს
სოფელი ბერია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით დასაფ-
ლეთ მხარეს, მაგრამ მისთვის სულ სხვა თითქოს პირქუშად აყუდებული ნო-
ქალაქების მთა, რომლის წვეროვანზე გაშლილი მოედანი, ხასხასა ტყორის
ბუჩქნარით აღაღლადებული, ფიჭვისა და ნაძვის ზეახლტეტილი ხეებით დაშ-
შვენებული, ტანწერწეტა მეგრელებივით რომ შესევინა ამ შთის მალღობებს
და თითქო მტკიცე გუშაგებად გადმოჰყურებენ არემარეს. ამ მიდამოს ცოტა
ზევით ქუჯის ციხის დიდი ნანგრევი, ქალარა არქეოპოლისი, რომლის კალ-
თებზე ძველ-ოდესმე ყოფილა გაშენებული „იათა“ ქალაქი, და არგონავტები
აქ მოსულან მელაის გასატაცებლად, ან კოლხეთის მფის გუბაზის ტრაჯედია,
რომელიც აქვე გაუთამაშნია ისტორიას, ან კიდევ სპარსთა ურდოების ვინმე
სარდალი მგრმეოე, რომელიც უდილა ამ კალთების ძირას გადაეწყვიტა
კოლხეთის ბედი. და სხვა და სხვა.

ეს ყოველივე იცის დესიმ. უსწავლია, წაუციტხნია და თავი მოსწონს, რომ თვითონაც ამ არემარიდან არის.

გახსენება გახსენებასა სცელის და დესის უგვიანდება ძმის წერილის წაკითხვა.

ეხლა თვალწინ ესახება ტეხურის პირას აყოლებული მეორე დიდი გორა, ტეხურ-გალმა სოფ. ჯოლევისა, საიდანაც ღამე მთვარე ამოგორდება ზოლმე და თილისმურ სინათლეს მოსდებს არემარეს.

ან სად არის ამისთანა მთვარის სინათლე, ბეთლემში რომ იცის ისეთი?!

დესის სხვაგან არსად არ უნახავს.

მიმჭრალ ხელნაწერსაც რომ წაიკითხავ ესეთ მთვარის შუქზე!

ან რა საოცარი ძუღდროება იცის ღამით ბეთლემში: მხოლოდ ქვევით, ქალიდან მოისმის მარად ტეხურის მძლეერი ქშეილი და მარადიული მოძრაობისა და მოქმედების ხალისს გინერგავს.

ეხლა კიდევ თვით ბეთლემში პატარ-პატარა გორაკების ფერდობები, ჩაის ზუჭქნარით რომ ჩაგვირისტებულან, ზევით ტყიანი, ქვევით ხავერდოვანი მოლით ამწვანებული, გაზაფხულობით კოჩივარდა რომ მინაზებულნი სიწითლით გამოუფინება და დიდრონი ხეების ჩრდილ ქვეშ უწყინარი ია თავის მოლურჯო კაბით რომ შეიმოსება.

ამათ ზემოთ კიდევ თითქო გვერდებ-შეხლეჩილი, მაგრამ ამაყად წამომდგარი მაღალი მთა ლებარკალე, რომლის ბეჭურებს შესევია ყაერთა და ისლით გადებურული, აჭა-იქ ეხლაც შერჩენილი ძველებური ჯარგვალეები და კობტა, მეგრული ოდები, წინ რომ ზურმუხტის კოლინდარი უბიბინებს, გვერდებზე ვაზის რაზმები რომ ჩამწკრივებულან და ეზოები წერილი წკნელთ მეტად ზუსტად მოწნული ღობეებით რომ შემოზღუდულან და ისარივით ატყორცნილი ალვის ხეები, ამ ღობეებთან რომ ჩამორიგებულან.

თვითონ ლებარკალეს მთიდან კი, ცა-მოწმენდილზე, მეტად ნათელ დღეში შორიდან მოსჩანს ალმასად ალაპლაპებული შავი ზღვა, რომელიც თავის ფსკერიდან ამოტანილ სადაფებით უქარგავს კობტა, მწვანე ქოშებს კოლხეთის პატარძალს, ასე ტურფად რომ გაწოლილა ოდიშის თვალწუფდენ ვაკეზე, სარტყელი რომ მდინარეთა ვერცხლით შემოუჭედა და ტანზე სალუქი ლეჩაქი ჩამოუფრიალებია, შორეულ ასხისა და კურხუს მთების ნისლისაგან მოქსოვილი.

მაგრამ ყოველივე ეს ცოტა შორსაა, მხოლოდ ლებარკალედან დასანახი, ქვევით კი თვით ბეთლემის ქალა, ნაშენიდან დაწყებული სოფ. ლეძაძამემდე როგორ ფიანდაზად გაშლილა და თავის შუაგულ, რაიონულ ცენტრებთან შედარებელი საუცხოვო გზატკეცილი გადაუქიშნია, დღეს რომ ავტოები დასრიალეზენ და იქით-აქეთ კი ზაფხულობით სიმინდის მაღალ-ტანიანი ყანებით თავი რომ მოუწონებია, სადაც ცხენზე მჯდომი მხედარი რომ შევიდეს, სრულიად დაიმალება თავის გუმბათისებრ შემოხვეულ ჩაბალახით.

არა, ძალიან უყვარს დესის ბეთლემი.

4.

ძმის წერილი კი მაინც უკავია ზელში და ათვალეირებს. ლიუდმილას უყვრს, რომ აგვიანებს დესი წერილის წაკითხვას. დესი უხსნის — წერილი ჭართულად არის დაწერილი და მე მინდა მისი შინაარსი გადმოგკეთო.

იწყებს კიდევ მბობას.

ძმა იქაც მზარეულად არის თურმე. რასაკვირველია, შეიარაღებულთა, მაგრამ კარგა ხანს ომის ცეცხლით არ ყოფილა „მონათლული“ ეს კი ძალიან აწუხებდა თურმე. მას შემდეგ მაინც, რაც მათმა ნაწილმა დიდი გმირული საქმეებისათვის გვარდიის საპატიო სახელი მიიღო.

„ამა ის რა გვარდიელია, თუ ერთი-ორი ოკუპანტი ფაშისტა მისცა არა ჰყავს ჩაძაღვებულიო“, — სწერს დესის მისი გამზრდელი.

„მეც ვერ მოვითმინე და ერთ დღეს ვთხოვე უფროსს, რომ დაზვერვაზე მეც ვავეში. ამ თხოვნის დროს საშინელი კანკალი ამიტყდა. იქვე ერთი ლეიტენანტი იღვა და დაცინვა დამიწყო:

— „შენ აქვე კანკალე, დაზვერვაზე რომ წახვიდე, მტერი ისერის თუ არა, შენ საღაც მიიმაღლები ბუნქის ძირას და მერმე მტერი პლენად ჩაგვადებს ხელშიო“.

ასე სწერს ძმა — „პლენადო“. დესის სწყისს, რომ ასე გავრცელდა ქართველებში ეს სიტყვა. თითქო არა გვქონდეს ქართულში სამაგიერო, ზუსტად გამოშხაბივი შემეცნება — „ტყვე“, „დატყვევება“, „ტყვედ წაყვანა“. სხვა რომ გველაფერს დავეთხოვოთ, ქართველებს ომის მეტა რა ვადაგვიხდია! საომარი ტერმინები კარგად დამუშავებული გვაქვს... მაგრამ ამაზე ხმას არ იღებს ეხლა, მით უფრო, რომ წერილის შინაარსს რუსულად სთარგმნის.

განაგრძობს.

წერილის ტექსტი კი ესეთია:

„ლეიტენანტის განცხადებაზე გული მომდის, უფროსს კი ელიმება და მეკითხება:

— ვითომ რატომ მოგინდათ მზვერავად წასვლა?

„ამის პასუხად ჯიბიდან ვაზეთი ამომაქვს და ვაწოდებ. ჩვენი საყვარელი, ფრონტის ვაზეთი: ამა და ამ წითელარმიელმა ზეინკალმა ესა და ეს გმირობა ჩაიღინა, ამა და ამ კალატოზმა ესა და ეს, ამა და ამ დალაქმა — ასეთი და ასეთი და სხვა. რატომ არ შეიძლება მზარეულმაც რამე გააკეთოს მეთქი.

— „ძალიან ვინდა გმირობაო? — ჩაიციანა.

„მამ რისი გვარდიელი ვარ, რომ ამას არ მივესწრაფოდე? ეს მევალება კიდევ. მაგრამ ამაზე არაფერი მითქვამს, მხოლოდ უარესი კანკალი ამივარდა. ლეიტენანტი ისევ ისე ურწმუნოდ შემომტკიეროდა. რა იცოდა, რომ ჩემი კანკალი სულ სხვა მიზეზით იყო გამოწვეული: ვაი თუ უფროსმა უარი მითხრას და არ გამგზავნოს-მეთქი!

ეტყობა, უფროსი მიმიხვდა და ბოლოს ნება დამართო, მხოლოდ გამაფრთხილა, რომ მტერს ტყვედ არ ჩავევარდნოდი. საბუთები გამომართვა და ასმე-თაურთან გამგზავნა. იმანაც ჩაიწერა ჩემი გვარი, სახელი, მისამართი და ჩამრიცხა თავის ასეულში.

„შეიდ იმ თვეს, ღამის თერთმეტ საათზე წაველით ლეგიონიდან დაზვერვაზე. ყინვა ორმოცდასამი გრადუსი იყო, საძაველი ქარიშხალი, ნამქერს გვაკრიდა თვალბში, თოვლი წელამდის იყო. ამას გარდა, თხრილები, ქვაფენილები, დანაღმული ადგილები, ძალიან ხელს უშლიდა ჩვენს წინ წაწევას, მაგრამ მაინც არ შევჩერებულვართ. სიფრთხილით, დინჯად, მაგრამ მაინც მტკიცედ მივწვედით წინ. არსაიდან სხვა ხმაურობა არ ისმოდა, ვარდა თოვლზე ჩვენი ნაბიჯის „ხრამა-ხრამისა“. თავზე კი ზუზუნით ვადადიოდა ჩვენი ქვე-მეხების მიერ გასროდილი ყუმბარები.

„უნდა გამოგატყდე — ცოტა შევფიქრდი. არც ისე ადვილი ყოფილა გმი-

რობის მოპოვება. ის კი არა, ერთხანად შეზეშინდა კიდევ: ლამის სიბუნელიში ბუჩქები, ხეები, დიდი ჭეხვი ადამიანებად მელანდებოდა და მეგობარ აგერ გვესწრებოდა, აი აგერ-მეთქი. ამ ფიქრში ცოტათი ჩამოვრჩი კიდევ ასეულს. მაგრამ როგორც კი ეს შევამჩნიე, იმავე წამს ჩემს თავს გავუღმეჭარებინე: „ეხი, შე ვლახაკო! თუ მეტი არაფერი შეგეძლო, რას ყოყლოინინებდი-მეთქი! თუნდა სულ მტრებით ვიყო მართლდამართა შემოზღუდული, განა ასე უნდა დავლაშრდე? განა ჩემი თავი არ უნდა შევწირო დაიდ სამშობლოს, განა ჩემი წმინდა მოვალეობა არ უნდა შევასრულო?“

„და კვლავ გამხნევებული წავედი წინ.“

„მწელი იყო ორმეტრ-ნახევარ თოვლით მოძრაობა, მერე ისიც ისეთ სიბუნელიში, სადაც, როგორც იტყვიან, თითო თვალში რომ დაეტაკებინათ, ვერ შევამჩნივდი. მაინც წაიფიე და ოცდახუთი მეტრით დავწინაურდი ასეულსაგან. ეხლა უკვე მივცოცავ ნელ-ნელა.“

„უცხათ მომესმა ლაპარაკი, შევჩერდი. თვლები გამიფართოვდა და გადაციკებით ვიყურები წინ. როგორც იყო გავარჩიე მტრის გუშაგები, მოთვალთვალე პუნქტები და სხვ.“

„ეხლა კი მინდა გამოვბრუნდე და სასწრაფოდ შევატყობინო ასმეთაურს, რაც ვნახე, მაგრამ დაბრუნება რომ მწელი არას? შეიძლება დამინახონ, მესროლონ, მომკლან. მერმე მკვლარი რომ ვეღარ გამოვადგები ჩვენებს? ან მე ასე ტყუილად როგორ უნდა გავფუძვდე; როცა ჯერ არც ერთი მხეცი ფაშისტი არ მიმსხვერპლნია?“

„მაგრამ რას ჭეია ტყუილად? მერმე გაუფრთხილებლად ასეული რომ მოვიდეს და გასწვიტონ ამ ოხრებმა? ჩვენებმა ხომ არ იციან, სად არის აქ მტრის ნაწილი განლაგებული? არა, რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა გავბრუნდე. ამაზე უფრო დიდი მოვალეობა რა იქნება.“

„გამოვბრუნდი. დიდის ვაკირვებით მივალწიე ასმეთაურთან და ყოველივე საჩქაროდ მოვასენე. ასმეთაურმა წინსვლა შეაჩერა. ჩვენ კი გვიბრძანა, რეზინის „პელიატეები“ ჩავეცვა და მავთულების ხლართის ქრას შევდგომოდით. ჩვენც ასე მოვიჭეცით. ვჭრიდით იქ, სადაც „ტოკი“ იყო შეერთებული. ძალიან გვიჭირდა: წელამდე თოვლი და საზარელი ქარიშხალი ძალზე გვაბანდებდა. მაგრამ როგორც იყო, ორი საათის შემდეგ გზა ხლართისაგან გავანთავისუფლეთ და დიდის სიფრთხილით მეტრს ოც მეტრამდის მივუახლოვდით. ასმეთაურმა მე მარცხენა მხარეზე დამნიშნა მოთვალთვალედ, მარჯვენა მხარეზე კი ამხ. თუკოვი. ვდგავართ მტკიცედ. გარშემო გუთვალთვალეობით, რომ არავინ მოგვეპაროს და ვხედავ: მარცხენა მხარეზე ერთი კაცი თავის ავტომატით ზურგში გვეპარება. უთოდ შევეამჩნია და უნდა რომ ზურგში დავგიწყოს სროლა. ფიქრობს, რომ ზურგში სროლა ჩვენი ასეულის პანიკას გამოიწვევს და ყველას ხელში „პლენად“ ჩაგვივდებენ, მაგრამ საზიზღარ გველს არ ეღირსა თავისი ბოროტი განზრახვის შესრულება.“

მიუვახლოვდი მეტრს. ვიცი, რომ ჩემ ხელშია, აგერ ხიშტიც მოვიბოროტე, უნდა დავარტყა. სწორედ ამ დროს თუკოვი ხეზე შესულა და იჩივან შეძახის: „კვესელივა, კვესელივა! სადა ხარ?... ხმა გამე!“ თუკოვი კარგი ვაჟ-კაცი იყო, უშიშარი, მაგრამ მეტის-მეტი ახალგაზრდა, გამოუდგელი და იმიტომ დაემართა ეს. თუკოვის ძახილზე, რა თქმა უნდა, ვერავი მეტრი მეტრიალდა და საიდანაც ხმა მოესმა, იქით გაისროლა. აქ მოაჩუქრე წვეთლმა. მარცხენა ხელში დასტრა თუკოვი. თუკოვიც გავაქვდი და ასმეთაურს

მხეცი

რეზინის



ურს ნობსენა, რომ მე დამტერეს და კვესელაგა მტრებმა ტყვედ ჩაიგდეს. ას-
მეთაურმა მაშინვე ბრძანება გასცა, რომ ასეული სწრაფად, სთითაობით მოკ-
ლე გადაბრუნით გაქცეულიყო ლეგიონისაკენ, რადგანაც ასეთი წესია, როცა
ვინმე ტყვედ ჩაეარდება, მაშინ მზვერავი ჯგუფის ამოცანა ისევეა, როგორც მზვერ-
ფოდ ლეგიონში ვაიქცეს და შტაბს აცნობოს.

„მე კი დავინახე თუ არა, რომ ჩვენი ასეული უკან გაბრუნდა, წამოგვტი და
ჩემს ასეულს მეც გამოგვიკიდე. — მაგრამ მტერმა დამინახა და სროლა ამიტე-
ხა. მეც მოვახერხე და თოვლში დავიმაღლე; სასწრაფოდ თოვლის სანგარი გავ-
იხარე და შიგ ჩავწექი. თავზე ტყვიები ზუზუნით ვაღამდიოდა, მაგრამ არც
ერთი არ მომხვედრია: ვიწვექ ყინვიან თოვლში, მხოლოდ საშველი არსადა
სჩანდა. თან ვფიქრობდი: მაშ ეს არის შენი ბოლო? აქ უნდა ვაიფიჩხო ამ
თოვლის სუღარაში. ჯერ რომ არაფერი ხეირიანი არ ჩავიდენია ისე? ეჰ, რა
ძნელი ყოფილა გმირობის მოპოება! ეს სხვები როგორ ახერხებენ ნეტა?.. ვი-
ყავ ამ ფიქრებში, მაგრამ, წარმოიდგინე, იმეამად ჩემს გულს შიში უკვე აღარ
გეკარებოდა. თანა მქონდა ავტომატი, სამასი პატრონა, ექვსი ყუმბარა და ცო-
ტაოდენიც არაყი. ასე რომ მაინც და მაინც ვაყინვის საშიშროება არ მომე-
ლოდა. თითქმის დიღამდე ვიმყოფინე არაყი, მხოლოდ როცა შემომელა, ძნე-
ლი ვახდა ჩემს სანგარში გაძლება. მაშინ კი გადავწყვიტე, რაც იქნება, იქნე-
ბა, სანამდე ისინათლებდეს, ლეგიონში წაველ-მეთქი და თავი მალა ავიღებ.
ამ დროს დავინახე, რომ მარჯვენა მხარეზე მტრის ოთხი ჯარისკაცი თოვლ-
ზე მიხობხავდა სწორედ იმ მხარისაკენ, სადაც ამას წინათ ჩვენი ასეული იყო.
ცხადია, ისინი იმისთვის მიემართებოდნენ, რომ გამოერკვიათ მათი დამინახა-
როლის შედეგი, ან მკვდარი ენახათ ვინმე, ან დაჭრილი და რამე საბუთი ან ია-
რალი მაინც ხელთ ჩაეგდოთ. სულ ჩემს ახლოს მოცოცავდნენ. ასე სამი-ოთხი
მეტრის მანძილზე. მეგონა, ესლა კი მოვიდა აღსასრულის დრო-მეთქი, და ჩე-
ში საჭურველიანა თოვლში სულ ღრმად ჩავიმაღლე. აქაც გადავრჩი. ცოტა ხნის
შემდეგ რომ გავიხედე, ვნახე, კარგა დაწინაურებულიყვნენ. მაშინ მოგვიღე
მეც ხელი ჩემს ვაციებულ ავტომატს და ხოხვით მათ გამოვუღეკი. ერთმა
შათვანმა დამინახა, თავისიანი ვეგონე და ხელი დამიქნია—ჩქარა დაგვეწიეო.
მეც მუნჯურად თავი დაუქნიე, თან რაც შემეძლო ჩქარა გავცოცდი. იმათ კი
როცა დაათვალიერეს ირგვლივ არემარე და რაკი ვერავინ და ვერაფერი იპო-
ვეს, მანიშნეს, ნულა მოდიხარ, საჭირო აღარ არისო. მე კი ამასობაში მოვა-
შზადე ყუმბარები, ავტომატი და დავუწყვე ლოდინი მათ მოახლოებას. „აბა, თუ
გარჯხარ, ესლა უნდა ივარგო-მეთქი“, — ვეუბნებოდი ჩემს თავს. მომიახლოვ-
დნენ კიდევ. აქ შემატყვეს, რომ მათი ამხანაგი არ ვიყავი და ის იყო უნდა
ესროლათ ჩემთვის, რომ დავასწარი. დიდი უნარი გამოვიჩინე, ზედი-ზედ და-
ვაყარე ყუმბარები, ერთი, ორი, სამი. ვხედავ, ორი საშიზლარი მხეცი მომი-
კლავს, ერთიც, ეტყობა, ფეხში მძიმედ დამიჭრია, რადგან მეოთხემ ეს დაჭ-
რილი ზურგზე აკიდებული ვაათრია.

მე იმ წამსვე შეკვრებს მივევარდი, ავართვი საბუთები, ავტომატები და მო-
კლე გადაბრუნით გავეშურე ლეგიონისაკენ. დამინახეს მტრებმა და სროლა
აჩიტხეს. ოცდაცხრა მათი გასროლილი დავთვალე. მაგრამ, წარმოიდგინე,
არც ერთი არ მომხვედა, მაინც შეფევიქრდი, ყოველთვის კოკა წყალს არ მო-
იტანს-მეთქი და თოვლზე გადავკოტრიალდი, თან ყირაზე გადავტრიალდი. რა-
ტომ? იმიტომ, რომ ვიფიქრე — თუ მაინცა და მაინც ფეხში დავიჭრები, თა-
ვი გადავირჩება მეთქი. ამასობაში ერთ დიდ ტანკ-საწინააღმდეგო თხრილში

ჩავეარდი. იქ თურმე დანაღმული ადგილი იყო. უცებ იფეთქა ბორბა, კინალამ თავში მომხვდა. მაგრამ აქაც გადავჩი. შემდეგ ხეე-ხეე ჩავეყვი და, როგორც ენა, მივალწიე ლეგიონის შტაბს. სანამ მივიდოდი, ავტომატები როგორც ჩავმალე და შემდეგ გამოვეცხადე შტაბის უფროსს.

— გეცხადებით წითელარმიელი კვესელავა-მეთქი.

— „აა, შენ ის არა ხარ, ტყვედ რომ იყავ ჩავეარდნილი... თავი როგორ და-
აღწიეო?

— „არა, ამბ. შტაბის უფროსო, მე ტყვედ როგორ ჩავეარდებოდი.. დაზვერვაზე ვახლდით, ჩვენი ასეული ხიფათს გადავარჩინე და ორი საზიზღარა ფაშისტიც მოვსპე-მეთქი.

„შტაბის უფროსს ვაეცინა:

— ასეთ გმირს რომ არ ჰგავებარ, ტყულია კვეხულობ გმირობასო. ან და ამის დამამტკიცებელი საბუთი სადა გაქვსო?

„მე მაშინვე ვაეჩქეც, ავტომატები და საბუთები მივართვი. ასეულის გადაჩენაზე კი ვთხოვე ჩვენი ასმეთაურისათვის ეკითხნა.

„აქ კი საქმე სულ სხვანაირად შეტრიალდა: შტაბის უფროსმა მადლობა გადამიხადა, კომისარმა ვადამკოცნა და ოცმეთაურად დამნიშნა. ჩემს ასეულში რომ დავბრუნდი, გარშემო მებრძოლები შემომეხვივნენ: მილოცავდნენ ასე გამარჯვებულ დაბრუნებას.

„მე კი ამას არ დავჯერდი, შევარჩიე მაგარ-მაგარი, ჯიხვივით ბიჭები და იმავე დღეს ისევე წაველ მტრის ბანაკის დასახვერავად“...

აქ შესწყვიტა დესიმ წერილის შინაარსის გადაცემა.

ლიუდმილა ჩაფიჭრებული იყო, შემდეგ წარმოსთქვა:

— ყოჩალი ყოფილა თქვენი ძმა... საზრისიანი და მოხერხებული. — შეჩერდა, შემდეგ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: — რასაც კაცი გულით მოინდომებს, რწმენით გააკეთებს, არ შეიძლება, რომ თავის მიზანს არ მიიღწიოს... აი ნახავთ, თუ თქვენი ძმა ბოლოს მართლა გმირი არ გახდეს!

დესიმ ამაზე სათნოდ გაუღიმა. თვალეები კი ჩარჩოიან სურათისაკენ გაუცდა.

5.

მარტო იყო დესი თავის ოთახში და მაგიდასთან შეცადინებოდა.

მაგრამ ეტყობოდა, რომ მისი გულისყური ჩარჩოიან სურათისაკენ უფრო იყო მიპყრობილი.

აი წიგნი განზე გადადვა. სურათი ახლოს მიიწია და ერთხელ კიდევ ჩააქტერდა.

უკვე გაჩვია მის ყურებას. როდესაც დროს ხელთ იგდებს ხოლმე, უსათუოდ ერთს მაინც გადახედავს. ლიუდმილას ამას თითქოს უმაღლავს, მაგრამ უფრო ხშირად ისეთი მოურევენელი სურვილი შეიპყრობს, რომ არ შეუძლიან ლიუდმილასთანაც ერთი ქურდულად მაინც არ გადახედოს ხოლმე.

ან კიდევ მაგიდის გადასუფთავების მომიზეზებით ხელში სურათს იღლებს და ვითომ თან ასუფთავებს ირგვლივ მაგიდას, თან სურათს ჩასჩერებია.

ამჩნევს ვითომ ამას ლიუდმილა? არ იცის. მაგრამ თუნდა შეამჩნიოს, მერე რა?

მხოლოდ როდესაც მარტო არის, აი როგორც ეხლა, შეცადინებობს შესწყვეტს, სურათს ახლო მიიჩოჩებს და მისჩერებია.

მაგრამ ეს ერთი ხანია მარტო მზერით არ კმაყოფილდება, ნელინს ესაუბრება კიდევ, მხოლოდ ჩუმად, თავის გულში, ხმა-ამოუღებლად.

თითქო ცოცხლად აქ გვერდით ეჯდეს და ესაუბრებოდეს. თითქო მარტო ლიუდმილა კი არ შემოსახლებოდეს მის ოთახს, არამედ აი ექსპროვირებოდა და მოშხიბლეელი ვაჭიცი.

რა ფართო შუბლი აქვს? ეს აზროვნების ფართო მოედანი. ან როგორი ღრმა გამომეტყველების თვალები? თითქო ცხოვრების დიდი გამოცდილება ამ თვალეში დასაფუტრებულყოფს. თითქო ყოველივე დიდი ხანია იცის და არაფერი არ გამოჰპარვიაო, მაგრამ ამ თავისი გამოცდილებით კი არ გაშინებით ეს თვალები, ზვიდან ქვევით კი არ დაგვურებთ: ვითომ შენ ვინა ხარ, ჭიადლა, მე შენზე მაღლა ვარ, მე ვაცი ყველაფერიო. არა! მეგობრულად არიან ეს თვალები განწყობილნი: ნუ მომერიდები, შეგიძლიან შენი სულის კუნჭულის უდიდესი საიდუმლოც გაიხიარო. ან რა უშინოების გამომეტყველება აქვს ამ სახეს. რას არ შეგბუდავს, რას არ შეგბრძოლებას? ესეთი იერი ჰქონდა ლთლად პრომეთეს, დედაებათა ცეცხლის გამტაცებელს. მაგრამ დენისთვის მაინც მთავარი ის არის, რომ თვალები ეუბნება, ნუ მომერიდებო.

ამიტომ არ ერიდება დესი იგორს. პო, იგორი რქმევია. რუსული ლამაზი სახელი და მასთან თავს ძალიან შინაურულადა გრძნობს. ამიტომაც არის, დესი თანდათან უფრო გულახდილია იგორთან. თავის ნაგრძნობს არაფერს არ უმაღავს.

იი ეხლაც დედის ცოტა საყვედურს ეუბნება:

— მშენიერი ქალია დედაშენი, ძალიან ბევრი გაქირვებაც გამოუვლია და შენც დიდის ჰამან-წყვეტით გაუზრდინარ, მაშინაგან უდროოდ დაობლებული. ო, დესიმ უკვე იცის იგორის ბავშვობის ამბავიც. როგორი იყო იგორი ყრმობისას, ჰამბუკობისას და როგორია ეხლა, დავაჟაკებულნი. რა ჩვეულება აქვს, რა ხასიათი, რა უყვარს, რა სძულს.

განა ლიუდმილა არ მფუყვია, თუმცა ძენწად, იქა-აქა, მაგრამ მაინც თავისა და იგორის ამბებს? განა ამ ზამთრის გრძელ დამებში ლიუდმილა ზოგჯერ თვითონ არ იხსენებდა თავისი შვილის თავგადასავალს?

დესის ცეცხლის ასოებით აქვს ამოჭრილი თავისი ნახსოვრობის საღაროში იგორის ძენწად გაგებული ამბები. ცოტაა ეს ცნობა, მცირეა, იქა-აქ თითქო სხვათა შორის წარმოთქმული, მაგრამ დესის გონებაში მაინც აღმართულია მშენიერი სახე მოწინავე საბჭოთა ჰამბუკისა:

გამრჯე, მტოდნი, გამპროაზი და შემმართველები.

სახითაც... მაგრამ დესი ვერ აძლევს ანგარიშს, თორემ ეს სახე მისთვის უკვე სბათყვანოა. შეიძლება ყველა ამისათვის უფრო უყვარს მასთან საუბარი. რა ვუყვით, რომ ის პასუხს არ იძლევა. დესიმ იცის, როგორი იქნებოდა იგორის პასუხის საფუძველი, საიდან გამოვიდოდა, რას დაისაბუთებდა. ეს კი მისთვის საკმარისია. მხოლოდ უფრო ხშირად თვითონ უყვება იქით, შესაივის, უზიარებს და პასუხი ამეუბნე არც სჭირდება.

აი ეხლაც: ისევ დედაზე ესაყვედურება:

— კარგი ქალია უსათუოდ დედა ლიუდმილა... ერთხელ წამოშეცა ასე და ლიუდმილასაც მოეწონა... მეც ეხლა უფრო ხშირად ვერე ვეძახი, ჩემო კარგო... კარგია მეტქი, თითქო შევთვისდით კიდევ, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ როდესაც ვიფიჭრებ, ეხლა ნამდვილად დავგებლოვდით-მეთქი, უცრად ისევ ვგრძნობ სიშორეს, მის განკერძობებას. ეს კი იმიტომ, რომ ბევრი რამ არ

მოსწონს აქტორი. თუმცა ამ ბოლო ხანებში, მართალია, ცოტა შეზღუდულად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქარხანაში სამუშაოდ მოეწყო და ადგილობრივ ვითარებას უფრო ახლო გაეცნო, მაგრამ... ზოგჯერ კიდევ იქნა შეზღუდული აქტორ „სამშვიდეს“. ეს კვლავ მაშორებს მას. თუმცა შეზღუდულად შენ გამოგებ, რა მწყინს! შენ რომ აქ იყო, მაშინვე მიხვდები შენი მკვირვალ გონებით, რაც ხდება ჩვენთან...

მხოლოდ აქ შენიშნა დესიმ, რომ იგორს „შენობით“ ელაპარაკებოდა.

გაუკვირდა, მაგრამ იამა.

კარები გაიღო. ლიუდმილამ შემოაბიჯა.

დესიმ, თითქოს დანაშაულში დაიჭირესო, დარცხვენიალად ხელი უშვა იგორის სურათს და ფეხზე წამოდგა.

მაგრამ ამჟამად ლიუდმილას სრულიად არ შეუძინებია, რომ დესიმ ვაჟის სურათს დასჩერებოდა. შიშიდან დაეშვა თავის ლოგინზე და ხელის კანკალით რედიკულიდან დაბეჭდილი კონვერტი ამოიღო.

დესიმ მხოლოდ ესლა შეამჩნია, რომ ლიუდმილას ფერი არ ედვა.

— რა იყო, რა მოვსვლიათ?

— იი... იგორის წერილია, — ხახა-გამომშრალივით ძლივს წარმოსთქვა ლიუდმილამ.

— მერე და რასა გწერთ? — ახლოს მივიდა დესი, თითქო უნდა ბარათი ჩამოართვასო.

— არ წამიკითხავს...—კიდევ უფრო ხმა-ჩახლენილად ჩაილაპარაკა ლიუდმილამ.

დესიმ კონვერტს თვალი გადააგლო. რუსულად ეწერა: „До востребования“.

მიხვდა, უთუოდ დედამ შეიღეს ესეთი მისამართი გაუგზავნა ფრონტზე, როდესაც თბილისისაკენ გამოემგზავრა, მხოლოდ ეს მაინც გაუკვირდა—რატომ აქამდე არ წაიკითხა შეიღის წერილი, გულმა როგორ მოუთმინაო, ასეც შენიშნა. ლიუდმილამ აღხსნა, რომ ისე აღელდა ამ წერილის მიღებით, ფოსტაში ველარ მოახერხა წაკითხვა და აქ წამოიღო, შინ, დამშვიდებით და გულმოდგინედ წასაკითხად.

მაგრამ დამშვიდებული კიდევ არ იყო. თითების თრთოლვით, უსწორმასწოროდ მოახია კონვერტს ერთი კიდევ.

ოთხი დიდი ფურცელი იყო წერილი, მაგრამ ვარკვეული ხელით ჩაკიწყიწებულნი. აქ იყო მოთბრობილი, თუ როგორი სიმხნევე და გმარული სულიერი განწყობილება ახსიათებს სახელოვან წითელ არმიას. როგორ მუსრავენ დაკუბანტ პიტლერელთა ხროვას, როგორ ერკებებიან ამ საზიზღარი მტრის დაფეთებულ ურდოებს ჩენი უძებრო მეომრები. იყო მოყვანილი ამის საუცხოვეო, ცოცხალი სურათები. და შემდეგ გადადიოდა კერძოდ თავიანთი ოჯახის ინტიმურ ამბებზე: როგორ აწუხებდა დედის აფორიაქება, როგორ ერთხელ კიდევ სწყუროდა მისი ნახვა, ტკბილი საუბარი. შემდეგ, როგორის სინაზით, თითქო შეუძინებლად ამხნევებდა დედას და როგორ უმსუბუქებდა დაშორების სიმძიმეს და მტკივნეულობას. სულ ბოლოს კი მოთბრობილი ჰქონდა ერთი ეპიზოდი თავის ვაჟაკობისა.

ლიუდმილას სახეს თანდათან სიხარული ეფინებოდა და ერთგვარი სიამაყის ელფერი ედებოდა. მაგრამ უძერკად ეს გამხიარულებული გამომეტყველება გაფაციავებად შეაცვალა და თვალები სტრიქონებს ისე ჩაეკლო, თითქო უნ-

და მთელი იქ მოთხოვნილი ამბავი ძირიან-ფესვიანად გადმოაბრუნოს, ხელი მაგრა ჩაბლუჯოს, რომ უფრო ნათლად გაიგოს მთელი მისი გზა და კეთილი იგორი სწერდა:

„...მაგრამ ამ დროს განზე გაეხტი და ვესროლე. გერმანელმა ჩაიხუტა და თაყვის ენაზე და ფიქვს მიეყრდნო, წაქცევით კი არ წაქცეულა. იმავე დროს ჩემს გვერდით გაიღვია ცეცხლმა და მარცხნით ფერდში თითქო გამწვია რაღაცამ“...

აქ ლიუდმილა შეჩერდა. ხელები კვლავ აუკანკალდა. თითქო თვითონაც თითებში იგრძნო ცეცხლის სიმწვავე, თითქო თვით ამ წერილს ცეცხლი მოსდებია და ხელში ვეღარ იჩერებდო.

თვალეზშიაც იგრძნო ნაპერწყალი.

სული ამოიხტევა. განაგრძო:

„შე კი მივევარდი ხესთან აყუდებულ მზეცს და ისევ ვესროლე. ერთი ხელე-ბი კი გაიქნია და ძირს ზღართან გაადინა. ამავე დროს თვალეზში ცეცხლის ალმა შემომანათა, კინალამ დაებრმავდი“...

ამის წაკითხვაზე ლიუდმილა ისე ათრთოლდა, სტრიქონებმაც კი ხტუნვა იწყეს. ცოტა ხანს შეჩერდა. ცოტა რომ მოსულიერდა, კითხვა განაგრძო:

„...თვალეზში შემომანათა, გასროლის ხმა შემომესმა, მაგრამ ტყვიამ ჩემს სახესთან გაიზუზუნა და სადღაც გადაიღუბა. ეს მეორე გერმანელი იყო, მე რომ მიტევედა. მე სწრაფად მიწას გავეყარე. მტერმა იფიქრა უთუოდ, რომ მისი ტყვია მიზანს მოხვდა, წამოვიდა და მთელის სიმძიმით ზედ დამაწვია, დამბაჩა კი ხელიდან გაუშვა. შეგვექმნა კიდილი. ორივე ხელით ჩაეკიდა ჩემს მარჯვენას და უნდოდა ნაგანი წაერთმია, მე კი მარცხენა ხელით ყელში ეწვედი მოძალადეს, მაგრამ მან თავი გადგდო და ხელზე მშარედ მიკბინა. აქ ვიგრძენ, რომ დაჭრილი ვიყავ. რაღაც ცხელი იღვრებოდა ჩემს ტანზე, ვგრძნობდი სისხლისაგან ვიცილებოდი და ძალას ვკარგავდი“...

აქ ლიუდმილამ ერთი საზარლად ამოიგვინა და გულწასული ლოგინზე დაეცა.

დესი მაშინვე მივარდა, წყალი ასხურა; ნელსაცხებლითაც საფეთქლები დაუშოლა, მაგრამ კარგა ხანს ლიუდმილა არ მოსულიერებულა.

აგერ-აგერ სადღაც ძლივს გააღო თვალები, ცოტაც და ცხარე ცრემლები გადმოიღვარა.

დესიმ კვლავ დაუწყა ფათური. ბოლოს შეპღიმილა კიდევ, მისი აზრით, ტყუილ-უბრალოდ აქეთინებულ ადამიანს.

— რა მოგდით, დეიდა ლიუდმილა? ხომ იგორი გწერთ?

ლიუდმილამ ძლივს თავი დაუქნია.

— შერამე რასა გწერთ ამისთანას?

ლიუდმილამ ანიშნა მიგდებულ წერილზე.

დესი სწრაფად დასწვდა. თვითონაც აქამდე, ზრდილობის გამო, ძლივს იმაგრებდა თავს, ისე უნდოდა იგორის წერილის წაკითხვა. იგორის „ნახელავისა“. ეს ხომ კიდევ უფრო ახლო გაცნობა იყო ამ სასურველი უცნობი არსებისა.

სწრაფად გადაიკითხა. კვლავ ღიმილი.

— შერამე და აქ რა არის ცუდი? დაჭრილი ყოფილა... ყოფილა! — სიტყვა აამაღლურა დესიმ. — ამას ხომ თვითონა გწერთ, მაშასადამე, გადარჩენილა, ეზლა კარგად არის, ცოცხალია... მაგრამ აგერ... თქვენ ეს არ ჩავიკითხავთ

ეტყობა: „ჭრილობა ძალიან მალე მომირჩა და მეც დაებრუნდი ჩემს ნაწილში“. ხედავთ, ისევ თავის ნაწილშია ჯანმრთელი და სალ-სალამატი... მაგრამ, ოო, ეს კი შესანიშნავია! აქ იგი სწერს ერთ თავის ამხანაგზე, რომელიც ბრძოლაში მოუკლავთ. „ოჰ, რა ძნელია, — მოგიტხოვრებთ იქნებ, რომ ჩემსავე ჰკარგავ გულითად მეგობარს, უშიშარ ვაეკაცს, უებრო მერმარს, სიხარულით და ცხოვრების სიკეთით აღსავსე ლამაზ ახალგაზრდას. რა გულის მომწყვლეულია ესეთი ადამიანის დაკარგვა! ამ დღეებში მოგვიხდა ჩვენ ესეთი ვაჟის დასაფლავება. ნუგეშად მხოლოდ ის რჩება, რომ მისი სახელი უკვდავია ხალხის ხსოვნაში, რადგან მან თავის თავი შესწირა ხალხის უწმინდეს საქმეს, ხალხის თავისუფლებასა და გამარჯვებას“...

— ჩემი იგორი დიდი და ფაქიზი გრძნობის კაცია! — წარმოსთქვა ლიუდმილამ და უკვე ლოგინზე წამოჯდა, თუმცა ცრემლები თვალებზე ჯერ კიდევ უბრწყინავდა.

დესი მივიდა და მიუღერსა. ლიუდმილამ გულზე მიიყრდნო. ღიმილით თმაზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— შენც კარგი გოგონა ხარ, დესი!

— დესი? — თითქმის შეჰკვივლა ახალგაზრდამ. — ოჰ, რა გასახარელია!

პირველად იყო, რომ ლიუდმილა ასე გაუშინაურდა დესის.

ეტყობოდა, დესის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ თვალებში ჩააცქერდა ამ უკვე ასე გულკეთილად განწყობილ ადამიანს და გულითადის კილოთი შეჰკადრა:

— შე კი მაინც ცოტა გემდურით, დეიდა ლიუდმილა!

— ვიცი, ვიცი! ჩემი ბრალია... დამნაშავე ვარ... განუსჯელად აქაურ ბევრ რამეს ვიწუნებდი... განა ვერ ვამჩნევდი, რომ გწყინდა, მაგრამ შე არ ვიყავ საქმეში ჩაბედული და ამიტომ მაწუხებდა, რომ თქვენი ქალაქი ასე მშვიდობიანად გამოიყურებოდა. შე ვერა ვგრძნობდი აქ, თქვენთან, ჩვენი უდიდესი სამამულო ომის სუნთქვას... მეგონა, აქ უდარდლობით იყვნენ შეპყრობილნი... დანაშაულია, დიდი დანაშაული და ყველა ისინი, ვინც ჩემებრ იყვნენ განწყობილნი... დიდად შემცოდენი არიან. ეს ცხადია, მაგრამ, იცი, რა გითხრა, საყვარელო გოგონი! ვისაც ცალი თვალთ შაინც შეუხედნიდა უხეშ და განუკითხავ ფაშისტებისაგან გადამწვარ ქალაქებისათვის, აფეთქებულ ქარხნებისათვის, დაღუპულ, განადგურებულ წინებისა და ვენახებისათვის, ვისაც ერთხელ მაინც შეხვედრია ენაზე უდიდესი ტალღები ლტოლვილთა და — ევაკუირებულთა, ვისაც უნახავს ნამუს-ახილი ცამეტი წლის გოგონები, ჩამოღრჩობილი მოხუცები და სხვა, მხოლოდ მას შეუძლია იგრძნოს მთელი საშინელება ფაშისტთა ურდოების შემოსევისა, საზარლობა მათი მხეტეური საქციელისა. აქ კი ამ საშინელებათა განცდას მე ვერა ვგრძნობდი და ეს მაძრწუნებდა, მაგრამ ესლა, როდესაც მივიხედ-მოვიხედე, როდესაც შეძლებისამებრ დავაკვირდი თქვენს ჭვეყანას, თქვენს საუცხოვო, ამაყ და ქედ-დაუდრეკელ ხალხს, კარგად ვიგრძენ, რა დიდი მუშაობაა აქაც ვაჩაღებული ომის საჭიროებისათვის, რამდენი ახალგაზრდა სიცოცხლე ეწირება ჩვენი დიადი სამშობლოს დაცვის საქმეს, რა დიდი ერთსულოვნებაა დამყარებული შეც, დაუნდობელ ფაშისტების განადგურებისა და ჩვენი გამარჯვების ზოსაპოვებლად. მე ნუგეშცემული ვარ აქაც, თქვენს ლამაზ ჭვეყანაშიც და უკვე ვიცი, რომ ჩვენ ყველას ერთი სატივიარი გვტყია, ყველას ერთი გასახა-

რული ვეაქვს. ეს მე აქამდეც მინდოდა შენთვის გამეზიარებინა, მაგრამ როგორღაც დრომ არ მოიტანა.

6.

ვერა დღეს კარგი ამინდი დადგა. თოვლის ხსენებაც არსად არსად მხოლოდ თაყის მტუნებარე მზით ამ ზამთარშიც გამოილიმა.

დესის ბინაზეც ისეთი მზიური სიხალისე იყო შეგრილი, რომ ლიუდმილამ და დესიმ ფანჯრები გააღეს და უბიწო პაერთი ისუნთქეს.

აქედან მოსჩანდა ზედაზნის გავოლება გორები და მათ შემდეგ ჩალურჯებულ, იქა-იქ ჩამოთოვლილ მთებს შუა ამოჭრილი, მოკრიალებულ ცაზე კარგა დასანახი მუინეარ-წვერი.

დესიმ შეგნდა ლიუდმილას და მოინდომა ბარელ ქალისათვის შეეყვარებინა მთის ახოვნების ბუმბერაზობა.

ფოსტალიონმა ვაზეთები მოიტანა. ლიუდმილამ რუსული ვაზეთი გაშალა და ცოტა ხნის შემდეგ შეპყვირა:

— დესი! ჩემო ძვირფასო! სამხაზრობლოს რას მომცემ? შენ ხომ ასეთი არაფერი წაგიკითხავს შენს ვაზეთში?

დესის ქართული ვაზეთი ეჭირა.

დესიმ გაკვირვებით თავი აიღო:

— არა, რა უნდა იყოს ისეთი?

— მაშ აი ინებე და დატკბი. შენს ძმას, ამხ. პეტრე მურზაყანოვიჩ კვესელაევს გმირის სახელდობა მიუღია. აკი ვამბობდი!

— ეე, გმირობა კი არა! — სიხარულ-ნარცე დაუჯერებელის სიცილით წარმოსთქვა დესიმ.

მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ლიუდმილას ნათქვამი მართალი იყო.

ორივე ვაზეთში აღნიშნული იყო, რომ დაჯილდოებულთა შორის გმირის სახელწოდება მისი ძმისათვის, პეტრე კვესელაევასთვის მიუნიჭებიათ.

აქ სადევო უკვე აღარაფერი იყო.

დესიმ ხელი ხელს შემოაჭრა და თითქო ცბევა-ცბევით შემოტრიალდა, შემდეგ მივარდა და ლიუდმილას ჩაეხვია.

ლიუდმილამ სიყვარულით, დედობრივად შუბლზე აკოცა და შემდეგ ასე მიმართა:

— ეხლა ამ სასიხარულო ამბავს ჩვენი მხრით პატარა ზემიცი მართებს. შე წაეღო ბაზარში რაღმე მოეიმარაგებ და...

— აჰ, თქვენ რატომ, შე წაეღო! — შეედივა დესი, მაგრამ ლიუდმილამ ასეთი განაჩენი გამოიტანა:

— არა, ბაზარში მე წაეღო, შენ კი ერთ-ორ შენ ამხანავს დაუძახე და ეს დღე აღენიშნოთ პატარა ზემიცი.

დესი დაეთანხმა. ლიუდმილა საჩქაროდ გამოეწყო, მხოლოდ რომ მიდიოდა, ვაზეთს ერთი კიდევ ღიმილით დახედა და შემდეგ ერთ წამს თვალი შეიღოს სურათსაც მიაპყრო, მაგრამ ეს იყო ერთ წამს.

ლიუდმილა რომ წაეღო, დესი მაგიდაზე გაშლილ რუსულ ვაზეთს იდაყვით დაეყრდნო და ისევ იგორის სურათს შიამჩრდა.

ათასი სააღერსო სიტყვა მოუქსოვა თავის გუნებაში ამ ახლობელს, სასურველს, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც უცნობ ეაქს.

უცნობს?

რატომ წამოეჩხირება ხოლმე ეს სიტყვა?

უცნობი კი არა, აქი პირველ ნახვისთანავე დიდი ნაცნობი აღმოჩნდა, დიდი აბლომელი და სულიერი ნათესავი.

აქი რამდენი ხანია დაუახლოვდა კიდევ.

ესლა კვლავ მისჩერებია, ეალერსება და... იწვევს, იწვევს.

„სჯობს ხაყვარელსა უჩვენო
საქმენი საგმირონია!“

თავისებურად გამოსთქვამს თავის გულში დესი.

ჰო-და, როდის მოვა შენი გმირობის ამბავი?

ავერა, პეტრე კვესელავამ გაჯობა.

შენ? შენ იმდენი რამ შეგდგამს ხასიათში, რომ გმირობა გმართებს, გვეა-
ლებია!

როდის შემოთვლი ამ კარგ ამბავს?

.განა არ იცი, დედა შენი, საუცხოვო ლიუდმილა, როგორ გულის თრთოლ-
ვით მოელის შენს ამბავს? დიად, დედა შენი და კიდევ... ერთი ვინმე!

შენ ვერ იცნობ ამ ერთ ვინმეს... იმასაც უფროთის შენთვის გული და... მერე
როგორ, რომ იცოდე?

ოო, როგორ გაახარებს მას შენი გმირობა, შენი სახელოვანი მოქმედება...
ო, რომ იცოდე, ამ ამბით როგორ გაიზრდება თვით ის ერთი ვინმე, როგორ
თავს მოიწონებს და თვითონაც სულიერად მაღლა აიწევს, რადგან ის არ
შემცდარა თავის არჩევანში, თავის უცნობ ნაცნობში... მაგრამ ეს უცნობი კი
იცნობს ამ ერთ ვინმეს?

აქ ეშმაკურად გაუღიმა დესიმ სურათს.

არ ვიცი, მაგრამ შეიძლება, შეიძლება მომავალში მაინც დედამ მოგწეროს
ეს უცნაური ამბავი, რომ ერთმა გოგონამ შეიყვარა ერთი ქალაქის ფარა-
ტინა და უკვე თავ-გზა დაჰკარგაო...

მაგრამ არა!

აქ ხელი შემოხვია დესიმ სურათს.

არა, ეს ფარატინა არ არის, ეს გამოსახულებაა ულამაზესი ადამიანისა, რო-
შელსაც სულიერი მშვენიერება და სწეულებრივი სახიერება, სიმწყაზრე შეს-
დგამს.

კიდევ ერთხელ კარგა ჩახედა ჩარჩოიან სურათს დესიმ და ესლა კი შერცხვა:
ჩემი ძმის სასიხარულო ამბავი როგორ გადამამეიწყდაო. იმავ დროს მოაკონ-
და ხალხური ლექსი:

„ერთი ვინმე სხვისი შვილი
მთელ ქვეყანას მიჩვენია!“

მაგრამ წინათ ამას მღეროდა თითქმის მექანიკურად და შინაარსისათვის
თავის გრძნობებში მნიშვნელობა არ მიტყია.

ესლა კი?..

ჰო-და, ამისი შერცხვა დესის: ძმა როგორ მიეჩრდილეო. თითქო ბოდის
მოსახლეულად ისევე წინ მდებარე ვაზეთს დახედა, რომ ერთხელ კიდევ გადა-
ეკითხა მშრალი, მაგრამ საზეიმო სტრიქონები მისი ძმის აღზევებისა.

გადაიკითხა სახე-გაშლილმა და ბედნიერმა, მაგრამ ეს რაა? ეს რა შავი
წერტილი მოებლანდა თვალებში?

პო... იგორის იგორ სოკოლოვის

ვერ კითხულობს. თავს ძალა დაატანა. რა? კარგი ამბავი უნდა იყოს.

ჩაიკითხა:

„ქალიწინის ფრონტზე ჩვენი ასეული მტრის ერთ-ერთ ძეგლს ჩვენი ხლე ტყვიამფრქვევის ძლიერ სროლაში მოჰყვა. გმირი წითელარმიელი იგორ სოკოლოვი მიიპარა ძელმიწურ საცეცხლე წერტთან და თავისი სხეულით დაჰფარა სათოფური“...

თვალთ ბუკრელდა დესის, გულმა კრთომა დაუწყო.

არა, არაფერი არ უნდა იყოს ისეთი:

„სხეულით დაჰფარა სათოფური“...

შემდეგ კვლავ ძალ-ღონის მოკრეფა და...

„ასეული იერიშზე გადავიდა და მტერი გაანადგურა“...

მშვენიერი, მშვენიერი! თავში უელავს დესის, მაგრამ აგერ, ქვევით, გაზეთის ცნობა ასე ბოლოვდება:

„მამაცმა წითელარმიელმა იგორ სოკოლოვმა თავისი გმირული სიკვდილით უკვდავი შარავანდედით შემოსა თავის სახელი“.

დესის მაგიდაზე თავი დაუვირდა. მაგრამ სინამდვილე ცხადად რომ წარმოიდგინა, ერთი საზარლად მიაკვილა.

— იგორ, იგორ! — შებლაღდა სურათს. — როგორ, შენ აღარა ხარ? მხოლოდ სიკვდილით ხარ გმირი?

აქ კი ცრემლებმა ღაბა-ღუპით იწყეს დენა. ზოგჯერ ღრმა ხვნეშა მკერდიდან აღმოხდებოდა.

ამასობაში ლიუდმილა დაბრუნდა.

დაბრუნდა მხიარული, აღფრთოვანებული, მხოლოდ შინ რაც დახვდა, ამან მეტად შეაცბუნა.

— რა იყო? რა მოხდა?.. დესი!.. ჩემო კარგო!

დესი ისევ ისე გმინავდა, მხოლოდ ახლა იგორის ხსენებასაც ვეღარ ბედავდა.

ცრემლები კი, ცხელი, გულწრფელი, უბიწო ქალიშვილის პირველი წმინდა ცრემლები ყელზე ესკვნებოდა.

ლიუდმილამ ვერაფერი გაიგო. მერმე ცოტა შესწყრა, მაგრამ დესის ვერც ამან უშველა. უკვე თავდალუნული მაგიდასთან ყრუდ ქვითინებდა.

მოთმინებიდან გამოსული ლიუდმილა მივიდა და დესი ცოტა შეანჯღრია, ამაზე დესიმ მხოლოდ იმითი უპასუხა, რომ მკლავ-დაბჯენით ჩუმიად გაზეთი გაუჩოჩა.

ლიუდმილამ გაზეთი აიღო. მაგრამ დიდხანს, დესის ძმის გარდა, ვერაფერს მიაგნო.

ერთი კი გადახედა დესის: გაიფიქრა, ნუ თუ სინარულისაგან ტირის, მაგრამ შეატყო, რომ ეს გმინვა, ეს ცრემლები მისთვის უკვე საყვარელი ადამიანისა არ იყო კარგის მაუწყებელი.

ჩამოჯდა. გაზეთს ჩაულრმავდა და თავიდან ბოლომდე იწყო კითხვა გულდასმით.

აგერ!

წაადგა საბედისწერო სტრიქონებს.

სრულის შეგნებით წაიკითხა იგორ სოკოლოვის გვირობა და...

უცრად წამოდგა, წელში გასწორდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შემდეგ ცოტა ბარბაცით კედელს მიეყუდა.

ამასობაში დესის ქვეშემცნებას ცოტა გაკვირება შეეპარა. ეგონა, მალე გულშემაზრავი კვიელი მოესმებოდა, თვითონაც ჩაეხვეოდნენ. მაგრამ მხოლოდ ისეულო ადამიანს და ორთავენი ერთად ცრემლებში ჩააღრჩობდნენ თავიანთ მწუხარებას. მაგრამ არაფერი ასეთი არ მოხდა.

ამან შეაშფოთა. უკვე მოსულიერდა, წამოიწია. უნდოდა მიეარდნოდა ლიუდმილას, რომ გაეზიარებინა მისი უდიდესი მწუხარება, მაგრამ როცა შეხვდა, თვითონაც გაშეშდა.

ლიუდმილას მთელი სხეული ქანდაკებასავით იყო ჩამოძერწილი. თვალები ცრემლების მაგიერად მრისხანებას აფრქვევდნენ, მოკუმულ ტუჩებს რაღაც სასტიკი გადაწყვეტილება მიეღოთ, მხოლოდ გაფითრებულ საბეს ეტყობოდა შინაგანი ძლიერი მღელვარება.

საერთოდ კი ჰგავდა შურისძიების ანტიურ ღმერთ-ქალს.

ამას ახლო ვერ გაეკარებოდით, ადამიანის ცრემლებით მას ვერც გულს მოუღობობდით და ვერც ანუგეშებდით.

დესიმ იგრძნო, რომ ამ ადამიანს უხილავი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული გულში.

და განა თვითონაც ასე არ იყო? თუმცა არა, მან იგრძნო რაღაც თავისზე უფრო მაღალი ძალთა-ძალი ამ ახოვან ქალში და თვითონ თავისი კავშირი თითქო მიაყუჩა და დაჩუმდა.

7.

გაწიდა რამდენიმე დღე.

თითქო ამ ორივე ქალის ცხოვრება თავისი გზით წამდინარდა.

ისევ ისე თავიანთი საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულება: მუშაობა, ბეჯითი და შეიძლება კიდევ უფრო თავდადებული.

ისე კი თითქო ისეთი არაფერი მომხდარიყოს არც ერთის ცხოვრებაში.

მხოლოდ ერთი: იგორის სიკვდილია. სრულიად მიჩრდილა ამ ოთახში და დესის გულშიც მისი ძმის სასიხარულო მდგომარეობა. ამაზე არც ერთი აღარ ლაპარაკობდა.

აღარც იგორს იხსენიებდნენ.

მხოლოდ დესი ისევ ქურდულად, ეხლა კიდევ უფრო მორიდებით ლიუდმილასთან, ჩააჩერდებოდა იგორის სურათს და დასტიროდა ჩუმად, ყრულ თავის პირველ უმანკო გრძნობას, რომელსაც თავის გუნებაში გაუშლელ კუჭურ ვარდს ადარებდა, უდროოდ დამკვანარს, მზის ქიატს მის ცხოვრებაში გამოუშლქებელს, მხოლოდ ეხლა შავი სუდარით ჩამოფარულსა.

ორთავენი თითქო ერთდებოდნენ საუბარს. ძალიან ცოტას-და ლაპარაკობდნენ, მხოლოდ ისეთ რასზე, რაც აუცილებელი იყო.

ერთი რამ მაინც აკვირვებდა დესის:

რა იყო, როდესაც იგორისაგან წერილი მოუვიდა დეიდა ლიუდმილას, კინალამ გული შეუღონდა და შემდეგ ცრემლების ნიაღვრად იქცა, ეხლა კი, როდესაც ესეთი საშინელი ამბავი გაიგო... როდესაც მისი იგორი აღარ ჰყავს... ეგეჰ, იგორი!... როდესაც ეს ძვირფასი განძი დაეკარგა... სამუდამოდ, გამოუბრუნებლივ, ესე მაგრად არის, ესე უტეხია და მხნე?

ეს დიდი გამოცანა შეიქნა დესისათვის.

მაგრამ, დაბეთ, ცოტა ხნის შემდეგ ლიუდმილა ლოვინად ჩავარდა.

ექიმმა სთქვა, ვაკციებულია, მაგრამ გულიც არა აქვს რიგზეო. დასვენება უნდა, ვართობა. კარგი მოვლით მალე ფეხზე ადგებაო.

ეგრეც მოხდა. დესი უვლიდა თავდადებით და ლიუდმილასაც უკეთობა დაეტყო.

ერთ საღამოს ლიუდმილა ლოვინზე წამოჯდა და შინაგანის რიხიანობით ასე წარმოსთქვა:

— მათ აღმოაცენეს ჩვენი მრისხანება! მათ მისცეს საზრდო, მათ გამოკვებეს!

შეჩერდა.

დესი მიხვდა, ვისაც ეხებოდა ეს „მათ“, მაგრამ თვითონ ამაზე ხმა არ ამოუღია. ხედავდა, ლიუდმილა მოწყურებული იყო ლაპარაკს და ხელი არ შეუშალა. შეიძლება მოუხდეს კიდევაცო, ფიქრობდა დესი. მას ახსოვდა, რომ

„დიდი ლხინია კირთა თქმა,
თუ კაცსა მოუხდებოდეს!“

ლიუდმილამ განაგრძო:

— ჩვენ ველარ დავიბრუნებთ ჩვენს დაღუპულ შეილებს, ძმებს, მამებს და ქორებს. მათ თავი დასდევს ბრძოლის ველზე სამშობლოსათვის, თავისუფლებისათვის. მაგრამ თუ რამ შეამსუბუქებს ჩვენს უდიდეს მწუხარებას, ეს ის, რომ მტერზე შური უნდა ვიძიოთ, მტერი უნდა გავანადგუროთ. აგერ, დახედე, დესი, რა სწერია? — და სასთუმლის ქვეშეიდან გაზეთი ამოიღო. აი, აგერ...

მიუთითა და თან დასძინა:

— მე დიდხანს ვფიქრობდი ამაზე, დიდხანს და... პირველად ისე ვერ შევიტყვისე, მაგრამ ეხლა რომ ჩავფლრმავდი, თ, რა მართალია! და რა კარგია მწერალი! ხშირად შენ გულისწინადებს ისე ნათლად და კარგად გეტყვის, ვასაგებად, რომ შენ ამას გრძნობდი წინადაც, მაგრამ ასე დალაგებით ვერასოდეს ვერ იტყვდი... მწერლის ნათქვამის შემდეგ კი თითქო შენი ნაზარი რწმენა ხდება და შენც ამ რწმენას მისდევ... კარგია, კარგი, ჩემო კარგო, რომ შენ მწერლობა გიყვარს... რამდენი სინათლე შემოაქვს ჩვენს შეგნებაში... აბა, ეხლა კი ხმა-მალა წაიკითხე. მხოლოდ ის ადგილები, მე რომ ფანქრით მაქვს შემოხაზული.

დესიმ წაიკითხა:

„ფაშისტთა ურდოების განადგურება ეს კაცობრიობის თავისუფალი ამოსუნთქვაა. ეს მილიონ ადამიანთა სიცოცხლის შემონახვაა...“

„მტრის მოსაბობა ეს ოჯახების ხელ-ახლა აღორძინებაა, ბავშვების ღიმილია, თავისუფალი შრომაა, ცხოვრებისათვის საჭირო საგანძურთა აღდგენაა. ეს სინათლეა, ჰაერი, წყალი, ბედნიერება. ეს ცხოვრება!“

შეჩერდა დესი. ლიუდმილამ კი წამოიძახა:

— ნამდვილია, ნამდვილი! ამისათვის ღირს ცხოვრება, შრომა, ბრძოლა, ამისათვის საჭირო არის გაძლევა... მოიტა აქ იგორის სურათი...

დესიმ მიუტანა.

რამდენი სინაზე გამოკრთოდა დედის თვალებში, რამდენი ხელთ-დაუჭერელი უდაქიზესი გრძნობა შეილის სიყვარულისა, და ლიუდმილას თვალებიდან გადმოვარდნენ დიდრონი, მსხვილი ცრემლები.

მორჩაო, მორჩა! — გაიფიქრე დესიმ, როდესაც დაინახა, რომ აქამდე გატე-
ვებული ლიუდმილა ეხლა პირველად, დიდი თავზარის შემდეგ ცხარე-
ცრემლსა ღვრიდა.

აქ დესიმაც ველარ მოითმინა, თვითონაც მივიდა და აცხარებული
მკერდში ჩაეხვია ლიუდმილას.

— შენ გაყვარდა იგორი... არ იცნობდი და გიყვარდა... შენმა გაზრდამ,
ღირსი იყო სიყვარულისა...

კვლავ ათრთოლდა დედა. აქვითინდა დესიც და დიდბანს იყვინ ქალები
ერთიმეორეს ყელი-ყელ გადაქდობილნი.

კიდევ გავიდა რამდენიმე დღე.

ლიუდმილა წამოდგა.

სახეს დაეტყო უტეხი ნებისყოფა და სხეულს — ჯანმრთელობა.

თავის დროზე მიდიოდა სამუშაოზე და ბრუნდებოდა კიდევ უფრო გამხნე-
ვებული.

მიდიოდნენ დღეები.

დიდი ისტორია თავის საქმეს აკეთებდა:

მთელი საბჭოთა ხალხი, როგორც ერთი კაცი, თავის ერთობლივი სულიერი
სიმტკიცით და ახოვნებით კვლავ აკვირვებდა მთელს მსოფლიოს.

გუგუნებდა მთელს ქვეყნიერებაზე საქელოვანი წითელი არმიის გამარჯვება.

ზურგში თავდადებით მუშაობდა ქარხნის მუშა, კოლმეურნე გლეხი, მეცნი-
ერი და ხელოვანი.

დესიმ გაიგო, რომ ლიუდმილამაც თავის სამუშაოზე ახალი რეკორდი და-
ამყარა და კიდევ უფრო დაწინაურდა.

მხოლოდ ერთ დღეს, როდესაც შინ ლიუდმილაზე უფრო გვიან დაბრუნდა,
კარი გააღო თუ არა, დაინახა, რომ ლიუდმილა იჯდა სივარჯელში, გასცქე-
როდა სარკმელს და თამბაქოს აბოლებდა.

დესიმ კინადამ მიაკივლა:

— როგორ? დეიდა ლიუდმილა, თქვენ ეწვევით?

ლიუდმილა თითქოს რაღაც დრამა ფიქრისაგან გამოერეკვო, თავი მიიბრუნა
და დესის სრულიად უბრალოდ უპასუხა:

— დიალ, დავიწყე თამბაქოს წევა.

თან ღიმილი დააყოლა.

ღიმილი ისევ მშვენიერი ჰქონდა.

პირისპირ

(რომანი)

ოცნება და სინამდვილე*)

„მალა, მალა ნუ დაფრინავ, —
ჩამოვარდები“.

ს ი მ ღ ე რ ა

მას შემდეგ, რაც კორნელი დეიდა ელენეს ბინაში გადავიდა და უნივერსიტეტში მოეწყო, ერთ თვეზე მეტი იქნებოდა გასული.

კორნელის ვიწრო და მოგრძო ოთახი ეჭირა. მაგიდაზე ანატომიური ატლასი გაეშალა და ოსტეოლოგიას ამზადებდა. ადამიანის ჩონჩხის ნაწილების სახელს ზეპირობდა: „Os navicularis, os pisiforme“..., მაგრამ ადამიანის ფიზიკური სამყაროს გაშიშვლებამ ვერ წაშალა ქაბუჯის სულიერი გატაცება და მშვენიერებით აღსავსე ცხოვრების წყურვილი. იგი ახლაც ნინოზე ფიქრობდა, ხოლო ნინოზე ოცნების ქაშს, ადამიანის ჩონჩხისა და შინაგანი ორგანოების ნაცვლად, მშვენიერი ასულის სახე, ლამაზი ტანი და აღნაგობა ეხატებოდა.

ბოლოს ატლასი გადასდო და ნინოსთან შეხვედრა გადასწყვიტა, რომ მისგან უშუალოდ გაეგო მათი გათიშვის მიზეზი. ჯერჯერობით ნინოსთან შეხვედრა არ ეწყობოდა, რადგან ნინოს „ფილისტერი და დიპლომატი ქალი“ უთვალთვალებდა. ასეთი სახელი შეარქვა ნინოს დედას კორნელიმ.

ნეკნები, მალეები, ბარძაყის და წვივის ძვლები ტომარაში ჩაჰყარა, ხოლო კბილდაკრეჭილი ქალა კი ეტაყერზე შემოსდო.

კორნელის ათასგვარი ფიქრები სტანჯაედნენ. იგი ყველაფერს აზვიადებდა და შავი ფერებით ჰხატავდა. ნაცნობ-მეგობრების და შინაურების თვალშიც კი დაცინვას კითხულობდა. ისინი, ალბათ, ზურგს უკან ხითხითებენ: მაშ, როგორ ეგონა, მაყაშვილები განა ქალს მიათხოვებდნენ?

კორნელის გულში ადამიანისადმი ექვი და უნდობლობა იჭრებოდა.

მაყაშვილთა ოჯახში პლატონ მოგველაქემ რომ მისი ადგილი დაიჭირა, ეს კორნელიმ უდავოდ ირწმუნა. მაგრამ ძალიან კი უკვირდა: „პლატონი ნინოზე ორჯერ უფროსი იქნება და, ასეთ ჰასაკში მყოფი სასიძო, ნინოს მშობლებს სასურველად რად მიაჩნათ! უთუოდ უნდა ენახო ნინო, რადგან წესიერი ქალისათვის, ყოველივე მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის მოხდა, ასეთი მოულოდნელი ლალატი, ისიც გაუფრთხილებლად, განა დასაშვებია? ვინ იცის — იქნებ ნინოს ისევ მოვსწონვარ და მაშინ ასეთი ტანჯვისათვის საფუძველი არა მქონდეს! იქნებ დიდის ხნით ჩემი ღუმელი არ მჭიწონა ნინოს! იქნებ ჩემი

*) დასაწყისი იხ. „მნაობა“, № 1.

დღეგრძეობა დაპგმო ესტატემ და ვარდომი? ან იქნებ საზოგადოებაში სახელ-
მთხვევილი პლატონი არჩია პატივმოყვარემ და „ფილისტერმა“ ვარდომი? მა-
შინ ნინო რა შუაშიაო? — ათასნაირად სწონიდა კორნელი და გულვიდან
ნინოს ამოღებას ვერას გზით ვერ ახერხებდა, ხოლო პლატონი უფრო უფრო
ლით ივსებოდა.

კორნელის დარდი ის იყო, რომ მასთან შედარებით, პლატონ მოგველადეს
უპირატესობა, ენიჭებოდა: საზოგადოებაში მოხვევილი სახელისა, მკვერმეტ-
ყველებისა, მწიგნობრობისა და პოეტობის გამო. ვარდა ამისა, უმაღლესი სას-
წაღლებელი პლატონს უცხოეთში ჰქონდა დამთავრებული, კორნელი კი თბი-
ლისის უნივერსიტეტში ამჟამად შევიდა და მისი დამთავრების შემდეგ თუ
რა ადვილს დაიჭერდა საზოგადოებაში, ეს ჯერ კიდევ მომავლის საკითხი
იყო. ყოველივე ეს ძლიერ აწუხებდა კორნელის და ასე ფიქრობდა: „ბერ-
ლინის და პარიზის უნივერსიტეტს, ახლად დაარსებული თბილისის უნივერ-
სიტეტი განა შეედრება! ჩემი ნატვრა იყო, დამემთავრებინა უცხოეთის ერთ-
ერთი უნივერსიტეტი. მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, უმაღლესი ცოდნის
პისაღებად, რამდენიმე კაცი უცხოეთში გაგზავნოს, მაგრამ მათ რიცხვში მოხ-
ვედრა, თუ შენშევიკი არა ხარ, ადვილი საქმე როდია. მე ესტატეს იმედი
მქონდა, მაგრამ უთანხმოების შემდეგ, განა დამხმარება! უცხოეთში ჩემი
გამგზავრება კიდევ რომ მოხერხდეს, იქ ხომ ხეთი ან ოთხი წელი მაინც
უნდა დავყო და, ნინო განა ამდენხანს დამიცდის?! ოთხი წელი კი არა
და, ოთხი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც ნინო კარისმერეთიდან თბი-
ლისში გამოემგზავრა და უმაღლეს პლატონში გამცვალა“. — ფიქრობდა კორ-
ნელი და პლატონი შეეჯავრა, მისი ჯობნის სურვილი დაეხადა. სწორედ ამი-
ტომ დაეწაფა იგი ასე ხარბად, წიგნებსა და უცხო ენების შესწავლას. იგი
ცდილობდა მიეგნო ცოდნის იმ წყაროებისათვის, რომლითაც პლატონი იყ-
ვებებოდა.

პლატონის მეტოქეობას მანამდეც გრძნობდა კორნელი — კარისმერეთში
ყოფნისას. ხალხოსანის — იონას წიგნთსაცავში პლატონის შრომას წააწყდა,
რომელშიაც ზოგიერთი ევროპელი, რუსი და ქართველი პოეტები იყვნენ
გარჩეული. კორნელიმ ეურნალ-გაზეთებში პლატონის ლექსებიც აღმოაჩინა.
არ მოეწონა. იონასადმი მიძღვნილი ლექსის გინება უხერხულად მიიჩნია, ხო-
ლო „ექსტაზი“, ეხლანდელი მწერლების სიტყვით რომა ესტატეა, კვირტში
ამოიღო, მოსპო და გააბითურა. „ექსტაზი“ — ერთი დეკადენტის ლექსის პე-
რეფრაზი, ვერსიფიკაცია და პლაგიატი არისო, უთხრა იონას და ბრალდების
დასამტკიცებლად იმ დეკადენტის ლექსი მოსძებნა და წაუკითხა:

„მუნჯი შეაღლის ტევრში შესულმა,
თავისთავისგან განდგომა ესცანი.
მივხვდი მე ლეთიერ დიდ შეერთებას
ჩვენდამი გულგრილ ბუნებასთანა.
შევიცნე ფაენის და სატირების
წმინდა უსახო ველური სიბრძნე.
ო, იგი სიბრძნე ადამიანებს
მართლა სიგიჟე ჰკონიათ შმაგი,
თვით ბერძნებიც კი მას უწოდებდნენ —
წამებულ პანის საშინელებას“...

ასეთი ქურდობა იონას მართლაც სამშინლად ვაუქვირდა. კორნელი ვერაფერი ვერ უპასუხა, მხოლოდ ესა სთქვა:

— იქნებ ჩემდამი მოძღვნილი ლექსიც: „Sic transit gloria mundi“
ქურდულია!

კორნელი ვერაფერი უპასუხა

— განა გეეჭვება? — მიუგო კორნელი.

— ტურა ხარ, ტურა, ჩვენი ღურგალის იულოს არ იყოს კორნელი, როგორ დაიჭირე პლატონი პლაგიატი? პლატონიც თუ ქურდობას ვადრულობს, მაშინ სხვა თანამედროვე ჩვენი პოეტები რას ჩადიან, ალამა უწყის! — ჩაიჩნია ხელი ეონამ.

პლატონის ნაწერების კითხვამ და ქვეამ, წინად, კორნელი პლატონის მრწამსისა და მხატვრული გემოვნების გავლენაში კინადამ არ მოაქცია, მაგრამ გავლენას მალე თავი დააღწია. პლატონი ხშირად ემყარებოდა კანტს, შოპენჰაუერს, ბერგსონს, ნიცშეს, ფრეიდს, ოტო ვენინგერს და დეკადენტ მწერლებს, ამიტომ კორნელმა მათი შრომების და წიგნების შესწავლას და კითხვას მიჰყო ხელი.

იმ ვგეთა გიმნაზიას, სადაც კორნელის დეიდის — ელენეს ქმარი, დათა მიქელაძე იყო დირექტორად, ჩინებული წიგნთსაცავი გააჩნდა, ცნობილი დირექტორის — დროზოგლავის მხრენგელოზითა და ამავით დაფუძნებული. ამ წიგნთსაცავში ინახებოდა, აგრეთვე, რუსული და უცხოური ეურნალ-გაზეთების წლიური კომპლექტები.

ფილოსოფიურ სისტემებში ელემენტარულად მაინც ერკვეოდა კორნელი და მათი გაგებისათვის წინასწარი მომზადება გააჩნდა. იგი არასოდეს არ ჩააცივდებოდა ისეთ წიგნს, რომლის გაგებისათვის სათანადო ცოდნა არ ჰქონდა. ამ დადებითი თვისების გამო, იგი არ ჰგავდა იმ ჭაბუკებს, რომლებიც ელემენტარულ პროზურების წაკითხვის შემდეგ, წინასწარი და სათანადო მომზადების გარეშე, პირდაპირ კანტის, ჰეგელისა და მარქს-ენგელსის ფილოსოფიურ სისტემებს ეჭიდებოდნენ. ზოგნი — ყოველგვარი კომენტარების გარეშე, ამგვარი მეცადინეობის და კითხვის შედეგად იმ ჭაბუკების გონება, გაფართოებისა, და გამახვილების ნაცვლად, — ჩლუნგდებოდა, ბლაგვი ხდებოდა და ხშირად კედებოდა კიდეც. ისეთი კითხვით გამოთავყენებულ და ტვინგაქაყნებულ რეგვენთა გონებას უკვე მარტივი მოსაზრებებიც აღარ ეკარებოდა ისევე, როგორც კედელს — შეყრილი ცერცვი. კარგი მასწავლებელი აღრევე იხსნის ამ სენისაგან შავირდს, მაგრამ თუ მასწავლებელიც იმავე სენით არის დაავადებული, მაშინ ტვინგალაყებულ და რეგვენ ჭაბუკთა რიცხვი ერთი ათასად იქცევა...

კორნელი წიგნების შერჩევაში და კითხვაში სწორ გზას დაადგა, მაგრამ ამ სწორ გზიდან მასაც არა ერთხელ გადაუხვევია.

შოპენჰაუერი და ნიცშე მანამდეც ჰქონდა წაკითხული კორნელის. უკიდურესმა ინდივიდუალისტებმა, უწინარეს ყოვლისა, თავის თავში ხედვასა და ფათურს დაჩვიეს. ერთი რამ უდავოდ იწამა კორნელმა (ფიზიოლოგიისა და ფსიქიატრიის გარეშე, რა თქმა უნდა), სახელდობრ ის, რომ ადამიანის ფსიქიკური თვისებანი ნებისა და ინტელექტისაგან შესდგებიან. მერმე ის, რომ შვილებს გული მამისა, ხოლო ქვეა დედისა გამოჰყვებათ ხოლმე. ამ დასკვნამდე საკუთარ თავზე მოხდენილ დაკვირვებასაც მიჰყავდა: „მამა გულთაღრი, უნაბირო გრძნობის და თავდაუქმრელი კაცი იყო, ხოლო დედა — თავდაქმრელი, პრაქტიკული გონების ქალია“, — იტყოდა ხოლმე კორნელი.

მემკვიდრეობის ბედის პრობლემით ვატყობოდა, ხარბად წაიკითხა რბსენის „მოჩვენებანი“, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა მანზე და მაისიდან მემკვიდრეობით მიღებულ ხასიათის თვისებებზე კავშირით ჩააფიქრა, ისე როგორც სხვა ათასი ჭაბუკი, რომლებიც უკრიტიკოდ, ტერორისტების სახით იღებდნენ ნიქსე-შოპენაჰაუერის, იბსენ-მეტერლინის და სხვა დეკადენტების იდეალისტურსა და მეტაფიზიკურ ქადაგებას. რა დიდი ზიანი მოქმენდა ამას მთელი თაობისათვის, თვით მკითხველმა განსაჯოს. საბედნიეროდ, კორნელი არ ეკუთვნოდა ისეთ ჭაბუკთა რიცხვს, რომლებიც უკრიტიკოდ და გონების თვალის აუწონველად იღებენ მეტანიერების მიერ შეუმოწმებელ მოსაზრებებს.

ყველაზე დიდი საცდური, რუსეთსა და ჩვენშიც, დოსტოევსკი იყო.

ამას წინათ კორნელიმ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“ წაიკითხა, მაგრამ იფანე კარამაზოვის მოსაზრებებს არ დაეთანხმა.

„როგორ? — უჩივბდა კორნელი — მაშ პირვენებას, ტანჯვით საესე ამ ქვეყნიდან, გამოსავალი არ ჰქონია! იფანე კარამაზოვს რომ დავუჯეროთ, აღამიანი სხვათა ბედნიერებისათვის არ უნდა ცხოვრობდეს. საზოგადოების მომავალი პარმონია აწმყოს დისპარმონიით იქნება ნასყილიო, ქადაგებს იფანე და ამიტომ, ამ მომავალ პარმონიულ საზოგადოებაში შესასულელ ბილეთს დიდის მადლობით უკანვე ვიბრუნებთო. როგორ? — განაგრძობდა მსჯელობას კორნელი, — თუ კი უკეთეს მერმისისათვის არა ღირს ცხოვრება, მაშ, რისთვისაა ღირს? იფანე თითქო დასცინის აღამიანის ცხოვრებას. იგი ამბობს: ცხოვრება ღირს მხოლოდ ახლად გაშლილი, ნორჩი და წებოვანი ფთხლებისა და ლურჯი ცის ტატნობისათვის. ყველაფერი, ამ ქვეყნად, ნებადართულია, რადგან არც სიკეთისა და არც ბოროტებისათვის იმ ქვეყნად ვანკითხვა არ არსებობს. უმჯობესია ოქროსფერი, მიულწვეელი და შორეული ცის კიდურების მიმართ ხელი ჩაიქნო და შეეცადო თავად ვახდე კაცდმერთი. იფანეს ასეთი ფილოსოფია საკითხის მიჩქმალუვა და ცხოვრებიდან გაქცევაქნის, მართლაც, უდიდესი დაცინვაა აღამიანის ცხოვრებაზეო“. — ფიქრობდა კორნელი.

„ძმები კარამაზოვების“ წაკითხვის შემდეგ კორნელიმ დოსტოევსკის ფილოსოფიის უნიადავობა დაინახა. კორნელის აზროვნებაში ძირეული გარდატება ხდებოდა. იგი ამა თუ იმ მოვლენისა და მოსაზრებისადმი კრიტიკულ მიდგომას ეჩვეოდა. იგი დარწმუნდა, რომ საზოგადოების და პიროვნების გადარჩენისათვის მართებული და სწორი გზა იყო ბატონყმობაზე, ტირანიაზე, აღამიანთა ჩავერაზე აგებული წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლა, რევოლუცია და პროგრესი.

ამრიგად, პროგრესის და რევოლუციის იდეის შეგნებაშდე და მიღებამდე კორნელი ლიტერატურული ვატყობის და გონივრული ვარჯიშობის — თეორიული გზით მივიდა და. არა მართო თავისთავზე განცილილი სოციალური უსამართლობის და თეორიულ-პრაქტიკელის გზით. მაგრამ ის მანც აქეთქენ მიდიოდა. თუმცა, კარისმერეთის გლვბთა აჯანყება და ვვარდიელების მიერ ოთხმოცი წლის მოხუცის — გოჯასპირის მუხანზე ჩამობრჩობა კორნელისათვის მარად დაუვიწყარი დარჩა და მან მისი პოლიტიკური მრწამსის გამომუშავებას დიდად შეუწყო ხელი.

კორნელის გოეთეს „ფატსტი“ მოაგონდა.

3. „წათობი“, № 3.

„იდეალისტურად და სკეპტიკურად განწყობილმა ფაუსტმა, რომელიც აბსოლუტური ცოდნა ვერ მოიპოვა, სჭოლასტიკა დასწყევლა და ოდესღაც ეშმაკსაც კი მიჰყიდა სული, — მღელვარებით და შეცდომებზე დასჯის ცხოვრების უკანასკნელი წლები, უკეთესი საზოგადოების დაფუძნების ბრძოლა-კიდილს, შრომას და პროგრესს, ჭალაქების აგებას, ზღვისგან წალეკლ სანაპიროების აღდგენას და დამბების გაშენებას მოანდომა“. — გაიფიქრა კორნელიმ და გოეთეს ფაუსტი დოსტოევსკის ივანეზე ათასჯერ მალა დააყენა:

„გოეთემ ერთი პირის, ფაუსტის ცხოვრებაში, კაცობრიობის მიერ საშუალო საუკუნოებიდან მოყოლებული, ვიდრე დღევანდლამდე განვლილი გზა გვიჩვენა. ფაუსტში განასახიერა ეპოქის სული, ეპოქის ხატი“.

კედელს მიაპყრო თვალი. იგი საწერ მაგიდასთან იჯდა. კედელზე გოეთეს სურათი ეკიდა. დიდხანს უცქირა ბრძნულის იერით გამოკვეთილ მღუმარე სახეს, მის გაფანჩულ წარბებს, დაძაბული კერეტი ანთებულ, დიდრონსა და უცნაურ თვალებს. ტანში გააქრეოლა და გაიფიქრა:

„განა ამ თვალებს ქვეყნად არსებული საიდუმლოება გამოეპარებოდა! სიკეთე და ბოროტება, ტანჯვა და სიხარული, შეცდომა და გამარჯვება, — ყველაფერი ნაცნობი იყო მისთვის. მისი გონება მის გრძნობას ედავებოდა. მიწიერი და ზეციერი, დემონური და ლეთაებრივი, — ყველაფერი განსკვრიტა მან, მაგრამ ეს როდი აკმაყოფილებდა, და სიკვდილის წუთებშიაც კი ჭეშმარიტების, მშვენიერების და შარად ჩაუქრობი სინათლის ხილვა მოისურვა“ — გაიფიქრა კორნელიმ და, ფაუსტის გამო მეფისტოფელის მიერ თქმული სიტყვები ლაღადით წაიკითხა:

„... Vom Himmel fordert er die schönste Sterne,
Und von der Erde jede schönste Lust —
Und alle Nab und alle Ferne
Befriedigt nicht die tiefbewegte Brust.“¹⁾

კორნელის ოთახი ეპატარავა. წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. მისი ოთახის ფანჯარა სანაპირო ქუჩაზე გადიოდა. კედაროზისა და გუნდის ხეებით ჩაბნელებული ფანჯარა გამოაღო. წინ მტკვარი მიძლეაედა.

კორნელიმ მტკვარსა და მთის კალთებზე გაშენებულ სახლებს გაჰხედა. ჩემად წარმოსთქვა:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს;
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნეოს!“

ეს თითქო ზალხოსანი იონა ჩასჩურჩულებდა მას ყურში: მალლა ცაში ნუ დაფრინავ, დაბლა მიწაზე ჩამოეშვი, თორემ გადმოთვარდებიო.

¹⁾ „ცისაგან მოითხოვს იგი უმშვენიერეს ვარსკვლავებს, ხოლო მიწისაგან, მასზე არსებულ ყველა სიტყობას, მაგრამ ყველაფერ მახლობელს და ყველაფერ შორეულს არ ძალუძს ღრმად ატოკებულ მისი მკერდის დამშვიდება“.

გოეთე — „ფაუსტი“, პროლოგი ზეცაში.

პროზაული (სიტყვა-სიტყვით) თარგმანი. — ა. ქ.

კომედია



...სიანს ნაციონალისტურ მთავრობათა სამი წლის არსებობას საქართველოში (მენშევიკები), აზერბაიჯანში (მუსავრატისტები), სომხეთში (დაშნაკები) ამაოდ არ ჩაუვლია...

მე უკვე აღარ ვლაპარაკობ შეიარაღებულ შეტაკებებზე (ქარ-თველ-სომეხთა ომი) და ხოცვა-ჟლეტებზე (სომეხ-თათართა შორის), როგორც ნაციონალისტური პოლიტიკის ბუნებრივ შედეგებზე. საკვირველი აღარ არის, რომ ამ მოშხამულ ნაციონალისტურ ეთნოარებში ძველი ინტერნაციონალური კავშირი "გაწყდა..."

სტალინი. თბილისის პარტორგანიზაციის კრებაზე 1921 წლის 16 ივლისს წაითხულ მოხსენებიდან — „კომუნისმის მორიგი ამოცანების შესახებ საქართველოსა და აზერბაიჯანში“. იხ. ლ. ბერიძის — აკადემ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის. პარტგამმცემლობა. 1935 წ. 176 გვ.

კორნელი სანაბირო ქუჩაზე ცხოვრობდა, მისი მეგობარი სანდრო ხოტივა-რი კი — ყორღანოვისა, მაღალი სახლის მეოთხე სართულზე.

მზიანსა და მოწმენდილ დღეს, კორნელი და სანდრო ფანჯრებს გამოადებდნენ და მტკვრის გაღმა-გამოღმიდან, ცხვირსახოცის ფრიალით და პირობითი ნიშნებით საუბრობდნენ. ეხლა მოღრუბლული დღე იდგა, სანდროს ოთახის ფანჯრები დაკეტილი იყო და კორნელიმ აღარ იცოდა, ვისთან მისულიყო „ფიქრთ ვასართველად“. თუმცა, „მრავალ დროების მოწამე“, მტკვარი აქვე იყო და „ნელა მოღვლავდა“, მაგრამ აღამაინი, მეტადრე კი — ახლობელი მეგობარი, გაცილებით უფრო სასურველი მესაიდუმლეა, ვიდრე უტყვი მდინარე, მთა და ტყე-ველი.

კორნელიმ ქალაქში წასვლა დააპირა და მაშინვე ბორბლების გრილო შემოესმა. ვერის დაღმართზე, ხიდისკენ ცხენოსანი ჯარი მოდიოდა, მერმე კვეთი გამოჩნდა და ბოლოს — არტილერია.

კორნელი ხიდის თავში გაჩერდა.

ქუჩაზე უამრავი ხალხი შეგროვილიყო.

კაპიტანი ალექსიძე ისევ თავის ჯიშთან, წაბლისფერ ცხენზე — „გიაურზე“ იჯდა და ბატარეას წინ მოუძლოდა. თხაფეხა „გიაურმა“ ეჩირაფივით გრძელი კისერი მოლუნა, ყურები აცქეციტა და ხიდზე თამაშით წამოვიდა. მის მსუბუქსა და ჩაზნექილ ზურგზე კაპიტანი ისე ირხეოდა, თითქო-იალქანზე ზის და ტალღები აქანავებენო.

კორნელიმ ბატარეის ოფიცრები, მშვერაგები და ჯარისკაცები იცნო, შერცხვა, ხეს მოეფარა და მშობლიურ ბატარეას, რომელთანაც ერთად ომები, გაჰირეება და გამარჯვება განუცდია, საფარიდან გულისცემით გაახედა.

ქუჩაზე სამთო ქვემეხები გაირაზმნენ. ქვემეხებს სალაშქროდ გამოწყობილი და შეიარაღებული ჯარისკაცები მოსდევდნენ.

— ომში მიდიან ბიჭები. კარგი დღე არ დაადგებათ სომხებს. — დაიძაბა ბალხში ჩამდგარმა, სამსახურიდან გადაყენებულმა მოხუცმა პოლკოვნიკმა და მხედრებს ქუდი მოუხადა.

უცბათ კორნელიმ სანდრო ხოტივარი დაინახა. იგი კორნელის ლურჯაზე იჯდა. მანარა ჩაეცვა და ისიც სალაშქროდ მოკაზმულიყო. კორნელიმ თავისი ლურჯა რომ დაინახა, შეკრთა, ველარ მოითმინა და სანდროსაკენ გაემართა.

სანდრომ ცხენი ქუჩის კიდეზე შეაჯენა. მხედარს ხალხი შემოერტყა.

ცხენმა იცნო კორნელი. ჩუმაღ ჩაიხეხენა, თითქო პირუტყვის ერთი ხე-სალმაო. მერმე ხვერდივით ნაზი და რბილი ჩიჩვირი წამოსწოდა კორნელის ხელს შეახო და მოუსვა, რადგან გაწუწუებული ლურჯა, შაქრის კმევას ჰყავდა შეჩვეული. კორნელიმ კისერზე ხელი მოუთათუნა და გულს შეჩვილდა. რამდენჯერ ყოფილა ამ ცხენით ომში ღამით, ჯავახეთის შთების ნაბრალის პირას, დაღლილ-დაქანცული, უნაგირზე პირქვე დამხოვილა და დაუძინა კადეც, მაგრამ ლურჯას სამშვიდობოზე უფნებლად გამოუყვანია. სწორედ ამ ლურჯაზე იჯდა კორნელი, როდესაც ომში მძიმედ დაქრილი და ფურგონზე მოთავსებული ამხანაგი — გრიგოლ ცაგურიშვილი ახალქალაქიდან ცხრაწყაროს უღელტეხილზე გადმოიყვანა და ბორჯომამდე შიაცლია. ასპინძის ომში დაქრილი და ბორჯომში გარდაცვლილი ამხანაგი — ცაგურიშვილი მოაგონდა ეხლა კორნელის. ომში მიმავალი სანდრო შეეცოდა და ჰკითხა:

— სად მიდიხართ?

— შულავერში — მიუგო სანდრომ.

— ჩვენს ზარბაზნებზე ისევ ძველი ბიჭები მუშაობენ?

— ჰო, თითქმის ყველა ძველი ბიჭებია. მართლა, ბატარეის უფროსმა ვკითხა: კარგი მემიზნე იყო და ომში წამოვიდესო.

ამ ცნობამ კორნელი ააფორიაქა:

— თქვენ უკვე ფრონტზე მიდიხართ და თქვენთან წამოსვლას ვერ მოვასწრებ.

— ვაგონებში ბატარეის დაბარგებას დიდი დრო დასჭირდება. მანამდე როგორ ვერ მოასწრებ! — ანუგეშა სანდრომ და ცხენი ნაბიჯით წაიყვანა.

კორნელი ფეხით მიჰყვებოდა და სდუმდა. ომში წასვლა ვერ გადაწყვიტინა. პლენანოვის პროსპექტზე რომ გავიდნენ, მხოლოდ მაშინ მიუგო სანდროს:

— ოსმალებთან ომი სხვა იყო. სომხებთან კი რა გვაქვს საბრძოლველი, ვერ ვამიგია. ან ისინი როგორ ვაბრძვიყდნენ?

სკოლის ამხანაგები — მერაბიანცი, ბალასიანცი, პეტროსიანცი და ჩიბუხჩიანცი მოაგონდა, ყმაწვილობიდანვე თანშეზრდლი ძმა-ბიჭები.

— როგორ თუ რა გვაქვს საბრძოლველი? მაშ, თბილისი სომხებს დავეთმოთ? — შერისხა სანდრომ.

ბატარეას აკიდებული უცნობი პირები დიდის გულისყურით ისმენდნენ სანდროს და კორნელის საუბარს.

— თბილისს სომხებს ვინ დაუთმობს! ან ეგ ბრძოლველი აზრი როგორ დაებადებოდათ? — არ სჯეროდა კორნელის.

— შენ ქვევრში ხომ არ ზიხარ? ტყველ ჩაეარდნილ სომეხ ოფიცერს რუკა უპოვეს. დაშნაყების მიერ შედგენილ ამ რუკაზე თბილისი სომხეთის ტერიტორიაში შედის თურმე.

— ეგ მართალია, კაცო? — უძნელდებოდა ამ ცნობის დაჯერება კორნელის.

— მართალია, მაშ — მიუგო დარწმუნებით სანდრომ.

— ერთი შეხედვით იმ კარაპეტა ჩარჩებს! — დაიძახა ტროტუარზე მიმავალმა მოქალაქემ და ჯარისკაცებს გასძახა:

— მისცხეთ დაშნაყებს, ბიჭებო!

მას. მეორეც აჰყვა:

— ერეენამდე არბენინეთ!

კორნელის ნაცნობი ჯარისკაცები და ოფიცრები ესალმებოდნენ. რქიმოდნენ და აქეთ-იქიდან ეძახდნენ: „ომში რად არ მოდიხარო“.

კორნელის, სირცხვილის გამო, სახეზე აღმური მოეკიდა და ეხვეწა, საჭმობლოს წინაშე დანაშაულსა ჰგარძნობდა.

სადგურთან მისასვლელი მოედანი ჯარით გაქედლიყო. დიქემბრის სუსხიანი ქარი უბერავდა. ტრამვაის სადგურთან, პატარა ფარდულივით გადახურულ შენობაში, ოფიცრები და მათი გამცილებლები იდგნენ.

კოტა ხნის შემდეგ მოედანზე ვარდო, ნინო, ელო, გერმანელი ქალი — მარგარიტა ლეტცი, პოლკოვნიკი ჯიბო მაყაშვილი და ჯარისკაცი ვანო მაჭავარიანი გამოჩნდნენ და ისინიც ტრამვაის სადგურში შევიდნენ.

ვანო მაჭავარიანიც სალაშქროდ იყო გამოწყობილი, ტყავის ჩანთა და ხმალი ეკიდა... კორნელიმ ბრაზით და შურით გადახედა და გაიფიქრა:

„ძმობა და მეგობრობა შენფიცა, ხოლო პირველ შემთხვევისთანავე მიღალატა და გამრიცა. მეგობარიც ასეთი უნდა!“

ელო და ნინო ტრამვაის სადგომთან გამოვიდნენ, ქუჩა გადაიბრინეს და ვასტრონომიულ მაღაზიაში შევიდნენ.

ვარდო ვანოსთან დარჩა, იცინოდა და კორნელი დარწმუნდა, რომ ვანოსა და მაყაშვილებს შორის შერიგება მომხდარიყო.

ჯიბომ გერმანელ ქალს — მარგარიტას მკლავში ხელი გაუყარა და ტრამვაის სადგურის უკან გაიყვანა. ქალი მთელის ტანით ეკვროდა და ყურში რაღაცას ეჩურჩულებოდა. კორნელიმ ჯიბოს ნათქვამს ყური მოჰკრა:

— ეგრე ნუ მიცქერი, თორემ ამ ხალხის წინაშე გაკოცებო...

— თქვენ ვერ გაბედავთ, — მიუგო მარგარიტამ და გულბანად გადინახარა.

მაღაზიიდან ელო და ნინო გამოვიდნენ. დაფეთებული თვალუბით გაბხედეს ქუჩას, — ტრამვაის უფროსოდნენ. ერთმანეთს ბავშვებივით ჩასჭიდეს ხელი და ქუჩაზე გადმოიბრინეს. უმიზეზოდ იცინოდნენ და გრძელსა და გამხლარ კანკებს, ულაზათოდ, განდაგან ისრაოდნენ, თითქო დიდი მანძილი გაიბრინეს და არაჭათი გამოსცლიათო. ვანოს სასყიდლები ვადასცეს — ქაღალდის პარკი და კონსერვები. ვანომ მადლობა გადაუხადა და მლიქვნელურად აკოცა მათ ხელზე.

„უკვე შერიგებულან“, — გაიფიქრა ისევ კორნელიმ. ელოს და ნინოს დააკვირდა. ისინი მოწაფე გოგონებივით იდგნენ ვანოს წინაშე. ლოყები გასწითლებოდათ. თანაგრძნობით საესე, გულუბრყვილო ბავშვის თვალებით მისჩერებოდნენ ომში მიმავალ მებრძოლს, რომელიც მათ საჩუქრებს ტყავის ჩანთაში სასოებით ალაგებდა.

„ცხადია, ვანოს ომში წასვლა იმიტომ ვადაუწყვეტია, რომ ელო შეპრიგებოდა“, — გაიფიქრა კორნელიმ. ასეთის გზით ნინოს გულის მონადირება დამამცირებლად მიიჩნია და, ჯარისკაცებს მოფარებულმა, გაპარვა დააპირა, რადგან იცოდა, რომ დაენახათ, — დასცინებდნენ: ამდენხანს დეზერტორი იყო, ეხლა მტერი თბილისს უტევს, ის კი ჯარისკაცთა ზურგს უკან იმალებოა. შეურაცყოფილი, განწირული და ზნეობრივად განადგურებული ქა-

ბუკი დაიბნა, გაბრაზდა და მაყაშვილებს ამრეზით მიაჩერდა. მაყაშვილებს კრიკაში ჩაუდგა და ამიერიდან მათი აღარაფერი აღარ მოსწონდა.

ელო ვანოს უღიმოდა და მისი ღიმილი „საკმაოდ სულელურად ღიმილად“ ეჩვენა. ნინოც ბედნიერის თვალებით შესცქეროდა ცოლქმარს და მისი ღიმილიც „სულელურ ღიმილად“ ეჩვენა ეხლა კორნელის.

„რამოდენა ლაშები ჰქონიათ ნინოს და ელოს! რა უშნოდ იცინიან! ლოყებიც რომ უსიცოცხლო, შეღებილ დედოფალასავით წამოსწითლებიათ!“ — გაიფიქრა კორნელი და დასცინა: „ქართველი კალები ომში მიმავალ მებრძოლებს აცილებენო“. ეს როდი აკმარა: „ისლა აკლიათ ელოს და ნინოს, ვანოს წინაშე ბავშვებივით ხელების მტერევა და ჩვილის მსგავსი ტიკტიკი დაიწყონ: ომში ლატომ მიდიხალ, ვიტყვებთო! ფუი!“ — გააფურთხა კორნელი და გაიფიქრა: „ტიკინების კომედია!“

კორნელიმ ესტატე მაყაშვილი და პლატონ მოგველაძე დაინახა. ისინიც ტრამვაის სადგომთან მივიდნენ.

პლატონს შავი კატელოკი ეხურა და შავივე პალტო ეცვა. ყელზე, ჭადრაკის დაფასავით შავად და თეთრად მონახტული, ვაშენ მოეხვია. წვერულვაში გაპარსული ჰქონდა და ევროპელს ჰგავდა. ხელთათმანი გაიძრო, შორიდანვე შორხადა კატელოკი, მარცხენა ხელში დაიჭირა, ქალებთან მიიჭრა და ხელზე გამბორა.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო პლატონ? რად დაგვივიწყეთ? მთელი საუქუნეა, რაც ჩვენსა არ ყოფილხართ. — უსაყვედურა ვარდომ.

— გმადლობთ, ქალბატონო. ასეთ უკუღმართ დროში კარგად ვინლა იჭნება. თქვენს თავს რა დამავიწყებს!.. — მიუგო პლატონმა, შავი ხელთათმანი ესეუ გაიკეთა, გაიღიმა და ნინოს გადახედა. ვარდო მიხვდა, თუ რისთვის არ დაივიწყებდა პლატონი მაყაშვილებს. იამა და მოაგონა:

— ნინოთბა ახლოვდება. იმ დღეს ჩვენსა უნდა იყოთ. თამაღობა არ ავცდებით. — თელაფურად დაამღერა და ჩაიჭიკჭიკა ვარდომ. მაყელისფერი თვალები მოჭუტა და გულიანად გაიციანა.

— ნინოთბას ჩინებულად ვიზიემებთ. — მიუგო პლატონმა და ნინოს გვერდით დადგა. თავი დაჰხარა და ჩუმად დაუწყო ლაპარაკი.

კორნელი აიღუწა.

— პლატონს დაავიწყდა, რომ თოთხმეტ იანვარს იგი ბაქოში იჭნება. — უთხრა ცოლს ესტატემ.

— როგორ? — ერთხმად დაიძახეს და გაიკვირვეს ვარდომ და ნინომ. წარბები შეჰყარეს და პლატონს გაოცებული მიაშტერდნენ, თითქო საჭევესო, მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება შეფერხდაო.

— მართლა, ბაქოდან ჩემი მეგობრის — ცნობილი რუსი პოეტის — ვიანესლავ ივანოვის წერილი მივიღე. იქეთ მიხმობს. იგი ამჟამად ბაქოს უნივერსიტეტში, ანტიურ ლიტერატურის კურსს ჰკითხულობს. მერმე რა? თუ ღმერთმა მშვიდობა ინება და ეს ომი ჩვენდა სასარგებლოდ დამთავრდა, ნინოს დღეობაზე ბაქოდან სპეციალურად ჩამოვალ. — დაამშვიდა დედა და მისი ქალი პლატონმა.

— ეს ომი ჩვენდა სასარგებლოდ რომ დამთავრდება, ვანა გეიკვებათ? — შეეკითხა ელო.

— ვინ იცის?

— რასა ბრძანებთ? სომხებმააც თუ გვაჯობეს, მაშინ უმჯობესია სრულიად ენულარ იარსებებს საქართველო. — მიუგო აღშფოთებულმა გარდომ.

— აბსუსს, — დაიწყო პლატონმა, — ნებითა ღეთისითა, წინათ ჩვენი მეფეები აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მუხუტებდნენოდეზოდნენ. ეხლა კი სომხები გვეომებიან და თბილისს გვედნებენ. — პლატონმა თვალები დააბრიალა, ქალაქს, მთებს, მამადავითს გაახედა და განაგრძო: — საქართველოში სომხების ჩამოთესლვა დავით აღმაშენებლის და ერეკლე მეფის ბრალია. სომხეთის დედა-ქალაქიდან — ანისიდან დავითმა შემოიყვანა სომეხი ვაჭრები და ხელოსნები, გორში დაასახლა და დიდ დახმარებას უწევდა. ერეკლეც ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას და თბილისში, ამ მიზნით, სომეხ სოფედაგრებს მფარველობდა.

— და ყოველივე ეს დაივიწყეს სომხებმა? — დაამთავრა პლატონის აზრი გარდომ.

ამ დროს, მოედანზე, მანქანა გამოჩნდა. შიგ სამხედრო მინისტრი და სარდალი ისხდნენ.

კორნელიმ მაშინვე იცნო, გლებთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, კარისმერეთში გამართულ მიტინგზე გამოსული მინისტრი.

ჯარი შეირხა და ახმაურდა:

— სარდალი, სარდალი!

ესტატე და პლატონი სადგურისაკენ გაემართნენ.

მთავრობის დარბაზში

„შენშევიკები იყვნენ მხეტური ნაციონალ-სოციალისტებისა და ერთი-მეორის წინააღმდეგ ამირკავაკა-ლის ხალხთა წასისიანების პოლიტიკის ორგანიზატორები... სწორედ შათ, დაშნაკებთან ერთად, მოაწყვეს სისხლისმღვრელი მშათა-მკვლელი ომი ქართველ-სომეხთა შორის“.

ლ. ბერიძე — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. პარტგამომცემლობა, 1935. 195 გვ.

მთავრობის დარბაზი ოფიცრებით იყო სავსე. ესტატემ დარბაზის გვერდით, ოთახის კარი შეღო და შიგ შევიდა. მას პლატონიც მიჰყვა.

ოთახი ჭაღებით იყო განათებული. იატაკზე დიდი ფარდაგი ედინა. კედლებზე მარქსის, ენგელსის, კლუცკის და ეორდანიას სურათები და ამიერკავკასიის რუკა ეკიდა. კუთხეში — ტელეფონი.

ოთახის შუა ადგილას, წითელი მაუღით გადაფენილ გრძელ მაგიდასთან, რომელსაც ლარნაკები და მაღალყელიანი სურები ამკობდნენ, მინისტრი და სარდალი ისხდნენ და საუბრობდნენ.

ესტატე და პლატონი მიესალმნენ მათ.

ჩია ტანის, შეფწერა და ფერმკრთალ მინისტრს შავი პალტო ეცვა. შავივე, კრაველის ქუდი ეხურა. თურქსა ჰგავდა. იგი ესტატეს და პლატონს კარგად იცნობდა. ადგა და ორთავეს ხელი ჩამოართვა. სარდალიც ასევე მოიქცა.

— რა ამბავია ფრონტზე? — შეეკითხა მინისტრს ესტატე.

— სანაინის ხეობაში ჩვენი ჯავშნაინი მატარებელი ტყვედ ჩაეგდნა გენერალმა წულუკიძემ დაგვიდასტურა. — მიუგო სასოწარკვეთილის ხმაში მინისტრმა და სარდალს თვალი შეასწრო.

— მაშ, ნამდვილად გვეომეზიან, არა? — გაბრაზდა ესტატე.

— კახაზუნის და ტიგრანაინის ჯარებმა საომარი მოქმედება გაუფრთხილებლად დაიწყეს, მოაბრვით, ღამით, ქურდულად. — უსიამოდ დაეღმინა სახე მინისტრს.

— ისინი ორი თვეა ვაფაციცებით ემზადებოდნენ ომისათვის, თქვენ კი არ გჯეროდათ: სომხები ომს ვერ გავციებდავენო. — ნიშნის მოგებით უთხრა ესტატემ.

მინისტრმა მხრები აიჩეჩა, მერმე ხელი ჩაიქნია, თითქო რა დროს დანაშაულზე ლაპარაკიო და ესტატეს ახალი ამბავი შეატყობინა:

— ტყვედ ჩაეგდნა ერთ სომეხ ოფიცერს ფრიალ მნიშვნელოვანი საბუთი აღმოაჩნდა.

ესტატე და პლატონი მინისტრს პირში კინაღამ არ ჩაუვარდნენ:

— რა საბუთი?

— სომხეთის არმიის შტაბის ბრძანება, — მიუგო მინისტრმა და დასძინა:

— ეტყობა დანაშაულის გეგმა ძალიან შორს მიდის. იგი აღმაშფოთებელია.

ესტატემ გაოცებით გადახედა სარდალს, რომელიც ამ ღამით ჯართან ერთად ფრონტზე მიემგზავრებოდა, მაგრამ მის მშვიდსა და გარუჯულ სახეზე აღშფოთებისა და აღელვების ნიშანწყალიც კი ვერ შეინიშნა.

— იქნებ, მართლა, თბილისს გვედავებიან სომხები, გენერალო?! — დაცინვით შეეკითხა ესტატე.

— მაშ თქვენ, რა გეგონათ? — მიუგო სარდალმა და ორკოფულად გაუღმა, თითქო: დარდო ნუ გაქვთ, მტრებს კუდი თქვას ვასროლინებთო.

სარდალი შეჩვეული იყო, გაკირვების დროს მინისტრების, მინისტრთა კაბინეტებში მოყოლილ და შიშინაობაში ჩაეგდნა, საქმიან და უსაქმო ქართულ ნაციონალისტების ნუგეშისს.

— როგორ მიგაჩნიათ თქვენ, გენერალო, ამჟამად ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა? — შეეკითხა ესტატე.

სარდალს ჯარისკაცის მახარა ეცვა, იმპერიალისტური ომის დროს, დასავლეთის ფრონტზე დაჭრილი მარცხენა ხელი შემხმარი ჰქონდა. მაზარის სახელო ცარიელივით ეკიდა და ცალხელა ინვალიდი გეგონებოდათ. ერთის შეხედვით, იგი, თითქოს არაფრით არ განირჩეოდა მკვრივი, ჯშუბი და ტაბაკვერა ქართული გლეხისაგან, მაგრამ ომებს შეჩვეული მხედრის გარუჯულ სახეზე, მონღოლსავეთ აზიდულ ღაწვების ზემოთ ანთებული თვალეზი ისეთის ძალით აშუქებდნენ, რომ მაშინვე მოპირდაპირეს გასტეხდნენ და თავის გავლენის ქვეშ მოაქცევდნენ. სარდალი ამიერკავკასიის რუკასთან მივიდა. ესტატეს და პლატონს ქართული და სომხური ჯარების პირვანდელი (ომამდელი) განლაგება უჩვენა:

— აი. ეს კობერია. ეს — მოსაზღვრე ხიდი. ეს კი — სანაინის მიდამოები. თვრამეტ ოქტომბერს სომხური რეგულიარული ჯარის პირველმა და მეოთხე ლეგიონებმა სწორედ აი, ეს მოსაზღვრე ადგილები დაიკავეს.

სარდალი არც კი უცქერდა რუკას, ისე ატარებდა საჩვენებელ თითს გედელზე და გაზეპირებულ ვაკეთილსავეთ ლაპარაკობდა, რადგან უკვე ორი კვირა იქნებოდა, რაც მთავრობის თვითიულ წევრს, ცნობისმოყვარე უამ-

რავ ხალხს უნმარტავდა ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას და ბოლოს მობეზრდა. ახლაც მექანიკურად განაგრძობდა:

— ჩვენი ჯარები აი, ამ ხაზზე იდგნენ. სომხებს კი, ეს ხაზი ემდებოდათ. ეს ის ხაზია, რომელზედაც წინათ თურქები იდგნენ. ოც ოქტომბერს სომხეთის ჯარები კვლავ გადმოვიდნენ შეტევაზე და კორინჯის დაცლა მოითხოვეს. შემდეგ დაიკავეს კიდევ აი, ეს: კორინჯი-ცათერი და საყარაულო რაზმი იძულებული გახადეს უკან დაეხია.

— ვაი, სირცხვილო... — ჩაილაპარაკა ესტატემ.

სარდალს ახსნაგანმარტების შემდეგ, ესტატეს და პლატონს ნათელი სურათი წარმოუდგათ.

ოთახში არმიის შტაბის უფროსი შემოვიდა და სარდალმა მას მთელი რიგი დავალებისა გადასცა.

სადგურის წინ, ბაქანზე ორთქლმავლის გულშემზარავი კივილი და ვაგონების ბორბლების ხმაური გაისმა.

პლატონი დარბაზში გაიქრა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ოთახში შემოვიდა და შეშინებული სახით, სარდალს ახალი ამბავი შეატყობინა:

— ჯავშნიანი მატარებელი წავიდა.

ჯავშნიანი მატარებელი და ჯარით დატვირთული ეშელონები განუწყვეტლივ მიდიოდნენ ახლა ფრონტისაკენ და ეს რა ახალი ამბავი იყო!

სარდალს გაეღიმა, რადგან გერმანიის ფრონტის ქარცეცხლში გამოვლილს, იმპერიალისტური ომის შემდეგ, სომხეთ-საქართველოს ომი თამაშობად მიაჩნდა.

სარდალი მშვიდად და ისევ აუღელვებლად მივიდა რუკასთან. ესტატეს, პლატონს და თვით სამხედრო მინისტრსაც დამკინაველ გაუღიმა, თითქო სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ ამ ხალხს ეუბნება: „თქვენ ხომ მხედრები არა ხართ. ხელს რად გვიშლით და ძვირფას დროს უბრალოდ რად გვაკარგვინებთ? წადით, თქვენ საქმეს მიჰხედეთ, ჩვენ კი — ომი დაგვატოვდეთ. მაგრამ, რადგან არ მეშვებით, რა გაეწყობა, მოდით აქ, რუკასთან, და ზოგ რამეს ავიხსნითო“.

— სადახლოს რაიონში, — დაიწყო მან ისევ, — აი, აქ, სომხებმა სადახლო, აშლასერალი და შულავერი დაიპყრეს.

— რას ამბობთ, გენერალო? — იყვირა ესტატემ და ცოლის სიტყვები გაიმეორა: — სომხებიც თუ გუჯობნიან, მაშინ უმჯობესია უარი განვაცხადოთ სახელმწიფოს მშენებლობაზე და სრულიად ნულარ იარსებებს საქართველო!

— რასაკვირველია! — დაუდასტურა პლატონმა.

სამხედრო მინისტრმა ისევ აიჩიჩა მხრები და იატაკს დარცხვენით დააცქერდა. სარდალს კი გაეცინა:

— დამშვიდდით, დამშვიდდით, მეგობრებო! ამდენხანს ჩვენ განზრახ არ გადავდიოდით შეტევაზე, უკან ვიხევდით. ეხლა კი იმდენი მეშველი ჯარი მოვიდა, რომ ამდენს არც კი ვსაჭიროებთ. მე მათ რეზერვში ვაყენებ. ოფიცრებისაგან შემდგარი ტყვიამფრქვეველთა გუნდები დიდ სამსახურს ვაგვიწვევენ. ჩვენ მდინარე ხრამამდეც დავიხევთ. მტერს შემოვიტყუებთ, ფრონტს გავასწორებთ და მერე ისე შევუტყუთ, რომ არსად ვაჩერების თავი არ ჰქონდეს.

მინისტრმა, ესტატემ და პლატონმა ერთმანეთს ბედნიერის დიმიტრის შეხედეს.

— მე ის მაკვირვებს, სარდალო, როგორ გავგიბედეს თავდასხმა — სთქვა გაოცებულმა და აწ დაიმედებულმა ესტატემ.

— ალბათ ვიღამაც და რაღამაც გააბედინა.. ექვი არაა, რომ აქ უცხო ძალაც მოქმედებს. — მიუგო სარდალმა და მისმა თვალებმა ოთახში მრისხანედ გაიღვეს.

— ჩასაკვირველია — დაიძაბა პლატონმა.

— ეხლა, გერმანიის და თურქეთის დამარცხების შემდეგ, დაშნაკებს, ალბათ, ექვიც არ ეპარებათ იმაში, რომ მოკავშირეთა ჯარები ამიერკავკასიაში, სხვათაშორის, დიდი სომხეთის აღსადგენადაც შემოდინან. ამიტომ კახაზუნის და ტიგრანიაინის სომხეთი შეტევასზე გადმოდის. — სთქვა ესტატემ.

— უთუოდ! — დაუდასტურა სარდალმა.

— დიდი სომხეთი რაღაა? — ამრეზით იკითხა პლატონმა და გაიცინა.

— თქვენ ტყუილი იცინით. თქვენ ალბათ არ იცით და მე ვიცი. — ესტატემ თამბაქო გააბოლა და დაიწყო: — მთლიანი, ანუ დიდი სომხეთის იდეა, ფიქცია როდია. პრეზიდენტი ვილსონის, ლიონ ჯორჯის, კლემანსოს და ბალფორის განცხადების თანახმად, სომხეთის განთავისუფლება მსოფლიო ომის ერთერთ მიზანსაც შეადგენს.

ესტატე რუკასთან მივიდა, სომხეთი მოსძებნა და განაგრძო:

— ცნობილი სენატორის — ლოჯის მიერ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების სენატში შეტანილი რეზოლუციის თანახმად, სომხეთში უნდა შევიდეს: თურქეთის სომხეთი. აი, ეს ექვსი ვილაიეთი და კილიკია, ხმელთაშუა ზღვამდე. შემდეგ: რუსეთის სომხეთი და ირანის აზერბაიჯანის ჩრდილო ნაწილი. აი, ეს ეგრედწოდებული — ირანის სომხეთი, კასპის ზღვამდე. აი, შეხედეთ, მომავალ სომხეთის რუკას ჩრდილო-აღმოსავლეთით საზღვრავს მდინარე შტყერის ნაპირები — განჯიდან კასპის ზღვაში შერთვამდე. ამ რუკის მიხედვით, როგორც ხედავთ, დიდ სომხეთს სამი ზღვა საზღვრავს: შავი, ხმელთაშუა და კასპისა.

— თავი გაანებეთ, ბატონო ესტატე. მერმე რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე მაგას?! — ველარ აიტანა სარდალმა მომავალი დიდი სომხეთის გამო საუბარი.

— როგორ თუ რა მნიშვნელობა აქვს, გენერალო? — გაუკვირა ესტატეს. სარდალი განრისხდა და მიუგო:

— სომხებს შეუძლიათ ათასგვარი რუკები და გეგმები შეადგინონ. იმაზე უფრო ფანტასტიურიც. ბარემ მთელი აზია და აღმოსავლეთი მთლიანად სომხეთის რუკაზე შეიტანონ! უფლება ეძლევათ, მაგრამ ეს რეკვენობაა, რომელსაც არავითარი რეალური საფუძველი ამჟამად არ გააჩნია.

ესტატე შეშინდა და მორიდებით შეაპარა:

— დიდი სომხეთის პრობლემა მართლაც ეფემერულია, გენერალო, მაგრამ ერთი რამ მაინც დამაფიქრებელია....

სამხედრო მინისტრმა ისევ აიჩინა მზრები და შეწუხდა: „ფრონტზე მიმავალ სარდალს ესტატე გულს რად უტეხსო“. თვლი უყო, მაგრამ ესტატეს არ შეუშინებია და ლაპარაკის გუნებაზე მოსულმა ვეპილმა ისევ განაგრძო:

— დიდი სომხეთის პროგრამა, აღნიშნული რუკის დართვით, დაწერილობით იყო დაბეჭდილი „ტიამსში“. სამშვიდობო კონფერენციაზე ამ პროგრამის დაცვა, სომხეთის კათალიკოსის მიერ ეროვნული დელეგაციის თავმჯდომარედ დანიშნულ პოლოს ნუბარ-ფაშას აქვს მინდობილი. ეს რუკები ფაშა ჯერ კიდევ 1913 წელს იყო წარგზავნილი ლონდონსა და პარიზში სომხეთის საკითხის მოსაგვარებლად.

— ეხლა ეჩმიაძინის ათასი კათალიკოსი და ათასი ნუბარ-ფაშაც ველარ უშველის სომხებს. ზაფხულის შესახებ ლაპარაკი მე ერევნის აღების შემდეგ შექნება მათთან. — დაწმუნებით განაცხადა სარდალმა.

ყველა აღტაცებით მიაშტერდა ჯმუხსა და გაუტეხელ გენერალს, რომელიც ფრონტზე წასასვლელად ემზადებოდა და ხელის ენერგიული მოძრაობით მაზარის ღილებს იკრავდა.

ესტატემ ყოვლისმცოდნე ადამიანის სახე მიიღო. მკერდზე მკლავები დაიწყო და შეოცნებე თვალები ჰერს მიაპყრო; ჩემად და იდუმალის ხმით წარმოსთქვა, თითქოს ქართველი ხალხის ბედ-იღბალი მას ეკითხებოდა:

— ვაი, თუ ინგლისი სომხებს დაეხმაროს!

— თუ ინგლისი სომხებს დაეხმარება, მაშინ ჩვენ ინგლისის ჯარებსაც მივსცებთ. ვიცი, დარდი ნუ გაქვთ, რაც მეომრები ბრძანდებიან! — მრისხანედ განაცხადა სარდალმა.

— ეს არ ივარგებს, გენერალო! — არ მოუწონა ესტატემ.

უხერხული ატმოსფეროს განსაფანტავად, მინისტრმა დამსწრეთ საიდუმლო გაანდო:

— მეგობრებო, მე შემძლია, სრულიად საიდუმლოდ, გადმოგცეთ ახალი ამბავი: გუშინ, ლონდონიდან ჩვენი დელეგატების — ავალიშვილისა და ლამბაშიძისაგან ქორდანიამ დეპეშა მიიღო. ისინი გვატყობინებენ, რომ ინგლისის მთავრობასთან ჩვენს მოლაპარაკებას კარგი პირო უჩანსო. ინგლისის მთავრობამ კარგი მიღება ვაგვიმართა და არის უტყუარი შანსები იმისა, რომ ინგლისი საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობსო.

— ვაშა, ვაშა, — დაიძახეს ესტატემ და პლატონმა. მინისტრსა და გენერალს ხელი ჩამოართვეს და გადაჰკოცნეს.

— ეს დიდი ამბავია. საქართველოს ბედი სწვევია. — ძახლდნენ უცხო ძალის იმედით ფართო ლოგინის გაშლას ჩვეული ქართველი ნაციონალისტები.

— ამიერიდან ინგლისი ჩვენთან ომს მოერიდება. — დასძინა ესტატემ.

სარდალს კი მინისტრის ცნობისათვის მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიუქცევია. იგი მხოლოდ ომით იყო გატაცებული და თავისი ჯარების იმედი ჰქონდა. კარებისაკენ იქიჩებოდა; საქმეზე მოსული ოფიცრები ზმინად აღებდნენ კარებს, მაგრამ სარდალთან მოსაუბრე სამხედრო მინისტრს, ესტატეს და პლატონს რომ დაინახავდნენ, ოთახში შესვლას ერიდებოდნენ და ისევ დარბაზში ცდას არჩევდნენ.

ბოლოს სარდალმა მოიხმო ლეგიონების უფროსები და ოთახში ახოვანი კომანდირები შემოლაგდნენ. მათ შორის პოლკოვნიკი ჯიბო მაყაშვილიც იყო.

მცირე თათბირის შემდეგ, მინისტრი და სარდალი ეშელონების დასათვალიერებლად წავიდნენ, ხოლო ესტატე და პლატონი კი, მინისტრის მიერ გადმოცემული ახალი ამბავით დაიმედებულნი, მოედნისაკენ გაეშურნენ.

ესტატემ ცოლშვილს, სრულიად საიდუმლოდ, ახალი ამბავი შეატყობინა. ვარდომ, ამანაც სრულიად საიდუმლოდ, მეგობრებს უთხრო, მეგობრებმა კი თავისიანებს და მალე ეს ახალი ამბავი მთელმა ქალაქმა შეეტყუა. უცნაურ-ორე დღეს უკვე არავითარ საიდუმლოს აღარ წარმოადგენდა.

მოქალაქე

„რუსი, ქართველი, თურქი, სომეხი,
ძმური კავშირის წინაშე სხვა ჯგუფის
და ამ არმიის, ვიცო, ქვეშე
შტატიდ დაცემს საბჭოთა ჯგუფის“.
წითელი პარტიზანის — მურდულის „ნამბობიდან“.

როდესაც ესტატი ცოლშვილთან მივიდა და ახალი ამბავი შეატყობინა, ჯარი უკვე წასულიყო მოედნიდან და ეხლა ჯგუფგგუფად დარჩენილი ხალხი იდგა მხოლოდ და ხმამაღლა ყაყანებდა, ხალხს უკიდურესი აღზნება ემჩნეოდა.

უცბათ, სადგურის ქუჩიდან, მოედნისაკენ მომავალი ქვეითი ლეგიონი გამოჩნდა.

პლატონ მოგველაქე ჯართან მიიქრა, კატელოკი მოიხადა და მებრძოლებს ვამყივანი ხმით გასძახა:

— გაუმარჯოს საქართველოს, ვეფხვებო!

— გაუმარჯოს! — მიუგეს ჯარისკაცებმა. სიცილი წასცდათ, ფეხი შეეშალათ, ერთმანეთში აირივნენ და მწყრივი გაამრუდეს. ეტყობოდათ ჯარში ახალი მისული და ჯერ გაუწერთნელი ჰაბუკები იყვნენ.

პლატონის გვერდით მდგომმა, შავწვერა და ჩია ტანის კაცმა — ვრემო გოდებანიძემ შავი შლიაბა მოიხადა, ჰაერში შეაგდო, თითქო ხალხის თავზე ყორანი აფრინდაო და ჯარს გასძახა: გაუმარჯოს საქართველოს, ბიჭებო, მაგრამ ჯარისკაცებისაგან წინანდელზე უფრო ხმაშეწყობილი და მდგარი პასუხი არ მიუღია. ჰაბუკი მებრძოლები გულუბრყვილოდ იცინოდნენ და კაცი ფიჭვრებდა, ნამდვილ ომში კი არა, ომის სათამაშოდ მიდიანო.

წინათ კორნელიზეც დიდად მოქმედებდა ეროვნული გრძობის ასეთი გამელაენება, ეხლა კი მშვიდად იდგა და პლატონს და ვრემოს ღიმილით გასცქეროდა. ეხლა კორნელი ამ გულუბრყვილო და შეამიტ ჰაბუკებს როდი ჰგაედა, რომლებიც პირველად მიდიოდნენ ომში და არც იცოდნენ თუ რა რთული და მრავალფეროვანი ინტერესთა თამაშის მსხვერპლი იყვნენ ისინი, თუ რა ძალებმა გამოიწვიეს ეს ომი და მებრძოლ ქვეყანათა შორს, რომელი იყო მართალი. კორნელი კი ფიჭვობდა, რომ ეს ომი სომეხ და ქართველ ხალხს ბოროტმა ძალებმა თავზე ძალით მოახვედეს.

ლეგიონმა ჩაიარა.

ხალხში საფრთხობელასავით ჩამდგარმა, თმაჯინჯილა და გამხდარმა აყლო-ყუდამ, მუშტის ქნევით მორთო ღრიალი:

— ომი როგორ გაგვიბედეს, იმ კრუებშია?

მას გახუნებული ყავისფერი პალტო ეცვა.

— დასწავებს აქაც ეყოლებათ თავისი მომზრეები და აგენტები! — განაცხადა ვრემო გოდებანიძემ და ისედაც აღზნებულ ხალხს კიდევ უფრო შეუწითო ცეცხლი.

— მივირს, მთავრობა რად არ აპატიმრებს სომხებს! — იყვირა აყლაყლა-
დამ.

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა.

სათნო სახის მოხეტემა კაცმა აყლაყლდის შეუტია:

— სომხები რა შეაშია? სომხებსა და ქართველებს შორის ომი ვის გაიგო-
ნა? ეს დაშნაყების და მენშევიკების ოინებია!

— არ გაუშვათ, დაშნაკია, ერევენელი. — იძახდა აყლაყლდა.

— რისი დაშნაკი და ერევენელი! ძველი მუშა ვარ, თბილისელი. პაპა ჩემიც
კი აქ დაიბადა. — აღშფოთდა მოხეტე.

მას შავი ქურჭი ემოსა და თავზე ბუხრის ქედი ეხურა. ეტყობოდა ძველი
თბილისელი მოჭალაქის ნაშვირი იყო, რომელსაც სომხები ქართველისაგან არა-
სოდეს არ გაურჩევია შრომასა და საქმიანობაში, ქირსა და ლბინში. მოხეტეს
აღზნებული ხალხი ვარს შემოერტყა.

კორნელი ეხლა არ იმალებოდა ხალხში.

— რა მოხდა? — დაიძახეს ვარდომ და ნინომ და კორნელის მისკვიდნენ.
ეხლა ისინიც ისე იყვნენ აღზნებულნი შოვინისტური გრძობით, რომ სომხე-
ბისადმი ზიზლის ვარდა სხვა ყველაფერი დაჰვიწყებოდათ.

— აგერ, იმ მოხეტეს აღზნდნენ, დაშნაკი ხარო. — მიუგო კორნელიმ.

— შე მეგონა თქვენ ჩაჭოლეთ ის დაშნაკი. — წყენით შენიშნა ვარდომ.

— ის კაცი რეინიგზის მუშა ყოფილა და არა დაშნაკი. — გაუსწორა კორ-
ნელიმ.

ესტატემ კორნელი რომ სამოჭალაქო ტანსაცმელში დაინახა, გაუკვირდა
და აღელვებული ხმით უსაყვედურა:

— თქვენ ჯარში რატომ არა ხართ?

კორნელიმ პასუხის ვაცემა ვერ მოასწრო, რადგან ესტატეს ვილაც გამხდარ-
მა კაცმა მიჰმართა:

— ერთმანეთთან ომში დიდ ვაჟაკობას და ერთსულოვნებას ვიჩენთ სომ-
ხები და ქართველები, უცხო ძალის წინაშე კი მხდალნი და ლაჩარნი აღმოვჩნ-
დით.

აყლაყლდა მყისვე მის ყელში სწვდა. თვალები გივივით დააბრიალა და
იყვირა:

— ჯაშუშია, ჯაშუში!

გრძელი თითები მარწუხივით შემოაქდო გამხდარ კაცს ყელზე და ყაყრან-
ტოს ამოკლას უბირებდა. კაცმა მაჯაში ხელი სტაცა და ყელი გაინთავისუფ-
ლა. მაგრამ ვილაც უჩინდნ ეცა, ფეხი დაუღო და წააქცია.

ხალხი მისკვიდა. კორნელიმ ვერაფერი ვერ დაინახა, რადგან ბრძოლა ეხლა
მიწაზე მიმდინარეობდა.

ამ დროს ხალხით დახუნზლული ტრამვაის ვაგონი მოვიდა. კორნელი ვაგო-
ნის სკამზე ავარდა, რომ აქედან უფრო უკეთ დაენახა ის, რაც ჩაზნელებულ
მოედანზე ხდებოდა. ვაგონის ლამპებმა მოედანი გააშუქეს და კორნელიმ ნათ-
ლად დაინახა გამხდარი და ფერმკრთალი კაცი, რომლისთვისაც თავპირი დაემ-
ტერიათ, პალტო გაეძროთ და ხალათის საყელო და გულისპირი სულმოთლად
ჩამოებიათ. მას შიშველი და ფიცარივით ჩაეარდნელი მკერდი უჩანდა. ძლივს
სუნთქავდა. შეშინებული და უმწეო თვალებით იხედებოდა ირგვლივ, ზელებს
ასავსავებდა, თითქო, ნადირებით გარშემორტყმული, თავდასაცავად ემზადე-
ბო.

აყლაყულდა ისევ სწვდა მას ყელში. ისევ წელში შეუვარდნენ მარმებულ მსხვერპლს და მიწაზე დასცეს. ეხლა უამრავი ხალხი დააწვა თავზე.

— ჯაშუსია. — ყვიროდა აყლაყულდა და ისევ მთვრალივით ამოიღებდა სისხლიან თვალებს.

+ თავი გაუტეხე, თავი გაუტეხე, თავი გაუტეხე... — დაქინებით გაიმანოდა ვიღაც, თითქო გაგიჟდაო.

ამ ძახილს საშინელი და შემაზრზენი კივილი მოჰყვა.

მყისვე ხალხი მოედნიდან გაიქცა. უბედურების მაცნე კივილმა ერთხელ კიდევ შესზარა მოედანი. ხალხი ერთმანეთს სთელავდა, ამტვრევდა. ვიღაც წაიქცა. წაქცეულზე გადადიოდნენ. თავზარდაცემული და შეშინებული თვალებით უკან იხედებოდნენ და ისე გარბოდნენ, თითქო თავისი უმსგავსო ნამოქმედარის დანახვისა ეშინიათო.

მოედანი უმაღლე დაცარიელდა.

ცარიელ მოედანზე ნახევრად შიშველი, თავგატეხილი და გასისხლიანებული კაცი ეგდო, თითქო მტვერში ამოგვარგნილი ძონძი გდიაო.

მილიციელებმა ეტლში ჩააგდეს და წაიღეს.

ურევულო, რალაც ბოროტი სიჩუმე ჩამოვარდა. კორნელიმ მოედანს გაჰხედა. ტრამეის პარკისაკენ მიმავალ ქუჩაზე ხალხი გამოჩნდა. სარემონტო ქარხნის და ტრამეის მუშები ჩქარი ნაბიჯით მოდიოდნენ მოედნისკენ. მათში ჯარისკაცებიც ჩამდგარიყვნენ. ყველანი სდუმდნენ და ისე მოდიოდნენ. მოდიოდნენ მუქარით. სიჩუმეში, სადგურის ქუჩის მხრიდან, ცხენთა ფლოქვეების თქარუნი მოისმა.

მოპირდაპირე ქუჩებით მომავალი ცხენოსანი რაზმი და მუშები ერთდროულად გამოვიდნენ მოედანზე. ტრამეის პატარა სადგურამდე მოადწიეს.

რაზმის უფროსმა ცხენი შეაყენა.

ჩონჩხვით ჩამომხმარი, ჩოხაში გამოწყობილი და წელში გამოჭირებული მხედარი უზანგებზე აღიმართა, მათრახი მოიმარჯვა და ქირვეულად დაიძახა:

— დაიშალეთ. აბა, მალე, დაიშალეთ!

ხალხი შედრკა. ზოგი გაიქცა და ზოგმაც გაქცევა დააპირა. მუშები კი არ შერხებულან. რაზმის უფროსმა ისევ გაიმეორა თავისი ბრძანება.

— არ დაუჯეროთ მაგ საიჭიოს მესანთლეს. არ დაიშალოთ, დადექით! — მიჰმართა ხალხს ერთმა და ჩონჩხვით ჩამომხმარ რაზმის უფროსისაკენ ხელი გაიშვირა.

ქლევამსავით გამხდარ მეთაურს შეხედეს.

— დასცალეთ მოედანი! — შაკივით იყვირა ბრაზმორეულმა რაზმის უფროსმა და ცხენით ხალხში შეიჭრა.

რაზმელები გაიშალნენ, ცხენები მიაგდეს და მუშებს გარსშემოერთყნენ, სთელავდნენ და აღარ ზოგავდნენ.

— ამხანაგებო, დადექით. იცოდეთ, ვინც გაიქცევა, მხდალი და მოლაღატეა. დასცხეთ ჯალათებს, დასცხეთ მუშების მკვლელებს... — ვაჟკაცურის ხმით შესძახა ხალხს ტყავის ქურთუქში გამოწყობილმა, ახოვანმა მუშამ.

კორნელიმ იცნო და ტანში გააფრეოლა. უმაღლე მოაგონდა, თებერვლის რევოლუციის ცნობის შემდეგ, ნაძალადევეში გამართული პირველი მიტინგი, მენშევიკების წინააღმდეგ გამოსული ორატორი რომ ავიდა ტრიბუნაზე და ხალხს მიჰმართა: „ამხანაგებო, ჯერ კიდევ დიდი ბრძოლები გველისო“.

მუშები რაზმელებს მისცივდნენ. ზოგნი უნაგირიდან გადმოიღეს და ზოგ-

საც ჯარისკაცები შაშხანით დაემუქრნენ. ამას არ მოელოდნენ გვარდიელები და შეშინდნენ.

მუშებმა მოკირწყლული ქუჩა აპყარეს. რაზმელები ქვებით ჩაშველეს და გააქციეს.

საქართველო
საქართველო

ეხლა მოედანზე ზღვა ხალხი ტრიალებდა.

კორნელიმ ისევ ხის ქერქივით დამსკდარი და შრომისაგან დანაოკებულ უამრავი კისერი დაინახა. შიმშილით, ნიეთიერი ხელმოკლეობით გაჩანაგებულ მუშებში და მსოფლიო ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებში კორნელი ისევ დაკარგული ბავშვივით იდგა.

უცბათ, ხალხის თავზე, აფრენილ ფრინველივით, წითელი დროშა გაიშალა.

— ამხანაგებო, — გაისმა ტრიბუნაზე გასული, ქურთუკიანი ორატორის გამყვიანი ხმა.

იგი აღშფოთებას გამოსთქვამდა მოედანზე მომხდარ თვითგასამართლების გამო. წყველა-ჯრულვას უგზავნიდა ამიერკავკასიის ხალხთა შორის ნაციონალიზმის, შოვინიზმის და კაცთმძლეობების შხამის მთესელ, ომის გამჩალებელ მენშევიკებს, დაშნაკებს და მუსაეატისტებს.

ყოველი მისი სიტყვა რწმენით იყო სავსე, ლითონივით ჩამოსხმული და მახვილივით ბასრი. ჯანსაღი და ქედმაღალი ორატორი მჯიღებს იშველიებდა და ისე ბორგავდა, თითქო ანთებულ ქურის წინ დვას და გაეარეარებულ ფოლადს ჩაქუჩით კვერავს და აწრთობსო. გოლიათი ბეჭები წისკვილის დოღაბებით ერხეოდნენ.

მან ამიერკავკასიის ხალხთა შორის მანამდე არსებულ თანხმობაზე და სიყვარულზე ილაპარაკა და თავისი სიტყვა მოწოდებით დაამთავრა:

— გაუმარჯოს ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალურ კავშირს! გაუმარჯოს საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ოქტომბერს!

— გაუმარჯოს! — შესძახა მოედანზე მოზღვავებულმა ხალხმა.

(გაგრძელება იქნება)

კონსტანტინე გამსახურდია

ღაპით აღაგენებელი

იჩმის ბლავილი *)

ლიბარტის შეგონებანი სარწმუნოდ ეჩვენა რატის, მასაც ბეშქენ ჯაყელის მიერ წარმოგზავნილად მიიჩნდა მეკობრენი; ბაგრატოვანთა ერთგულნი იყვნენო მესხნი დიდებულნი მუდამ. ძველ ამბავს იგონებდნენ ახლა: სულა კალმახელმა თუ ვით შეიპყრო დღივს ლიბარტ მესამე და ძე მისი ივანე და ბაგრატ მეოთხეს გადასცა ივანი. ამიტომაც შეეხიზნა რატი ორბელიანი ზულუტის ციხეს.

ზულუტის ციხე მდებარეობს ზედ ქციის კედლეზე; სამი მხრით უბშირო თელიანი გარს ერტყა მას.

ეპიტომიას შემდეგ უცნაურად მოსწყურდა მოძრავი ცხოვრება რატის. გაზაფხული კარზე იყო მომდგარი, უქმად ეყარნენ მენადირენი და მესათხეველნი ციხეში. გამართლდა ნიშანდება მენადირეთუხუცესისა: მკაცრ ზამთარს შართლაც თან მოჰყვა ნადიროთა სიმრავლე.

ლიბარტის უბნიდან ამბავი მოვიდა: ბერებს ენახათ ერთ საღამოს თავლებთან ჩამოსულიყვნენ და შინაური არჩევებისათვის შემონახულ ბულუტებს თივისას მისდგომოდნენ გარეულნი.

რატის მოსწყინდა ერთფეროვანი ყოფა ზულუტის ციხეში. სავალალო ეგ იყო: მტერი აღარსად სჩანდა, საფრთხე ყოველ წუთში მოელოდა ციხიდან გასულს. ბოლოს არც ეგ იცოდა: სანამდის უნდა მგადარიყო ამ სიმბაგრეში მონასპებით გარს შემორტყმული?

დიდ მარხვის მიწურულში ერთი უცნაური ამბავი შენიშნა რატიმ: თითქმის ყოველ გარიყრავზე თელიანიდან მოისმოდა ბლავილი ირმისა. ჩაგზავნიდა მოისაჭთა, მადევრებს გაუსევდენ ტყეს, ნატერფალიც აღარსად სჩანდა ირმისა.

სწორედ იმ დღეებში მოხუცებული დედამძუძე, ასინეთი ეწვია მთიულეთიდან რატის. ბუხართან იჯდა დღენიადგ, ყურს უგდებდა ასინეთის სძლისპირებს, სიამით სჭამდა მის მიერ მომზადებულ ხინკალსა და ჰარისას.

ახლა ასინეთმა შეამჩნია ეს გამუდმებული ბლავილი ირმისა. უცნაურად თრთოდა ამ ხმის მოლოდინში დიაცო... შეკრთომის მიზეზი გამოჰკითხა გაზრდილმა შტრდელს.

გამოუტყდა ასინეთი:

„მთიულეთში ცუდადა გვაქვს დაცდილი კაცთა სამყარველოსადმი შებღავლება ირმისა. ანგრე იტყვიან ჩვენში: უკეთუ მენადირეს ასზე მეტი ირემი დაუხოცავს და მშვილდისიარი არ დაუმარხავს მიწაში, ყოველ გაზაფხულზე

*) იხ. „მნათობი“, № 2.

მოვა მის სარკმელთან ოჩობინტრე, ნადირთა მწყემსი, რათა ბღაღილოთ ძილო გაუკრთოს უგულოს“.

რატი დაფიჭრდა. ასზე მეტი ირემი დაეხოცნა თურმე, მაგრამ მშველ-
ისარი არ დაუმარხავს არასდროს...

ბოლოს მენადირეთუბუცესი მოიხზო, ოჩობინტრეს ამბავი სასაცილოდაც არ უყო ბერეკაცს.

„უჩვეულოდ მომრავლდა, ერისთავთ-ერისთავო, ნადირი ამ წელს, ნეკერის საკენეტად მოდის თელიანში ირემი. არც თუ საკვირველია ეგა. სულკურთბე-ული პაპაშენი ყოველ გაზაფხულზე ხოცავდა ამ ტყეში ირემებს“.

„დავიჯერო, რომ ამ თელიანში ბინადრობდეს ირემი?“ ეკითხება მას რატი. ისევ შებღავლა ხელუტის ციხეს ირემმა.

თმენის საწყაული აღევსო ვენებიან მონადირეს. მამისთვალა მახარობლისძე წარგზავნა ლიპარიტის უბანს და აუწყა მამას: შაორის ტყეში ვაპირებ ირემზე სანადიროდ წასვლას, თუ გენებოს, წამობრძაშლიო.

უკანასკნელი ამბების გამო გულშემოყრილი იყო ლიპარიტ ორბელიანი, შემოუთვალა ვაყს: ცუდი ხმები მოდის შიდა-ქართლიდან, მე ნადირობის გუნებაზე ვერა ვარ, აღარც შენ გირჩევ ციხიდან გამოსვლას, შოითმინე მცირე ხანს, ირემზე ნადირობას მოესწრებიო მერმეცა.

ყველიერის ორშაბათს აღსართან მეორე ეწვია დიდის ამალით რატის.

ლიპარიტ ერისთავი იხმეს ხელუტის ციხეში სასწრაფოდ.

ახალი ამბავი ჩამოიტანა კახეთ-პერეთის ტახტის მემკვიდრემ: დავით მეფეს პაჭკალის ღელეში გამოუტყუებია თურქნი, უმოწყალოდ გაუუფრავსო ბანუ-ჯაფარის ყმანი. აღსართან დაყინებით ურჩევდა ორბელიანებს: უკეთუ ტფილისს შემოეწყუო მეფე, საერთო ძალით თავს დავესხათ სამეფოს ლაშქარს, თორემ ქალაქი თუ აიღო მან, თურქნი ხელსაც არ გაანძრევენ ჩვენთვის; ერთი წელიც არ გამოხდება და ჩვენ ციხეებსაც შემოეწყუობაო დავითი.

ამასაც ამბობდა აღსართან: ძაგან ზედაზენის პატრონიც გვპირდებაო თანადგომას ამ ომში.

რატი აღტაცებული შეხვდა ამ თათბირს, ლიპარიტი ყოყმანობდა მხოლოდ. ჯერ კიდევ გეგუთში ყოფნისას იგი საკმაოდ დაკვირვებოდა შეტევეთს უნარს სამეფოს ლაშქრისას; საეკვოა, ძაგანი ჩვენ მოგვემხროს, თუმცა უნდა ითქვას, ჩვენ ოთხიენი რომ შევებათ, მაინც გავავიპირდებაო მეფესთან ვამტლავება.

ამიტომაც ურჩევდა ახალგაზრდებს: „ჯერხნობით მოვერიდოთ ომს, ამა-სობაში ისპაჰანის ამბებიც უფრო ნათლად გამოირკვევა. მე ცნობა მაქვს ასეთი: დავით მეფესა და გიორგი ჭყონდიდელს გადაწყვეტილი აქვთ, შალიჭ-შაჰს სიკვდილის შემდეგ, ხარაჯაზე უარი უთხრან სელჯუკიანებს. თურქნი არ დასთმობენ ხარაჯას. ჩვენც მაშინ ეუყელოთ და საერთო ძალით გავსტეხოთ მტერი“.

მესამე დღეს ძაგანიც ჩამოვიდა, ზედაზენის ციხის პატრონი.

ბოლოს გადასძალეს ახალგაზრდებმა: დაიყოლიეს ლიპარიტიცა. ასე რომ ხელუტის ციხეში გადასწყდა ერთბაშად: უკეთუ დავით მეფე ტფილისს შემოეწყუობოდა, კვრიკე, კახეთ-პერეთის მეფე და ძმისწული მისი, აღსართან მეორე, ლოკინის ხევიდან შეუტევენ მეფეს. ორბელიანი დიდგოროდან გადმოსხამდნენ ტფილისის საამიროში ლაშქარს, ბოლო ძაგანი მეცხოხონე

ჯარს გამოიყვანდა ზედაზენის ციხიდან და ჰავჭალასთან გამოსულს, საცეცხველებს გადაუქრიადა სამეფოს სპათა.

იმ ღამეს გვიანამდის გასტანა ვახშამმა, გარიყრაუზე ირმის შტოველმა გამო-
აღვიდა სტუმრებიც. ყრმისებრ აღტაცებული ზეწამოიჭრა აღსართან, საწინააღმდეგო
მიეარდა ციხისას.

ხელახლა მოისმა ბლაველი.

„ხარირემია, რატი!...“ წამოიძახა აღსართანმა.

„ხარირემია“, დაუმოწმა რატიმ, „ამ გაზაფხულის პირზე სულ ახლოს მო-
დის ციხესთან ირემი და შემოგებლავის დილაობით აგრე“.

„დაუჯებნებიხარ ნადირს“, ამბობს ძაგანი ღიმილით, „შირშან ზედაზენ-
შიაც შემოგებლავლა ირემმა, მეციხოვნენი ავიყოლიე, საფურცლემდის ვსდ-
ეთ ცხენდაცხენ, უზარმაზარი ხარირემი მოეჭკალი ისრითა“.

„ნუთუ ჯერაც არ გინადირნიათ ირემზე წრელს?“ იკითხა გაოცებულმა
აღსართანმა. რატი დადუმდა, ველარც ლიპარიტმა გაუმხილა სტუმრებს თუ
რად ვერ ინადირეს იმ წელს. როცა აღსართანმა და ძაგანმა შეუფარველად
გამოსთქვეს ირემზე ნადირობის წადილი, ლიპარიტს ეუხერხულა არშესრუ-
ლება მისი. ისაუბრეს თუ არა, მენადირეთუხუცესი იხმეს და უბრძანეს: საწა-
დრო მზაობა.

მეორე დღეს დიდი სამზადისი ჰქონდათ ლიპარიტის უბანში. უამრავი ხალ-
ხი მოგროვდა სტუმრების მანდ ჩასვლამდის: თრიალეთის აზნაურნი ციხო-
ვანნი სახლეთლითურთ, ძეძუმტენი, მოკეთენი და მეძღვენენი. კახეთ-ჰერეთის
ტახტის მემკვიდრის ნახვა ეწადა ყველას.

თრიალეთელებს განაგონი ჰქონდათ: აღსართან პირველის, კახთა მეფის გა-
მუსლიმების ამბავი, ასე ეგონათ ზოგთა: მუსლიმიყო ეგ აღსართანიცა. წირვა
დაწყებული არ იყო, როცა აღსართან და ძაგან ერისთავი მონასტრის ზღუ-
დესთან გაჩნდნენ დიდის ამალით.

მამი ბასილიც გათცდა, როცა დაინახა ამბიონის მახლობლად მუხლმოდ-
რეცილი აღსართან, გრძელწვეროსანნი კახნი აზნაურნიც გულმზურვალედ
ლოკულობდნენ, ვერძებივით ღიღინებდნენ, ხმას აყოლებდნენ ბერების ერ-
თობლივ გალობას.

აღსართანის ეგზომ დიდის ზემით მიღებამ ლიპარიტის უბანში, ათასგუ-
რი ჭორი დაჰბადა ორბელიანთა სასახლის ხელშინაურთა შორისაც. ფარეშთ-
უხუცესი და სეფექალთა წინამდგომი, ვარდია, დაბეჯითებით ამტკიცებდნენ:
კახეთ-ჰერეთის ტახტის მემკვიდრეს ურიგებო დედისიმედს, თავის დედის
დისწულს.

გარეგნულად მუსლიმ ამირასა ჰგავდა აღსართან მეორე. ვეფხისფერი კბა
ეცვა ირანული ფარჩისა, ირანულივე თორი საღმასურისა, ხოლო მუწარადი
თავზე ეხურა სელჯუქური, მოჟოროვილი, რომელსაც კოწოლზე თხის რქისებრ
მოდრეცილი კერტები ზედ აჯდა.

როცა ნაწირეებს სასახლეში მობრუნდა აღსართან, აქ მას დაუხვდა თრია-
ლეთელ აზნაურთა უტურფესნი ქალ-რძაღნი, დიაცებს ელეთმელეთსა ჰჭერი-
და ამ საროსტანიან, ბრგე ვაჟყაყის შემოხედვაც ქორული.

ამაოდ ეძებდა მისი მზერა დედისიმედს ამ ღამაზმანთა შორის. კატაიც
წირვებზე თან ახლდა სტუმრებს. ვარდიამ, სეფექალთა წინამდგომმა, ამბავი
დაახვედრა: ზორეშანი ავად გახდა, მას უველისო დედისიმედი.

დიდხანს უცადა კატაიმ დიდ დარბაზში მის გამოჩენას, ბოლოს თავთ გა-
დავიდა სასახლის შრამელში, ¹⁾ სადაც ხორეშან და ლელაი ცხოვრობდნენ.
დედისიმედი ქვეშეცნულად გრძობდა, თუ ვის წინააღმდეგ იყო მიზარ-
თული ეს დარბაზობა კახთა მეფის ძმისწულისა თრიალეთის საერისთავოში.
ლელაიმ ვარდიას ნაწურჩულეიც ჩააწვეთა ხორეშანს ყურში: ახლა აღ-
სართანს ურიგებენო შენს გაზრდილს. უარესად აცნესდა დაზაფრული
მოხუცი.

კატაის დანახვაზე მუხლი მოეპრა დედისიმედს. ისეთი საზე მიიღო, თით-
ქოს ვერ მიმხვდარიყო, თუ რად მოსულიყო იგი. უფრო გულმოდგინედ შე-
უდგა ვერცხლის ავანდასტაში ჩაყრილ ძირტკიბილის ნაყვას.

„შენ ჯერაც უკაზმავე ხარ?“ შერისხა დედამ.

„ან რად უნდა მოვეკაზმულიყავ, როცა დედუს სიცხე აქვს ამ დილით“, მი-
უგო დედისიმედმა.

„აბა შენ განსაჯე, ხორეშან, სასახლეში სტუმრები სხედან და ჩემი ქალი
არც თუ აპირებს დიდ დარბაზში გამოსვლას.“

ახლა ხორეშანიც ევედრა გაჯიქებულ ქალს, როგორც იქნა დაიყოლია იგი
ცრემლმორეულმა კატაიმ:

აღსართანს სიყმაწვილისას ენახა დედისიმედი ვეფინის ციხეში, როცა აღ-
სართან პირველთან სტუმრად იყო საზღუდულითურთ ლიპარიტ. უკვე მოწი-
ფული ქალის დანახვაზე უცნაურად გაშმაგდა და მოურიდებლად გაუმიჯ-
ნურდა დავით მეფის სასძლოს.

ჯერ კიდევ საუზმეზე ღვინოს ეძაღებოდა აღსართან, უსაკო ყრმასავეით
დათვრა, დიდ დარბაზში დედისიმედის გამოჩენამდის ხან მამისთვალა მკაბრობ-
ლისძმის დას ეაშოკებოდა, ნაზოს, ხანაც ნათენას, იაი ციხელისძმის დისწულს.
როცა ორბელიანის ქალი დაინახა, ორივეს მოეშვა, ნარდი მეთამამეო, ყმაწვი-
ლივით ევედრა დედისიმედს.

ნარდის თამაში არ ვიცო, მიუტეცს.

ძვან შენიშნა: ვერ ირჯებოდა ჯეროვნად კახეთ-მერეთის ტახტის მემკ-
კიდრე. ხელი მოხვია ნასმურევეს რულუნებით, მცირე ხანს ებაასა და მგრამე
თავით ეთამაშა ნარდი. როცა დედისიმედი დიდ დარბაზიდან გავიდა, აღსარ-
თანმა ნარდის თამაში მიატოვა და სასახლის ბაღში გავიდა თავშიშველი
რაინდი. აუზთან დადგა და მასში მოცქრილად თევზების ცქერით ერთობოდა
გულნადელიანი.

აღსართან კარგად ამჩნევდა დედისიმედის პირქუშობის მიზეზს, მაგრამ
სულთანის კარზე გაზრდილს აგრე ეჩვენებოდა: დიაცის მიერ მოწონება რა
ბედენაა, ვეჯაცმა ან უნდა ზყიდოს, ან მოიტაცოსო იგი.

ძვანი შეაშფოთა აღსართანის აცუნდრუკებამ, თავათაც აუზთან მივიდა,
მკლავი გაუყარა საპატოო სტუმარს და სასახლისაკენ წამოიყვანა ბაასით.

როცა სასახლის კიბის ხარისხნი მოათავეს, აღსართანმა თვალი კვიდა:
დედისიმედი და ნაზო მშუღლების საჩიხესთან იდგნენ.

ყურდაცქვეტილი ნუკრები მოდიოდნენ, გაწვილ მარჯვენას ულოკავდნენ
ერისთავის ასულს.

აღსართანს გონება აერია, სცადა ხელიდან გასცლოდა ძვანს, მშუღლის სა-

¹⁾ შრამელი — მოთავრანაგებობაზე მიშენებული სახლი, ფლავიელი.

ჩიხესკენ დააპირა წასვლა; დიდხანს ევედრა ძაგანი, მაჯაგანით შეიყვანა დიდ სასახლეში სტუმარი.

ბრაზი წაეკიდა აღსართანს, ტალანში დასტოვა ზედაზენის პატრონი და სასტუმროში შებორილდა. ჩანგი ჩამოიღო კედლიდან, თურქულად თუნბორიბ-მული ჩამოგდა და ფარსულად დაამღერა ეს ლექსი:

„დიაცთა შორის ისე შვენის მიჯნური ჩემი,
ჯასიმის მშელისნუკის ეთხოვებინოს
თითქოს თვალები მისთვის...“

კოზმან ბერი ყველაზე მეტად ააღელვა აღსართანის მოსვლამ. ბარქიაროკმა ტახტი დაქარგა, დავით მეფე მტრად მოიკიდა თრიალეთის ერისთავმა კვლავ, ახლა აღსართანის ჯერი მოდგა; იმასაც ამჩნევდა კოზმანი, გველთიდან დაბრუნების შემდეგ რატი წარამარა უჩიზინებდა დედ-მამას; კახეთ-ჰერეთის მეფენი ლიპარიტისძეთა თანამდგომნი იყვნენ მუდამ ქაშს, ერთადერთი აღსართან თუ გამოგვადგებო სასიძოდ. იგიც ცხადი იყო, ეს დამოყვრება განამკვიდრებდა სამთა კავშირს, დავით მეფის შესამუსგრელად შეკრულს. დაწყებული შაირიც არა ჰქონდა მოთავებული გამიჯნურებულ შეჩანგეს, როცა კოზმან ბერი შემოეხეტა დარბაზში.

სომღერა მიატოვა დამხვდურმა, მცირე ხანს უკრავდა მოლხენილი, უსიტყვო ზუნი-ლა ესმოდა მოკლებულ ბაგეთაგან ბერს. მიზრავი ვატყდა ერთბაშად ჩანგის დაკვრა მიატოვა აღსართანმა მყის და ეუბნება შემოსულს:

„ბაღდადში ყოფილხარ, ბერო?“

ეყოფილვარო, თავი დაუქნია კითხულმა.

მალაქ-შაჰს სასახლე თუ გინახავსო?

რომელი ერთითო?

„ჯამი აღ-სულტანის გვერდით, საზაფხულო სასახლე სულტანისა“.

მინახავს დიხაც.

„მამ შენ თუ ამ სასახლეში მართლაც ყოფილხარ, სავარდევ გექნება სულჯუკიანთ სულტანისა ნახული, ბერო?“

მინახავსო ეგეცა.

„მამ ეგეც თუ გინახავს, ბერო, ვაზაფხულის პირზე ვარდები კოკრდებიან იმ ბაღნარში, თეთრი, თეთრი კი არა, მოთეთრო, ხანდაზმულ სპილოსძვლის ფერისა“.

მინახავსო ეგეცა.

„მამ ეგეც თუ შეგინიშნავს, უნდა გამოგიტყდე სწორედ, იმ ვარდებს მაგომებს შენი პატრონის ასული, ბერო. მე ბევრი მათრია ბედმა ისპაჰანსა და ბაღდადს შორის, პალაბისა და ანტიოქიის დიდ საქარავნო გზებზედაც მივლი დიდხანს, მაგრამ ღედისიმედის უტურფესი პირდაბურულ დედათი შორისაც არ მინახავს, ბერო“.

კოზმანი ამღერა, ვერ გაეგო თუ რად აქებდა მასთან ორბელიანის ქილის აღსართან.

ხატად დარჩა, აღარ იცოდა რა ეპასუხნა.

ბოლოს შეუფარველად მიეახლა საუწყებელს აღსართან.

„შენ რა ჰქენი, ეპისკოპოსის ტახტზე როდის ვიბილავთ, ბერო?“

არც ამ კითხვას მოელოდა კოზმანი მისგან. თავი მოიკატუნა, რა განსწავებო ბერულ ჩოხასა და ეპისკოპოსის ომფორს შორისმ

„მე ასე მეგონა“, განაგრძო აღსართანმა საკმაოდ გულგრილად, *სწორედ* მაინც გახდიდა შენი პატრონი კირიონ მანგლელს საეპისკოპოსო ობიექტს“.

„კირიონ მანგლელი დავით მეფის მსტოვარია და ეგ არც კი შეადგელია, უფლისწულო ბატონო“, — მიუგო კოზმანმა.

„კახეთ-ჰერეთშიც მრავალი გვეყავდა ურჩნი მღვდელმთავარნი, მაგრამ კვირიკე მეფე არ დაპრიდებია განკვეთას მათსას. ერისკაცნიც ვაკურთხებინეთ ეპისკოპოსად, თუნდაც მოდისტოს რომ ვახსენოთ, ძაგანის ძმავი“, — ამბობს აღსართან.

მცირე ხანს დადუმდა აღსართან, რადგან ქოშების ტკაუნნი მოისმა ტალანდთან ანაზღად, შემდგომ ამისა განაგრძო:

„ბარქიაროკის ვარსკვლავი ბნელს ჩაესვენა, ველარც დავით მეფე ელირსება დედისიმედის ქმრობას, მაგ დიაცს თუ ჩამაგდებინებ ბელში, გინა ძელზედაც გაესვამ ბოდველ ეპისკოპოსს მაკარის და მისი ტახტი შენ დაგრჩება, ბერო“.

კოზმანმა ისეთი შეურაცხყოფა იგრძნო ამ წუთში, როგორც მაშინ, როცა მახარაიმ სამი ღერი ბეწვი ააგლოჯა ცხვირიდან, მაგრამ ძლიერთა ამ ქვეყნისათა წინაშე მუტელზე ხოხვას მიჩვეულმა ეს სირცხვილიც შესკამა და უტიფრად ლიქნიდა აღსართანს:

„მართალსა ბრძანებ, უფლისწულო ბატონო, ბარქიაროკის ვარსკვლავი მოიცვა ბნელმა, ხოლო დავით მეფის დასახვედომად ციხეებს ამაგრებენ თრიალეთის საერისთაოში. ან ვინ მიაშავებს ლიპარიტ დიდის ნაშიერს უბრალო აზნაურს, თუნდაც ციხოვანს. მე ასე მეგონია, აღსართან ბატონო, მხოლოდ კახეთ-ჰერეთის მეფეს თუ მიათხოვებენ დედისიმედს, თუნდაც იმიტომაც, რომ უტურფესი უმამაკესის კერძი ყოფილა მარადეამს“.

ამას ამბობდა კოზმანი, თუმცა არაგად იცოდა, აღსართანს ცოლიცა ჰყავდა და სამიოდე ხარკაცა.

„შენ მართალს უბნობ, ბერო“, მიუგო ამ ხოტბისაგან წახალისებულმა; „ამ დიაცს საკადრასი ტახტი უნდა დაედგას, მაგ საროსტანსა და თამაშესკას, დედისიმედს უთუოდ დაამშვენებდა მეფური თაჯი და გვირგვინი. ან რა გამოგა უბირი აზნაურის კერას უჯდეს იგი სელის მბეჭველად“.

კოზმანის გულს ორღესული მახვილით მისწვდნენ ეს სიტყვები, რადგან ამ „უბირ აზნაურად“ იგი თავისთავს გულისხმობდა და არც იმედი ჰქონდა სავსებით დაკარგული, რომ წაიდებულნი ქორების ულუფა ჰიკეპაის კერძი გახდებოდა ოდესმე. კეუასთან ახლოს იყო ეგ ამბავიცა:

დავით მეფეს ახალი მოდავე უნდა გასჩენოდა. ვიდრე აღსართან ცოლს გაეყრებოდა და თავის ხარკებს ჩამოიცილებდა, მანამდის ბევრი წყალი ჩაივლიდა, მოვლენანი ისე სწრაფად ვითარდებოდნენ, ბაგრატიონი და კახთა მეფე სამკედრო-სასიცოცხლოდ შეებმოდნენ ურთიერთს.

მზერა ესროლა აღსართანს ბერმა.

ოჯდა ბექპრტყელი, მკერდგანიერი ვაეკაცი ორხოვის საფენზე. დიდად შეენოდა მას ვეფხისფერი კაბა ფარჩისა.

თავისი თეთრი, გრძელი თითები ჩანვის დადუმებულ სიმეზზე დაეწყო უქმალ. აღუჩინებური თვალები ჰქონდა მას; ისე ზანტად აფახულებდა გრძელსა და შავ წამწამებს, თითქოს თვალს ლულავსო ოდნავ მთვლემარე.

ახლა შედრკა აღსართანის მშვენებისაგან შურით აღვსილი ბერი, შეეშინჯა: მართლაც არ მოზიბლოსო მაგ ოჯახქორმა დედისიმედი. გულით ვწადა

გამოეციოთა სტუმრისათვის, როდის მიბრძანდებო იხვეე გვეინჯ მავრამ საბაბი ვერ ეპოვნა ამისა. სწორედ ამ დროს შემოვიდნენ ნახტუმრო/დარბაზში, კატაი, დედისიმედი და ნაზო. მანდილოსნების დანახვაზე ზეწაწილიკრა აღსართან და შეეგება თავმოდრეკილად წინ.

მესტუმრეთუხუცესი შემოვიდა, ნარდი გაშალა და წინ დაუდო სტუმრებს. ერთი ხელი ითამაშეს აღსართანმა და ერისთვის მეუღლემ.

ბოლოს წამოდგა კატაი, საოჯახო საქმეები მოიბოდიშა, დედისიმედსა და ნაზოს უბრძანა: გაერთოთ სტუმარი.

კოხმან ბერი დარბაზის კუთხეში იჯდა, წმინდა სერაპიონის მარტილოზას ფურცლავდა. ეამიდანეამზე ქურდულად გადახვედადდა ხოლმე აღსართანა და დედისიმედს. ბოლოს ასე დაასკვნა თავის გუნებაში ბერმა: ერთი მეორის ჯუფთებად გაუჩენიათ ეს ორი მშვენიერი არსება უფალს. ბოლოს შეანდგლიანობა წამოეძალა ამის შემცნობს, ძლივს აითრია წელი და დარბაზიდან გავიდა. როცა ნაზოც მას მიჰყვა, აღსართანმა კამათლები მუქში მოიმწყყედია. დაანხრიალა და სთხოვა დედისიმედს: ერთი ხელი ვითამაშოთო.

„აქი მოგახსენეთ, აღსართან ბატონო, წედან, არ ვითამაშობ მეთქო ნარდს“, მიუჯო ქალმა.

„ბა სანადიროდ წამობრძანდით ხვალ.“

დედისიმედმა გაოცებული მხერა ესროლა სტუმარს.

„აღსართანი თამაში იყო მანდილოსნების მიმართ მოქცევაში, ისე როგორც მომეტებულად ლამაზ ვაყავებს სჩვევიათ ხოლმე ეს, ამიტომაც შეუფარველად შეკადრა დედისიმედს:

„ნუთუ დავით მეფის გარდა სხვას არავის წაჰყვებით სანადიროდ, ერისთვის ასულო, ბატონო?“

წარბები აწეობა დედისიმედმა, გაუკვირდა: საიდან მოჩმახაო ეგ ამბავი აღსართანმა? ივარაუდა: სათაფლიას ცხენით წასვლას გულისხმობსო ალბათ. მაინც არ უცდია უარყოფა ხსენებულისა.

ამ დღემილისაგან უხერხულობა შეიქნო აღსართანმა, საქციელი წაუბნდა, ბნედა მოჰგვარა მისმა სიტურფემ ეგზომ უკარებელმა, გაშლილი ნარდის პარცსპირ მჯდომარეს თვალი გაუსწორა და უთხრა:

„ალბათ გაგიკვირდა, თუ საიდან გავიგე ეს ყოველივე მე, მიტომაც გაოცდი, ერისთვის ასულო, არა?“

„არა, უფალო ჩემო, პირუთენელად რომ მოგახსენო, მე იმან გამაოცა. დავით მეფეს რომ უტოლებ ასე ხელალებით თავს?“...

აღსართან განებვირებული იყო დიაცების მიერ, არ მოელოდა ორბელიანთა ქალისაგან ასეთ უხეშ პასუხს, თავით მას ვერა აკადრა რა, მოურიდებლად მისწვდა „აფხაზთა მეფეს“ დავითს, „მუხანათი და ვერაგი“ უწოდა მას. ასეთობრალიც დასდო: გიორგი მეფეს სიკვდილიც არ დააცალა, ისე მიიტაცაო მამისეული ტახტი. არც ეგ იკმარა გახელებულმა, სულ მცირე ხანი გამობდება და ჩვენ მოუფთავებთო ხელს „მაგ გულარძილ მეფეს“.

დედისიმედს დაწვის თავები აელეწა ამის გამგონეს. საქმოდ მკვაზე სიტყვები მოაღდა ბაგეზე, მავრამ პატივი დასდო სტუმარს, ზედიზედ დააფახულა წამწამები და გულდამშვიდებით მიუჯო:

„მე ავრე მგონია, აღსართან ბატონო, ყოველი კაცი იმას უნდა ცდილობდეს, ქადილის დროს შემოდგომის ქუხილს რიდი მიბაძოს, ამაოდ მოგარუ-

ხუნეს ეთერში, არამედ გრვეინვას გაზაფხულისას, წვიმების მოსვლას რომ გვაუწყებს წინასწარ.“

აღსართან აიძვრა, დავით მეფის ქირღვა უნდა განეგრძელებინა, მაგრამ მესტემრეთუხუცესი შეშოვიდა და პურობაზე აწვია სტუმარს.

როცა ნადიმი დაიწყო, აღსართან კვლავ მიეძალა ღვინოს. რატევანურ თეთრს მთარმთვედნენ მელვინენი. ზედიზედ სვლიდა ფიალას. რატიც ამჩნევდა უფროდაუფრო თვრებოდა აღსართან, ქაშნაგირს თვალი უყო, უბრძანა: ბოლნისური მიერთმიათ ახლა რკოსფერა, რადგან რატევანური ძელი იყო ფრიალ.

ღვინოს გამოკვლაც შეამჩნია მთვრალმა, ახირდა: რატევანური მასვითო, ბატისკუქის ფერისა, ძაგანმა იცოდა უხიაგი იყო ნასმურევეზე აღსართან, მან უკვე უქბიჩა ბროლის ქიქას ერთს და თხილივით დაღეწა ნამუსრევი თავისი მშვენიერი კბილებით. რატის უჩურჩულა ძაგანმა: როგორმე საუბრით შეიქცეო და მოეარიდოთო ღვინოს.

რატი მიუჯდა სტუმარს, დავით მეფის ძაგება წამოიწყო ანაზღად; აღსართანმა სიტყვა ჩამოართვა, უშვერი სიტყვებით იხსენიებდა მეფეს.

ღედისიმედმა ყური მოჰკრა თუ არა მის ნათქვამს, აღვა, დასტოვა დარბაზი. კატაი გაფითრდა, ღიპარტმა ეს შენიშნა, მაგრამ თვალი აარიდა ამ ამბავს.

აღსართანმა უფრო ახლოს მისწია რატისაკენ თავისი სელი და უჩურჩულა: „ნიშნობა ხომ არ შემდგარა შარშან?“

რატის ბაგენი მწარე ღიმილმა შესძრა, ბოლოს გამოყოფა გესლმა:

„დროზე გაფრთხილდა ის მართვე გესლისა, ეს რომ არა, სისხლიან ქორწილს ვეშაბდებოდით კლდეკარის ციხეში“.

აღსართანმა იქედნურად სთქვა:

„ვაგაზ, ეს შემთხვევა არ უნდა გავვეშვა ხელიდან, რატი, ტაძრული-თურთ უნდა შეგეპყრო იგი, გიორგი მეფე უომრად დაგვეთმობდა შიდა-ქართლს.“

რატიმ ასე მიუგო:

„გიორგი მეფეს უკვე აღარაფერს ეკითხებიან გეგუთში ამ ქამად, არც დარბაზის ერთა და ეპისკოპოსებს; ახლა დავითი, ჭყონდიდელი და ახალგაზრდა სპასალარები გვიგებენ ხვანჯებს.“

„მე ვფიქრობ, ამაოდ ჰგონია ღიპარტის, განავრძო აღსართანმა ხმადაბლა, „თითქოს ბეშქენის ყმანი ყოფილიყენენ ის მეკობრენი“.

„მაშ ვინა?“

„იქვი არაა, დავით მეფემ მოგიგზავნა ეგ ქონდაქარნი.“¹⁾

რატი დაფიქრდა, შემდგომ ამისა სთქვა:

„თავდაპირველად მეც აგრე მეგონა, ვანა? მაგრამ დაბეჯითებით ამტკიცებს მამაი: ბეშქენ ჯაყელმან მოგიგზავნაო იგინი“.

„აგრეც რომ იყეს, სიფრთხილე გმართებს დიდი. ხვალაც ერიდე განმარტობას, იცოდე“.

„არა მგონია, დიდის ამალით გასულს, შემომბედონ მეკობრეთა წინ გადადგომა“.

აღსართანმა კვლავ მოსვა ღვინო და სთქვა:

¹⁾ ქონდაქარი — მცველი მეფისა, ჯალათი, ჩუხჩი.

„თუ ყიფნაღათა ძალნი მოირთო მეფემ, მერმე გაგვიქირდება თუნდაც ოთხივეს მისი დაჯაბნება, ეგ იყოღე, რატი, ამას ვეჩინინები კვირიკე მეფესაც დღენიდაღე ვეყინში, მანამდის უნდა მოვაშოთთ აფხაზთა მეფე როგორმე“.

ახლა კატაი მიუჯდა ორთა, ევეღრა: ცუდი სიზმრები მაქვს, ნუ მოდინაოთხ ხვალ სანადიროდ შაოხს. ბოლოს რატის მიუბრუნდა: „მამაი ეახლება სტუმრებს, შემოდგომაზე მოასწრებ ირემზე ნადირობას, შეილო.“

თავისებურად გაჯიქდა რატი:

მომგზერდა ამ ხულუტის ციხეში ჯდომა. უსაქურვლოსა და უხმლოს თავს დამეცნენ თავლებთან, ისე როგორ ვამბებდენო მშიშარა ჭონდაჭარნი ვზაზე გადადგომას?

* *

მეორე დღეს სამასიოდე თოროსანი აზნაური ეახლა საპატიო სტუმრებს, გარდა ამისა რატიმ თან წაიყვანა ლიპარიტის უბნის, მანგლისისა და კლდეკარის სსახლეთა მენადირენი, მეხუნდარნი, მარეყნი და კურძვალნი. სამოციოდე წყველი მადევარი თან წაასხეს შეითარებმა. სამი კარავი და ათი სპალნე დვინო თან წარიტანეს ჯორების შეიდეულთ კიდებული.

ჯერაც ლიპარიტის უბნის ტყვეებიდანაც არ იყვნენ გასულნი, მთელი ჯოგი წინ გაიგდეს არჩვისა, ჭიქიანის ტყემდის ხდიეს ცხენდაცხენ და უკლებლად ამოხოცეს გზადაგზა.

მიწუხრისას ჭიქიანში დასცეს ბანაკი, კოცონები გააჩაღეს, კვარის მამხალები აანთეს და მწვადები შესწვეეს.

გათენდა თუ არა, ჰკრეს დუმბულებს, ძაღლების გნიასმა გამოაფხიზლო მთელემარე ტყვეები. მზის ამოსვლისას მადეგრები გაუსიეს ტყეებს. ნასუქალ ულაყებს შიაჯირითებდნენ ნასმურევი აზნაურები, ელავდა თორმუზარადი მზვარეში, ომში მიმავალ კოპორტებს უფრო მიაგავდნენ ისინი, ვიდრე მშვიდობიან მენადირეთა.

ჭიქიანის მუხნარებს გასცდნენ თუ არა, შემოესმათ დიდი ბუკის ხმა. ყველაზე ადრე რატიმ შენიშნა: ოციოდე ხარირემი და ხუთმეტიოდე ფური დაეშვა დღმართში ფრუტუნითა და სტვენიოთ. საშინელი გნიასი მორათეს მადეგრებმა და გამოუდგნენ ლავღით ირმეს ჯოგს.

ეგეც დანიახა რატიმ: მისმა საყვარელმა მადევარმა სეირამ გაუსწრო ტოლებს, წამოეწია ჯოგს, აკანთის ბარდებში მიმწყვედელს, და ბარძაყში ეძგერა ფურთაგანს ერთს. გამოენთო უზარმაზარი ხარი, ურქინა მადევარს, წამოიკვა რქებზე და დაახეთქა მიწაზე.

რატის არ უნდოდა წინ გასწრება ამაღისა, მაგრამ იგი ისე გაამწარა მადევარის დაღუპვამ, საშინელის სისწრაფით მოსწყვეტა თავისი ულაყი მრეში, არ დაერიდა დაღმართში ჭენებას, მაგრამ დაწინაურდნენ ხარები, ზურგზე გადაიწყვეს ჭორბუღიანი რქები, დაგლიჯეს აკანთის ბარდები და გზა გაუაყვეს ჯოგს.

ლიპარიტს ცხენი მრავალგზის წაქცეოდა ამ აღმართში ჭენებისას, მაგრამ შეეშინდა, ხიფათი რამ არ შემთხვეოდა რატის, მანაც გაქქესლა ცხენი, როცა ვაეკებაზე გავიდნენ, ლიპარიტი კარგად ჰხედავდა, თუ რა ამაოდ ესროდა ისარს მისი ვაჟი წინ მიმჭროლავ ჯოგს, მალე ისევე აკანთიანი ტყე დაიწყუო, ღირღალიანი აღმართი, ანაზღად გამოვარდა ფშალათი დაბურღულ ტყერიდან ხარირემი, ლიპარიტმა ესროლა, დაჰკოდა ნადირი, წაიფორთხილა

ორგმა, ეძვერა აკანთის ბარდს, ვაგლიჯა იგი და წამოეწია წინ მიჰქროლა ჯოგს, მასაც ესროლა რატიმ, მაგრამ ხელი მოეცარა კვლავ.

უკვე შაორის ხეობამდის მისდიეს ჯოგს, დამფრთხალი ნადიროვ მიჰყვა უბშირო არყნარს, აქ უფრო მეტად ღირღალიანი იყო თავისი დამფრთხალი ბილიკები, დიქიანი ალაგ-ალაგ გზას უღობავდა ირმებს, მაგრამ ისინი შეუპოვრად იკაფავდნენ გზას, ხოლო მხედრებს გზამოვლით უბნდებოდათ დამრტყილ ბილიკებზე კენება.

მხარმარცხნითა და მხარმარჯვენით მიჰქროდნენ მარეკნი, ისინი ღუმბულებს სცემდნენ, ლერწმის სონარებით უსტვენდნენ, რათა ჯოგი არ გაფანტულიყო ხეობაში როგორმე, ამიტომაც იმედი ჰქონდა რატის, შაორის ხეობიდან თუ გამორეკავდნენ ჯოგს, იგი ფანავრის ტბამდის ირბენდა ხეყეყე.

ბოლოს ირმებს მოიმწყვდედნენ ფანავრის ტბის გარშემო გაშლილ ჭოჭში, იქ სადაც შაორის წყალი შეერთვის ტბას.

მხოლოდ ორიოდ უტრევანი უკლდათ ფანავრამდის, როცა ვილაყ მეთევზენი წინ შემოეყარნენ და დაუსტვინეს ჯოგს.

თავი აღირეს ირმებმა, არყნარიდან მხარმარჯვენით გადაუხვიეს და შაორის ქარაფებს მიადგნენ, კბოდე მაღალი იყო, ხარებმა ისეკუპეს, წყალში გადაეშენენ, ხოლო ფურები შედგნენ, ჯერ ნაპირნაპირ ირბინეს, რა დაწინაურდნენ, კვლავ შეეხიზნენ არყნარს.

ლიპარიტმა თვალი მოჰკრა: სამმა ცხენოსანმა გადასტოპა შაორის წყალს და ვალმა ვასდია ხარებს.

ეს სამნი რატი, აღსართან და ძაგანი ეგონა ლიპარიტს. ეშმას თვალი არ უჩანსო, გაიფიქრა თრიალეთის ერისთავმა, ამიტომაც გადასწყვიტა: თავათაც ვალმა გაჰყოლოდა ხარებს.

შაორის კიდემდის მისული არ იყო ლიპარიტ, როცა მან შენიშნა ახლა: ცხრა ცხენოსანი მიადგა იმავე ქარაფს, საიდანაც ხარიჩმები გადაეშენენ წყალში, ცხენები მდინარეში გადაახტუნეს, ლაქაშიანი ველის პირი გადაიარეს და ტყეში შეაგელვეს ისინი.

ჩენი შენადირენიაო, გაიფიქრა ლიპარიტმა, თავათაც მიადგა იმავე კბოდეს. სამგზის მიადგო თავისი ულაყი ქარაფთან, მაგრამ ვაუოჩნდა პირუტყვი, უცნაური ფრუტუნე მორთო ანაზღად. ბოლოს აღმა აჰყვა მდინარეს ლიპარიტ ფონზე გადაიყვანა ცხენი.

აქ უკვე ლაქაშიანი სადები დაუხვდა ლიპარიტს. ანაზღად თვალი მოჰკრა: შენადირეთუხუცესი და ორი შეითარი გადასულოყვნენ ვალმა და აუჩქარებლად შედიოდნენ ტყეში, ამაოდ ეცადა, მაგრამ ხმა ვერ მიაწვდინა პატრონმა.

ცხენი შემოაბრუნა, მხარმარცხნიდან შემოუარა ჭოქს, ახლა იმავე კბოდეზე, სადაც მან ვერ შესძლო ცხენდაცხენ გადმოსვლა, თავისი მებაჯრე დაინახა ერისთავმა.

უყვილა: საითკენ წავიდაო რატი?

ყურზე ხელი იფარა მებაჯრემ და მიუგო: ფურებს ვასდიესო რატიმ და სტუმრებმა.

კვლავ ვალმა აპირებდა ლიპარიტ გადასვლას, მან შეამჩნია სისხლისგან დაკვარული კორდელა გზის პირად.

აღბათ ჩემს მიერ დაკოდილი ირმისააო, ეს გაიფიქრა, მაინც შემოაბრუნა ცხენი, მაგრამ სწორედ ამ წუთში მოესმა ირმის ბლავილი მახლობელ ტყიდან.

... გოცდა ოდნავ: მენადირენი კვალდაკვალ მისდევდნენ ხარებს, ერთი ირემი როგორ გამორჩაო მადეეართა და მარეეებს? ასე ივარაუდა მონადირემ მრავალნაცადმა:

... აღბათ ჩემს მიერ დაკოდილი ირემი ჩამორჩა დანარჩენებს ტყეში, უნდებში, ჩაეფლო საღმე და იგი ბლავისო უღონოდ შექმნილი.

... მშენიერი დილა იყო გაზაფხულისა. ცხენის ფლოქების თქარა-თქურზე მორიგეობით დგებოდნენ ხობბები. მცირე მანძილს, გაირბენდნენ მამლები, ახორხოვდებოდნენ გოროზად და შხელით აყრუებდნენ ღიქიანს.

გულმა ველარ მოუთმინა ღიქიანს, ისარი ესროლა ზედ ცხენის ცხვირის წინ. წამოვარდნილს ერთს. ხობობი შეტორტმანდა ჰაერში და ქვესავით მოწყვეტილად ჩავარდა აკანთაში.

... დაქვეითდა გამარჯვებული მენადირე. ხეზე მიიბა ცხენი, დიდხანს ძებნაც არ დასკირებია, მაცვლნარში იჯდა უსულოდ შექმნილი, მშენიერი ხობობი, ისარი მამფურივით გარკობოდა მას.

თავისი სიკბაუეე მოაგონდა ერისთავს. სწორედ ამ ნაკრძალში ნადირობდა იგი ოცი წლის წინად და ამ ადგილას შემოაკვდა მამალი ხობობი. ნანადირევი ტატბზე დაიკიდა, უცნაურად წამოეძალა სიხარული მის გულს.

ერთადერთი ეს აწუხებდა ოღონდ: რატი რად დავტოვეო შორს გადაღმა? შიპქროლებდა დაუზოგავად ცხენს. გადაწყვეტილი ჰქონდა: ჩემს მიერ დაკოდილ ირემს თუ მივაკვლიე, ისევ გადავლახავ მდინარეს და წამოვეწვიო რატის.

... ვრეკლ ახოში. გზაჯვარედინს მიადწია მხედარმა. ცხენის თქარათქური შემოესმა ანაზად. მიიხედა განზე: ვილაც ტყავაკბიანი მხედარი გამოვიდა ახოში. ღიქიანი დაინახა თუ არა, დანდობილად გადაუხვია საურმე შარიდან, ბოროტი მხერა ესროლა ერისთავს და აკანთით დაბარდულ ტყეში შეაგდო ცხენი.

... ამათ ცვალი შეასწრო ღიქიანს: ისრებით გავსილი კაპარკი ეკიდა მას შარზე, უნაგირს უკან სამიოდე ხობობი, ერთი მათგანი ცოცხალი იყო ჯერაც, ფართხალბედა დაკოდილად ფრინველი.

გაქელდა ღიქიანი, ჯერ კიდევ თავის წინაპრების ნაკრძალ სანადიროში უცხო მონადირე რა დაინახა.

... შესდგეო, უყვილა უცხოს. მაგრამ ირმის ბლავილი შემოესმა კვლავ. ეს არა ჰგავდა ძახილს ფურისმონატრულ ხარისას, უფრო მეტად, დაკოდილი ირმისას. დეზი ჰქრა ღიქიანს ცხენს და ტყეში შეაგელვა ქენებით. შორიდან, ძლიერ შორიდან მოისმოდა ბუკისცემა და მადევრების წკაცწკავი.

... მცირე მანძილი გაიარა ღიქიანში ღიქიანს და კვლავ მოესმა საწყალო-ბელი ბლავილი ირმისა. ისევ ახოში გამოვიდა, ახლა სულ ახლოს გამოავლდა: ცხენი უცნობმა მხედარმა, ოღონდ ეს იყო, მას რკინის ჩაბალაბი ეხურა თავზე, გაღვილ ტყავაკბიდან თარი მოუჩანდა ძერასფერი.

... ღიქიანის დანახვაზე ხმალი გააშეშელა და მოსწყვიტა ცხენი. ჯონდი ერისთავი შეიქონა ორბელიანმა, მაგრამ ვიდრე ხმლის ვადას მისწვდებოდა თავათაც, ავრუთვე ტყავაკბიანი მხედრები გამოეშურნენ მისკენ, ქამანდერს ქსრარლეს ზედმოდ ორთა. იარაღის მოხმარაც ვერ მოასწრო დაფეთებული ცხენი მიერ გატაცებულმან ღიქიანს, ისე დაითრია ქამანდის საბელი ქარა-მან ბეტიელმა და ცხენიდან გადმოაგდო იგი; მუზარადი გადაძვრა თრიალეთის ერისთავს და გავორდა ჩირბეში.

პირველად ჯონდი ერისთავი წამოადგა წაქეულს თავზე და მკრისხნედ შუბლშეკმუხენილმან ამცნო:

„სახელითა დავით, აფხაზთა და ქართველთა მეფისათა, შეპყრობილნი ხარ, ამირა ლიპარიტ“.

პასუხიც არ აცალა ქარიშხან სექტიელმა ორბელიანს, პირში ბურთი ჩასხარა მხრებგაკრულს, თავზე ხურჯინის ცალი თვალი გადააცუვა, დაითრია და ცხენზე შეაგდო იგი, ახლა დანარჩენი თავვერელები მისცივდნენ, მაგრად მიიბეს უნაგირზე თასმებით და მეჯინიბე ლორღია უკან მკუსვებს ტყვეს.



სამი ფურირემი მოიტანეს აღსართანშა, ძაგანშა და ჯატიმ ლიპარიტის უბანში. აღსართანს ბატისჭყისფერი ღვინო და დედისიმედის ქერეტა მოენატრა კვლავ, ნადიმი განაგრძეს, ლიპარიტის გამო ჯერაც არ დარღობდნენ, რადგან მენადირეთუხუცესი და მეითარნიც არ იყვნენ შაორიდან მისულნი. როცა ისინიც მიბრუნდნენ ნენადირევით დატვირთულნი და განაცხადეს: „შაორს გადაღმა არსად გვინახავსო პატრონი, აიყარნენ სტუმარ-მასპინძელნი, შოელ კვირას ძებნეს შაორს გაღმა-გამოღმა ლიპარიტ, მხოლოდ მუზარადს მიაყვლიეს მისას.“

როცა მარტოოდენ მუზარადი მოიტანეს ლიპარიტის უბანში, დაწევი დაიხოკეს დიატა. თემის ხევიდან ამბავი მოიტანეს მწყემსებმა: ცხრა, ტყავკაბიან მხედარს ერთი თოროსანი რაინდი მიჰყავდათო თავშებურვილი შავად.

ახლა დაეთანხმა აღსართანს რატი: დავით მეფის ქონდაქარებმა შეიპყრესო თრიალეთის ერისთავი, ალბათ. სტუმრები დაფრთხენ, აღსართანშა და ძაგანშა ვეების მიაშურეს ამალიანად, ზოლო რატი ორბელიანი კლდეკარის ციხეში გამაგრდა მყისვე.

LI

ნაზარმაზები

კირითბურონი, კალატონი და დურგალნი მოასხეს მეფის ბრძანებისამებრ, ნაქარმაგვეის იავარქმნილ სასახლის აღსადგენად, შვიდი ტიხსკელეტეს ხელმძღვანელობდა ოთხგოდოლოსანი ზღუდის შეკეთებას, ზოლო ქუკანკი¹⁾ და მერუენი შადრევნებისა და მილის წყაროების განახლებას.

გიორგი ჭყონდიდელი თვალყურს ადევნებდა მათ, თავათ აღიოდა ხარაჩობზე. ხანძრებისაგან გარუჯულ პალატებს ხელახლა ღებავდნენ და ამკობდნენ ფრესკის მხატვარნი, მეზღენი და მესაბანჯენი ხილნარსა და ბალობოსტანს უვლიდნენ. მეზერენი ხურმის ხეებზე მიშვებულ ვაზებსა სხლავდნენ. გულითადად ერთობოდა ამ საქმით ჭყონდიდელი, რადგან ახარებდა პირისჩენა ჩანაცრულ ნაფუძარებზე გაღვიძებული სიცოცხლისა.

აგრე უყვარდა მას აღორძინება მორჩისა, მაგრამ როცა მასთან მოვიდა მესილეთუხუცესი და მოახსენა: ბაგრატ მეფის დროინდელი თრიმლიანის მსხლის ხეები მოვჭრათო, შეყოყმანდა ვაზირთა უპირველესი.

„რაო რად უნდა მოვჭრათ, მარკოზავ?“ — შეეკითხა იგი.

¹⁾ ქუკანკი — მილის წყაროს მკაზმავი, თიხის წყალსადენის გამყვანი ოსტატი.

„რათა და ეს ბებერი მსხლები აჲ ველარ მოგვეყმენ ნაყოფს, ~~იქნა მხო-~~
ლოდ ჩრდილავენ ახალ დარგულ ატმებს, ვაზირთა უბირველესი, ~~ბარბო~~“.
შეყოყმანდა, ბოლოს ეს უთხრა ახალგაზრდა მებაღეს:
„ნუ გიყვარს, მარკოზ, გარდასულ მოგონებათა გამოფენა ^{ეკონენული} ~~მოგონებულ-~~
ალებით.

მორჩი მხოლოდ მაშინ დაამშვენებს ბაღს, როცა მობერებულნი ხენი
თვალნათლივ მოწმობენ ხანდაშეშობას ჩვენი ხილნარისას“.

გრძნობდა: მართალი იყო მებაღე, მაგრამ მეფის უკითხავად ვერა ბრძანა
იმ ხეთა მოკვეთა, რადგან იცოდა: დავითს უყვარდა ყოველივე, რაც პაპა
მისის თვალშენავლები ყოფილა ოდესმე.

ეს გაიგეს მევენახეთაც, ვერაჲინ ბედავდა უკვე გაბერწებული ვაზების
შოკრას. ვაზს ევლებოდნენ ისინი უმწვეანო ხეებს; კვირტებს ისხამდნენ,
პეკავოდნენ კიდევაც, მაგრამ უნაყოფონი იყვნენ, როგორც სიბერე თავათ.

უჩვეულოდ მოსვენებული გაზაფხული დაუდგა ვაზირთა უბირველესს ამ
წელს. დილით ილოცავდა, შემოუვლიდა ოსტატებს, ყველას თავიანთ ად-
ვალს რა შეიგულებდა, მიდიოდა ხილნარში, მუშაობდა თავათაც, უხაროდა
თუ როგორ წითლდებოდნენ ვაზის ლერწები და რა დაჲინებით ამოდისოდი
მიწიდან თესლის წიაღიდან მკედრებით აღმდგარი სიცოცხლე.

სიცოცხლე იღვიძებდა არა მარტო ხილნარში, ნაჭარმაგვეის იაერკწნი-
ლი სასახლე ახალი სხივითა და ბრწყინვალეობით იმოსებოდა, მაგრამ აღარ-
სად სჩანდა თავათ ფეი, ვისთვისაც ეს ყოველივე კეთდებოდა ეგზომ დიდის
გულმოდგინეობით.

მსგეფსი მსგეფს მისდევდა და მეფისაგან არა ისმოდა რა.

ბოლოს მალემსარბოლიც შოვიდა ნაჭარმაგვეს, მაგრამ გეგუთიდან წარმოგ-
ზანელი. ელენე დედოფლის საწოლის მწიგნობარი ხელს აწერდა წიგნს.

უსიამო ამბებს იუწყებოდა დიოფალი: მარიამ დედოფალს მიეწერა გე-
გუთში, კეისარს, ალექსი კომნენის ტახტისმტედ გამოეცხადებინა თავისი მცირე-
წლოვანი ვაჟი — იოანე; აქამდის თანაიმპერატორად ითვლებოდა მარიამ
დედოფლის პირშეშო კონსტანტინე პორფიროგენეტი, კესაროსი და კანონი-
ერი მემკვიდრე, ღვიძლი შვილი კეისარყოფილის მიხაილ VII დუკასი.

სულ მცირე ხანში გეგუთს აპირებსო მარიამი ჩამოსვლას.

ჰყონდიდელი ხედავდა: გეგუთში უჯუნებობას დაჰბადებდა ეს ყოველივე.
გიორგი მეფე დარდისაგან ავად გახდაო, იუწყებოდა დედოფალი ელენე.
კონსტანტინე პორფიროგენეტის გაკეისრებას დიდის იმედით შესცქეროდ-
ნენ როგორც გიორგი შეორე, ისე დიდებულთაგანნი ზოგნი, რადგან ბიზანტი-
ის ტახტზე ბაგრატიონთა ნათესავი სისხლისმიერი საქართველოსათვის ნუ-
გეშინას მომგერელი იქნებოდა მაინც, ამ ბარათიდან სჩანდა, დედოფალს
ელენეს ერთადერთი ის ახარებდა, მარიამ დედოფლის ჩამოსვლა უთუოდ
დააოკებსო დავით მეფეს და თრიალეთის საერისთაოს შემომტკიცებაზე ხელს
აალებინებსო მას.

დასასრულ ერთ რამესა სთხოვდა დიოფალი, თუ დავითი ვერ დაითანხმო,
შენ მაინც ჩამობრძანდიო თუნდაც სამი დღით.

ჰყონდიდელი ისე დააღონა ამ წიგნის გადაკითხვამ, გადასწყვიტა: შეორე
დღესვე წასულიყო გეგუთს.

სწორედ იმ საღამოს მახარაი ჩამოვიდა და ამცნო პატრონის ნაბრძანო: ნა-
ჭარმაგვეს მომიცადეო.

ისე გაოგნებული სჩანდა ამბის მომტანი, ალი შეჰყრიდა თითქოს ოფელში გაწურული ენას ძლივს აბრუნებდა პირში. მეჯინიბეთუხუცესს წამოყვდა: ბირკაში იყოფო ამოგანგლული კენებისაგან გალახული ცხენი.

მრავალგზის ჩაჰკითხა ვაზირთა უპირველესმა, მაგრამ ^{კონსტანტინე} ვერ ათქმევინა მანც: სახელდობრ თუ სად იყო მეფე?

ბოლოს ეს და უნდოდა ვაეგო ჭყონდიდელს: როდის ჩამობრძანდებო პატრონი?

„აკი მოვახსენეთ, ჭყონდიდელო ბატონო, როდესაც ჩამოვა, მაშინ ჩამოვა მეფე“, — აგრე მიუვო, ბელი ჩაიქნია უკმეხად და უფურცივით გავიდა დარბაზიდან იგი.

მცირე ხნის შემდეგ ისევ შემობორიალდა და ამცნო:

„ეგეც ვიბრძანა პატრონმა: მალე მსრბოლი წარგზავნე ვეფუსს, მარგვეთელნი ლაშქარნი იხმო“.

ამ საღამოს შეუძლოდ იყო ჭყონდიდელი, ამ ამბავმა გუნება წაუხდინა მას უარესად. ყოყმანობდა მალე მსრბოლის წარგზავნას. იცოდა: მარგვეთელ ლაშქართა ხმობა შეაერთებდა მეფე გიორგისა და დედოფალს ელენეს.

ფარეშთუხუცესი იხმო. ამცნო მოსალოდნელი მობრძანება მეფისა. უბრძანა: დარბაზები დაასუფთავეთო, დიდნი სასანთლენი დაფერეთ, ორხოვები, დორები და საფენები დააბერტყინეთ, ხატებს სანთლები დაუცვალეთო.

ჩვეულებისამებრ მზის ჩასვლისას დაწვა ვაზირთა უპირველესი. დარბაზი იღუმალ:

ჩად დასჭირვებიაო მარგვეთელ ლაშქართა ხმობა?

არ მოსწონდა ჭყონდიდელს თურქებთან წაყენწლავებაც ჰავჭალის დელეში.

თა სჩვევოდა დავითს უსაზნოდ გაფიცხება ომის საქმეში. ისედაც ჩურჩულდბდნენ ვაზირთა უპირველესის მტერ-მოყვარენი: ხანდაზმული ჭყონდიდელიც გადარიესო კაბუტმა მეფემ და მისმა ახალგაზრდა სპასალარებმა.

არ ინება უფალმან, მაგრამ ვიქვით, ხიფათი რაიმე შემთხვევოდა მეფეს? მაშინ ხომ როგორც გიორგი მეფე, ისე დარბაზის ერნი ჭყონდიდელს აჰიდებდნენ ბრალს?

ჩაღაც საეჭვოდ სდუმდა მახარაი. შიშობდა ვაზირთა უპირველესი: დედის-იმედის ბილვას მონატრული, ვამ, თუ უჩემოდ წავიდე სო დავითი თრიალეთს?

იგიც ხომ შესაძლოა, ეგებ წასული იყოს უკვე და მაშველ ჯარს ხმობდლობდესო შეჭირვებული ომში?

ეგეც კარგად უწყოდა გიორგიმ: საქართველოს ერთობლივობის მტეროა შორის თრიალეთის ერისთავი იყო ყველაზე უფრო ერმრავალი. შეუპოვარში იყვნენ ბრძოლაში როგორც ლიბარტი და რატი, ისე თრიალეთელნი აზნაურნიცა. მიძიმელ შეჭურვილნი ლაშქარნი ჰყავდათ, კარგად გაწვრთნილნი მონასპანი. შეუველ ქარაფებზე აღმართულნი ციხენი ჰქონდათ, გარდა ამისა წყედ ჰყავდათ თრიალეთის გაროზი ბუნება. ჭყონდიდელს არ მოსწონდა მაშინ ერისთავის ვაჟის მანდ წარგზავნაცა, ეს იგივეაო, ფიქრობდა თავის გუნებაში მეომარი მრავალნაცადი: ავაზის ბოკვერი შიუჩინო ლომს შესაჰყრობად.

ახე ამტკიცებდა მეფე: ვეარზე ზტისო კვიცი.

... მაგრამ განა ყოველი კვიცი? — ფიქრობდა ჭყონდიდელი, გვაც-ცნობილი იყო, რატის შებყრობაში ხელი რომ მოეცა თაკვერის ერისთავს. თუ თაკვერელმა აზნაურებმა რატიც ვერ შეიპყრეს, როგორღა ჩაიგდებდნენ იმინი ხელში ლიპარიტ მგობხეს, რომელიც შერწმანისა არც ივანეს ჩამოუვარდებოდა და არც ლიპარიტ მესამეს.

ეს ამბები უფრო იაქებდა გონებას ჭყონდიდელს. ვაჟ, თუ ჰაბუცი მეფე შეიტყუონ ქციის იწროებში, სადაც ასი ჯაბანი ათას შამაცს წაახდენს, თუნდაც უბრალო საგორაეები რომ დაუშვან ქარაფებიდან, ალგეთისა და ქციის ხეობათა და მანდაურ ციხეთა გატეხას ზომ არ იკმარებდა, უმთაერესი იყო მაინც კლდეკარის ციხე, რომელსაც ამოღდ შეაწყდნენ პარაკიმანოსის ბერძენნი სპანი.

ამ ჯერადაც არ გაჰკვირვებია ჭყონდიდელს უცნაური უხიავობა ქოსასი. მასაც სჯეროდა მახარაის გამო გავრცელებული ხმები: მჩხიბავია ეგ ქოსა, მიონების თანაზიარს ბნელ სულებთან მიმოსვლა აქვსო იღვწალი ღამით, ჭლარა არ ეკადება უბერებელს, ამის დასაფარავად ინით იღებავსო, თმას, რაც უნდა შერეხი მოვიდეს, არ დასველდებო არასდროს და სხვა მისთანანი.

„თუ შავ ნათლის კაცია მართლაც, რას მოდიოდა მუხათგვერდიდან მარტო, შეაბჯრე მაინც ვერ წამოიყვანა ერთერთი? უთუოდ თვალთმაქციობაა მისი მართლმორწმუნეობაც. თურქებთან, ისმაელიტებთან და სუფიებთან ნათრეუს, ვინ იცის რამდენჯნის შეუცოდავს სჯულის საქმეშიც შავ ქოსა ეშპაკს! — ფიქრობდა ჭყონდიდელი.

ბინდებოდა, სასახლის სამზერებიდან შემოდიოდა სიღამე. გოდოლებიდან მოიხმოდა დუმბულუბის ხმა, ძელსა სცემდნენ კარის ეკლესიაში, მწევანე დარბაზიდან მახარაის ბუტბუტი შემოდიოდა:

„აუეარდებით უფალსა, რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მისი, აუეარდებით უფალსა რამეთუ ჰქმნა საკვირველნი დიდ-დიდნი მხოლომან“.

ჭყონდიდელი სთვლემდა. შავად გამურულ ნიშებში ბეუტავდნენ თაფლის სანთლები. მღამიობების წრიბინი მოისმოდა გულის მომწყულველი.

• •

ათი ცხენოსანი მოადგა პირველ გოდოლს ნაქარმავეის სასახლისას. მოუთმენლად ფრუტუნებდნენ გაქაფული ცხენები, თორ-მუზარადი ლაპლაპებდა მთვარის ნათელზე. ყუფდნენ ჯოჯის ძაღლები, ყივოდნენ გოდოლებიდან გადმომდგარნიც მოისარნი შეფისა.

მეფე მობრძანდა, ასე ეგონა ჭყონდიდელს, ნახევრად ბნელში გადაიცვა სასწრაფოდ.

თაკვერელი აზნაურები შეიცვენს ხელშინაურთა, მაგრამ შეკრთნენ, მათუ ცხენოსანი რა დაინახეს, აგრეთვე თოროსანი, შავად თავშებურვილი რაინდი; სახე არ უჩანდა მას, ერთადერთს უმუზარადოს, მუზარადიან მხედართა შორის. მკვლარი არ უნდა ყოფილიყო იგი, თუმც სულმიხილსავით ვასევებული იჯდა უნაგირზე, ხმაგატვრინული.

ძლივს მოათრევდა სატალახო ცხენი ამ უზარმაზარ დევკაცს, კაშკაშებდა მისი თორიც საღმასურისა. ფოლადის საბარკულნი კვირისთაევაპლის უწყვედა ცხენს.

ჯონდი ერისთავმა ციხისთავი გაიხმო. დიდხანს იღვნენ გოდოლის ჩრდილში ორნი და ჩურჩულებდნენ რაღაცას. ბოლოს ციხისთავმა ახლობინ ჩუხნი¹⁾ შეფისანი; ჭარბიან სეტიელმა და სამმა ჩუხითავანმა მაჯავანით ჩამოათრის შავად თავშებურელი თაროსანი ცხენიდან და ჩრდილის ქაშქაშ დროშეში შეაგდეს იგი.

გაოცდნენ ჩუხნიცა, ეს უცნაური ტყვე ხმას არ იღებდა სრულებით, არ ეამა თავკერის ერისთავს, როცა ციხისთავმა ამცნო: დავით მეფე არ მოპოვებულაო ნაჰარმაგვეს ჯვრაც.

ვამ, თუ გზაში აგეცდა მეფე და მუხათგვერდიდან თრიალეთს გაემართათ უჩვენოდ. არ უყვარდა ჯონდის ეს დაღვრემილი ნაჰარმაგვეი; მრავალჯის ნათურქაღს შეღწეილნი გოდოლნი გარს ერტყნენ; უცნაური სახელები ერტვა მათ: კოშკი მთვარისა, კოშკი მშვარისა, კოშკი ჭალისა და კოშკი ჩრდოლისა.

ბარე სამასწლიანი, ფულურო ცაცხეები იღვნენ ეზოში - კენწერომდის ვაშისშვლებულნი, ჭივჭვით დახუნძლულნი ნიადაგ, იავერქნილი იყო ამ სასახლის წალკოტნი, ხილნარნი და სავარდენიცა. გაუქმებულ აუზებში მღორე წყალი იღვა ნიადაგ, ჯოჯოვებითა და მყვარებით სავსე.

უცნაურის სიამით ავსებდნენ ჭაბუკი ერისთავის სულს ამ სასახლის თაღები ნაცეცხლარისაგან გარუჯულნი სრულად, დევური ბუხრები შვიდივე დარბაზისა, თვალმრუმედ გამოშვირალნი, როგორც ქაოხის ამოუცხები ხახა. უცნაურად ჩხაოდნენ ისპაჰანური თუთიყუშები, დვრინაედა ღამლამობით ოვსთა მღვის მიერ მოძღენილი ბოკვერი ღომისა.

უთავაზონი იყვნენ ეს გამოღერღეტებულნი მანდატურნიცა, უპირატესად ბაგრატიულნი, მარად მოღუშულ, ჩიფჩიფა ბერიკაცებს გახუნებული სკარბანავები ეცათ ტანზე, კურდღლის ტყავის ფაჩუჩებით დაფრატუნებდნენ ამ უკაცრიელ პალატებში მისნი.

ნაჰარმაგვეში მოკლე ხანს ყოფნისას სათითაოდ ჰყავდა შესწავლილნი ეს მანდატურნი ჯონდის. ეგეც იცოდა ერისთავმა, რომ მათ არც დავით მეფე მოსწონდათ, არც მისი „თავაწყვეტილი“ სპასალარები. ბიზანტიურ მკაცრ ეტიკეტზე გაზრდილებს ეუცხოებოდათ თვით მეფის „მდაბიორული ჩვეუანი“.

ფეხით სიარული უყვარსო. ღამლამობით მარტო სეირნობსო მტკერის პირად, ბერი არაა, მაგრამ ბერულ ცხოვრებას ეწევაო ჭაბუკი.

არც ეს მოსწონდათ, მუდამ ეტრატებში რომ იჭვრიტებოდა, ლანდივით შიმოდიოდა პაპისეულ პალატებში, ხანაც ფსალმუნს ჰგალობდა ბნელში და ჩოქილი.

შაგრატ შეფისა და გიორგის დარად ნადიმებს არ მართავდა, სტუმრობა არ უყვარდა. ბუჩადძვირიოა, ჩურჩულებდნენ კუთხეკუთხე ხანაც.

წაიღოდა საღმე, არავის უშებლდა მიზეზს წასვლისას, არც მოსვლის ყველს დასთქვამდა წინასწარ არაფერს. მოახსენებდნენ რაიმეს, ვერაინ შეატყობდა სახეზე: ეამა თუ ეწყინა ნაუწყები, მონახსენები.

შავად თავშებურელი ტუსადის მოყვანამ მთლად ააფორიაქა ამ მანდატურთა გონება. მთელი სასახლე აფუსფუსდა, მესაწოლენი, მესტუმრენი, მეჯამენი, მერიგენი, მემამზალენი, მეკლიტენი; ყველა ერთმანეთს ეეითხე-

¹⁾ ჩუხნი — ქონდაქარი, მკველი მეფისა.

ზოდა: ვინ არისა იგი, ვინც ჩრდილის კოშკში შეამწყვდიეს თავმებურვილი შავად?

მწიგნობართუხუცესი შეეგება სტუმრებს.

როცა ჭყონდიდელი და თავვერის ერისთავი კარგამოწყვდილნი ჩუროლუბდნენ, ხელშინაურნი კარებთან იყვნენ ატუზულნი, ეგებ ყური მრეკრათ და გაეგოთ ვინაობა თავმებურვილისა.

ათასგვარი ვარაუდი წარმოსახა ნაჭარმაგვეის სასახლის ხელშინაურთა უქმმა განებამ. ერთნი ასე ამბობდნენ: ტფილისის ამირა ბანუ-ჯაფარი ზომ არ შეაყრობინაო პაეჭალაში მეფემ, ზოგს კვირიკე, კახთა მეფე ეგონა ტყვე, ზოგსაც ძაგან, ზედაზენის პატრონი.

ყურდაცქვეტილნი მიმოდინდნენ მეჯამენი, ჭყონდიდელმა ივანეშმა თავვერელ აზნაურებთან, მაგრამ ერთი სიტყვაც არავის დასცდენია თავმებურვილი სტუმრისა ვამო, თუმცა, საერთოდ სიტყვაძვირი ჭყონდიდელი ბევრს ლაპარაკობდა შიდა-ქართლის ციხეების შეკეთებისა და ცხენების გამოსწობისა: აღანურ ცხენებს ქუში უჩნდებაო ჩვენში.

„ისროლის ხეში სამი რემა წაასხეს მერემეთა, სამივე ამოუწყვეტია მუნებურ ბალახს“, — სთქვა ჭყონდიდელმა.

ჯონდი ერისთავი გაოცდა.

„რა ბალახი ყოფილა, ვაზირთა უპირველესო, ევა“? — იკითხა მან.

„ისროლის მახლობლად ორბოძალას ქედზე ბალახი ცოდნია ეგეთი, უკეთუ არა მუნებურმა ცხენმა მოსძოვა, მოაკვდინებს თურმე უთუოდ. მერემეთუხუცესი შემკრთალია ფრიად: რა პირით დავუბედო ამის შემდეგ პატრონს!“

როცა ციხეებისა და ცხენების გამო საუბარს მორჩნენ, თავვერელი აზნაურები დასაძინებლად წაიყვანა მესტუმრეთუხუცესმა, ხოლო ჭყონდიდელი და ჯონდი ერისთავი ბროლის დარბაზში განმარტოვდნენ. ამ დარბაზს მოჰქმნულ თაღებზე ჰქონდა ბაგრატ კუროპალატის დროს, ჯერ კიდევ ალფარალანმა ვადასწვა ნაჭარმაგვეის სასახლე, ბროლის ლავგარდანები დაბეთქა ხანძარმა, ახლა აქა-იქ მოსჩანდა დამკვარტლული ნატეხები ბროლისა; ზოგჯერ ხერელები და დარჩენილიყო, ჩაშავებული და გამურული აგრეთვე ბროლის დარბაზი ჯერაც არ იყო განახლებული, რადგან აგრე ბრძანა პატრონმა: უჩემოდ არ ახლოთო ხელი.

ღამე ნებისა უსურვა ჭყონდიდელმა თავვერის ერისთავს, რა მარტოვა დასტოვა იგი.

ჯონდის რული ეკიდებოდა ცხენზე და სასახლეში გამოფხიზლდა საცხებით, კარებს მიაცილა, მანდატურნი არსად ჰკეპნებდნენ. უყვირა: საბია რომ არსად სჩანდა, მემამულათუხუცესი. ადგა და თავათ ჩააქრო სასანთლენი, უცნაურად შეცვივდა ნახევრად ბნელში დარჩენილს. შოლოდ ნიშებში ბეუტავდნენ თავლის სანთლები.

სასანთლენი ჩააქრო თუ არა, საიდგანლაც გაჩნდნენ მღამიობები დარბაზში. წყვილად დაფრინავდნენ, თავბრუდამხვევი სისწრაფით დასდევდნენ მახვილად ბნელში ურთიერთს. გულისწამლებად წრიბინებდნენ თანაც.

ადგა, ტანთჩაიცვა.

ამოდ ეცადა, ველარ ანთო სასანთლენი კვლავ.

დარბაზიდან გავიდა, ტალანებში ბროტინებდნენ ზანდუკებზე გაშთილი ნიხაწოლე ბერები. იღარსად სჩანდნენ არც ფარეშნი, იღარც მემამულენი.

შეიანე დარბაზში დიდდიდნი სასანიოლენი აენთოთ. განახლებულ ფრესკები წმინდა მოწამეთა ლინდებივით ატუხულაყენენ კედლებზე.

იოანე უზარმაზარ მახვილს იჩრიდა ხაზაში, წ. შიოს კომპალო ეპარქა ხელში, ლომები, ვეფხები და ავაზები თავმოდრეკილნი განრთნულყვენიერ მის ფერხთით.

კედელთავანი ერთი ორ ფრესკას ეჭირა, ზემოთა გამოსახადა გარდამობსნას ქრისტესას, ზოლო ქვედა — ირაკლი კეისარს. მას უზარმაზარი ძელიცხოველი ეტვირთა და გოლგოთზე მიჰქონდა თავათ.

ჯერაც ვერ მოესწროთ ამ დარბაზის გეროვნად მილაგება. უწესრიგოდ ეყარნენ გახსნილი ზანდუკები, ბაგრატიანული სყარამანგები, ლორები და საკკობები, ეპისკოპოსთა ომფორები, კამილაკები, კვერთხები, არგანები, სარაინდო და საღიაცო თორნი, ცხენსაკაზმი.

ყვითელ დარბაზშიაც განეახლებინათ ფრესკები, ბიზანტიელი ოსტატების მიერ შესრულებული ოდესღაც.

ახლა თვალნათლივ მოსჩანდა იაზონის მოსვლა არგოს ნავით კოლხეთში, ცეცხლისმფრქვეველი ხარებით მიწის ხენა, იქიონის დასჯა, განიმედის გატაცება ოლიმპის მთაზე და სხვა მისთანანი.

ამ დარბაზში საკურველნი შენიშნა ჯონდემ, ბერძნული მეზარადები, ქართულნი თორნი, სელჯუკური რკინისპერანგები, ჩუგლუგები, დაბარჩმანი, სეფელამიანი შუბები, ქაუა და კანჯრის კული.

კუთხეებში ძელქვის კარადები იღვნენ, სწორედ ისეთნი, როგორც ქუთათისის ციხეში ენახა თავვერის ერისთავს.

ამოდ ეძებდა ჯონდი საბიას, მემამზალეთუხუცესს; აღებდა და ისევ ეტავდა დარბაზების კარებს. დაიკვნესებდა რომელიმე მემამზალე. გვერდს შეინაცვლებდა და კვლავ მინებდებოდა ძილს. ჯონდის ეცოდებოდა მძინარე აღამიანი, ამიტომაც უხმოდ ჩაუვლიდა გვერდს.

ბროლის დარბაზში მიბრუნდა კვლავ.

სადღაც ძაღლები ჰყეფდნენ, ხანაც ტურების მოთქმაც ისმოდა ერთობლივი. ახლა სასახლის ეზოში ასტეხეს ჯოგის ძაღლებმა გნიასი. ჯონდი სარკმელთან მივიდა, მთვარე ზედ დასცქეროდა დუმლით მოცულ გოდოლებს ზღუდისას.

მათ ჩრდილში უხმოდ დალოდადნენ გუშაგნი.

„როგორაა ნეტავი ბელშავი მამაი?“ — ფიქრობდა ჯონდი ერისთავი. დარბაზში შემოვიდა ლანდი, ანთებული მამზალით ხელში.

დააცქერდა სტუმარი, მოხუცი საბია შეიცნო. მას ზაფრანისფერი სყარამანგი ეცვა ზეზისა, სახელურებთან შელანძღული ოდნავ, თავზე წოწოლა ქუდი ეხურა ჩაჩისდარი მემამზალეთუხუცესს. თავყვანიცა და მიესალმა ერისთავს. ბოდიშობდა ბერკაცი, რუისს ვიყავი ალყის საშოვნად წასული, შენი მობრძანება ესეცაა ახლა მამცნოვო გედეონმა, მესტუმრემ.

ჯონდის გამორჩეული ჰყავდა მანდატურთა შორის ეს თავაზიანი და ხუმარა მოხუცი. ჩინებულ მერანგესა და სძლისპირების მგალობელს, ყმაწვილური ღიმილი ეყრა ბავეზე ნიდავ. ვანაგონი ჰქონდა ერისთავს: ებანსაც ისე ტკბილად უყრავს, მუცლის საღმობით შეპყრობილ ბაგრატ მეფისათვის რომ დროზე მიეყვანათ საბია, სიკვდილს გადაარჩენდაო მას.

ჰეინტმოდრეკლი და გამსჭვირვალე ცხვირი ჰქონდა საბიას; ვინაიდან ის და ყურკვეთილი, მაღალ კანკებზე შემდგარი მოხუცი ლამიყლიადა წაიგავდა ოდნავ, სიარულიც ისეთი სრეველად, თითქოს წაიკვებოდა ცხვირების გადადგმისას ოდნავ.

„რა ბნელში დამჯდარხარ, ერისთავო ბატონო, თუ მიზრძანებ, სასანთლებს ავანთებ ახლავე“.

„აანთე, აანთე, საბია, მე ბევრი ვეწვალე, ვერ ავანთე ისინი. სასანთლენი აანთე და ეს მღამობები გაარეკინე დარბაზიდან როგორმე. ისე უხიავად წირიანებენ ის ვერანანი, ამალამ არ დამაძინებენ ალბათ. მე არ მიყვარს მღამობები, საბია“. სთქვა სტუმარმა და გარუჯული ჰანგი რკინისა ჰყრა ილმოდებულ კუნძს, ნალვერდლები გამოსცივედნენ ზუზრიდან და აფურის იატაკზე გაიბნენ. საბიამ მამას წაავლო ხელი, წამოიჩოქა, სათითაოდ ჰყრფუდა ნავეერჩხლებს და ჰყრიდა ისევე ზუზარში.

„არც მე მიყვარს ეგ ჯოჯობეთის იადონები, ერისთავო ბატონო, ფარეშო-უხუცესიც ბევრს ეცადა, თალები დაახრეკინა, მათ სამყოფელს ვერ მიაგვლიეს მაინც. ასე უბნობენ: ბუხრებიდან ჩამოდიანო პალატებში ისინი“, სთქვა საბიამ და სასანთლენი აანთო თავით.

ჯონდომ დამთქნარა და ცალკბად ეკითხება მემამზალეთუხუცესს:

„მამ რა გიყვარს, საბიავ ჩემო?“

„მე მზე მიყვარს, ერისთავო ბატონო, მერცხალი, ტოროლა, ცეცხლი და ღვინო“.

ჯონდომ გაიღიმა.

„კიდევ რა გიყვარს, საბიავ?“

„კიდევ ბევრი რამ, რაც არა მაქვს, თუნდაც ნადირობა და ტყბილი მოღბენა. ებანის ხმები და ქვეყანასა ზედა მშვიდობა“.

„მამ ომი არ გყვარებია, როგორცა სჩანს, საბია?“

„პაპ, პაპ, პაპ, ომი და სისხლისღერა არ მიყვარს, ერისთავო ბატონო“.

„ახლა ეს მითხარი, ჩემო საბიავ, ვის და უყვარს ომი?“

„თუ არ შემრისხავ, მართალს მოგახსენებ, ერისთავო ბატონო.“

„თქვით, დაუქნია ჯონდომი.“

„აგრე უბნობენ, ბატონო, ჩვენი ჰაბუჯი მეფე და მისნი სპასალარნი ომი-სათვის ოცნებობენო ნიადაგ“.

ჯონდომ გაიღიმა და მიუღო:

„პაპ, პაპ, რომ უომრად მშვიდობა ვერ იქნება, ჩემო საბიავ, ისე როგორც ცეცხლი უკვამლოდ, ცხენი უნალოდ, რაინდი უხმლოდ და წინაქელი უღაროდ“.

„არა, მე სხვას მოგახსენებ, შენი რისხეაც ნუ მომცემია. ჩვენს პატრონს, ბაგრატ მეფესაც უყვარდა ომი, მაგრამ არც მოღბენანი ამ სოფლიურნი სძაგდა დიდებულ მეფეს. პაპ, ვინ უწყის, როგორი ნადიმები ახლავს ამ პალატებს ჩვენც ჰაბუჯნი ვიყავით მაშინა, ხოლო ეგ დარბაზნიც მთოქროვილნი, მოჭიჭულნი და მოხატულნი; ხანდახან ერთი მსგეფისი მანძილზე გრძელდებოდა ნადიმი, სამეფოსა ჩვენის უტურფესს ქალრძალუ საბია უცეკენით ამ ბუზრის წინ, ერისთავო ბატონო, მგზანგენი და მურჩიბნი მოალხენდნენ შეინახეთა. უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ნაქარმავეში ბრძანდება ჩვენი ახალი პატრონი და გაღივებულნიც არავის უნახავს იგი“.

ჯონდის თვალწინ წარმოუდგა ამ იაგარქმნილ პალატებში მკმუშობი კა-
ბუკი შეფუ.

„თუ არ შეგმრისხავ, ერთი რამ უნდა გკითხო, ერისთავო ბატონო... —
ეუბნება მოხუცი ერისთავს.“

„დარდი ნუ გაქვს, საბია, შენ ისეთი ტყბილი ხმა ამოგდის ყულიდან, რაც
არ უნდა სთქვა, ყოველივე მიგეტყვება, რადგან მგალობლებს ხმას უხინჯა-
ვენ და არა კუჟას.“

„აბა ეს მიბრძანე, ერისთავო ბატონო, ის უბედური ვინაა, ჩადილის კომპო-
რომ შეგვიგდიათ შვედლ თავშებურვილი წელიდან?“

ჯონდიმ გაიღიმა და მიუგო:

„ისეთ რამეებს ნუღარ მკითხავ, ჩემო საბია, რაც შეფის სმენამდისაც არ
მოგვიტანია ჯერაც.“

საბია შეკრთა, ნესტოები აახრუტუნა, სდუმდა მკობე ხანს, ბოლოს კვლავ
ეაჯა ერისთავს:

„მე ყური მომიჭრავს, დავით მეფე გწყალობსო ფრთად, ამ სათხოვარი-
სათვის მაინც არ შეგმრისხო, ერისთავო ბატონო.“

თქვიო.

„შეშვედრე ჩვენს პატრონს, გვეუთოს სასახლეში ვადამიყვანოს როგორმე.
ეგრე უბნობენ, ამ ბუხარზე უფრო დიდი ბუხარი აქვსო გიორგი მეფეს გე-
გუაში. უსხედან თურმე იმ ბუხარს თავვერული მესტეორენი, პურადი შეფე
იშვებსო ტკბილხმათა მოყვარული თურმე. მე საკმულს როდი ვარ დახარბე-
შული, ერთი პეშვი კორკოტიც მეყოფა, შენმა მზემ, მოლხენა მიყვარს, სძლის-
პირების ვალობა და კაცთა შორის სათნოება. ამ სასახლეში ყველა და ყველა-
ფერი დაღვრემილია. ეს ხანადაბრეწილი ბუხრები, მანდატურნი, მესტეორენი
და მჯგამენი, ყველას ზეთი ჩამოსდით სახებზე, შენმა მზემ.“

სხვა არ იყოს რა, ერთი დიაციც არაა, არც ერთი კატა. მოგებხენება: დია-
ცისა და კატის სუნი ქმნის მყუდროებას.“

ჯონდის გაეცინა და საბიამ განაგრძო:

„უკვე მოგხუცდი, ერისთავო ბატონო, მაგრამ მაინც მიყვარს დიაცი,
შენმა მზემ, რადგან საპერეტადაც საამურიც დიაცი. ასზე მეტი ხელშინაურიცა
ნაჭარმაგვეში, მაგრამ ყველა მამაკაცია. ეს რამდენი წელია, რაც დიდი და
მკარე ებრძვით მღამიობებს, ვირთხებსა და ხოქოებს, მაგრამ მაინც ვერ გა-
ვაწყვეთ მათი ვასაჯისი, ეგ იმიტომაც, რომ დიაცი არა გეყავს არც ერთი,
რამდენჯერაც არ ვიწოდებ კატა, ყოველთვის გაგვექცა, რადგან უღიაცოდ
ველარც კატა იბოგინებს კაცთ სამყოფლოში.“

ჯონდის გაეცინა ამ ახირებული აზრების გამგონეს. დაჰპირდა: შეგაველ-
რებო პატრონს. გამხნედა საბია.

„ერთი რამ უნდა გკითხო, ერისთავო ბატონო, კიდევ და მერმე წამოწეტი,
უძველეს სძლისპირებს გიგალობებ, შენმა მზემ.“

ეგეც მკითხეო, უბრძანა ჯონდიმ.

„ჩვენს პატრონს შეგუდობი ცოლი რომ ჰყავდა, ეგ ამბავი მეც ვიცო. ნა-
ქარმაგვეში ხმა დავარდა: შამან ერისთავის ქალი უნდა შერთოსო დედო-
ფალმა ელენემ მეფეს. თუ ეგ მართლაც აგრეა, მაშინ მე ნულარ ვადამიყვან
გეგუთის სასახლეში. მეფის სასძლოს სუფეკალებიც თან მოჰყვებიან ალბათ,
მაშინ ჩვენ კატასაც ვიპოვნით აქ სადმე და აღარც მღამიობები შეგვაწუხე-
ბენ და აღარც ვირთხები, შენმა მზემ.“

ჯონდის ყურები წამოეწითლდა, თვალი შეავლო საბაის მიამატ სახეს. ალბათ ჩემი ნამდვილი ვინაობა არა სცოდნიათ მოხუცს, ეს ვაიფიჭრა და მიუგო:

„იცი, ჩემო საბაია, ყოველი ჩვენთაგანი უნდა ერიდოს ამას...“

საბაიმ თავი ჩაქინძრა, მერმე ადგა, საწოლი გაუსწორა სტუმარს. როცა ერისთავი დაწვა, სასათაულთან მიუჯდა და სძლისპირების გალობას შეუდგა.

ჯერ ერთიც არ ჰქონდა მოთავებული საბაია, როცა დღეშულების ცემა ატყდა სასახლის ეზოში, ამას თან მოჰყვა ცხენების ფრუტუნე, მათრახების ტლამუნე და ძაღლების ლაეღაეი.

დაფეთებული წამოვარდა საბაია, მემამზალენი წამოჰყარა. ტანზე ჩაცმა ძლივს მოასწრო ჯონდიმ, მეფე, ჰყონდიდელი, შერგილ ლიპარტიანი, გვარამ ბუქისციხის პატრონი, ჯოჯიყი, ბეშქენ ჯაყელი და მახარაი შემოვიდნენ დარბაზში.

ჯონდი ამბორსაყოფად მიეჭრა პატრონის ხელს. მან არ დაანება ერისთავს იგი და ლაწვზე აკოცა თავით: დარცხვენოლ ქალწულსავით გაწითლდა ჰაბუცი.

ბუხარს მიუსხდნენ ახლადმოსულნი. მეფემ დაითხოვა გამგეთუხუცესი, მექალეთუხუცესი და მემამზალენი.

ჯონდი ველარ ბედავდა დაჯდომას.

დაჯექო! უბრძანა პატრონმა, მკლავში ხელი წაავლო და ეუბნება:

„უნდა გამოგიტყდე, ჯონდი, მე იმედი აღარა მქონდა უკვე, ლიპარტიის შეპყრობას თუ შესძლებდი ოდესმე“.

„მე კი ასე მგონია, მეფემ ბატონო, როცა პატრონი ჩემი მიბრძანებს, შეუძლებელი არაფერია ამ ქვეყნად. გულახდილად რომ მოვახსენო, სთქვა მოკრძალებულად ჯონდიმ, ჩვენ რატის შეპყრობას მიველტვოდით და ლიპარტი ჩაკვივარდა ხელში“.

მეფემ გაიღიმა და ჰკითხა:

„მანც როგორ გამოიტყუეთ მამა-შვილი ციხიდან?“

უმაწვილურმა სიანგლემ გაიელვა ჯონდის სახეზე, ქორული ცხვირის ჰქვინტი უბზინავდა თვალგაბრწყინებულს.

„მანც, მანც?“ შეეკითხა მახარაი.

ჯონდიმ თავი აიღო, თაფლისფერი თვალები გაუმართა პატრონს და სთქვა:

„რატის გატაცებამ ლიპარტი გამოიყვანა კლდეკარის ციხიდან, გვიან გავიგე: ლიპარტის ასე ჰგონებია, თუხარისის ერისთავი შურსიძიებსო რატის მიმართ, ამიტომაც გახიზნა იგი ბულუტის ციხეში. დიდხანს ვუტრიალეთ ბულუტის ციხეს, არ იქნა და არ გამოვიდა სააშკაროზედ უამალოდ რატი. ლიპარტიის უბანში წირვაზედ წასულსაც ასიოდე ცხენოსანი თან ახლდანიდავ.“

გავვიჭირდა ცხრა კაცს თავის დამალვა მამაი ბასილის საოსტიგნოებში, ყურადღებას იქცევდა ახმაბი ქარიმან, ველარც კირიონ მანგლელის თავლებში გავძელით, რადგან ლიპარტიის მსტოვარმა ავეითვალისწუნა ერთმა.

მენადირეთა ფარდულებში, ხანაც წისქვილებში ვათევდით ღამეს, ნანადირევით ვსაზრდობდით მეტწილად. მერმე ის იყო შერგილ ლიპარტიანის წიგნი გადმოგვცა კირიონ მანგლელმა, აგრე ბრძანაო პატრონმა: ირმისებრ

ბლავილით გამოიტყუეთო ხულუტის ციხიდან რატი. ყველგორი დღეა თუ არა, თითქმის ყოველ იალონზე შევიპარებოდით ხულუტის ციხის მრამივზე თელიანში სუროთი შებურვილნი, მივებალებოდით ციხეს და მხეცხეობდით ირმულად. ქარიშხანი და მეჯინიბე ღორღია თან მახლდნენ.

ერთ ღამეს შგლების ხროვას გადავყარეთ, ძლივს ავასწარიტ ხეზე.

რამდენსამე დღეს ხმას არა გვცემდნენ ციხიდან. შევკრით, მიმიხედნენ მეთქი ეშმაკობას. ბოლოს ატროკდა, როგორც სხანს, რატი, მართლაც დარწმუნდა: ციხეს შებლავისო ირემი. მარეკებსა და მადეგრებს გაუსევდნენ თელიანს. აკანთით დაბურულ ხეებს შევეხიზნებოდით მყისვე.

როცა თავლებიდან გავიტაცეთ რატი, ქარიშხანი ღამის იყო დაგვიჭამეს ჯოგის ძაღლებმა. ამის შემდეგ უცნაურად ძაგძაგებდა ეს ვეება დევკაცი ძაღლის ყეფის ვაგონებაზე“.

მეფესა და ჭყონდიდეღს გაეცინათ.

„ავზე უავესი ძაღლები ჭყოლიათ ორბელიანებს“, დასძინა ჯონდიმ.

„გასაგებია, ძაღლის ძაღლი ავი იჭნება“, სთქვა მახარაიმ.

„მერმე“ იკითხა დავითმა.

„მერმე ის იყო ეზოსმოდღვარმან ზოსიმემ გვამცნო: აღსართან და ძაგანი შორიანო ხულუტის ციხეში სტუმრად. ახირდა ქარიშხან სეტყელი: ჯერ ეს ორნი შევიპყრათ, ლიპარიტსა და რატის მერმე მოუთავოთო ხელი.“

ბოლოს ირემზე სანადიროდ წაიყვანეს ორბელიანთა თავიანთი სტუმრები. გულახდილად მოგახსენო, ახლა მეც დავეთანხმე ქარიშხანს. იმ ორთა შორის რომელიც არ უნდა მოგვეხელა, იმას შევიპყრობდით უცილოდ. როგორც იქნა, ვაგვილიმა ბედმა და რატის ნაცულად ლიპარიტი ჩაგვივარდა ხელში“.



მეფემ უხვად დააჯილდოვა თაკვერელი აზნაურები: ჯონდი ერისთავს ოქროს ხმალი მიუბოძა, ხოლო ქარიშხან სეტყელს ქონდაქართუხუცესობა.)

LII

Pathos erdömen

თორი რა გაჰხადეს, მემამხალენი დაითხოვა მეფემ. მესაწოლეთუხუცესს უბრძანა: უთენია აწვიეთო გიორგი ჭყონდიდეელი ხვალ.

საწოლის დარბაზში ერთადერთი ხატი ეკიდა ღვთისმშობლისა, ლალებით მოოქვილი. სრულად.

ილოცა. მცირე ხანს ფსალმუნს კითხულობდა მუხლმთყარილი. ბოლოს დაწვა, თუკიდიდესს დაუწყო ფურცვლა; წიგნი გადასდო, მაგრამ ძილი არ შეეკრა თვალს. სასახლის ხილნარიდან ჩქამი მოდიოდა მჭირიდი: რომელიღაც ჩიტუნა მოუსვენრად წრიპინებდა მწვანეში, ძაღლების ღველავი ისმოდა კანტიუენტად. კვლავ გაიღურსა ბუნება, მხოლოდ ვასაკების კრიახი მოდიოდა ნელი და შორიელი, როგორც სიზმარეთიდან მოღწეული ძახილი.

ჭუთთოთებს წაებოტინა რული. სთვლემდა, თვალნათლივ ხედავდა იგი დედისიმედს. ენდროსფერი ყაბაჩა ეცვა ერისთავის ასულს. აღის ბურანიდან გამოდიოდა იგი, მისკენ მოისწრაფოდა, მაგრამ ვერ მოელწია, ხელები შალ-

1) ქონდაქართუხუცესი — მეფის მკველოა, ჩუბთა წინამდგომი ჩუბარბა.

ლა აღეპყრო, ისევე, როგორც გასაფრენად განმზადდულ ანგელოზებს მხატვრულ-დინეზ ხოლმე ფრესკის მხატვარნი იმჟამინდელნი, ბავენი განებენ, შაგრაბ ხმას ვერ იღებდა, შეფრფინებით უმზერდა მეფეს თავისი გავრცელებული-რონი თვალებით.

ილიმოდა, მაგრამ სად იყო სიხარული, ცრემლები მოწანწყარებდნენ ამისფერ დაწვითაგან. თრთოდა, მაგრამ ვერ გაერკვია მკვრეტელს: სიხარულისაგან თუ შიშისაგან?

ერთბაშად ატყდა შემზარავი ღვრინვა. თვალი გაახილა მეფემ, ხმა გაქმინდა ხილნარში ჩიტუნამ, აღარც ვასაყების კრიახი ისმოდა უკვე.

„ლომის ბოკეერია!“ — გაიფიქრა ერთბაშად თვალწინ დაუდგა მას გამძვინვარებული ტყუარის ვერცხლები ელვარე თვალები. „ჰოა, რა ძნელია ძალოვანისთვის, როცა ღუბჯირ ასპარეზს მიუჩენენ მას. მიანიჭეთ ლომს უდაბნო ვრცელი, ტაიქს — საჯირითო ასპარეზი, ხოლო ვაფეაცს გულოვანს — ბრძოლის ველი თვალშეუდგამი“.

ამას ფიქრობდა მკოდოვანთა და გლახაკთა მეფე.

დაწოლის წინ კყონდილევი მოახსენებდა დიოფალი ვლენეს ბარათის გამო.

„საწყალობელი დედაი! დამეცხ თერთად ათენებს ლოცვაში. ცრემლიან პურსა სკამენ მოხუცებულნი გეგუთში ალბათ. ზომ ომის ამტები დიაცა თავათ, მაგრამ ყველაზე მეტად მასვე სძაგს ომი“.

და აგონდებდა მეფეს არაბული იგავი ერთი: კრუხმა თუ ვით გამოსჩეკა იგვის ქუცები. გაზარდა და წამოაჩიკა თუ არა, ზღვას მიადგნენ და შიგ შესცურდნენ გაზარებულნი თურმე. ნაბირს აწყდებოდა გულგახეთქილი, უკუღმობდა თავის გაზრდილთა მზრდელი, რადგან არ ესმოდა, რომ იხვების ბუნება უფსკრულების ზედაპირზე ცურვთა თავათ.

ახლა ორი ქალი ეძახდა სხვადასხვა მზარეს დავითს. ერთი გეგუთის დიდი ზუხრის მყუდროებისაკენ, მეორის მომწესებელი სიტურფე იზიდავდა მეფეს და მის მოსახვეჭიდაც ომი იყო საჭირო.

ომი და სისხლისღვრა...

დედა და გულისმიჯნური კვლავ დაუპირისპირდნენ ურთიერთს ახლაც.

ამ ორი წლის წინადაც ეს დედის ცრემლებმა დააოკებინეს ვნებანი დავითს, თორემ ქუთათელის მიერ დაკისრებულ ეპიტომიასაც არ დაერიდებოდა, დედისიმედს შეირთავდა და შესაძლო იყო, თრიალეთს გალაშქრებაც არ დასპირებებოდა ამ ეამად. ახლა სისხლის ფასით უნდა დაებრუნებინა დავითს მტელი დაბული, წყარო დაბეჭდული თვისი.

სწორედ იგი, ვისაც არამც თუ ომისა, თვით ყოველად უვნებელი შავი პეპლებისაც ეშინოდა ამ ქვეყნად.

მაინც რა უცნაურად ჰირვეულია ბედნი ეგ მწყაზარი, ეგ საწყალობელი მართვე გვრიტისა. ეს მან ჩააგდო მანდილი მარადის მეშულლე ბავრატოვანთა და ორბელიანთა შორის, მაგრამ არ იეზარა მისმა სათნოებამ, ხმალმა გაგვასწოროსო, ასე მოიწადინეს ლიბარტისძეთა და ზომ დაწერილა მართლაც: „ყოველნი, რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წაწყდნენ!“

ლიბარტიმა და რატიმ მოიწადინეს, მაგრამ ვერ მოასწრეს მახვილის აღება...

დედისიმედის ათრთოლებულმა სახემ გაიელვა დავითის შეშეცნებაში. „მე შეშინია, მეფეც ბატონო, შენი“. — გახშიანდნენ მის სმენაში ანაზღად სათათ-

ლის სერზე ნათქვამი სიტყვები. როგორი ცეცხლი გიზგიზებს მის სულში ამჟამად. საყვარელი მამა გაიტაცეს თრიალეთიდან და აღარცაი იცის, ცოცხალია თუ მკვდარი.

ჰოა, რა სასტიკია განწინება ბედისწერისა.

„Pathos erdömen!“¹⁾

უდიდესი ტკივილები უნდა მიეფუზღათ ხშირად უძვირფასეს აღამიანებს და ჩვენ უმწეონი ვართ შევეუმსუბუქოთ ეს სიმძიმელი მათ.

Pathos erdömen!

დედაღვთისას ზეახლეა მწოლარემ. სისხლისფერი შირავანდი გარს მოსდგომოდა მარიამს, რუბინების ათინათით შემოგზნებულნი.

განა ცოტა სისხლი დაიდგარა დიაცთა შორის ამ უსათნოესის მეოხებით მთელს ქვეყანაზე?

Pathos erdömen!

თვალემა დახუჭა მეფემ, გულით ეწაღა: როგორმე აღედგინა თავის წარმოდგენაში დედისამდის სახე თუნდაც იმლამინდელი, როცა ქარცემულ სუმბულივით ათრთოლებული მკერდზე მიეყრდნო თოროსანს და შესჩივლა: „მე მეშინია, მეფეე ბატონო, შენი“.

ახლა პირქვე დაეშხო დავითი, ორივე ხელი თვალემაზე დაიფარა, ცდილობს დაიძინოს, რადგან უთენია მობრძანდება ვაზირთა უპირველესი და ფრიადსაგულისხმო თათბირი უნდა მოისმინოს მისგან.

ქარგად უწყის მეფემ, რომ სიჭაბუქე ფოლადივით ფიცხია, ზოლო სიჭარმაგე ტალია, ხალასი. ეგ ფოლადი იმ ტალს თუ არ გაეკრა, უამისოდ ან როგორ განდგება ცეცხლი?..

ჰყონდიდელისავე სიტყვები მინიშნებული ჰქონდა დავითს:

„განა უგრილესნი წყარონი არ გააპოვენ ხოლმე თვით უმტკიცესთა კლდეთა?“

და ხეალ დილით უნდა გადასწყვიტონ მეფემ და ვაზირმა: გეგუთს წავუდეს დავითი, თუ თრიალეთს?

მარიამ დედოფალი მობრძანდებო?!

გეგუთს წასვლა უთუოდ მოასწავებდა თრიალეთზე ხელის აღებას. მართლაც და ლიპარიტის შეპყრობა ხომ არ იკმარებდა თრიალეთის საერისთავოს შემოსამტკიცებლად. რატი ორბელიანი მომეტებულის გააფთრებით იბრძოლებდა ამიერიდან. ბარქიაროციც ხომ ცოცხალი იყო ჯერაც. ეგეც არ იყოს. ჯონდი ერისთავი მოახსენებდა მეფეს: ახლა აღსართან მეროვსთან დამოყვარებას მიელტვისო რატი.

გეგუთს წასვლა უთუოდ დააყოვნებდა ამ საქმეს. ისევე დაიწყებოდა ნაღირობა აჯამეთის ტყეში, მშვენიერ გვანცასთან ნარღის თამაში, გიორგი მეფე კვლავინდებურად მოჰყვებოდა იგავურ ლაპარაკს:

„დიდ საქართველოს მიელტვოდა პაპა ჩემი გიორგი პირველი, ბასილი კვისარს შეებრძოლა და სძლია, მაგრამ ბაგრატის ტამარში დაფლეს და სამი აღლი მიწა იკმარა, ხომარა?..“

დიდ საქართველოსთვის იოცნება მთელი სიცოცხლე პაპა შენმა ბაგრატმა, მაგრამ ბოლოს მოკვდა და სამი აღლი სულარა თან წაიღო იმ სოფელს, ხომარა?..

1) „მეფეუნთ ტკივილი“ | ბერძენი ისტორიკოსის თუკიდიდის სიტყვებია.

მაშ ვიკმართ ეგ პატარა სამეფო, გველთის ტფილი ბუბარი, აკვერული მილნარი და ტკბილი საზანდარი. ეგ სოფელი ბაღდის-ნიფსაქსა-ჭავს, ვეფო, მასავით დასერილია და მოკლე“.

ამას იტყოდა მეფე გიორგი და თუ ეს არ ვასკრიდა, „ანასთან“ შარიამ დედოფალიც ჩამოვიდოდა და ახლა იგი თავისი ტკბილი გეტაქსანქთმ დაღვებდა გასაფრენად განმზადილ არწივს აბრეშუმის კაჯანათს.

ისევე მოისმა ლომის ბოკვერის დვინება. თვალწინ უდგას მეფეს, თუ როგორ დაწრიალებს თავის გალიაში ტყეურს.

ვეინროება დუხჭირი ასპარეზი ტრამალეზის დიად სილაღის მონატრულს. ხლტომა მოსწყურებია მის ქაბუკურ იოგებს, თავაწყვეტილი ნავარდი და ბრძოლა... მაშ რად ჩაუნთო მას თვალეში დედამუნებამ ამოდენა ცეცხლი, ან რად მიუბოძა ქედფიცხელობა, ტორების სიმარდე და ბრწყალთა სიბასრე?

მიტომაც არ ეპუება ლომი მენადირეთა მიერ დაგებულ ხაფანგებს, არც მგლის ორმოებსა და არც აკანთში ჩასაფრულთა მოშხამულ ისრებს.

შხოლოდ მარდისა და მამაცისათვის მიუბოძებია ეს ქვეყანა არსთა განპრიგეს.

ლომის ბოკვერი დვრინავდა ბნელში.

დავითი წამოდგა, სამხერთან მივიდა. ჩრდილის კოშკის წინ დალოლავენენ გუშავნი უხმოდ. იმ კოშკში იჯდა ამ წუთში მეორე ლომი, აგრეთვე ტყვედქმნილი, მაგრამ ბებერი, რომლის ლომებრ გამბედაობას მელისებური თვალთმაქცობა ერთვოდა ზედ. ეს იყო ოლონდ, იგი არ ღრიალებდა, გატყრინული იჯდა ჩრდილის კოშკში, ალბათ, არც მას ეძინა ქედზე ბორკილ დადებულს ახლა.

გეგუთში სტუმრად მოსული ლიპარიტი მოაგონდა მეფეს, როგორ უცნურად აგონებდა იგი დედისიმედს მას.

სიბრაალელიო?

არა. სიბრაალელი სიძაბუნის საფარველია შხოლოდ. თითქმის ხმამაღლიც უთხრა მწოლარე მეფეს ვილაცამ.

შეკრთა. მიმოიხედა.

ჯონდი ერისთავი ზომ არ შემოპარულაო საწოლის დარბაზში? ეგ მას სჩევეია მიბაძვა სხვადასხვა ხმათა.

ზეახედა მეფემ. მღამითები დაფრინავდნენ ჰერს ქვეშე, მათი ლანდებიც წყვილად დარიალებდნენ ძირს. დასდევდნენ ურთიერთს ეგ ქვესკნელის იადონები, წრიპინებდნენ გულის წამლებად.

„გეგუთი თუ თრიალეთი. ვნახოთ რას მოიტანს ხეაღე?“

კელავ გახმიანდა ხმამაღალი ფიჭვი. ლანდი შემოფათურდა საწოლის დარბაზში.

რომელი ხარო? შეუძახა მეფემ. მახარაი შეეხმიანა.

„შენ კიდევ არა გძინავს, მახო?“

სდუმდა ახლად მოსული.

„არც შენ მოგეკიდა ძილი?“ ჰკითხავდა დავითი.

„მე დიახაც მოვეკიდე, მაგრამ ძილი არ მომეკიდა თავათ.“, მიუფო ჰოსამ, ლეთისმშობლის ხატთან მიბორიალდა, სანთელი მოხსნა ნიშიდან და ოჭროს სასანთლე ანთო ერთი.

„ვილაცასთან თათბირობდი, მეფევე ბატონო, არა?“ უთხრა ქოსან და მი-
შობიხდა.

„არავისთან.“

„ვინც არავისთან თათბირობს, ხშირად იგი მიიღებს საუკეთესო თათბარს.
რადგან ექვსი ყურის მიერ მოსმენილი საიდუმლო ექვსჯერ ექვსი პირის
მოსათხრობი გახდება ხშირად.“

„მე არ შესმის, რისი თქმა გინდა, მახო?“

ისევე აღრიალდა ბოკვერი.

„ლომის დვრინვა ხომ გესმის, მეფევე ბატონო. სწორედ მან გამოიტეხა ძი-
ლი. მიტომავე დაწრიალებს თავის გალიაში მავ ტყიური, რომ უსაზღვროებას
მიელტვის იგიცა.“

„როგორც სიანს, მასაც მოეწყინა თავისი გალია, არა?“

„ისევე, როგორც გეგუთის ბუხარი შენ.“

მეფემ გულიანად გაიცინა და სთქვა:

„გეგუთის ბუხარი და ლომის გალია!“

„იმ ბუხართან ერთი კაცანათი აქვს დადგმული დიოფალს შენთვის.“

რომელი ერთიო?.

„ვითომდაც არ იცი“.

არ ვიცეო, იუარა დავითმა.

„ის ფაშაშა, თქმოსრული გენცა. ერთი თვის წინად ვნახე. ჰოა, როგორ
დაქალებულა და გავსილა ერისთავის ასული. ვის არ წაწყემდს მისი აბორ-
ცილი მკერდი, მისი ხორცის მომწესხველი სავსება. დაქალებულა, დასრუ-
ლებულა გენცა. ხენდროსფერი ტუჩები ისე უღვივის მავ დიაცს, ცეცხლისა-
თვის უკოცნიაო თითქოს“.

მეფე გაწითლდა და არა მიუგო რა. მოაგონდა: შობის მეორე ღამეს იმ ტუ-
ჩებს ჰკოცნიდა იგი გეგუთის ბუხრის პირად, როცა დედისიმედის დარდი მო-
აწყებოდა გულზე; მან კარგად იცოდა, რომ ჰპირლესავით რბილი სხეული
ჰქონდა გენცას, მკვრივი ძღძუები და შინდისფერი ძღძუთა კერტები.

მახარაი მიეახლა მეფის საწოლს და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

„ერთი რამ მაინც მიინიშნე, მეფევე ბატონო, შლეგის ნათქვამიდანაც, იცო-
დღე: დიაცი აროდეს არჩიო ომს, რადგან დიაცი მხოლოდ მაშინაა ტკბილი, რო-
ცა ომის ნაალაფარში მოჰყვება იგი“.

მეფე პირაღმა იწეა და სდუმდა, არჩვის ტყავებში ნებიერად შეფუთული.
თვალს აყოლებდა ლავგარდანების გასწვრივ მორიალუ მღამიობებს; ისინი ისე
დაძრწოდნენ ნახევრად ბნელში, როგორც ჩვენებანი ნაჭარმაგვეის სასახლეში
გარდაცვლილ სულთა.

ხილნარში სირებმა უმატეს უივილს, აღარც დვრინავდა ბოკვერი ლომისა,
რადგან ჩრდილისძვრა დაწყებულყო უკვე და ერუნი ნათელი შემოდოდა
საწოლის დარბაზში.

როცა გიორგი ჰკონდიდელი შემობრძანდა, თორი უკვე ზედ ეცვა მეფეს.

სალამითვე მიუგო ვაზირთა უპირველესს და მსახურთუხუცესს უბრძანა:
სპასალარები ეხმო.

უსიტყვოდ მიხედა ჰკონდიდელი, რომ მეფეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა
თრიალეთს გალაშქრება დაუყოვნებლივ.

დავითმა მხოლოდ ეს უთხრა მას:

„შენ გეგუთს წაბრძანდი, გიორგი ბატონო, მოხუცები დააშოშმინე. მარგვე-

თელ ლაშქართა ზმობა თუ დამჭირდა, მყისვე ვაცნობებ და თავით შენ უნდა წარმოუძღვე მათ“.

თითქმის მადედრალი კილოთი ეაჯა ვაზირთა უპირველესსა მცემსა ლაშქარსა
გვარამ ერისთავი წარიტანეო თან.

დავითი მიუხვდა, თუ რისი თქმა ეწიდა ჭყონდიდელს, ამიტომაც ბრძანა: აწვიეთო ბექისციხის პატრონი.

LIII

არწივი და საქნიერი

დღეშულეების ცემამ აწყარა ბანაკი... ჯვარისმტვირთველი წინ წარუძღვა ლაშქარს. ჩუხჩარხი, ქარიშხან სეტყიელი და მძიმედ შეკურვილი ჩუხჩინი თან მიჰყვინენ მას.

დავით მეფე თავის სკეითიაზე იჯდა. მხარმარცხნითა და მხარმარჯვნით თან ახლდნენ მას ახალგაზრდა სპასალარნი: შერაგილ ლიპარტიანი, ჯოჯიკი, ცხუმის ერისთავის ვაჟი, ბეშქენ ჯაყელი და ჯონდი შამანის ძე.

ნაქარმაგვეს რა ვასცდნენ, მეფეს წამოეწია ზერდაგ იაბოზე აღმხედრებულ ჯვარამ ბექისციხის პატრონი. მეფეს არ უნდოდა მისი თან წაყვანა თრიალეთს, გულჩვილობას თავზე მომახვევსო მოხუცი ერისთავი, მაგრამ ისე გულითადად ეაჯა გიორგი ჭყონდიდელი, უარი ვერ შეჰკადრა მას. ეგვეც ივარაუდა — გიორგი მეფესა და ელენე დედოფალსაც ეამებოდა ეგ.

თემის ხეობიდან თრიალეთის საერისთავოში გადასულს დიდძალი ხალხი ეგებებოდა პურმარლით, ოღონდ ეს იყო, მსტოვარებმა ამავეი მოიტანეს: ხევისთავები, გზორები და მამასახლისები კლდეკარს გაქცეულიყვნენ რატისთან. სოფლის ხეუცებს ხორუგები გამოჰქონდათ საყდრებიდან, ფსალმუნების გალობით ეგებებოდნენ მეფესა და ლაშქარს.

ზორცეებსა და ხეებზე გასულნი მოშივიანნი არზებეს მიართმევდნენ საერისთავოს ხელისუფალთა მიმლაერებისაგან შევიწროებულნი, მკოდოვანთა და გლახაკთა მეფეს. მსაჯულთუხუცესის მწიგნობარნი აღნუსხავდნენ საჩივრებს.

გვარამ ერისთავი ვერა ბედავდა ეკითხა დავითისათვის, თუ სად მიდიოდა ლაშქარი, კლდეკარს, თუ ლიპარტის უბანს? თრიალეთის საერისთავოში გადასვლის შემდეგ ერთი წუთითაც არ სცილდებოდა პატრონს. ბიზანტიაში მგზავრობას იგონებდა წარამარა, ალექსი კომნენს აღიდებდა, ვითარცა „ჰემმარტი ჭრისტიან კეისარს“, „გულმომწყალესა და მორკმულს“.

„მე თან ვახლდი ალექსი კომნენს, როცა ყოვჩალთა მიერ დახოცილ ტყვე ბაქანიკთა ბანაკის მისახილველად წაბრძანდა. კეისარმა რა იხილა ეს შემზარავი სურათი, პირველარი გადაიწერა, დაიხოკა ველზე და ცრემლმორეულთა ვედრთა მიტოვარს: ამაყდინეო ამ უბედურთა დახოცივის ბრალი“.

დავითი მიხვდა, თუ რად მოუთხოვბოდა მას მოხუცი ერისთავი ამ ძველ ამბავს. უკეთუ ჭრისტიან კეისარს წარმართნი ბაქანიკნი ასე ებრალებოდა, შენ თანამომე ტომის შემოსამტკიცებლად მიდიხარ, როგორც ჭრისტიან მეფეს უფრო მეტად ვმართებს დაზოგო სისხლისმფერი ნათესავნი შენი“.

დავითს რკინის ჩაბალახი თავზე ეხურა, მაგრატისეული; წინიდანის უძინარს სისასტიკის იერი ეტყობოდა სახეზე. დააკებულმა ღიმილმა შესძრა ბავნი სულ ოდნავ, გვარამ ერისთავს მიუბრუნდა და უთხრა ხმაშალა:

„შენ ხომ გახსოვს, გვარამ ბატონო, სინდთა მეფის იგავი ვახტანგ გორგასანისადმი თქმული?“

რომელი ერთია?

„ახლათ შენაც გსმენია, ყუავეთ ვით იპოვნა ქორის ბახალა და გამოწაფა იგი, მაგრამ რა წამოიჩინა გავრდილი, ნეარდი მოუნდა და შემოეჭამა შვრდელი.“

ნურავინ შეივრდომებს თავის მტერს, თორემ მასაც იგივე ყუავეს შეეშობვა უტუნურს. ჩინებული ვაეკაცია კეისარი ალექსი, მაგრამ იგი ეგვომ ლმობიერად არ მოქცეოდა ჩაბას, მის მიერ გავრდილი თურქი ესოდენ დიდ განსაცდელს არ განუშაბადებდა საეკისროს ბიზანტიისას*.

გვარამ ერისთავი შეაკრთო ამ ამბავმა. ახლა მოავონდა: როცა ლაშქარი ნაქარმაგვეიდან დაიძრა, ქარიზან სეტხელის უკან ძელქვის ძელი მოქქონდათ ჩუხჩითა, ხოლო კარგების ყათარს¹⁾ თან მოსდევდა ასოდე ჩუხჩი და მათ თან მოჰყავდათ შავად თავშებურვილი ლიპარიტ ერისთავი.

ახლა უკვე დარწმუნდა ბეჭისციხის პატრონი, კლდეკარს შემოეწყობოდა მეფე და მამაშვილს ძელზე გასვამდა ჭონდაქართუხუცესი—ქარიზან სეტხელი.

შეწულდა მოხუცი ერისთავი. ძელზე ვასმა არა ერთხელ ენახა თავათ. ინანა: ნეტავი ფეხი მომტეზოდა და ამ წელსაც არ ჩამოვსულიყავი ბიზანტიიდან.

ცხუას სადავე დაუმოკლა, ოდნავ ჩამრჩია მეფეს, ახალსპასალარებს თვალი გადაავლო. მათაც ეანგისფერი ჩაბალახები ეხურათ თავზე, მღუშარედ ისბდნენ უნავორებზე და მათაც ისეთივე სასტიკი იერი გადაჰკროდა საბზე, როგორც მათ პატრონს.

„იცილებიან ეამნი, ფიქრობს გვარამ ერისთავი, ჩვენცა გყოფილვართ ახალგაზრდანი ოდესლაც, ჩვენცა გეცშია თორნი და ომები გადაგვიხდია. სულ სხვა თაობა თან მოჰყვა ამ დროს—მძინეარე, მეშულლე და დაუზოგავი. გიორგი მეფეც რომ დავითსავეთ გარჯილიყო, მაშინ მხოლოდ მე და შამან ერისთავს შეგვეჩიბოდა კისერზე თავი. ხომ ჯერაც ჭაბუკია მეფე დავითი, ავრე თავვამეტებით უყვარს ორბელიანის ქალი, ცოლოურს მიდის სპიანად, რათა ძელზე გასვას თავისი მომავალი სიმამრი და ცოლისძმა. იცილებიან ეამნი, ზენი, ჩევენი კაცთა“...

ქორები დგებოდნენ მახლოზელ ქარაფებიდან, დუმბულენის ზმაზე ფრთხილდნენ არჩვის ჯოგები, უცნაურის სისწრაფით მოჰქროდნენ ისინი სერებზე, ორთქლი ასლიოდა გაქაფულ ცხენებს, მელიები ვადარბოდნენ ბილიკებზე, ფრთხილდნენ ულაყები. უხიავი ფრუტუნით მისდევდნენ დამრეცილ ბილიკებს.

საურზე შარა მხარმარცხნით უხვევდა, ხეეს გადაღმა შეღმართი იწყებოდა კვლავ. ბოგირი ჩაელეწით ურმებს, მეფემ დეზი შკრა სკვითის და ხეეს გაღმა გადასკუბა. გვარამის ცხენმა წაიგრძელა კისერი, დააშტერდა ხეეს და უკუიქცა ვაოჩნებული.

გაუჯავრდა თავის იაბოს ბეჭისციხის პატრონი, ცხენი გადახტა, მაგრამ მოსართავი გასწყვიტა.

მეფე შემობრუნდა:

„რა მოუვიდა, გვარამ ბატონო, შენს ცხენს?“

„მცირე ხნით უნდა დავებოგო, ჩვენო პატრონო, მებარეულთა ჩამოსვლას მოვუცდი, მისრატულნი ვამომიცილიან მოსართავს“.

შერგილ ლიპარტიანი მიეხალა ცხენდაცხენ მეფეს. ახლა მათ განავრძეს საუბართ გზა.

*) ყათარს — ჯოგების, ან აქლემების შეიდეულა.

როცა მეკარენი და მებარგულნი წამოეწიენ გეარამს, მახარაჩ ზებრიანა მისრატულთა და ერისთავის უნაგირს მოსართავი გამოუცვალეს.

„შენს ცხენს ბევრი ქერი უჭამია, გეარამ ბატონო, როგორც ცხენს ეკუთვნება მახარაი ბექისციხის პატრონს.“

„შენ მართალი ხარ, მახო, მაგრამ ჩემი მეჯინიბის ბრალია ეგა, ვეველრება, ნუ ასუქებ მეთქი ასე უზომოდ ცხენს, მაინც არ იშლის ი ოჯახქორი თავისას.“

„მაძლარი ცხენი არც დოღში გამოდგება, არც ომში“, გეარამმა დაუმოწმა ნათქვამი ქოსას.

„არც მაძლარ კაცს აუვია ციხე-ქალაქი ჯერაც“, დასძინა ქოსამ.

„მხოლოდ მეფეებს თუ მიეტევებათ სიმძლვრე, შენ რას იტყვი, მახო?“

„არც მათ, გეარამ ბატონო. მუცელდმერთობა, უთავეამო ნადიმობა და ნადირობა ეს უპირატესი ზალია მეფეთა“.

„მამ ვინღაა სეგებენიერი ამ ქვეყნად, მახო?“

„არც იგი, ვისაც ძლომისაკენ მუღამ უჭირავს თვალი, არც იგი, ვინც ხვანჯებს უგებს მოყვასს თავისას. ქეშმარიტი ბედნიერება მხოლოდ დიდი გმირობით მოუხვეჭიათ, გეარამ ბატონო, კაცთა“.

როცა ეს ორნი ასე მისაუბრობდნენ, მათ უკან მიმავალნი მისრატულნი ყურს უგდებდნენ ნაუბარს.

გეარამ ერისთავმა სადავე დაუმოკლა ცხენს, წინ გაუშვა მისრატულნი და როცა ისინი უკვე შორს იყვნენ, მიმოიხედა და ეუბნება მახარაის:

„მხოლოდ მე და შენა ვართ ამ ჭაბუკთა შორის ხანდაზმულნი, მახო, როგორმე ავარიდოთ ძმათა სისხლის ღვრას მეფე“.

„რატი ორბელიანს ნანატრი აღუდა, როგორც ჰხედავ, გეარამ ბატონო, საქნიერით უნდა მოვიტყუოვო თრიალეთის საერისთავოში არწივი. ახლა იგემოს თავათ“.

• •

მანგლისამდე ერთი ეგვი უკლდათ, როცა ჭარიმან სეტყელი და ჩუხჩნი მეფისანი თოროსან რაინდებს შეეყარნენ საურმე გზაზე. ისინი არ დაქვეითდნენ პატივითა ხილვის¹⁾ მოსაწყობად, ჩუხჩნი მეფისანი რა შეიცვენეს, ცხენებს დეზი ჰკრეს, ჰოროლები გამართვეს საბრძოლოდ.

ჭარიმან სეტყელმა მამისთვალა მახარობლისძე იცნო, მახელილი გააშიშვლა, ცხენი დასძრა და მელამეს აძგერა მკერდულით. ერთის მოწვევით წააცალა თორიან პირუტყვს თავი და მხედრიანად გადააგლო კბოდედან.

შემოუტყეს თრიალეთელებმა, მეწინავეებს გამოუტყეს ცხენები, მკლავა გამართეს ჩუხჩთა. ლიპარიტის აზნაურებმა ცხენები დასთმეს და ქარაფებიდან გადაიხვეწნენ თავათ.

• •

გასქირდა კლდეკარის მისაღგომებზე ასვლა. რატი ორბელიანი გამოდიოდა ციხიდან, საგორაეებს უშენდა სამეფოის სპათა.

მეფეს ეწაღა ჯონდი შამანისძე გამოეცაღა ციხის აღებაში; ამიტომაც

¹⁾ პატივითა ხილვა — ძველ საქართველოში, როცა სამეფოის ლაშქრის რაზმულნი ურთიერთს შეხვდებოდნენ გზაზე, დაქვეითდებოდნენ, აკოცებდნენ ერთმანეთს და ისევე შესდებოდნენ ცხენებზე, ამ ჩვეულებას „პატივითა ხილვას“ უწოდებდნენ.

უბრძანა თაკვერის ერისთავს, დაწინაურებულიყო და გზა გაეწმინდა ლაშქროსათვის.

ჯონდიმ ცხენებიდან ჩამოსხა თაკვერელნი ლაშქარნი, აერიდა მთავარ შარას ციხისაკენ მიმავალს. დაჰფანტა კოპორტები და უბრძანა მათ ნოხვით აყოლოდნენ ღირღალიან ბილიკებს, ჩირგვები და აკანთი გამოეყენებინათ საფარად და ამრიგად აყოლოდნენ შეღმართს.

რატის გაუკვირდა ეს საომარი ხრიკი. მან გადმოცემით იცოდა: როცა პარაკიმანოსმა ბერძენთა ლაშქრითურთ შეუტია კლდეკარს, იგი ამას ვერ მიხვდა, თავი ააღირა და ჯიქურად მიჰყვა აღმა მიმავალ გზას, ამიტომაც საგორავებშით ამოუხოცეს სპანი.

რატი ორბელიანმა ისიც შენიშნა: თაკვერელ ლაშქართა უკან მეფეს თან მოჰყვებოდნენ ფილაკავანნი, ვერძები და ტიხისეპელემატების მთელი რაზმეული, შეკრთა, უკუიქცა სპიანად და ციხის კარები დახშო.

მეფემ გვარამ ბექისციხის პატრონი შეგზავნა ციხეში და შეუთვალა რატის: უსისხლოდ დასთმეო ციხე.

გაჯიქდა ლიპარიტის ძე, ბოლოს ეს უპასუხა გარემომცველთა: მამაჩემი თქვენა გყავთ ტყვედ, განათავისუფლეთ იგი, ხოლო მე გზა მშვიდობისა მომეცით და მოგცემთო ციხის კლიტეებს.

მეფემ შერგილ ლიპარტიანს უბრძანა: ახლოს მიეწია ციხისკენ ფილაკავანები, ვერძები და კედლის მბურღავნი.

სწორედ იმ დღეს მოაღწია კირიონ მანგლელმა სამღვდელთა დიდის ამალით.

კირიონ მანგლელი და მამაი ბასილი შეგზავნა ციხეში მეფემ.

რატის მეფეზე უფრო მეტად კირიონის შეჩვენებისა ეშინოდა, მაინც უარზე დადგა, ხმალმა გაგვასწოროსო, ყვიროდა. როცა კირიონ მანგლელი დაბრუნდა, მეფემ ბრძანა და ქარიზან სეტყელმა საჩინო ადგილას აღმართა ძელა.

ახლა კლდეკარის სამშერგებიდანაც ჰხედავდნენ, თუ როგორ აშხადეს შავი საფარველი ლიპარიტ ორბელიანს, ქარიზანმა ყმაწვილივით აიყვანა იგი ხელში და გასვა ძელზე.

გვარამ ბექისციხის პატრონი შეძრწუნდა, რკინის ჩაბალახი აიფარა თვალეზზე, მაგრამ ცრემლები მოწანწყარებდნენ მატყლისფერ წვერზე.

რატიმ ველარ გაუძლო ამ სანახაობას. კოზმან ბერმა გამოიტანა ციხის კლიტენი. დიდ კარავში ეახლა მეფეს, ფერხთით დაუფარდა და შეპოლადა: „პოლიხრონიონ“.

ვიღრე სამეფოსის სპანი კლდეკარში შევიდოდნენ, რატი ორბელიანმა იღუმალ ხერელს მიმართა და თავს უშველა.

ლიპარიტ ამირას ქედზე ბორკილი დაადგეს და დილეგში დააბეს ჯაჭვით. კლდეკარის ციხისთავად ჯონდი ერისთავი დანიშნა მეფემ.

ერთი მსგეფსის მანძილზედ აიღო სამეფოსის ლაშქარმა თრიალეთის უმტკიცესნი ციხენი უსისხლოდ. შერგილ ლიპარტიანი ხულუტის ციხეში ჩააყენა დაეითმა, ბერი ქალის ციხე ჯოჯიკს ჩააბარა, ხოლო თავათ ლიპარიტის უბანს წაბრძანდა სპიანად მკოლოვანთა და გლახაკთა მეფე.

პირველი კარის დასასრული

კონ. ლორთქიფანიძე
ილო მოსაზვილი

ის კიდევ დაბრუნდება

ლიტერატურული სცენარი

ტრიალ შინდორზე უმოძრაოდ შეტბორებულა სამკალად შემოსული ყანა. მხოლოდ ორგან ტალღასავით წვება და ირხევა იგი.

პირველი ტალღა შეჩერდა და დაზნექილ თავთავებში ბინოკლის წყვილმა შესამ გაიეღვა. მეორე ტალღაც შორიახლო შესდგა...

ბინოკლში გამოჩნდა: პატარა დაბის უცაღურ ქუჩაზე აჩქარებით მოშავალა ქერათმიანი ქალიშვილი. იგი განაპირა სახლთან შეჩერდა, მიმოიხედა, კედელზე მიყრული ქუჩის გერმანული სახელწოდება — „დოიჩლანდ-შტრასსე“ სწრაფად ჩამოგლიჯა, შერე უბიდან მტვერში ნაგდები თუნუქის ნაჭერი ამოიღო, გაწმინდა და კედელზე სათუთად ჩამოაკიდა. თუნუქზე ჩაბეჭდილი იყო: „სტალინის ქუჩა“.

გათელილი ყანა თანდათან იმართება, ისევე წვება და ირხევა და ბინოკლში ეხლა გამოჩნდა:

გერმანელი ოფიცერი ხელში თუნუქის ნაჭერს ატრიალებდა და პატარა ეზოში, ჯარისკაცებით გარშემორტყმულ ქალებსა და მოხუცებს, რომელთა შორის ის ქერათმიანი ქალიშვილიც იყო, გაცეცხლებული უყვიროდა:

— ვინ დააკიდა ეს?

შეეკითხა იგი ქერათმიან ქალიშვილს.

— რაც დაეიზადე... ეგ ხელ ასე ჰკილია!

წარბშეუხრელად უპასუხა გოგომ.

— მაშ, არც შენ მეტყვი, ქოფაკო?

გაცოფებული ოფიცერი ახლა მადალს, თეთრწვერა მოხუც შეუტრიალდა:

— რაც კაცი გავხდი... მეც სულ ასე მახსოვს,

ბატონო ოფიცერი!

აუღელვებლად უპასუხა მოხუცმა.

ოფიცერი მიხედა მის ორპარტიან პასუსს და ხელემაკანკალვბულმა შექცევია:

— ეხლავე საფლავი გაითხარეთ... მალე დაგვეწვივდეთ ამ სახელს!

შენსიონისეა

ბინოკლმა ახლა ყანის პირას გამოანათა:

პატარა ეზოში ათიოდე ქალი და მოხუცი ორმოს სთხრიდა... ეზოში ორი-სამი წლის ფეხშიშველა ბიჭუნა გამოტანტალდა, ხელში სათამაშო ნიჩაბი ეჭირა, მზიარულად მოხტოდა... ოგი რომელიღაც ქალთან, ეტყობა დედასთან, შივიდა და თვითონაც მიწის ჩიჩქენა დაიწყო. ელდანაკემმა დედამ ნიჩაბი გამოსტაცა და განზე გადაუდგო... ბიჭუნა ატირდა. კუნძზე ჩამომჯდარი ოფიცერი მაშინვე წამოდგა, ნიჩაბი აიღო და ბიჭუნას მიუტანა. მადლიერმა ბავშვმა ოფიცერს გულლიად გაუღიმა და ისევ მიწის ჩიჩქენა განაგრძო...

ორი დაშორებული ტალღა ყანაში ერთმანეთს შეუერთდა და ორი მებრძოლი გამოჩნდა, სერჯანტმა უბიდან რუქა ამოიღო, ზედ რაღაც აღნიშნა და იქვე გაწოლილ წითელარმიელს გაუწოდა:

— შენ წადი, სტეფანე, ეს მეთაურს გადაეცი!

წითელარმიელი გაოცდა... იგი მიხედა ამხანაგის განზრახვას...

— მარტო ვერ გაგიშვებ, გიორგი!

— ჩვენ მზვერავები ვართ, სტეფანე, ორივე ერთად ზოფათში ვერ გავებმებით...

— გიორგი...

გაუბედავად და თითქოს ვედრებით დაიწყო წითელარმიელმა, მაგრამ სერჯანტმა სიტყვა უმაღლვე მოუჭრა:

— წითელარმიელო ვერშინინ, დაუყოვნებლივ შეუდუჭი ბრძანების შესრულებას.

— არის... დაუყოვნებლივ შეუდუღე ბრძანების შესრულებას!

მერე ხმას უფრო დაუწია და მდღეღვარედ წასჩურჩულა:

— შე ურჯულო... ჯიქურად მაინც ნუ მიხვალ... ბეგრნი არიან...

გადაკოცნა და ყანაში ჩაიმალა. ეხლა ორი ტალღა ერთმანეთს დაშორდა... ბინოკლი ისევ გამოჩნდა:

ორმოსთან ჩამწკრივებულ ქალებსა და მოხუცებს კუნძზე ჩამომჯდარმა ოფიცერმა დინჯად დაუმიზნა რევოლვერი... ქერათმიანი გოგო ბავშვიან დედას ჩამოეფარა... თიფთომომარჯვებული ჯარისკაცები ოფიცერის ნიშანს ელოდნენ და გავარდა კიდევ მისი რევოლვერი.

ქერათმიანი გოგო ჩაიკეცა... მაშინვე ზედიზედ კიდევ გავარდა... ოფიცერი უსულოდ დაემხო მიწაზე... დაემხო ორი ჯარისკაცი, მესამეც, მეოთხეც, მეხუთეც... მხოლოდ ერთმა მოასწრო გაქცევა, მაგრამ...

ლობესთან ჩაჩოქებულ გიორგის ავტომატმა იგიც კიშკართან დასცა...

ეზო წამსვე დაცალკერდა... გიორგი ქერათმიან გოგოსთან მივარდა, ხელში აიტაცა და ლობეს მიჰვარდა...

მაღალ ბუჩქნარში გახვითქულ გიორგის ძლივს მიჰქონდა მკლავებზე დასვენებული ქალიშვილი... ისმოდა მოტოციკლეტის შორეული ბრიგანი.

ფერმიხდილი ქალიშვილი მიღევულ თვალებით ხანგრძლივ მიაჩერდა გიორგის...

— დედა თუ გყავს... ან და?

ისე შეგეითბა, თითქოს რაღაც უნდოდა დაებარებინა მათთან.

— ჩემი და ეხლა შენ იქნები... დედამხიმი ძალიან შორს არის...

— ჩვენგანაც ერთ დროს... შორს იყო ფრონტი... ეხლა კი... სიკვდილი მე უფრო ძნელი მეგონა...

— სიკვდილს შენთან რა ხელი აქვს? აი მალე მიგიყვან, მოგივლით, მოჩჩები... ისევ ბედნიერი იქნები...

— ვიქნები... ბედნიერი ვიქნები...

ჩურჩულებდა ქალიშვილი, გიორგის ეკვროდა, მის შკერდზე ხელი უჭირავდა. თითქოს ბედნიერებას მართლა ხელით ეხებო, მიხნედილ სახეს მკრთალი ღმილი უნათებდა...

გიორგიმ პატარა ლელე ვასტოპა. მიუჭებულ ქალიშვილს დახედა... უკანასკნელი ღმილი სამუდამოდ გაციებულყო მის უსიცოცხლო სახეზე... ვაჟკაცს მუხლი მოეკვეთა, ერთბაშად შესდგა... ქალი მძინარესავით წელა დაასვეხა მალალ ბუჩქთან და ღრმად ამოიოხრა... მოტოციკლეტის ხრიგინი თანდათან მოახლოვდა და უჩინარმა ტყვიამფრქვევმა მახლობელი ბუჩქის ტოტები მოკელა.

გიორგიმ აეტომატი გადმოიღო. ქალიშვილს ერთხელ კიდევ დახედა და მოშამბულ ბორცვზე ხოხით აცურდა. მოტოციკლეტის ხმა უკვე ახლოს ისმოდა. ფოთლებში ჩამალულ გიორგის აეტომატმა ზედიზედ დაიჭეკა და ტყვიამფრქვევის კაქანიც ერთბაშად შესწყდა... ყანაში, მალალ ბილიკზე უმზედრო მოტოციკლეტმა გადაიჭროლა და ტყვიამფრქვევით მიწაში ჩაერჭო... ერთხანს კიდევ ტრიალებდა შეყირავებული ბორბალი...

შორს ხანგამოშვებული აფეთქების ხმა ისმოდა, ბუჩქებში ტყვიები სტყუნდნენ. გიორგის მხრებზე ეყრებოდა მოსხებილი ტოტები და ფოთლები და მისი აეტომატი შეუნელებლად ისროდა... და უცებ, იდაყვებს დაყრდნობილ გიორგის მხარი გამოეცალა, სახე მწვავე ტკივილმა დაუღრიჯა... აეტომატი დადუმდა...

იგი ცალ ხელს დაეყრდნო, წამოდგომა სცადა, მაგრამ ისევ უღონოდ მიწაზე დაეშვა და თვალები მილულა...

აფეთქების ხმა თანდათან მოახლოვდა... გიორგი შეიშხა, რაღაც მოაგონდა, გულჯიბებში ხელი ჩაიყო, სათითესავით პატარა, შავი კოლოფიდან მოგრძო ქალალდი ამოიღო და დააკერდა:

„გიორგი ბეჟანისძე ხელაშვილი. სოფ. ლიახვისკარი, საქ. ს. ს. რესპუბლიკა“.

მერე კოლოფი განზე გადაისროლა, ქალალდი დახია და გადაჰყარა.

სროლა გახშირდა. შორიდან იერიშზე მომავალ ასეულის ერთხმა რუსულა ყიფინა მოისმა. მახლობლად რამდენიმე ყუმბარა აფეთქდა და ჰაერზე შხუილით აისროლა ძირიანად მოგლეჯილი ხეები და ბუჩქები...

გიორგი ბალახზე მიესვენა... გარშემო ყველაფერი კვამლმა და კორიანტელმა დაჰტარა.

კვამლი რომ გაიფანტა, გიორგის თავზე დასდგომოდა სანიტარი ქალი ნატაშა და ჭრილობას უხევედა...

ქალმა მაჯა გაუსწინჯა და, როდესაც დარწმუნდა, დაქრილი ისევ ცოცხალი იყო, მათარა პირთან მიუტანა.



მერე გულჯიბეში ხელი მოუფათურა...

დაჭრილი მოსულიერდა, უსიცოცხლო თვალები ქალს მიაპყრო... და მიხედ-
და, რას ეძებდა იგი...

გალიმება სცადა და ძლივს ამოსთქვა:

— დამეკარგა... ჩემო... დაო!

ქალმა წყალი კიდევ შეასვა.

— შენი სახელი და გვარი მაინც მითხარი!

ისე ფრთხილად ჰკითხა ნატაშამ, რომ მომაკვდავს ეკვი არ მიეტანა, თუ
რატომ ეკითხებოდა...

გიორგიმ უარის ნიშნად თავი გაიქნია:

— არ მინდა საწყალმა დედაჩემმა ჩემი სიკვდილი
გაიგოს...

ვაჟაკის სიტყვამ ქალს გული აუდღღა და ისე ჩახედა ჩინდაკარგულ თვა-
ლებში, თითქოს თავისი სიცოცხლის ნახევარს დაჭრილს უზიარებდა.

დედის ხსენებაზე გიორგის თვალებში სინათლე მოემატა... ჩურჩულით გა-
ნაგრძო:

— ასი წელიწადი რომ იცოცხლოს, დე მუდამ იფიქ-
როს, ჩემი ვაჟი როდისმე მაინც დამიბრუნდებაო...

ამოიოხრა და ქალის მკლავზე უღონოდ მიესვენა...

შალაშმა, შუახნის დედაცაცმა ორლობეში ცხენის ურეში შეაყენა და ხელი
მოიჩრდილა. იგი ხანგრძლივ, მოუთმენლად მისჩერებოდა სოფლის შარაზე
მიმავალ ფოსტალიონს...

დედაცაცმა ცხენს წკებლა გადაჰკრა და ფოსტალიონს გამოუდგა...

ფოსტალიონი ორსართულიანი სახლის ქიშკარს შიდადა...

ეზოში პირხმელი, მოხუცი გლეხი უზარმაზარ კუნძს უგუნებოდ აპობდა.
ფოსტალიონის დანახვაზე მოხუცს შემართული ნაჯახი ხელში შეაცივდა...

შაგრამ, როდესაც ფოსტალიონმა კონვერტი შორიდანვე დაუფრიალა, მო-
ხუცმა ისე თავგამეტებით დაუშვა ნაჯახი, რომ კუნძი შუაზე გაიპო...

— შენი ჭირიმე, შაქრო!

შესძახა მოხუცმა, საჩებიდან ხელადა გამოიტანა და ფოსტალიონს მზიარუ-
ლად მიეგება.

— რაც ეს ომი დაიწყო, შენისთანა მადლიანი ხელო-
ბის კაცი მეორე არ დადის ჩვენს სოფელში... დალიე,
მუხლში ძალა მოგეცემა!...

უთხრა და ღვინო მიაწოდა...

ფოსტალიონმა ხელადა მოიცილა და საესე ჩანთაზე ხელი შემოიკრა.

— დასალევად სადა მცალიან, მიხაკო! დღეს ორი შრო-
მადლის წერილები უნდა დავარიგო! ჯერ ომი გავათა-
ვოთ, ბიჭი დაგიბრუნდეს, მერე ღვინის დალევასაც
მოვესწრებით...

უთხრა ფოსტალიონმა და გზას გაუდგა...

მეურმე დედაცაცმა ცხენს ისევ გადაჰკრა წკებლა, და რაც უფრო უახლოვ-
დებოდა ფოსტალიონს, მეტი მოუსვენრობა და მღელღვარება ეტყობოდა.

ცხლა ფოსტალიონი მეორე ეზოს გაუსწორდა. თონეში ჩაკიდებულმა მო-
6. „მნათობი“, № 6.

ხეცმა ქალმა პური მიაკრა და წელში რომ გაიმართა, მაშინვე ქოშებზე შემოიკცა და ქიშკრისაყენ გაექანა.

მავრამ ქოშებმა სირბილი დაუშალა. შუაგზაზე დაჰყარა და ფოსტალიონს ფეხშიშველად მიეგება...

— არ ვასციედე, მარიამ!

გაუღიმა ფოსტალიონმა და წერილი გაუწოდა...

— შენ რომ ჩემს ეზოს მოადგები, შაქრო, იმ დღეს შეკდარი რომ ვიყო, მინც გავცოცხლდები!

უთხრა მოხუცმა ქალმა, წერილი ჩამოართვა, ხელში შეატრიალა და ხმაბაბლა დაუმატა:

— ნეტავი რომლისა იქნება, იმის ჰირიმე!

— შენ რომლისა გინდა, რომ იყოს?

ეშმაკურად გაუღიმა ფოსტალიონმა.

— დედის ძუძუს შვილები როდის გაურჩევია, შეილო!

უთხრა მან და წერილი ისევ ფოსტალიონს გაუწოდა.

— წამიკითხე, ბიჭო!

— რომელი წაგიკითხო, ჩემო მარიამ?

დიდგულად მიუგო ფოსტალიონმა და ჩანთიდან მეორე წერილიც ამოიღო... სახე-გაბრწყინებულმა მოხუცმა ორივე წერილი მკერდზე მიიკრა:

— აი, ასე გაიხარა შენმა ორმა თვალმა, ჩემო შაქრო!

— წამიკითხე, თუ არ გეჩქარება?..

— ამ ჩანთას ხედავ, მარიამ? რამდენი დედა შელის კიდევ!...

— უმცროსისა მინც წამიკითხე, ბიჭო!

ფოსტალიონმა წერილი გახსნა, რომ გზაზე ცხენის თქარუნი მოიხსია. გაიხედა და შეურმე დედაკაცი რომ შენიშნა, წერილი მაშინვე მარიამს მიაჩენა და გზოდან ქურდულად გაიპარა... ეტყობოდა შეურმე დედაკაცთან შეხვედრას გაურბოდა...

გაოცებულმა მარიამმაც გზას გახედა, მანაც დაინახა შეურმე ქალი და წერილები სწრაფად უბეში დამალა.

შეურმე დედაკაცმა ცხენი შეაყენა... იგი მიხვდა, რატომ დაემალა ფოსტალიონი, — და ამდენი მოლოდინი, მოუსვენრობა, მღელვარება სულერთიან წაეშალა სახეზე... დედაკაცმა ღრმად ამოიოხრა და ცხენი ნელა უქანვე მიადრუნა...

„ომში წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო!“

ხალისიანად მღეროდა ტრაქტორზე ქალაჩა გლეხი, ბეიან ხელაშვილი. ტრაქტორის რადიატორზე ლამაზად გამოჭრილი ფიცარი ეკიდა:

„გიორგი ხელაშვილის ტრაქტორი“.

შეურმე დედაკაცმა ცხენი ხულის პირას შეაჩერა.

„...დაბრუნება და შინ მოსვლა,
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო...“

ალერსიანად მიუმღერა მოხუცმა. ტრაქტორიდან თავმომწონედ გადმოხტა...
 მაგრამ ეტყობა, ასე ქაბუჯურად გადმოხტომა, არც ისე ადვილი იყო მისთვის...
 და დედაკაცმაც მაშინვე ქოქოლა მიიყარა:

— რა გამღერებს და რა გახტუნებს, მკაცრად დასაჯა...
 და შვილის ტრაქტორზე ვზივარო, დასანიშნი ბიჭი
 ხომ არა გგონია შენი თავი?

— როგორც ხარ ქარხანაო, ისეთი გყავს თარხანაო...
 გაეხუმრა მოხუცი და ურმიდან სანაეთე ჩამოიღო.

— მიწა კი დაეყარა შენს ენას...

მიაძახა დედაკაცმა, ტრაქტორიდან დაქდეული ჯოხი გადმოიღო და ხნულს
 სიღრმე გაზომა.

შუბლი შეიკრა...

— აქ მობრძანდი, ვაებატონო! ასე ხნავდა ჩვენი გი-
 ორგი? ამიტომ ჩამოგვიდეთ ტრაქტორზე მისი სახელი,
 რომ სოფელში თავი მოეჭრათ?...

გულშემოყრილმა მოხუცმა სანაეთე ტრაქტორთან მოიტანა:

— რა იყო, დედაკაცო! რა მოგელანდა?

კოლმა ნაქდევი გადაზომა და ჯოხი ცხვირთან მიუტანა:

— ოთხი თითის დადება აკლია, შენ დავაკლდა ოთხი
 დღის სიცოცხლე! თუ არ შეგვეძლო, კაცო, რალად ვ-
 კისრეთ მისი მაგიერობა?! ბიჭმა სტახანოეური ტრაქ-
 ტორი დაგვიტოვა... ახლა მაჩანჩალა ვაეხადოთ?

ხელში ცხენოსანი ბრიგადირი შემოვიდა.

— ბეჯანსა და მაგდანს ვაუმარჯოს! რა გაჩხუბებთ,
 ბებრებო?....

ბრიგადირის დანახვაზე ბეჯანს გული მიეცა:

— რა ვიცი, კაცო! ხელში არსენას არშინი დაუქერა
 და ჩამცივებია, ნახნაფი არ გივარგაო! მოდი, თუ ძმა
 ხარ, შენ გაგვესამართლე!

შესჩივლა ბეჯანმა ჩამოქვეითებულ ბრიგადირს...

ბრიგადირმა მოწონებით გადახედა მაგდანს...

ჯოხი ჩამოართვა და ხნულს სიღრმე რამდენიმე ადგილას გაზომა...

ეტყობა კმაყოფილი დარჩა:

— ბებერი ხარისა რქანიც ეწევიანო... მეტი რა გინ-
 დათ, თქვე დალოცვილებო! ორი თვეა, ტრაქტორი ის-
 წაეღეთ და, ქვესკენლს ხომ ვერ გადააბრუნებთ?!

შეაქო ცოლქმარი ბრიგადირმა და უბის წიგნაკი ამოიღო...

რალაც იანგარიშა...

მერე ფიცართან მივიდა...

ბეჯანმა სათვალე გაიკეთა...

და, როდესაც ბრიგადირის ხელმა ფიცარზე დღიური გეგმის შესრულება
 105% აღნიშნა,

ბეჯანმა სათვალე მოიხსნა, უღვაშებზე ხელი გადაიხევა და ცოლს თავმომ-
 წონედ გადახედა...

— მიწა კი ვაგისქდეს!...

მიაძახა მაგდანმა, თუმცა მის ხმაში ალერსი მეტი იყო, ვიდრე დაცინვა.

მერე კაბა შემოიკვალთა და ტრაქტორზე ავიდა... გუთნის პირი რბილად შეტურდა აფუებულ მიწაში...

— დედა მყავსო, გიორგიმ უნდა დაეყვებოდა...
ჩაილაპარაკა ნასიამოვნებმა ბრიგადირმა და ცხენს მოაჯდებოდა...

— დაიცა, თუ ძმა ხარ!
უთხრა ბეიანმა, ცხენოსანი კაკლის ჩრდილში შეაჩერა და ხელადა მიაწოდა.
— მაღლიანი კაცი ხარ, შეილი დამილოცე...

ბრიგადირმა ხელადა ჩამოართვა. უნაგირზე გასწორდა და თითქოს სჯეროდა, რომ კაცის სიტყვას მართლა შესწევდა ამდენი ძალა და მაღლი, დინჯად წარმოსთქვა:

— გიორგის გაუმარჯოს! წყალში იყოს, წყალი დაშრობოდეს! ცეცხლში იყოს, ცეცხლი ჩაჰქრობოდეს! გზაში იყოს, გზა დალეოდეს!... შინ მშვიდობით დაგიბრუნდეს!...

ხელადას დაეწაფა...

ეზოს უკანა ღობეზე ტანადი, შავგვრემანი ვოვო ვადმობტა. სირბილისაგან იყო თუ მღელვარებისაგან, გული უჩქროლავდა... წამით შესდგა, სული მოითქვა და ეზოს თვალი მოაელო... მერე ფრთხილად, გაუბედავად, თითქოს რალცას ერიდებო, საჩეხში შევიდა... ცოცხი მონახა...

გრძელი ნაწნავები მარცხენა ხელში მოიკრიფა და ეზოს დასუფთავებას შეუდგა.

ჰგვიდა და ცალი თვალი გზისაკენ ეპირა... ეტყობოდა, ეშინოდა ვინმეს არ მოესწრო.

ლობის ვადალმა მგზავრმა ჩაიარა...

გოგოც მაშინვე ტალავერს მოეფარა...

შემდეგ ისევ საჩეხში შეირბინა, ბუხარში ცეცხლი შეანთო, კეცები შედგა და კოკა გასწინჯა...

ცარიელი რომ დაბედა, კოკა მხარზე შეიდგა და ეზოდან გაჰქრა...

ბინდებოდა.

დაღლილი მაგდანი კოკასთან მივიდა, — კოკა საესე იყო... ბუხართან მივიდა. — ბუხარში ცეცხლი ენთო... იქვე, ტაბლაზე ცხელი ჭადები ეწყო...

მაგდანი გაოცდა...

— რა იყო, დედაკაცო!

ჰკითხა საჩეხში შემოსულმა ბეიანმა და სვეტზე მიბმულ ძროხას ბალახი დაუყარა...

— ეს რა კეთილი სული შემოგვეჩვია, კაცო! ხედავ? შეიკვირვა ცოლმა და გაწყობილ სუფრაზე მიუთითა.

ბეიანი ამაყად წელში გაიმართა...

— კარგი შეილის დედმამას კეთილი მეზობელი არ დაეღუევა...

შეილის ხსენებაზე მაგდანმა თითქოს მოიწყინა და ვითომ სხვათაშორის ჰკითხა:

— როსეთი ძალიან შორსაა, კაცო?

ბეჟანი მიხვდა, საიდანაც უვლიდა ცოლი.

— ლუკმა შემაკამე... ამ შუალამისას რა მერუსეთება, დედაკაცო!

განგებ შეუტია მაგდანს და სუფრას მიუჯდა.

მაგდანმა განჯინიდან მესამე თევში და მესამე ჭიკა ვადმოიღო და სუფრაზე დააწყო...

— სტუმარს ელი ვინმეს?

ჭკიობა გაოცებულმა ბეჟანმა, როდესაც ცოლმა მესამე სკამიც მიუღდა მივიდას...

— დღეს რაღაცნაირად ბიჭი მომენატრა... იქნებ მასაც ლენო სწყურია სადმე...

წარმოსთქვა მაგდანმა და ის იყო მესამე ჭიქის შევსებაც დაიწყო, რომ ლამის საჩუქმეში კოტის ავბედი კივილი შემოიჭრა.

მაგდანი შეკრთა... ხელადა ხელში შეაკვივდა...

— რა დროს დამკვივლა ამ ტიალმა!

წაიჩურჩულა მან და ქმარს გატახტედა...

ბეჟანი უხმოდ წამოდგა. კედლიდან თოფი ჩამოიღო და იქით გაისროლა, საიდანაც კივილი ისმოდა.

თოფის შორეულ გამოძახილს მანქანის გუგუნე მოჰყვა... ტალღებივით ეხლებოდნენ ერთმანეთს ჩაშვეებული ბელტები. ტრაქტორზე მაგდანი იჯდა...

იგი წამოდგა, ხელი მოიჩრდილა და გზას გახედა.

ორღობეზე ნაცნობი ფოსტალიონი მიდიოდა...

მაგდანი ტრაქტორიდან ჩამოხტა...

— შაკროს...

შორიდანვე გასძახა.

ხნული გადაიბინა...

ფოსტალიონმა მოიხედა და უარის ნიშნად ხელი გაიქნია...

მაგდანი ხნულში წელმოწყვეტილივით შესდგა, მკლავები უღონოდ ჩამოსცივდა...

იგი ნელა გაემართა ტრაქტორისაკენ...

მანქანა ისევ დაიძრა,

მაგრამ ფიქრში წასულ მაგდანს გული და თვალი სხვაგან ჰქონდა. იგი ვერ ამჩნევდა, რომ ტრაქტორი უჩვეულოდ ბორჯავდა... ხან ერთბაშად გაიწივდა, ხან შენელებოდა...

— დედაკაცო, ე რა კვიცივით დაბტუნებ მაგ ტრაქტორს?

შესძახა გაოცებულმა ბეჟანმა და ტრაქტორს გამოუდგა... მაგდანმა მოიხედა და მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ გუთანაი ხნულიდან ამოვარდნილიყო და კვალი განზე წაედო...

კვალსა და კვალს შორის უხნავე მიწა სჩანდა.

მაგდანმა თავი აიღო და წუხილის დასაფარავედ გალიმება სცადა. მაგრამ ნაძალადევემა ღიმილმა მწყუბარება მაინც ვერ წაშალა ქალის სახეზე.

ბეჟანს გულმა უგრძნო, რა ცეცხლი ტრიალებდა დედის გულში... აღერსით უთხრა:

— რუსეთი ძალიან შორსაა, მაგდან. წერილი სადმე გზაში იქნება...

ტრაქტორის საფეხურზე ფეხი შესდგა და ცოლის ხელები ფრთხილად მოა-
ცილა საქუს.

სალამოხანს ხელაშვილების ეზოში შევევრემანი გოგო ისევ შევპარა-
კიბეზე ფეხი შედგა და უმალვე შეჩერდა... ეტყობა, შარაზე ვილაც დაინახა:
მხრებში მოხრილი მაგდანი უცხოსავეთ მოადგა თავის კიშკარს...
გოგომ უბიდან ქალაღში შეხვეული ნივთი ამოიღო, მოაჯირზე შემოღო
და ისევე მოულოდნელად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა.

მაგდანმა კიბის მოაჯირზე რაღაც შეხვეული შენიშნა...
გახსნა... წინდები და ხელთათმანები აღმოჩნდა.
ფერად ხელთათმანებზე ორად-ორი ასო იყო ამოჭარგული.
გიორგი თურმე სხვასაც ახსოვდა სოფელში და... დედის სახეზე წამიერო-
სიხარული აღიბეჭდა.

ხელთათმანი დაიზმანა და შიგნით დამალული პატარა სურათი ხელისგულ-
ზე გადმოსცურდა.

დახედა...

ეტყობა იცნო...

და თითქოს ამ სურათიდან გადმოსულაო, ეს შევევრემანი გოგო მეგობარ
ქალებში ჩამჯდარიყო და ტკბილად დამღეროდა.

ფართო ოთახში ათო-თორმეტი გოგო საჩეჩლებს მოსხდომოდნენ და მატყლს
სჩეჩდნენ...

ქალების მინელებულ სიმღერაში საჩეჩლების წკრიალი ისმოდა.

- მათი ხელები ფრთხილად მწყობრად ირხეოდნენ და მატყლის თეთრი ქუ-
ლები შეუწყვეტლად გადადიოდა მარჯვნივ და მარცხნივ...

ოთახში ბრიგადირი შემოვიდა... კმაყოფილებით გადახედა მატყლის დახე-
ვებულ ქულებს...

— აბა, ნინო, მივიღივარ. თუ მატანთ რასმე!

— ეხლავე, მამავ! აბა, გოგოებო!

გასძახა შევევრემანმა გოგომ და კედლიდან ხურჯინი ჩამოიღო.

ქალები წამოიშალნენ.

— როგორ გეტყობა, მარო, გუშინ რომ მმისაგან წე-
რილი მიიღე!...

გაუღიმა ბრიგადირმა პირველ გოგოს, რომელმაც ხურჯინში მთელი დასტა
წინდები ჩაყარა....

— ოღონდ ისინი იქ კარგად იყვნენ და, წინდებს კი
არა, რკინის პერანგებს დავუქსოვთ...

ხალისიანად მიუღო გოგომ.

— შენა... შე ეშმაკის ფეხო, სულ რომ შენს საქშრო-
ებს უქსოვ, რა იქნება ერთი წყვილი ჩემისთანა ბებერ-
საც მოუქსოვო!

გაეხუმრა ბრიგადირი ტანმოორჩილ, თმაგაწეწილ გოგონას...

— აი, როცა თქვენი აპალჩენიეც ფრონტზე წაეა, მა-
შინ შენც მოგიქსოვ, ბიძაჩემო!

სიტყვა მოუჭრა გოგონამ და ხურჯინში ჭრელ-ჭრელი ხელთათმანები ჩაუშვა.

— მატყლი მოგვაშველე, მამავ, თორემ ვეღარ მოვა-
სწრებთ!

უთხრა ნინომ და მამას გატენილი ხურჯინი ზურგზე გადაჰკიდა...

მერე ისევ საჩჩელს მიუჯდა და სიმღერა შემოსძახა...

ქალებიც მაშინვე აპყვენენ...

და ისევ ფრთებივით ამოძრავდნენ მათი ხელები, ისევ ხალისივით დასრულდნენ საჩჩელები...

არ მღეროდა მხოლოდ ერთი ქალი... იგი თავდაბრილი იჯდა და სწრაფად აწყობდა მატყლის ქულებს...

— ხმა ამოიღე, ქალო, რა სახე ჩამოგტირის!

უთხრა ნინომ და მხარი გაჰკრა...

— შენ რა გიჭირს, ნინო!

ამოიოხრა მან და თითქოს თავს იმართლებსო, გაუბედავად დაუმატა:

— ...მე კი ქმარიც იქა მყავს და ძმაცა...

ნინომ სწრაფად გადახედა ამხანაგს, სიმღერა შესწყვიტა და სახეზე მოწყენა დაეტყო... და მაშინვე გარედან ძახილი მოისმა:

— ნ ი ნ ო!

ნინო გარეთ გავარდა...

ღობეზე მომდგარი მაგდანი რომ დაინახა, ერთბაშად დაიბნა, შეყოყმანდა. თითქოს გაქცევას აპირებდა.

— მოდი, შვილო, მოდი! რისი გრცხვენია?!

აღერსით დაუძახა მაგდანმა...

მისი ტყბილი ხმით გამზნევებული ნინო თავდაბრილი მივიდა ღობესთან.

მაგდანმა თავზე ხელი გადაუსვა და თვალებში ჩახედა...

— ძალიან გიყვარს ჩემი გიორგი?! რატომ მიმალავდი, გოგო?

ნინომ თავი უფრო დახარა, რომ თვალზე უნებურად მომდგარი ცრემლი დამალა...

— რა გატირებს, შვილო!

მოეფერა მაგდანი...

ნინომ ცრემლი მოიწმინდა და ძლივს ამოსთქვა:

— წერილი დიდიხანია არ მიგიღიათ?

მაგდანს თავისთავზე მეტად შეეცოდა ფარული, გამოუთქმელი სიყვარულით გულდამწვარი გოგო და, მეტი რომ ვერაფერი მოახერხა, სიტყვა-სიტყვით გაუმეორა ბეჟანის ნათქვამი:

— რუსეთი ძალიან შორსაა, შვილო! წერილი სადმე გზაში იქნება!

ანუგეშა და აკოცა, თითქოს თავის გიორგის კოცნიდა.

ტრიალ მინდორში ორთქლში გახვეული ტრაქტორი იდგა. რადიატორში წყალი თუხთუხებდა.

ბრიგადირმა უბის წიგნაკი დახურა და გაუბედავად გადახედა ბეჟანს.

— დაწერე, დაწერე...

უთხრა ბეჟანმა. იგი მიხვდა, რატომ შეყოყმანდა ბრიგადირი.

ბრიგადირმა ფიცარზე ძველი რიცხვი 105 უგულოდ წაშალა, თითქოს წასაშლელად არ ემეტებოდა... და 60 მიაწერა.

ბეჟანი საბტად დაარჩა. იგი არ მოელოდა, თუ ასე დაიკლებდა მათი ნამუშევარი...

— ხედავ? ჩემი გიორგის ტრაქტორს რა ემართება?...

დამნაშავესავეთ ჩაილაპარაკა ბეჟანმა და ფიცარს მიაჩერდა.

— ...ისე დაერჩი, უღელში ხარს რომ ხარი წაიქცევა...

— რას იზამ, ბეჟან... დედის გული და გზავნი ტყუპე-
ბი არიან...

ბეჟანს, ეტყობა, არ მოეწონა, რომ ბრიგადირი მაგდანს გამოესარჩლა.

— გული განა მე არა მტკივა?!

ფიცარს ხელი შემოჰკრა...

— ...მაგრამ შეილის სახელი ძვირად მიიღის, ჩემო სან-
დრო! გიორგის ტრაქტორს სოფელში ვერ შეეარცხვენ,
ვერა და ვერა!

იყვირა ბეჟანმა, ცარიელ ვედროს ხელი დასტაცა და ის იყო ბურჭებს მოე-
ფარა, რომ ტრაქტორს სოფელელი ფოტოგრაფი მოადგა. მხარზე ძველებური
აპარატი გაედო, სახეზე ოფლი ასკდებოდა...

— ეუდი დღე ავირჩევია, მაქსიმე! არაფერი გამოვა...

უთხრა ბრიგადირმა და ცხენი დაძრა...

— რას ამბობ, კაცო, როგორ თუ ეუდი?! ამისთანა
დღე პირდაპირ ზედგამოჭრილია სურათის გადასაღე-
ბად!...

შიაძაბა ფოტოგრაფმა და აპარატის გამართვას შეუდგა. მაგრამ რადიატორზე
ჩამოკიდებულ ფიცარს რომ შეხედა, მხრები აიჩიზა და ახლოს მივიდა... ეტყო-
ბა, რალაც კეუაში არ დაუჯდა. გარშემო მიმოიხედა, მინაწერზე ცარცის მტვე-
რი თითით აკრიფა და „სამოს“ წინ „ერთი“ მიუმატა...

მერე აპარატი გამართა, თავსაბურავი გადაიფარა და ზურგიდან გახვითქუ-
ლი ბეჟანიც მოადგა. გადასწორებული რიცხვი რომ შენიშნა, თითქოს შეეშინ-
და. აქეთ-იქით მიიხედა და მაშინვე ფოტოგრაფს მივარდა და თავსაბურავი
შოაძრო...

ფოტოგრაფი გაშტერდა...

— შენს თავს ატყუებ, მე შატყუებ, თუ სახელმწი-
ფოს?!... შე უქნარავ, შენა!...

უყვირა გაცეცხლებულმა ბეჟანმა, თავსაბურავი სახეზე შიავდო და მიმატე-
ბული ციფრი უმაღვე წაშალა...

— ისე რომ გადამელო, შენი სირცხვილი იქნებოდა,
ბეჟან... თორემ მე რა...

თავი იმართლა ფოტოგრაფმა, მაგრამ ბეჟანმა სიტყვა შეაწყვეტინა...

— ჩემს სირცხვილს მე თვითონ მოუქვლი როგორმე—
შენ კი... აქედან დამეკარგე ეხლავე!...

დამფრთხალმა ფოტოგრაფმა აპარატი მხარზე ვაიღო და სწრაფად გაეცალა
მოხუცს.

ბეჟანმა იორთქლებულ რადიატორში წყალი ჩაუშვა...

სოფლის გზაზე ჩაფიქრებული ბეჟანი გამოჩნდა.

იგი ნელა მიუახლოვდა ფოსტის შენობას...

შესდგა... ყოყმანი დაეტყო...

ნაცნობმა ფოსტალიონმა ფოსტის კარი შეაღო, მაგრამ შეშინებული უკანვე
გამობრუნდა და კედელს გაეკრა.

ბეჟანმაც შეიღო ფოსტის კარი. მაგრამ მანაც ვერ გაბედა შესვლა კარი ისევე მიხურა, ცივად მოტრიალდა და მხოლოდ მაშინ შენიშნა კედელთან ატუ-
შული ფოსტალიონი.

გაქცეული
ბიზლიჩიუსა

ორივენი კედელს ამოეფარნენ.

ფოსტის კარი გაიღო...

კიბეზე თავდახრილი მაგდანი გამოჩნდა...

სახეზე უკვე დამჩნეოდა მრავალი უძილო ღამის კვალი.

სოფელს გადახედა და ძალისძალიად წელში გაიმართა, თითქოს არ უნდოდა ხალხს შეემჩნია მისი მწუხარება.

ნელა ჩაუარა კედელთან მიმაღულ ბეჟანს და ფოსტალიონს:

— ეს ოხერი... რა უღიბლო კაცი ვარ! ერთი ვერ გა-
ვახარე შეილის წერილით...

ჩაილაპარაკა ფოსტალიონმა და შარაზე მიმავალ დედას თანაგრძნობით გა-
ბედა...

ისევე ისე წელში გამართული მაგდანი დაღმართზე ჩაღიოდა.

ბეჟანმა კონვერტი და ქაღალდი იყიდა...

ბეჟანი მორიდებით შიდადა ფოსტის მოხელის სარკმელს: სარკმელს იქით
ნაცნობი ფოსტალიონი წერილების დასტას არჩევდა.

ბეჟანი მაგიდას მიუჯდა... სათვალე გაიკეთა.

— ბეჟან, ჩემს მაგივრადაც მოიკითხე გიორგი...

გავლით ჩაულაპარაკა ერთმა ახალგაზრდამ მაგიდაზე თავდახრილ მამას.

ბეჟანმა კალამს ხელი ჩამოაფარა. ახალგაზრდას დასტურის ნიშნად თავი და-
უქნია... და გაუბედავმა ხელმა ქაღალდზე პირველი სტრიქონი გამოიყვანა:

„საყვარელო დედაე!“

ფოსტალიონმა წერილები ჩანთაში ჩაიწყო და გარეთ გავიდა.

კიბეზე ბეჟანი უცდიდა...

— შ ა ქ რ ი!

დაუძახა ბეჟანმა და განზე გაიხშო.

გატყეცილი კონვერტი მორიდებით გაუწოდა და ყურში რაღაც წასჩურ-
ჩულა.

ფოსტალიონი პირველად გაოცდა, თითქოს მოხუცი უსაქციელო რასმეს აე-
ლებდა...

მაგრამ განზრახვას მალე მიუხვდა და სახეგაბრწყინებულმა კონვერტი ჩა-
შვართვია.

ბეჟანმა თვალი თვალში გაუყარა და დინჯად უთხრა:

— მხოლოდ იცოდე, ისე კი არ დაგემართოს, გულმა
გულს სიტყვა უთხრა და ენამ ორივე გასცაო...

— ჩემს კაცობას ენდე...

ასევე დინჯად მიუგო ფოსტალიონმა.

ფოსტაში შებრუნდა და გატყეცილ კონვერტს საფოსტო ბეჭედი დაჰკრა...

მაგდანმა ძროხას ცური ჩამოხანა და ქვაბი მიუღვა...

ნინომ ძლივს შეიმავრა რძის ჩხრიალის გაგონებაზე გამგელებული ხმო და
მაგდანს მიაშტერდა...

ფიქრში წასული მაგდანი ცურისთავეებს ანდუნედ ეზიდებოდა და ვერ ამ-
ჩნევდა, რძე მიწაზე რომ იღვრებოდა...

ნინომ მაშინვე მიაბა ხბო...

მაგდანის გვერდით ჩაიშრებლა და მისი თითები ფრთხილად მოაკიდა ცურისთავეებს...

— მე მოვწვეული, დედა...

მაგდანმა მხოლოდ ეხლა შენიშნა რძით გადათეთრებული შიწა... მორჩინლად წამოდგა...

და ერთბაშად თავბრუდასმულივით უკან-უკან წავიდა... თვალები გაუფართოვდა...

ჭიშკარს ფოსტალიონი მოადგა... ჩანთიდან კონვერტი ამოიღო...

მაგდანმა შეჰკივლა და მისკენ გაეჭანა...

მოწყენილი ბეჯანი ორღობეში მოდიოდა...

შუაგზაზე მთვრალი ფოსტალიონი გაბოტილიყო, თავი უღონოდ ჩაქანდრა და ცხვირთან მიტანილ კონვერტს დასჩერებოდა...

ცდილობდა მისამართი ამოეკითხა, მაგრამ თვალი ისე არეოდა და ისე ქანაობდა, რომ ასოებს ვეღარ არჩევდა.

ბეჯანი მიხედა, საიდან მოდიოდა იგი; მწარედ გაეღიმა და გვერდი აუქცია...

სახლს რომ მიუახლოვდა, ბეჯანი შესდგა... ეზოდან ბრიგადირი გამოვიდა... ისიც მთვრალი იყო...

უნდოდა ცხენზე შემჯდარიყო... უხანგი ხელით მიჰქონდა ფეხთან, მაგრამ ფეხს მაინც აცილებდა და ცხენს თავით ეხლებოდა...

ცხენი დაიძრა, ბრიგადირმა ხელი უიმედოდ ჩაიჭნია და ცხენს აეღევნა.

გაშლილ სუფრას სამნი უსხდნენ... მაგდანი, ნინო და ბეჯანი...

მოლხენილმა დედამ ღვინით საესე ჯამში ბეჯანს მიაწოდა:

— დალიე... ორი ხომ დაეათვრე... ვერც შენ ვადა-მირჩები... ეს ნინოსი და გიორგის ბედნიერებისა იყოს!

ბეჯანი ცდილობდა შეწყობოდა ქალების მზიარულებას, მაგრამ ყველაფერში ეტყობოდა, რომ ძლიერ უჭირდა...

ჯამი უგუნებოდ ჩამოართვა.

— დედაკაცო, ცოტა მაინც დამანაყრე, ამოდენა ჯამში რა ზედიზედ მომეყარე...

— დამძალბებელი მოგიკედეს...

დაუტატანა ცოლმა და ჯამი ისევ გამოსტაცა...

— იტოცხლე, ნინო! ჩემი გიორგი პირზე კოცნას გითვლის... ერთი თქვენი შვილი კალთაში ჩამიგორა და... მერე თქვენი ჭირის სანაცვლო ვიყო.

დაცლილი ჯამი პირქვე გადმოაბრუნა...

— ასე დაეცალოს მტერი ჩვენს ქვეყანას...

მერე ერთბაშად კედლიდან ჩონგური ჩამოიღო და ნინოს კალთაში ჩაუგორა...

— მოდი ერთი, გოგო, ჩემი ქალიშვილობა მომიგონე...

და რაწამს ნინომ ჩონგურს თითები შეაბო, დედამ მკლავები ფრთხილად გაშალა და ბეჯანს ჩამოუჭროლა...

ყველაფერს გაუძლებდა ბეჯანი, მაგრამ ეხლა ცეკვა ტანჯვა იყო მისთვის...

— ლუკმა შემარგე, ადამიანო!

დაეღრიჯა ბეჟანი, თუმცა მაინცდამაინც არც საკმელს ეტანებოდა...

— უუ, შე მართლა ბებერო, შენა...

ბელი დასტაცა და სკამიდან წამოაგდო...

შეტი რა გზა ჰქონდა ბეჟანს! უნდა აჰყოლოდა, რომ თავისი თავი არ ვაეცან-
ნინო აღტაცებული შესცქეროდა მოცეკვავე მოხუცებს... ცეკვავდა ბეჟანი,
მაგრამ ფეხი არ მისდევდა...

— ჩქარა, ჩქარა, შე ბებერო!

დაჰკიოდა მაგდანი... ნინოც გამალებით უკრავდა ჩონგურს, და ამ თავაწყვე-
ტილ სიხარულში ქალები ვერ ამჩნევდნენ, რომ ბეჟანის თვალზე ერთი მღუ-
ღარე კურცხალი ბზინავდა...

შეაღწე იყო...

ხელაშვილების სახლში სინათლე უკვე ჩაქროთ.

ბეჟანი აივანზე იწვა...

არ ეძინა, მაგრამ თავი მოიმძინარა, როცა მაგდანმა ოთახიდან ნაბადი გა-
მოიტანა...

ცოლი ფეხაკრეფით მივიდა ტახტთან, ბეჟანს ნაბადი დახურა და ისევ
ფეხაკრეფით გაბრუნდა...

ნაბადს ოთახიდან გამოსული შუქი დაეცა...

ბეჟანი შეირხა...

ფანჯარაში შეიხებდა...

ლოგინში წამომჯდარი მაგდანი სანთლის შუქზე წერილს კითხულობდა...

ბეჟანმა ნაბადი წაიხურა... ეს წერილი მას უკვე სიცოცხლეს უმწარებდა...

— „საყვარელო დედაე... ვიცი, ძალიან გენატრება ჩე-
მი ნახვა...“

ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა ოთახიდან...

ბეჟანმა ვეღარ გაუძლო... წამოდგა, ჩექმები ჩაიცვა და კიბეზე ფეხაკრეფით
ჩავიდა...

ღამეში შთაინთქა...

სიბნელეში გუგუნე მოისმა... ფარების შუქი ნახნაეს მოადგა. კვალში ჩამჯ-
დარი გუთნის პირი რბილად შეცურდა მიწაში...

ტრაქტორზე ბეჟანი იჯდა...

თენდებოდა...

ბნულზე გაწოლილ ნისლიდან მაგდანი გამოვიდა...

თითქოს წლები განახევრებოდა, ისე გალალებული მოდიოდა... ბეჟანმა მან-
ქანა შეაყენა...

— შე საწყალო, ასე გადაგვრია სიხარულმა!

მე კი ჯაგრი არ მაძინებდა ამდენხანს...

უთხრა მაგდანმა და ქმარს გაღელილი საყულო შეუკრა...

— არც ბევრი ჯაგრი ვარგა, ჩემო მაგდან, და არც
ბევრი სიხარული...

მოუგო მოქანცულმა ბეჟანმა და ტრაქტორიდან ჩამოვიდა...

— წადი, დაისვენე... დღეს მე ვიცოდე, და ჩემმა ქე-
ლობამ...

უთხრა მაგდანმა და ტრაქტორზე ავიდა...

ავიდა კი არა, აფრინდა...

ნისლი თანდათან აიკრიფა და ტრიალ მინდორზე ხალისიანი გუთნისდღეღორი მოისმა... გადაშავებულ ხნულეებში გუთნეული გუთნეულს მისდევდა... ის შოდა მზიარული ფადაძახილი და შოლტის გახშირებული ტყეში მისი შავდანის ტრაქტორის შორეული ტრაქტორის გუგუნე გაეხმაურა... შიშველი მისი და...
მიწა დუღდა... აფუებულ ნახნავს ორთქლი ასდიოდა...

საველე ლაზარეთთან სტეფანე ვერშინინმა ცხენი მიაგდო... იგი, ეტყობა, აჭაურობას კარგად იცნობდა, რადგან მათრახის ტარით კარი შეაღო და შესაძახა:

— ამხანაგო მაკაროვა!..

კარებში ნატაშა გამოჩნდა.

ვერშინინი ცხენიდან ჩამოხტა და მინდვრის ყვავილების დიდი თაიგული ნატაშას გაუწოდა...

— გიორგის მოუტანეთ?

ჭკითხა ქალმა...

— არა... ჩვენმა ესკადრონმა...

ვერშინინს სიტყვა პირში შეაწყდა...

თაიგული მაშინვე დაუშვა და მხედრულად გასწორდა...

ლაზარეთის შესასვლელთან უხმოდ მოცურდა ჯაგშნიანი ავტომობილი.

კარი გაიღო და ჯაგშნიანთან სტალინი გადმოვიდა ორი გენერლის თანხლებით...

ვერშინინის საქციელით გაოცებულმა ნატაშამ გარეთ გამოიხედა და მოახლოებულ სტალინი დაინახა...

სტალინმა თვალი მიიტანა თაიგულს... გაეღიმა.

დარცხენილ ვერშინინს თაიგული ჩამოართვა და შუაკარში მოჯადოებულ იგივეთ გამტერებულ ნატაშას მიაწოდა.

— საუცხოვო თაიგულია... ინებეთ!

ვერშინინი გამოერკვა:

— ეს, ამხანაგო სტალინ, ესკადრონმა გამოუგზავნა ნატაშა მაკაროვას ჩვენი მებრძოლის, ხელაშვილის გადარჩენისათვის... ეს ყვავილები მისმა ავტომატმა მოცულა გუშინ...

სტალინის თანხლებით სტალინს...

— რომელი ხელაშვილი?

იკითხა სტალინმა.

— გიორგი ხელაშვილი...

მიუგო ვერშინინმა და... თვალწინ წარმოუდგა...

... აგერ მომკვდამა გიორგიმ უბიდან სათითესავით პატარა შავი კოლოფი ამოიღო და განზე გადაისროლა...

... აგერ ნატაშას გონივრული გიორგი ბრძოლის ველიდან გამოჰყავს...

... აგერ ღამენათევი, დამწუხრებული ნატაშა ფერმიღეულ გიორგის დასცქერის...

და აგერ, მზიან პალატაში მხარშებვეული გიორგი ხელაშვილი და ფეხში დაჭრილი ინგლისელი მფრინავი საწოლზე ჩამომსდარან და ფოტოგრაფიულ

სურათს ათვლიერებენ. სურათზე: მხარშებვეული ვიორჯი და მომღერაჲე ნატაშა შადრევანთან სდგანან...

— ძაან გოგოა... მოგწონს?

გაუცინა ინგლისელმა და ვიორჯის მხარზე მხარი გაჰქა. ვიორჯიმ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რომ კარი ფართოდ გაიღო და...
სტალინი შემოვიდა ლაზარეთის უფროსის თანხლებით.

ვიორჯი მყისვე წამოიჭრა და მხედრულად გასწორდა.

ინგლისელიც ყავარაჯენს წაუბოტინა, რომ ფეხზე წამომდგარიყო, მაგრამ სტალინმა ხელი ორივე მხარზე მოხვია და ისევ საწოლზე დაუშვა...

— სად დაიჭერიო?

— მოსკოვთან, თქვენო აღმატებულებავ!

— როგორ შეეგუეთ აქაურობას... სამშობლო ხომ არ მოგენატრათ?

ინგლისელს გაეღიმა...

— სადაც-კი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ იბრძვიან, ყველგან ჩემი სამშობლოა, თქვენო აღმატებულებავ!

— ე გ რ ე ა!

დაუდასტურა სტალინმა და მფრინავს გულთბილად მხარზე ხელი დაჰქა. მერე გაჭიმულ ვიორჯის ახედ-დახედა...

— წინდებზე გეტყობა, ქართველი უნდა იყო!

— უფროსი სერჟანტი, ვიორჯი ხელაშვილი გახლავარ...

— ხელაშვილი?

ჩაჰკითხა სტალინმა... ეტყობა ამ გვარმა რაღაც მოაგონა...

— ძალიან გყვარებია, ბიჭო, დედაშენი...

— რა ვქნა, ამხანაგო სტალინ... ნათქვამია, დედის გომომცხვარი კვერი ციმბირშიაც თბილი ჩამყვო...

დარცხვენით მიუგო ვიორჯიმ.

— ეგეც მართალია... ვისაც დედა ჰყვარებია, დედა-ილაგიც იმას შეუწახვს!...

მერე შეხვეულ მხარზე ანიშნა და გაეხუმრა:

— გაჯობა, ბიჭო, გერმანელმა?

ვიორჯი უფრო გაიძირათა, ხმაშიც ძალა მოემატა...

— არა, ამხანაგო სტალინ... ბრძანება რომ არ მოსულიყო, იმ ქალაქს მტერი ვერ წაიღებდა...

— ნაწყენი ხარ?...

ჰკითხა სტალინმა და ცერად გადახედა.

ვიორჯიმ ვერაფერი უპასუხა...

სტალინს ღიმილი მოერია...

— არაფერია, ქალაქებს ხუთ წელიწადში ავაშენებთ... შენისთანა ბიჭების დაზრდას კი ოცი წელიწადი სჭირდება...

მერე ლაზარეთის უფროსს მიუბრუნდა:

— როგორა აქვს ჭრილობა?

— ორ-სამ კვირაში შეუხორცდება, ამხანაგო საბალხო კომისარო!...

— მაშ სოფელში გაგზავნეთ... დედის ხელი — ძველაზე უკეთესი წამალია! გამარჯვებით იყავით!

უთხრა სტალინმა, დაპირილებს ხელი ჩამოართვა და შემდეგ კაქუტაძეს კარა შეალო.

გ. ი. ბ. ბ. ბ. ბ.

მიმავალ მატარებლის ფანჯრიდან გიორგი დიდხანს აფრიალებდა ხელსახოცს...

მატარებელი მიჰფარდა... მაგრამ ვერშინინი და ნატაშა კიდევ გასცქეროდნენ დაკალიერებულ ლიანდაგს...

ვერშინინმა ამოიოხრა.

— ეხ, ნატაშა... ბიჭიკ ასეთი უნდა... როცა დაშვერვაში ორათ-ორნი მიედოდი, თავი ორას ვაქვაცთან მიმაჩნდა...

— ნუ ჯავრობ, სტეფანე... ის კიდევ დაბრუნდება... — უთხრა ნატაშამ და მკლავი გაუყარა.

მატარებელი მიჰქროდა... ორთქლმავალმა აგერ ერთ პატარა სადგურს მიაკივლა, მცირეხნით შეჩერდა და ისევ დაიძრა...

ფოსტალიონმა სადგურის საფოსტო ყუთიდან წერილები გამოიღო და ერთ-ბაშად გაშეშდა...

ბაქანზე ფარაჯამოსხმული წითელარმიელი მოაბიჯებდა...

ფოსტალიონმა ჩანთას ხელი წამოაქო და ფეთიანივით მოჰკურცხლა...

გზის შესამოკლებლად შარას გვერდი აუქცია... აგერ ლობეზე გადახტა... ბოსტანზე გადაიბინა და ისევ შარაზე გავიდა...

გახვითქული ფოსტალიონი ისე დაფეთებული გარბოდა, თითქოს ეწინოდა არაყის გაესწრო მისთვის... მგზავრები გაკვირვებით მისჩერებოდნენ.

— გიორგი!

შესძახა ფოსტალიონმა ხელაშვილების კიშკართან და გულამოვარდნილი მარგილს მოეჭიდა, რომ არ წაქცეულიყო...

ორლობეზე წელა მოაბიჯებდა ფარაჯამოსხმული წითელარმიელი.

— გ ი ო რ გ ი...!

შესძახა ჭაზე თავდახრილმა ნინომ, სავსე ვედრო ხელიდან გაუსხლტა და დგაფუნით ჭაში ჩაეარდა...

— გ ი ო რ გ ი...!

შეჰკივლა მადანმა და კიშკარში შემოსულ შეილისაყენ ფრთებგამოსხმულივით გაეჭანა...

— გ ი ო რ გ ი...!

მოესმა ლობესთან მომუშავე ბეჟანს... გაიხედა... და ხელეზაკანკალებული მოხუცი ლობის ძირას ჩაიკეცა... უხმო ქეთინმა სულსიტქმა შეუგუბა...

მარგილს მოეჭიდა... ძლივს წამოადგა... ცდილობდა დამშვიდებულიყო, მაგრამ გულამომჯდარ მოხუცს ამდენი ძალა აღარ შეჰკვია და ლობეზე ჩუმად გადახტა... ეზოდან გაიბარა...

მადანმა კოცნით გული რომ მოიჯერა, შეილს ხელი გაუშვა და გამსინჯველი თვალი შეავლო:

— როგორ ' გიხდება ფორმა, შენ შემოგველოს ჩემი თავი!

აღტაცებით შესძახა და გიორგის ისევ გადაეხვია...

კიშკარში ნინო შემოფრინდა...

გადახვეული დედა-შვილი რომ დაინახა, ნაბიჯი შეანელა, ^{რომ} დღეს უტკბესი წამი არ გაეწევიტა...

ნინო პირველად მაგდანმა შენიშნა...

— ამას თუ იცნობ?!

— გამარჯობა, გიორგი!...

ძლივს შობაზე დასაბრუნებლად დასაბრუნებლად ნინომ... სახეზე აღმური მოედო...

— ნ ი ნ ი!

შესძახა გიორგიმ... ეტყობა, ძლიერ გაეხარდა მისი დანახვა.

— აკოცე, ბიჭო!

უთხრა მაგდანმა და ნინოსაკენ ხელი უბიძგა...

ნინო გამხნედა. დედის სურვილმა, ეტყობა, მისი გულისთქმაც გამოხატა...

ნაბიჯი წადგა და საკოცნელად მოემზადა...

მაგრამ გიორგიმ თავი ისე დაიჭირა, რომ ქალმა კოცნა ვეღარ გაუბედა...

გიორგიმ ხელი ჩამოართვა მხოლოდ. თუმცა მისი აღტაცებული გამოხედვა და მისი ასეთი თავდაჭერა ერთმანეთს როდი ეთანხმებოდა...

გაწბილებულმა ნინომ ერთბაშად მოიწყინა... და გიორგიმაც მაშინვე დაუმატა...

— როგორ დამშვენებულხარ, ნინო!

დაბნეულმა ქალმა მკრთალად გაუღიმა და თავი დაუქნია...

ქანცაწვეტილმა ფოსტალიონმა სული მოიბრუნა...

— ჰა, მაგდან, კიდევ დამემღურები?... იცოდე, სამახარობლო მერგება... გამარჯობა, გიორგი!...

გიორგის ხელი ჩამოართვა და გულთბილად გადაჰკოცნა...

ნინოს მოწყენა მაგდანმაც შენიშნა.

— ნუ იბუტები, გოგო! უცხო კაცისა მოერიდა...

წასჩურჩულა და ფოსტალიონზე ანიშნა...

ლობესთან ატუხულმა ბეჟანმა თვალები მოიწმინდა. ლილები შეიბნია, წელსა და გაიშრია, მაგრამ თავისთავს მაინც ვერ ენდო და გამოსაძვლად ლილნი წამოიწყა...

ბმა უმაღლეს ჩაუწყდა... ამდენ გამოუთქმელ დარდში გამოვლილი გულა აღარ ემორჩილებოდა მოხუცს...

ლობესაც მოშორდა, რომ იგი არაფერს დაენახა...

ხელაშვილების ეზოში ხალხი მოგროვდა, აქვე იყვნენ—მოხუცი მიხაკო, მარცხი, მაქსიმე ფოტოგრაფი, ბრიგადირი...

ხალხში გარეულ გიორგის თანდათან მოუთმენლობა იპყრობდა. იგი უკვე ვეღარ ამჩნევდა ვინ ჰკოცნიდა, ვინ ხელს ართმევდა, ვინ რას ეუბნებოდა...

მისი თვალი გაფაციცებით ეძებდა ერთადერთ სახეს...

დაფაცურებულმა ფოტოგრაფმა დრო იხელთა, რომ გიორგის გადახედოდა... უკვე შეიწმინდა უღვაშები... მაგრამ გიორგიმ ჭიშკარში შემოსული ბეჟანა შენიშნა... ისე დინჯად მოდიოდა, ვითომც არაფერი მომხდარიყო...

მოდიოდა დამშვიდებული, ჩემი სიხარულით სახეგანათებული, თითქოს ცრემლებმა მამის სახეზე ნაკეცი სულერთიან ჩამორეცხესო...

მისკენ წაჰოსული შვილი რომ დაინახა, ბეჟანმა ერთი-ორი კიდევ ჩაახველა... ხმაში სიმტკიცე იგრძნო და ნაბიჯიც მტკიცედ გადადგა...

— ჩამოხველ, ბიჭო?

უთხრა უბრალოდ, თითქოს გიორგი აგერ ყანიდან დაბრუნებულიყო.

— გამარჯობა, მამავ!

ასევე უბრალოდ უთხრა გიორგიმ და ორი ვაჟაკი ერთმანეთს გადაეხვია...
მაგდანს ცრემლები მხოლოდ ეხლა მოერიო...

ბეჟანი უფრო გადიდგულდა...

— რამ წაგახდინა, დედაკაცო?! თუმცა რას იზამ...
ცრემლი თქვენი მოგონილია, თქვე გასაწყვეტრო...

უთხრა ბეჟანმა და ხელი ისე ჩაიჭნია, თითქოს თავის წელანდელი ცრემლები მართლა დაჰვიწყებიაო...

ბინდებოდა... ხელაშვილების ოჯახში გაშლილ სუფრას მათი მეზობლები და მეგობრები შემოსხდომოდნენ.

სტუმრებმა სიმღერა მოათავეს და ბეჟანმა ორი ჯამი შეავსო... ერთი შეიღს მიაწოდა, მეორე თვითონ აიღო...

— შ ვ ი ლ ო ...

მძიმედ დაიწყო მოხუცმა:

— ...დმერთი—რჯული, მე შენ აქ არ შემირცხენი-
ხარ.. და რა ვიცი... ეგ ტიალი ტყვია შენც ჰკერდში
იმიტომ მოგხვედრია, რომ, მგონი, არც შენ შევირ-
ცხენია მამაშენი... ეს შენი, და შენი ამხანაგების გა-
მარჯვებისა იყოს!...

შესძახა ბეჟანმა და ჯამი ასწია...

— თქვენი გამარჯვებისა იყოს!

შესძახეს სტუმრებმაც...

მეორე ოთახში მაგდანმა ჯოხზე ასხმული ჩურჩხელები შემოიტანა. ვარცლ-
ზე თავდაბრილი ნინო რომ შენიშნა, ჩურჩხელები ტახტზე დაჰყარა:

— რა გითხარი, გოგო?!... შენ ისევე აქა ხარ?...

უსაყვედურა და ცომიდან ხელები ამოაღებინა.

— აქ ვიქნები, დედავ!

სთხოვა ნინომ...

— აქ მოდი, რომ გეუბნები!

შეაწყვეტინა მაგდანმა და თუნგს ხელი დასტაცა...

— შე თვითონ, დედავ...

— მოდი მეთქი...

გაუშეორა მაგდანმა და მოკრძალებით გამოწვდილ პეშვზე წყალი დაუსხა.
მერე პირსახოცი მოუტანა, დაფქვილული კაბა გაუბერტყა, სარტყელი გა-
უსწორა და კარამდე სიყვარულით ხელი მიაყოლა...

ნინო კარებში შესდგა...

— რამე მაინც გამატანე, დედავ!

დარცხენით სთხოვა მაგდანს...

— ჰაი, შე უშნო, შენა... ჰა, წაიღე...

აღერსით დაუტატანა მაგდანმა... ჩურჩხელებიანი ჯოხი მიაწოდა და სას-
ტუმრო ოთახის კარი შეაღო.

გიორგი ვატაცებული ჰყვებოდა:

— ის ჩვენთან იყო... ვხედავდით და თვალისა არ გვეჯე-
რულდა... თავი სიზმარში გვეგონა... ამხანაგმა სტალინმა

მთელი ლაზარეთი დაიბრა, ყველას ესაუბრა, ფურცლი-
სა და შინაურების ამბავიც კი გამოჰკითხა...

მაგდანის და ნინო კარებში გარინდებულიყვნენ... ყველა სულგანბნული
უსმენდა...

— ერთი რუსი ბიჭი, რომელმაც ბრძოლაში თავი ის-
ხელა, გადაკონა და უთხრა, თუ დამპატიებთ, ომი რომ
გათავდება, შენს ქორწილში ჩამოვალა...

მაგდანს გულმა ვეღარ გაუძლო...

— ვინა, შვილო, სტალინმა?

— ჰო, დედი... სტალინმა!

მერე გიორგი დედას მოეხვია და ახარა:

— შენთანაც იმან გამოგზავნა... გაუხარდებო!

მაგდანმა სტუმრებს გადახედა... წელში გაიმართა, თითქოს სიმაღლე მოემატა...

— იმის სახელს ვენაცვალე! ვახსოვს, აკი თვითონაც
ჩამოვიდა თავის დედის სანახავად... ყველაფერში მარ-
თალია... და დედის ფასიც ამიტომ იცის... მეც იმიტომ
გაცუხარდე შენისთანა ბიჭი!...

ამაყად წარმოსთქვა მაგდანმა, ტახტზე შესდგა და ჩურჩხელებიანი ჯოხი კე-
დელზე გააკიდა...

— წელს ძაან ჩურჩხელები დაგიშადავებია; დედაჩემო!...

უთხრა გიორგიმ და უნდოდა რამდენიმე ჩურჩხელა ერთად ჩამოეწყვიტა,
რომ დედამ ხელი დაუჭირა...

— არა, შვილო, დღეში ერთი უნდა ჩამოსწყვიტო,
მხოლოდ...

— ერთი? რატომ, დედაჩემო?!

გაეღიმა გიორგის.

— ეს ჩემი კალენდარია, შვილო, სანამ შენ შევებულე-
ბა გაგიტავდება...

გიორგიმ ჩურჩხელები დათვალა.

— აქ ბევრია, დედაჩემო!

— რათა, ბიჭო! აკი ორი კვირით გამომიშვესო?!

გიორგიმ გაიცინა:

— გზას აღარ ანგარიშობ, დედაჩემო? ორი დღე აქეთ...
ორიც აქედან...

— კარგი, შვილო...

ამოიოხრა მაგდანმა და ოთხი ჩურჩხელა სათითაოდ ისე ჩამოწყვიტა, თით-
ქოს ჩამოსაწყვიტად არ ემეტებოდა...

ფოსტალიონმა სიმღერა წამოიწყო და მოლხენილ ოჯახში ძველმა სუფ-
რულმა დაიგუგუნა...

გიორგი და ნინო სუფრის თავში ისხდნენ... ისინი ბედნიერნი იყვნენ, რომ
ისევე ერთმანეთს ხედავდნენ. ისევე ერთმანეთის ხმა ესმოდათ...

მაქსიმე ფოტოგრაფი მოძახილს ამბობდა და სიმღერებში თავის გამოჩენას
ცდილობდა.

გიორგიმ ნინოს რაღაც წასტორჩულა და ორივენი ნელა წამოდგნენ...

მათ უნდოდათ შეუმჩნეველად გასულიყვნენ გარეთ, მაგრამ მაქსიმემ მაშინ-

ვე თვალით ანიშნა ფოსტალიონს... ბეჟანმა და ბრიგადირმაც მომღიშარე თვალი გააყოლეს...

ნინო და გიორგი აივანზე გამოვიდნენ... გიზგიზა დაისი ხანძარივეთ, მოსდებოდა ტყიან ქედებს... ოთახიდან მინელებული სუფრული, ~~ჩემოდან~~ ~~ჩემოდან~~

ძინი ეზოში გავიდნენ... ბალის დაბურულ ბილიკზე გაუხვიეს... ნინომ გიორგის ხელი შეახო მხარზე.

— ნატყვიარი არ გაწუხებს, გიორგი?

— არ მაწუხებს, რა ხანია მომირჩა...

— რომ შეგაწუხოს, მაინც წახელ?

— აღარ შემაწუხებს...

— არა... ვთქვით, შეგაწუხა!

— მაშინ შენ მომირჩენ, ნინო, კარგი?..

ნინომ არაფერი უპასუხა... თავი დახარა.

— არ გინდა ჩემი მორჩენა?

— მე შენთან ყოფნა მინდა...

ჩაილაპარაკა ნინომ და თითქოს თავის გულახდილობის შერცხვა, ბილიკზე უკანმოუხედავად გაიქცა... გარბოდა, კისკისებდა, ფოთლებშეყვიითლებულ ხეხელს არხედა და გიორგიც თვალმოუშორებლად მისჩერებოდა გალაღებულ ხინოს... ესმოდა მისი წამქეზებული სიცილი, მისი გამომწვევი თამაშობა და თვითონაც ეწადა აპყოლოდა, ნაბიჯს თანდათან უჩქარებდა... ჰხიბლავდა და იზიდავდა ქალის ასეთი უანგარიშო აღტაცება...

გიორგი ნინოს ბალის ბოლოში, ლელესთან წამოეწია. მთის ანკარა, ქაფმოგდებული წყალი ლოდებსა და ლოდებს შუა ჩხრიალით მივრბოდა. ზედ გადასასვლელი ფიკარი იყო გადებული.

გიორგიმ შეუმჩნევლად ფიკარს ფეხი გააკრა და წყალს გაატანა. შერე ნინოს მიუახლოვდა და ხელი დაუქირა...

— არა... დაგვინახავენ...

ღარცხენილი ჩურჩულით უთხრა ნინომ და მხარზე მიეკრა...

— ჩენი წისქვილი გახსოვს?..

ჩურჩულითვე შეეკითხა გიორგი... ორივემ ღელის გაღმა გაიხედა. საღამოს ბინდში წისქვილის მაღალი ბორბალი ხმაურით ბრუნავდა და მკრთალად ლაპლაპებდა.

გიორგიმ ნინო ხელში აიყვანა... ვაჟის მკლავებში მოქცეული ქალი ნეტარებით გაინახა... მკერდზე მიეკრა... ლოყა ლოყაზე შეახო...

— რა ბედნიერი ვარ, გიორგი... შენა?

ჩურჩულებდა იგი...

და გიორგიმ, ის-იყო წყალში ფეხი შესდგა, რომ თვალწინ დაუდგა ის ლელე... ბუჩქნარი... და ის ქერათმიანი ქალი, რომელმაც მის მკლავებში ბედნიერებაზე ჩურჩულით დალია სული.

იგი ერთბაშად შეჩერდა, სწრაფად მოტრიალდა და ქალი წყალშივე ჩამოსვა...

გაწუბილებული ნინო დაიბნა... ერთი კი თვალი გაუსწორა და გულამოშვდარი ხეივანში გაიქცა.

გარინდებული გიორგი ღიღბანს ვასცქეროდა ქალიშვილს... შორიდან შიშვლებული სიმღერა ისმოდა...

შეჭედიანებულმა ბეჟანმა კარი ფართოდ გამოაღო და აიღანზე გამოვიდა. იგი საუსებოვო გუნებაზე იყო... შვილი მშვიდობით დაუბრუნდა. მარძლოც კარგი აღრჩია, ტრაქტორიც გამარჯვებული დაახვედრა, სტუქურებთანაც კარგად მოილხინა და ეხლა თვითონაც ალარ იცოდა, მეტი რა უნდა უფრო... მაგრამ იგი მაინც ვიღაცას ეძებდა...

ეზოს თვალი მოაღწია. მერე აივანიც მოათვალიერა, და ტახტზე გაშოტილა ფოტოგრაფი რომ დაინახა, სიხარულით მიეპარა.

— კარტიჩკა ვადამილე, ბიჭო... ჩქარა... კარტიჩკა... დაჰყვირა და მთვრალი ფოტოგრაფი ფეხზე წამოაგდო. ლენისა და ძილისაგან გაოგნებულმა მაქსიმემ ჯერ ცას ახედა... მერე ბეჟანს...

აზრზე ვერ მოსულიყო, ამ შულამისას ბეჟანი მისგან რას მოითხოვდა.

— კარტიჩკა მეთქი... რას გაშტერებულხარ!

— ამ შულამეში რა გამოვა, ბეჟან?

გაუბედავად წაილულულა მაქსიმემ, თითქოს ეშინოდა, მთვრალმა ბეჟანმა არაფერი ამიტეხოს...

— როგორც გამოვა, ისე ვადამილე!

შეუტია ბეჟანმა და ფოტოგრაფიც დაფაცურდა...

— მოიცა, ბიჭო!

რაღაც მოაგონდა ბეჟანს... ოთახში შევიდა და მცირეხნის შემდეგ ისევ გამოჩნდა. თავზე ფაფახი დაეხურა, წელზე ქამარ-ხანჯალს ირტყამდა...

დილაადრიან მაგდანმა მძინარე გიორგის საბანი ფრთხილად გაუსწორა და მეორე ოთახში გავიდა. ფანჯრადან ლობესთან მოწყენით მიმავალი ნინო დაინახა.

— ნ ი ნ ი!

ქალს ძახილი შემოესმა და აიხედა.

ფანჯარაში ვადმომდგარმა მაგდანმა ხელი დაუქნია, მერე სკივრთან ჩაიშხლა, პატარა კოლოფი გახსნა და რაღაც ამოიღო...

ნინო გაუბედავად შემოვიდა...

— რა დაგემართა, გოგო?... წუხელ საღამოს გიორგა მარტო რათ დაბრუნდა?!

ნინომ თავი დახარა...

— მითხარი, შეილო... შენთვისაც დედა ვარ!...

მოფეერა მაგდანს და თვალეში ჩახედა...

— ალარ ვუყვარვარ, დედი...

ძლიეს ამოსთქვა ნინომ.

— ეისა, გოგო? გიორგის? შე სულელო, შენა... აბა, შენი ხელი მაჩვენე...

და სანამ ნინო გონს მოვიდოდა, მაგდანმა თითზე ბეჭედი გაუკეთა.

— ჩემი პატარძლობის ბეჭედი, შეილო...

ნინომ ჯერ ბეჭედს დახედა, მერე მაგდანს მიაჩერდა... უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამდენ სიხარულს სიტყვა ვეღარ მოუძებნა და გალიიდან გამოშვებულ ფრინველივით გარეთ გაეარდა.

გარედან გოქის გაბმული ჰყვირილი მოისმა. მაგდანიც მაშინვე გარეთ გავიდა.

ჭიშკართან ფურგონმიბმული ტრაქტორი იდგა. ფურგონზე ქალბერი იხდნენ. ნინო ლობეს ამოეფარა.

ბეჟანი ფურგონიდან ფეხებ-გაკრულ ბურვას მოათრევდა.

— ჩუმით... გაიღვიძებს...

სიხალისეობა

მიახაზა დაფეთებულმა მაგდანმა. თოქს ხელი დასტაცა და ჭიშკარში მიეგება...

— აბა რა ეჭნა, დედაკაცო! ქორწილში ლორის მაგივრათ ბუღბუღს ხომ ვერ დაგიკლავთ?!

უთხრა ბეჟანმა და აქვეყრებულ ბურვას დინგზე ხელი მოუჭირა.

ბეჟანის სიტყვის გაგონებაზე ნინომ სიხარულით დახედა ბექედს, გულში ჩაიკრა და თავის სახლში შევიარდა...

— შენი შემხედვარე, ლორი კი-არა, ანგელოზიც აყვირდება... შე უბედურო...

მაგდანმა ქმარს შეუტია და ბურვას თოქი შეება...

შეცვივებული ბეჟანი ოთახში შევიდა.

მძინარე შეილი რომ დაინახა, თაროსთან ფეხაკრეფით მივიდა, არაყი დაისხა და გადაჰკრა... მიიხედ-მოიხედა, რომ დასაყოლებელი რამე ეპოვნა. და თვალი შეასწრო კედელზე გაკიდულ ჩურჩხელებს...

ის-იყო, ერთი ჩურჩხელა ჩამოწყვიტა და მაგდანმაც კარი შემოაღო...

ბეჟანის ხელში ჩურჩხელა რომ შენიშნა, მაშინვე კედელი შეათვალიერა... მივიარდა და პირთან მიტანილი ჩურჩხელა გამოსტაცა.

— შენ კი დაგაგლდა ერთი ღლის სიცოცხლე!

წასჩორჩულა სახტად დარჩენილ ბეჟანს და ჩურჩხელა ისევ თავის ადგილას დაჰკიდა...

ბეჟანმა ერთი შეუბღვირა და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა...

მაგდანმა ქურჭი ჩაიცვა, კიდობნიდან ერთი მსხალი ამოიღო და ბეჟანს დაედევნა...

ეზოშივე წამოეწია და მსხალი მიაწოდა...

ბეჟანმა შუბლი უფრო შეიკრა, მსხალს ბრაზიანად დახედა... არ გამოართვა... მაგდანი ფურგონზე დაჯდა... ტრაქტორი დაიძრა...

გიორგიმ ჩექმა ჩაიცვა, ფრთხილად შეიხედა მეორე ოთახში. ორივე ლოჯინი ცარიელი დახედა...

აივანზე გავიდა... ეზოშიაც არავინ სჩანდა...

გაუყვირა...

ისევ ოთახში შებრუნდა. ფარაჯა მოიხურა და კარისაკენ გაემართა...

გიორგი აჩქარებული მიაბიჯებდა დაცარიელებულ შარაზე...

საჩქლეზით და მატყლით საცხე კალათებით მოფენილ ოთახში ნინომ ბექდინი ხელი სარკეში შეატრიალა... ფანჯარაში გაიხედა და შარაზე მიმავალ გიორგის სიყვარულით გააყოლა თვალი... გიორგი რომ მიჰფარდა, ჯერ-გარინდა, გაინაბა, მერე წყნარად, გულსავესედ გაიციანა ისე, როგორც კი ყველაზე ბედნაერი ადამიანები იციანიან... მერე იქვე კედელთან მიდგმულ კათხას დაელო ხელი და გარეთ გავარდა...

ღობიდან ფრთხილად მიმოავლო თვალი ხელაშვილების ეზოს და რაკი ვერავენ დაინახა, ღობეზე გადახტა, ბურვასთან მიიბრინა, მთელი კათხა სიმინდი დაუყარა და შინისკენ გაიქცა...



გიორგი ორსართულიან სახლის ეზოსთან შესდგა...

— ზურაბ!

ვასძახა, მაგრამ არაინ გამოხედა...

გიორგიმ ორლობეში შეუხვია...

რომელიდაც ეზოში შევიდა... მათულზე გაბმულმა ძაღლმა ერთი დაიყუ-
ფა... მაგრამ ეტყობა, სტუმარი იცნო და წკმუტუნით ფეხებში დაუგორდა...
გიორგის აქაც არაინ დახვდა...

გაოცებულმა გიორგიმ ნაბიჯი შეანელა... აგერ გზისპირას, რომელიდაც
ფანჯარაზე მიაკაკუნა... აქაც არაინ გამოხედა...

მოწყენა დაეტყო და ნაბიჯი უფრო შეანელა...

ჩათელილ ღობეზე გადავიდა, მაგრამ სახლის კარზე კლიტე შენიშნა... შეს-
დგა, თითქოს არ იცოდა, საით წასულიყო.

სიჩუმეში მანქანის გუგუნე შემოიჭრა...

გიორგიმ გაიხედა... გატეხილ ახოზე მაგდანის ტრაქტორი ძირფესვიანად
ამოგლეჯილ ხეს მოათრევდა. გიორგის შუბლი გაეხსნა...

ბეჭობზე გადადგა და თვალი შეაგლო ჭალაში გაფენილ ბუჩქნარს, რომელ-
საც მთელი სოფელი შესეოდა.

ზოგი ხეს სჭრიდა; ზოგს ნაკაფი გამოჰქონდა... ზოგი ძირკვებს სთხრიდა...
ისმოდა მზიარული სიმღერა...

გიორგი მათკენ წავიდა.

აგერ ბუჩქნარის თავში ბავშვების ჯგუფი მუშაობდა: ვინ ფიჩხს ეზიდებო-
და, ვინ ჩალა-ბულას აგროვებდა... იქვე მახლობლად სამიოდე წლის ბიჭუნაც
მუშაობდა, სათამაშო ნიჩაბი აელო და მიწას სნიჭნიდა...

გიორგი მიაჩერდა და იმ წამსვე თვალწინ დაუდგა ის პატარა ეზო. ორმოს-
თან მომუშავე, ხალხი და ის პატარა ბიჭუნა, დედის გვერდით, უზრუნველად
მიწას რომ სთხრიდა... უმაღლე გამოერკვა, ბიჭთან მივიდა, ხელში აიყვანა და
მოუალერსა. ბიჭმა შუბლი შეიკრა. ატირება დააპირა, მაგრამ გიორგიმ ჯიბე-
ში ხელი მოიფათურა და სხვა რომ ვერაფერი მოახელა, სადღაც ჩარჩენილი
შაშხანის ვაზა იპოვნა და ბავშვს მისცა. ბიჭუნა მაშინვე დამშვიდდა...

გიორგიმ თვალი შეასწრო, რომ ტრაქტორი ერთბაშად გაჩერდა. მაგდანა
ჩამოხტა. სარქველი ახადა, მოტორი გაშინჯა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა...

ბეჯანი მაშინვე ტრაქტორთან გაჩნდა. მანაც დაათვალიერა მანქანა, მისი
ამუშავება სკადა, მაგრამ ამაოდ... მერე მაგდანს ცერად გადახედა:

— ამოდენა ტვირთი რომ ატვიდე, მაშ რა გეგონა?!

ზომ ვითხარი, წახდება მეთქი!...

მაგდანმა ქმრის საყვედური იტყაღრისა და სიტყვა გააწყვეტინა:

— მე კი არა, შენ წახდინე... აქაო და რკინისა არი-
სო, დილას მთელი სოფელი ზედ წამოასკუპე...

ბეჯანმა ცოლს ვაგულისყება რომ შეატყო, ხმას დაუწია:

— მაშ მე წავახდინე?!

— დიხ შენ... შენ... თუ არა გჯერა, წამობრძანდი
ბრიგადირთან!...

გულმოსულმა მაგდანმა ბეჯანს სახელოში ხელი ჩაავლო და მეორე ტრაქ-
ტორისაკენ გაიყოლია.

გიორგი ღობლით ვასცქეროდა წაკიდებულ დედ-მამას... ისინი ჩქარი ნაბი-

ჯით მიდიოდნენ, ეტყობოდა—ისევე ჩხუბობდნენ, ერთმანეთს არაფერს არაფერობდნენ...

გიორგი ტრაქტორთან მივიდა, ირგვლივ შემოუარა და, რაზემაც უნდა მხარი მხედარი თავის ბედაურს მიუალერსებს, სანათურებზე ხელი ისე უღმრთებლად დაუსვა... მერე რადიატორზე ჩამოკიდებულ წარწერას დააკვირდა:

„გიორგი ხელაშვილის ტრაქტორი. გეგმის შესრულება 205%“.

კმაყოფილებით გაიღიმა და დედ-მამას გახედა... ბავშვი მანქანაზე დასვა, მოტორს რალაც გაუსწორა, მყისვე აამუშავა, საჭეს მიუჯდა და ტრაქტორი დასძრა...

— დიახ... შენ წაახდინე, ვაუბატონო, შენი!

ცხარობდა მაგდანი და... უცებ გუგუნი მოესმა.

ბეჟანმა და მაგდანმა მოიხედეს.

გიორგის საჭესთან თმახუტუტა ბიჭი ეჯდა და გამალებულ ტრაქტორს ხალი-სიანად დამღეროდა...

— აჰი წაახდინეო... წამობრძანდი, ყმაწვილო, გიორგისთან!...

მაგდანმა ქმარს ისევე სახელოში ჩაავლო ხელი...

ბეჟანი დააკვირდა, ეხლა კი მასაც გული მოუვიდა:

— შენ დედაკაცი კი არა... ქაჯზე უარესი ხარ!

ხელი ვაინთავისუფლა და გიორგისაკენ ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

„ომში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო“...

გიორგი ტრაქტორს დამღეროდა...

ბაღის ბოლოში მოლაშქრენი იწვნენ და სროლაში ვარჯიშობდნენ...

მალღობზე სამიზნოდ ჩამწყრივებული კორები მოსჩანდა.

ბეჟანი და ბრიგადირი განაპირებით გაწოლილიყვნენ...

— სანდრო, მწყერივით რომ განაბულხარ, კაცო, ქარ-წილის დღე არ დაენიშნოთ?

შეეკითხა ბეჟანი ბრიგადირს:

— რა ვიცი... მე შენ გელი, ძმაო... ქეიფი ჩემი დაღვინო შენი!...

— მტერი შეგიშინდეს... ეგრე იყოს!...

ბეჟანს კიდევ რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ...

— ბეჟან, შენი ჯერია!

დაიძახა ფოსტალიონმა, — ეტყობოდა, იგი რაშმის მეთაური იყო...

ბეჟანმა თოფი მოიმარჯვა...

— აბა, მოყვარე, არ შემარცხენო!

ჩაულაპარაკა ბრიგადირმა... ბეჟანმა ესროლა და პირველი კორა გადმოაგდო... თავმოწონედ გადახედა ბრიგადირს...

ისევე დაუმიზნა... ესროლა, მაგრამ მეორე კორა არც-კი შერხებულა...

— ეს ობერი... სათვალე დამრჩენია...

ჩაიბუზღუნა ბეჟანმა და სათვალის ბუდე გულჯიბეში ღრმად ჩამალა.

— სათვალე რომ შეელოდეს, ბეზიაჩემი სნაიპერი იქნებოდა...

ვახუშტა ბრიგადირი... ბეიანი უგუნებოდ წამოდგა და თვალი მარჯვნივ მო-
ახლოებულ ნინოსა და გიორგის...

ძლიერ ვაუხარდა, მაშინვე შეიღოს მივარდა...

გაიხიზნა

— მოდი, ბიჭო... ერთი ეხლა მასახელებ...
ხეალვე ჯვარი გადავწერო! ზომ კაი პირობაა. რას
იტყვი, ნინო!

ნინოსაც რა ეთქმოდა... არაფერი უპასუხა, თუმცა ეტყობოდა, მამის სურ-
ვილში მისი ფარული ნატერაც გამოხატა... მისმა ანთებულმა თვალებშიც ბე-
იანის თხოვნა გაიმეორეს. ორი დღეა, ქალი მოუთმენლად ამ პასუხს ელოდა...
და გიორგიც მიხვდა, რომ პასუხის გაცემა საჭირო იყო...

ფოსტალიონთან მივიდა...

— შეიძლება, შაქრო?

— თუ გინდა, ასი ესროლე, ჩემო გიორგი...!

თავაზიანად გაუწოდა თოფი ფოსტალიონმა.

გიორგი დაწვა... თოფი მოიშარჯვა...

• შოლაშქრენი გიორგის მიაჩერდნენ... ბეიანიც გაინაბა... მავრამ ყველაზე
შეტად ნინო ღელავდა...

ბეიანმა შეატყო ქალს მღელვარება და იმედინად წასტურჩოლა:

— ნუ გეშინიან, გოგო! ჯვარისწერა ისე არ ატყდება,
როგორც გიორგის ტყვია იმ კორას!

ხეზე მიყრდნობილმა ნინომ თავი დაუქნია და, როდესაც გიორგიმ დამიზნე-
ბა დაიწყო, თვალებზე ხელი აიფარა...

თოფი გავარდა...

ნინომ ხელები ნელნელა ჩამოიღო და მომღიმარე სახეზე ერთბაშად ჩრდი-
ლი მოეფინა.

ბეიანმაც შუბლი შეიკრა...

სამიზნო კორა ისევ ისე იდგა...

მეორეც გავარდა.

ნინო შეკრთა და ისე გადახედა კორას, თითქოს თვალი ატყუებდა, კორა
ისევ ხელუხლებლად იდგა...

გავარდა მესამეც...

ელდანაკემი ნინო ერთბაშად მოტრიალდა და თავდახრილი ბალისაყენ წა-
ვიდა...

— ეტყობა, მზარი კიდევ არ მორჩენია!

უთბრა ბრიგადირმა გულდაწყვეტილ ბეიანს...

— სწორდით!...

გაისმა ბრძანება და ბეიანი და ბრიგადირი მწკრივში ჩადგნენ.

გიორგი წამოდგა.

მოიხედა... ნინო აღარსად სჩანდა...

მერე შორს მინდორზე მიმავალ ოცეულს გახედა.

მაქსიმე ფოტოგრაფი კორების აკრეფას შეუდგა.

— მაქსიმე, თოფი... მალე!

გასძახა გიორგიმ და ცაში აიხედა. სწორედ მის ასწვრივ ორი ქორი მზარი-
მზარ მოსცურავდა...

მაქსიმემ თოფი შოარბენინა და გიორგიმ უმაღლეს ესროლა.

ბაღში, ხის ძირას გაჩერებული ნინო ეტყობა გიორგის უცდიდა. თოფი რომ

გავარდა, იგი მოტრიალდა და თვალი შეისწრო, ფრთებმოწვევით ქორი როგორ დაეცა მიწაზე...

გავარდა კიდევ, და მეორე ქორიც ქეასავით მოსწყდა...

ნინო დაფიქრა. იგი მიხვდა რალაცას, გულისტკივილით ნახა ქორის მხარე და ნელი ნაბიჯით ხეებს მიჰფარდა...

— ბ ი ჯ ო ს!

შესძახა მაქსიმემ, ორივე ქორს ხელი დასტაცა და მოლაშქრეებს გამოეკიდა...

ნინომ კარი მორიდებით დააკაუნა... სახეზე მწყობარების ჩრდილი დასდგომოდა... არავინ გამოებნაურა... კარი შეიღო... ოთახში ფეხაკრეფით შევიდა...

მეორე ოთახშიც არავინ დახვდა... მერე ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდას მიუახლოვდა. ბეჭედს ნაღვლიანად დახედა. გულდაწყვეტით წაიძრო თითიდან და ერთბაშად შესდგა...

მაგიდაზე რალაც სურათი იდო... დააცქერდა: სურათზე მკლავშებვეული. გიორგი ვილაც ქალიშვილთან ერთად შადრევანის პირას იჯდა...

ნინოს მწარედ გაეღიმა. მისთვის ესლა ყველაფერი ნათელი გახდა, თვალზე ცრემლი მოერია, ჭეჭედი სურათთან დასდო და მაშინვე გავიდა ოთახიდან...

გიორგი და მაგდანი ოთახში ერთად შემოვიდნენ... მაგდანს შეშა მოჰქონდა.
— გუშინ რა ღიდი შეფათობა გქონდათ, დედაჩემო!... უთხრა გიორგიმ და ფარაჯა კედელზე ჩამოჰკიდა...

— მაშ რა ვქნათ, შეილო! მტერმა თუ ერთი ჰექტარი მიწაც კი მოგვიცდინა საღმე, ჩვენ აქ ორი ახალი ჰექტარი უნდა მოვხნათ!...

გიორგის გაეცინა. მაგდანმა შეშა ბუხართან დაჰყარა და შეილს მიუბრუნდა, თითქოს იწყინა:

— რა გაცინებს, ბიჭო?!

— ემაგრე, დედაჩემო... ჩვენც იქ ეგეთი ანგარიში გვაქვს... ორი-ერთში და ზოგჯერ მეტიც, საქმე საქმეზე თუ მიდგება!...

მაგდანმა მაგიდაზე ბეჭედს შეასწრო თვალი... სახე მოედრუბლა... გიორგის გამომცდელი თვალი შეაღო... მერე მაგიდის უჯრა გამოსწია, კონვერტი ამოიღო და თანაც საყვედურით, თანაც გაგულისებით შეილს ვაუწოდა:

— ბიჭო, ერთი ეს გამაგებინე, ეს წერილი შენი დაწერილია თუ არა?!

— რა იყო, დედავ?

გაკვირვა გიორგიმ...

— რა იყო და... წერილში გოგოს პირზე კოცნას უთვლიდი... ჩამოხველ და... გული უნდა მოუკლა?...

გაოცებულმა გიორგიმ წერილი გამოართვა, დახედა... მამის ხელი იცნო... ძლიერ ეწადა წაეკიხა, მაგრამ მამა რომ არ გაეცა, თავი შეიკავა და წერილი დედას დაუბრუნა...

— მერე რა?! რაც მოგწერეთ, ყველაფერი მართალია, დედაჩემო!

ლიმილით უთხრა გიორგიმ.

— რა ვიცი... მე კი ვადამრიეთ ქალი და...

უთხრა გახარებულმა მაგდანმა, წერილი უჯრაში შეინახა და კეჭოვანთაში გავიდა...

სიხარულით

გიორგი მაშინვე მაგიდასთან მივიდა, წერილი ამოიღო და კითხვას შეუდგა...

„საყვარელო დედაე! ვიცი, გენატრება ჩემი ნახვა, მეც ძალიან მენატრები, მაგრამ სანამ ჩვენს მიწაწყალზე ერთი მტერი მინც დადის, ვაეკაცი კაცი ერთი დღითაც შინ ვერ დადგება“...

გიორგი დიდხანს დასწერებოდა ამ სტრიქონებს... წერილი ნელა დაკეცა. ვიბეში ჩაიღო და ფანჯარა გამოაღო... შორიდან ნინოს სვედიანი სიმღერა მოისმა... გიორგი სმენად იქცა. ბაღში ქარი ჰქროდა, შემოღვომის ფოთლებს ფანჯარას შრიალით აყრიდა, ცაზე საავდრო ღრუბლები მისცურავდნენ...

სულგანაბული გიორგი დიდხანს უსმენდა ქალის ნაღვლიან სიმღერას... მოუსვენრობა დაეტყო... ფანჯარა მიხურა, კედლიდან თოფი ჩამოიღო და გარეთ გავიდა...

იგი ეზოში, ღობის ძირას რაღაცას ეპარებოდა, თუმცა თოფი ისე ეჭირა, მონადირეს არაფრით ჰგავდა...

ასე ფეხაქრეფით მიუხალოვდა ღობეს, საიდანაც სიმღერა ისმოდა... სიმღერა უცებ შესწყდა და ჰასთან ნინო გამოჩნდა... გიორგი წახდა...

— შაშვი... გამომეპარა აქეთ...

წინდაწინვე იმართლა თავი...

ნინო მიხვდა, რამაც მოიყვანა გიორგი, მაგრამ არ შეიმჩნია...

— შენ რომ შაშვი გაგეპარა, ა-ავერ იქნით გაფრინდა...

— აბა, საით?... მაჩვენე!

ლიმილით შეეკითხა გიორგი.

ნინო შეუყოყმანდა, გიორგის ცერად შეხედა... მერე მზაკერულად ჩაიციხა და სწრაფად გატრიალდა...

და იმწამსვე მოზურისოდენა ბამბურა ნაგაზი მოიყვანა...

— აბა... მეძებრად ეს უფრო გამოგადგება!...

დაცინვით უთხრა გიორგის და საბელი ხელში მიაჩერა...

თავგზააბნეულმა გიორგიმ საბელი ძალაუნებურად ჩამოართვა. ნინომ ნიშნის მიგებით გადაიციკისა... გიორგისაც ლიმილი მოერია...

— ეს ძალღი ეზოში დაიბი, ნინო... არავინ მოგიტაცოს!...

— მე... ვის რათ უნდივარ! სჯობია იმას წაუყვანო. შენი გული და გონება ვისთანაც არის!...

გიორგი საბტად დარჩა... ეწყინა კიდევ ქალის ასე ენაშფარედ ნათქვამი... მან სულ სხვა გაიფიქრა... სახეზე ლიმლის ნასახი გაუქრა.

— ნუ მაწყენინებ, ნინო! არც კი მინდა მოვიგონო... დაპრილს ძლივს მიფუსწარი... ავიყვანე, მინდოდა გადამერჩინა... და ისე მომიყვდა ხელში, სახელიც კი ვერ გავიგე მისი...

ჰყვებოდა გარინდებული გიორგი და ისე იცქირებოდა, თითქოს თვალწინ ედგა ის, ვისგანაც ასე იყო გულმოკლული...

ნინო გაშტერდა, ალბათ სხვა პასუხს მოელოდა. თვალეზის მერყადური ელვარება უმაღვე დაუცხრა და გიორგის საბელი მოკრძალებით გაპარათვა ხელიდან... ძალი გაუშვა.

ეკონსული
ბიზნისმენი

— გაგებუშრე, გიორგი...
დარცხენით ჩაილაპარაკა და მხარზე მიეყრდნო...

— შენ არ იცი, ნინო... როგორ ვერაგი და დაუნდობელია მტერი!... უდანაშაულო ქალებსა და მოხუცებს ცეცხლში სწეავენ... ბავშვებს ხოცავენ... დედებს ნამუსსა მხდინან...

ნელა, აუღელვებლად, მაგრამ მკაცრად განაგრძობდა გიორგი და მის თვალბში ხან უცარი ცეცხლი იელვებდა, ხან წამიერი სევდა...

ნინო გულისხმიერად უსმენდა გიორგის, მისთვის ებლა ყველაფერი ნათელი იყო და უნებური საყვედურისათვის თავს დამნაშავედ სთვლიდა... გიორგი და ნინო ასე საუბრით გაჰყვენ და ხეივანს მიჰფარდნენ...

გიორგი ფანჯარასთან იდგა... გარეთ სწვიმდა, მინებზე მსხვილი წვეთება წვარუნობდნენ... შარაზე ქალ-ვაგი მიდიოდა, ერთმანეთს მიჰკროდნენ და ისე ნელა მისერილობდნენ, თითქოს თავსხმა კი არა, ღრუბლის ნატამალიც არსად იყო. გიორგი დიდხანს მისჩერებოდა მათ... მერე ჯიბიდან წერილი ამოიღო, კითხვა დაიწყო...

...სანამ ჩვენს მიწა-წყალზე ერთი მტერი მაინც დადის..."

იგი დაფიქრდა... წერილი ისევ ჯიბეში ჩაიღო, ეტყობა რაღაც გადასწყვიტა და დედის ოთახისაკენ გაემართა. კარი შეაღო...

სკივრზე თავდახრილი მადანი ჯვარისწერის კაბას სინჯავდა.

გიორგიმ ვერ გაბედა დედასთან შესვლა...

ასე გარინდებული იდგა ერთხანს, რომ თვალი მოჰკრა კედელზე გაკიდულ ჩურჩხელებს...

• მივიდა... პირველი ხუთი ზედიზედ ჩამოსწყვიტა, ტაბტზე დაყარა და...

მადანიც კარებში გამოჩნდა...

დედაკაცი გაშეშდა...

გიორგიმ ორი ჩურჩხელა კიდევ ჩამოსწყვიტა, მაგრამ ახლა მისი ხელი უფრო ნელა მოძრაობდა...

მადანი ფეხმოუცვლელად იდგა კარებში...

კედელზე მხოლოდ ორი ჩურჩხელა დარჩა და გიორგი წამით შეყოყმანდა... მერე ერთიც კიდევ სწრაფად ჩამოსწყვიტა, თითქოს ვილიცას ხელიდან სტაცებდა...

— მიდიხარ, ბიჭო!

მოესმა დედის ჩურჩული...

გიორგი მობრუნდა...

— რაც მალე წაეალ, მალე დაგიბრუნდები, დედაჩემო! აღერსით უთხრა შვილმა.

— კარგი, შეილო, ხელი მოგემართოს!

გულსმიერად მიუგო დედამ...

ერთადერთი ჩურჩხელა ნელა ქანაობდა კედელზე.

მაგდანა საჩეხეში ცეცხლს უკეთებდა... ფოსტალიონი ლობის ძირში ბჭყვირებულ ბურვაკს მიათრევდა, ხელში დანა ეჭირა...

— გადასწყვიტეთ?

დაიძაბა ეზოში შემოსულმა ბეჟანმა.

ნინო თავის სახლის ფანჯარას მოადგა...

— გადავწყვიტეთ!...

ნაღვლიანად უპასუხა მაგდანმა მოახლოვებულ ქმარს...

— კარგი, მაგრამ... შე დალოცვილო, ჩემს ოჯახში მე ილარაფერს შეკითხებით? იქნებ ან პური მაკლია, ან ლენო მაკლია... ხალხს პატივისცემა უნდა!...

განგებ გაცხარდა ბეჟანი.

— რაც გვაქვს, გზაში ხომ ეყოფა, იმას კი ვენაცვალე...

— როგორ თუ გზაში... რომელ გზაში... რას ამბობ, ადამიანო?!

ნინომ ღრმად ამოიოხრა და ფანჯარა მოხურა...

გაოცებული ბეჟანი ოთახში შეეარდა...

გიორგი საგზაო ჩანთას ალაგებდა.

— რა მოხდა, ბიჭო, ბრძანება ხომ არაფერი მოგსვლია?

შესვლის უშაღვე მიაძაბა ბეჟანმა.

— სწორედ რომ ბრძანება მივიღე, მამაჩემო!

დინჯად მიუტოვებელი შვილმა, ჯიბიდან წერილი ამოიღო და მამას გაუწოდა.

ბეჟანმა თავის ნაწერი იცნო... თვალში მოხვდა ნაცნობი სტრიქონები:

— „სანამ ჩვენს მიწა-წყალზე ერთი მტერი მაინც დიდის, ვაქცაი კაცი ერთი დღითაც შინ ვერ დადგება...“

ბეჟანმა შეიღს თვალი გაუსწორა.

— მართალი ხარ, შვილო!...

უთხრა და ხელი მაგრა ჩამოართვა... შერე ხმადაბლა დაუმატა:

— ჯვარი მაინც დაგეწერა, ბიჭო!

გიორგიმ მამას მხარზე ხელი მოხვია და თვალეებში შეხედა:

— შენ გამიგებ, მამაჩემო... ომის კაცი ვარ... ქალი მეცოდება...

ნინომ კარი შემოაღო. ბეჟანი მიხვდა, რომ ის ეხლა აქ ზედმეტი იყო და უშაღვე დასტოვა...

ნინომ პირამდე გატენილი პარკი გიორგის მიაწოდა:

— ეს იმ ქალს ჩაუტანე, ვინც შენი სიცოცხლე მარტოა...

გიორგის სახე გაუბრწყინდა... ქალს მკლავები დაუჭირა, ხანგრძლივ დააცქერდა:

— გახსოვდეს, ნინო, ჩემს გულს შენს მეტი არაფერი გააჩნია... მაგრამ სანამ მტერი არ დაგვიმარცხებია, ჩვენი ბედნიერება არ მოხერხდება!...

მღელვარედ უთხრა და გადაეხვია...

სოფლის შარაზე ორთავალა მიჰქროდა... მთვარიან ღამეში შორს გაისმოდა ძველი ლაშქრული. ოთხი ხმა მღეროდა:

„ომში წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო...
დაბრუნება და შინ მოსვლა,
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო“...



სიმღერაში მატარებლის გუგუნი შეერია...
ორთვალას ბორბლებმა თანდათან მატარებლის ბორბლების გამოხატულება
მიიღეს და სიმღერაც თანდათან მინელდა...

მღუმარე ოთახში ორთქლმავლის შორეული კივილი შემოიჭრა... გიორგის
ლოგინში მწოლარე ნინო მოუსვენრად შეირბა.

— დაიძინე, შეილო, დაიძინე...

გაისმა სიბნელეში მაგდანის ჩურჩული.

— არ მეძინება, დედი...

მაშინ იატაკზე ფეხის ფაჩუნით გაისმა და ძიღგატეხილ ნინოს ლოგინში მგ-
დანს ჩაუწვა... შოფერა, თავზე ხელი გადაუსვა...

— დაიძინე, შეილო... ის კიდევ დაბრუნდება...

და ფიქრში წასულ ქალებს თვალწინ დაუდგა:

გიორგი ყალყზე შემდგარ ცხენს მოაჯდა... ეს მოჩვენება როდის იყო... ცხენს
მოაჯდა სტეფანე ვერშინინი...

ესკადრონი საიერიშოდ დაიძრა...

ნაცნობი დაბის ერთ დროს უკაცურ ქუჩას გამოცოცხლება დასტყობოდა...

პოუსვენარი ლოდინით იღებოდა ფანჯრები და ისევ იხურებოდა... ან ტიშ-
კარში ქურდულად ვინმე გამოიხედავდა და ისევ მიჰფარდებოდა...

ვიღაც ქუდმოგლეჯილმა ბიჭმა ქუჩაზე ჩაირბინა ძახილით:

— მ ო დ ი ა ნ ...

ქუჩის თავში ქენებით მომავალი წითელი მხედრობა გამოჩნდა...

მოხუცები, ქალები, ბავშვები მოაწყდნენ ფანჯრებს, აივნებსა და ეზოებს...

წინ გიორგი ხელაშვილი და სტეფანე ვერშინინი მოაგვლევდნენ გაქაფულ
ცხენებს.

აგერ მოხუცმა ქალმა ქუჩა გასჭრა, ხელებგაშლილი წინ შეეგება...

— ჩვენო შეილებო... ჩვენო მხსნელებო...

შესძახა მან და მოზღვავებულმა ცრემლებმა ხმა ჩაუწყვიტა.

აგერ, გულამომგდარი თეთრწვერა მოხუცი ერთს მხედარს გადაეხვია...

აგერ კიდევ ვიღაცა—მეორეს...

ხელებგაშლილი მოხუცი ქალი აღტაცებული მისჩერებოდა მომავალ ლაშ-
ქარს და ლოყებს ცრემლი უსველებდა... ხალხი სდუღდა... ვინ ხელსაბოცს
აფრიალებდა, ვინ ქუდს იჭნევდა, ვინ ყვავილებს ესროდა ადიდებულ მდინა-
რესავით მომავალ მხედრობას.

დაწინაურებულმა გიორგიმ და ვერშინინმა იმ განაპირა სახლთან მიავდეს
ცხენები... კედელზე თუნუქის წარწერა ეკიდა, და შიგ ჩაბეჭდილი იყო:

„სტალინის გზა“

— სწორეთ მივდივართ, სტეფანე! ეს არის ჩვენი გზა!...

უთხრა ვერშინინს და ცხენები დასძრეს...

ფართო, თვალუწვდენელ ქუჩაზე წითელი მხედრობა მიჰქროდა...



ლიახვის პირას*

— გვიბრძანეთ, ბატონო ელიზბარი! — უბასუბა აბეანზე გამოსულმა დეკანოზმა.

— გმადლობთ, მამაო თომა, ეს ჩემი უკანასკნელი, ყველაზე უფრო შემეწუხებელი და საფიქრალი ვალი იყო, არ ვიცოდი, რომელ ვიწროში მომასწრებდა ეს კაციკამია, როდის გამიშვებდა ბოგანოდ, საქვეყნოდ მომპირიდა თავს. თქვენ წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა, რა ამბავი დატრიალდებოდა ქალაქში, მაგას რომ მამული აეწერა ჩემთვის? ვფიქრობ და შეშინია წარმოვიდგინო, თუ რა იქნებოდა. თავს თუ დავიხრჩობდი და იმ ჩემი ნათესავივით უგზო-უკვლოდ თუ დავიკარგებოდი სადმე, თორემ სხვა გზა აღარ მექნებოდა. ყველაფერი დამედუპებოდა, უკუღმა მომიტრიალდებოდა. ახლა ჯანდაბას, არაფრისა შეშინიან. ჩემთვის ვიქნები მოსვენებულად, დავადგები თავს მამულს და ვიცხოვრებ თავაუტკივებლად. ზორბად კი მოვივდეთ ხელში. ამას ვერ გადავიხდი მთელს ჩემს სიცოცხლეში.

— ნოტარიუსიც მარჯვედ იყო, ბატონო, — დაემოწმა დეკანოზი.

— ბარძიმიც, ბარძიმიც! — დაუმატა ელიზბარმა.

— ერთის სიტყვით, ყველანი მარჯვედ დავხვდით, — დაიკვება დეკანოზმა.

— მამაო თომა, არ მიყვარს რჩევა-დარიგების მოცემა, განსაკუთრებით იმისთვის, ვისაც ჩემთვის არ მოუმართავს. უხერხულად მიმაჩნია სხვის პირად საქმეში ჩარევა, მაგრამ რამდენადაც მხოლოდ აზრად მომივიდა და მაწუხებს, იმდენად მინდა ჯერ გამოვიტყველო, მერე კი გირჩიოთ ერთი რამ, თუ არ გამოუჯერდებით.

— ვისმენთ, გვიბრძანეთ, თავადო.

— წუხელ თქვენ შეიძინეთ უთნელიძის მამული სათიხარში, შეიძინეთ და ღმერთმა მოგაბმაროთ. სხვაც ბევრი შეგაძენინოთ. მე მინდოდა კიდევ ერთი რამ შეგეძინათ.

— რა?

— თვითონ უთნელიძე.

— როგორ? არ მესმის? ან რა გზით, თუნდაც ვე შესაძლებელიც იყოს?

— მიეცათ რუსულადი და თქვენი მამული ერთი ორად გაიზრდება, — უთხრა ელიზბარმა და თვალეში ჩაანერდა მღვდელს, რომელიც უკან-უკან იწვიდა, თითქოს ეშმაკს ემიჯნებო.

— თავადო, ეგ კი აღარ მომეწონა. უთნელიძეს რაღა დარჩა? თითქმის არაფერი. მის ურწყავსა და ბუჩქნარს მთას კაპეიკადაც არ ვიყიდი, დისამუშავებლად მამულს ტყუილად ზედ დააწევა ხარჯად. არ მინდა რუსულანის მაგიერად კი მე ვერაფერს გეტყვი. ჩემი სიტყვა ეს არის: ჯერ ერთი — შესაფერისნი არ არიან, მეორე — მამულის თვალსაზრისითაც რომ მივუდგეთ, უთნელიძის მამულში შეშვება თუნდაც ერთი დღით დანაშაულია.

*) დისაწყისი იხ. „მნათობი“, № 2.

— ალბათ, სხვა გეგმა გაქვთ, თორემ არ შესმის თქვენი უარი ასეთ გვართან დანათესავებაზე.

— მე არაერთი გეგმა არა მაქვს. რუსუდანს კი, მგონია, უნდა სწავლობდეს რაღაც, — არ დაუფიცა დეკანოზმა.

— მაინც?

— ნამდვილად არც მე ვიცი. გამიგონია, იალტაში უნდა სწავლობდეს ერთი ყმაწვილი, აქაური, რუსუდანს ბავშვობაშივე შეჩვეული. მისი მეგობარია. მე შეიძლება ბევრი სხვა რამ არ მოუწონო ჩემს შვილს, მაგრამ მაგაში ის სრულიად თავისუფალია.

— თუ იალტაში სწავლობს, უთუოდ სამეურნეო სკოლაში.

— დიახ, სამელწინეო და საბაღოსნო კურსებზე.

— აჟი გამოვიცანი, სხვა უკეთესი გეგმა გაქვთ მეთქი. გლებია თუ არა?

— დიახ, გლები გახლავთ.

— სულ უკეთესი. ჩამოვა, შეირთავს და მამულს მოუვლის. მე კი მაგეთ კაცს ვერც ვინატრებდი. ნეტავ ვიშოვნო ერთი მცოდნე აგრონომი, ისეთი კაცი, რომელსაც მამულის მართვას ვანდობ და გული საგულეს მექნება. ღმერთმანი მახრის უფროსის ოდენა ჯამაგირს დაუნიშნავ, სულს არ დაეიშურებ, შევითვისებ და ძმასავით ზედ გადაველევი. ნეტავ როდის დაბრუნდება ის ყმაწვილი?

— არ ვიცი ნამდვილად. ამბობენ, კიდევ ორ წელიწადს დაიგვიანებსო. ამას თავი დაეანებოთ, თავადო, ახლა ჩემი სათხოვარიც მოისმინეთ.

— მიბრძანეთ.

— თუ თქვენი კეთილი განზრახვა უთნელიძისა და ჩემი ქალის შესახებ არის მხოლოდ თქვენი ნაფიქრი და სხვამ არაეინ იცის, ნუ გაამხელთ. ჩემს შორის მოკედეს და დაიმარხოს. უთნელიძე ღმერთმა მტრადაც დასწყევლოს, მოყვარედაც და ადამიანდაც. განმეორებითაც ძალზე მაწყენინებთ. საქმროს არჩევა მხოლოდ რუსუდანის საქმეა და თუ ამას ვერ შესძლებს, დაე ისე იყოს, როგორც სურს. სამყოფს დაუტოვებ, თუ ღმერთი ისურვებს უდროოდ ჩემს სიკვდილს. მე რომ ამ საქმეში ჩარევა მსურდეს, საქმეს სხვაგვარადაც შემოვუვლიდი. იმ ყმაწვილზე უკეთესებიც ეძლევიან ჩემ ქალს.

— მე მხოლოდ გირჩიეთ და ჩემი ნათქვამი ჩემთან დარჩება. ჯანდაბანს მართლაც უთნელიძე! როდემდის უნდა ვათრიო, არ ვიცი.

— შობრძანდით, თავადო, სუფრა გაშლილია.

— ერთი რამ მინდა მოგაგონოთ, მამაო თომა.

— მიბრძანეთ.

— აი დღეის იქით თქვენც მემამულე ბრძანდებით უკვე. როგორც ნათქვამი გვაქვს მე, თქვენ და თუშელიშვილს, მთელ ჩვენ ძალღონეს მოვანდომებთ მამულის მოვლას და სამაგალითოდ გაეხდეთ ჩვენს ქვეყანაში. ტრესტის მაგვარად მოვეწყობთ, გარეთ ერთი პირით, შიგნით კი ერთმანეთისა ნურა შეგვეზარებება-რა.

— გაგვიძებით, გვასწავლეთ და მოგყვებით, — უთხრა თომამ, თავი მოაწილა და აუკრა და გვერდით დადგა, ელიზბარი კარში გაატარა.

თავი IV

იალტის სამეურნეო სკოლის პირველ კურსზევე გიტა გულის წყვეტით ჯგონებდა თბილისის სასულიერო სემინარიას, დამთხვეულების სახლს, რო-

გორც სემინარიელებმა უწოდეს. იალტის სამეურნეო სკოლა უარს ალ-
მოჩნდა.

მიუხედავად ყველა უბედურებისა, რაც მან თბილისის სემინარიებში გადა-
იტანა, იქ გატარებული ხუთი წელიწადი საესე, მდიდარი და დატვირთული
იყო საუკეთესო სახსოვრებით. თბილისში მას ჰქონდა ორი ცხოვრება: სემინა-
რიის შიგნით და მის გარეთ. ის საუკეთესო სახსოვარიც სემინარიის გარეთ
ცხოვრება იყო.

ის სახსოვარი აქ, იალტაში, მარტოობის დროს გონებაში დარჩა, როგორც
შავი დღისათვის შემონახული ძვირფასეული.

შეწვევდ იგრძნო ის, რასაც წარმოადგენდა მისთვის ის რამდენიმე კაცი,
რომლებიც მესამე დასიდან გამოირჩეოდნენ. მათ ჩამოაყალიბეს თავიანთი
მიმართულება საზოგადოების ცხოვრების შეხედულებებზე და სრულიად ახა-
ლი გზით შეუდგნენ რევოლუციისათვის სამზადისს.

ეს რამდენიმე კაცი იყო ჯულაშვილი, „ბრძოლის“ რედაქტორი ლადო კეც-
ხოველი, გიტასავით, ლიხვის ხეობელი, ქუთაისელი პუბლიცისტი და ლიტე-
რატურული კრიტიკოსი საშა წულუკიძე.

როგორც მთელი მოწინავე მკითხველი ახალგაზრდობა, მუშები და ინტე-
ლიგენცია, გიტაც მათ შეპყრებდა, მათ კითხულობდა, მათი თვალებით სინ-
ჯაედა მოვლენებს, საგნებს, ჰბაძაედა მათ.

ახლა იალტაში აუტანლად უქირდა ყოფნა იმ გაღვანიზირებულ არეს გა-
რეშე, რომელსაც ჯულაშვილი, ლ. კეცხოველი და წულუკიძე ედგნენ სათა-
ვეში, დაუღალავად, გაბედულად იბრძოდნენ, იგერიებდნენ და თავს ესხმო-
დნენ.

ამ მოღვაწეთაგან შთაგონებული და გატაცებული გიტა, იქ, თბილისში,
ზედი-ზედ ნთქაედა სქელტანიან წიგნებს. დღე და ღამეს ასწორებდა, ერთ
წუთს არ კარგაედა, რაც შეიძლება ცოდნის მეტი მარაგით შეედგა ფეხი სკო-
ლის შემდეგ ცხოვრებაში.

იალტაში ამის შინაგვანიც არა იყო-რა. არ იშოვებოდა ლიტერატურა.
მსმენელებს ლიბერალურ გაზეთებსაც კი უკრძალაედნენ. ბიბლიოთეკარს
წიგნებს შერჩევით იძლეოდა.

ამან აიძულა გიტა თბილისში გამოეგზაენა წერილები და იქიდან მიეღო
სასურველი ლიტერატურა, ზოგიერთი წიგნი, ქურნალი და გაზეთი.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა ეს მდგომარეობა. სკოლის ადმინისტრაციამ
უბრძანა, ან სკოლა დაეტოვებინა, ან შეეწყვიტა თბილისიდან ლიტერატუ-
რის მიღება.

შხოლოდ ამის შემდეგ სცადა გიტამ ამხანაგებში მოესინჯა ნიადაგი, შეეგ-
როვებინა საიმედო ხალხი და შეექმნა პატარა არალეგალური წრე და დაკავ-
შირებოდნენ თბილისს.

იმპერიის ყოველი მხრიდან იყენენ იალტის სკოლაში მსმენელები და თურ-
შე ისეთის შერჩევით, რომ გიტამ პირველ ცდისთანავე განზრახვაზე ხელო
აიღო.

დაშინებული მსმენელები ერთმანეთს გულახდილ საუბრისათვის ვერ ეკ-
რებოდნენ, ხოლო უმრავლესობა პირწავარდნილი აგენტებით ადევნებდა
თვალს ამხანაგებს.

სკოლა პერმეტიულად დახურულ ჭურჭელს ჰგაედა, სადაც ადმინისტრაციამ
შხოლოდ ოფიციალურ ლიტერატურას და სასუნთქ ჰაერს უშვებდა. ტყვე-

ბივით ჩამწყვედულები იყვნენ მსმენელები, ყოველ უბრალო ახალგაზრდულ სიციქესაც-კი აღმინისტრაცია სასტიკად სდევნიდა.

ცოტაოდენი სიხარული მოაქონდა ზაფხულს, როცა მსმენელები პრაქტიკაზე მიდიოდნენ იმპერიის სხვადასხვა კუთხეში.

ჭურის დამთავრებამდე ორ ნახევარ წელიწადს გიტამ ეროვნულად ვერ მოახერხა შინ მოსვლა. სულ იალტაში იყო და როცა დიპლომით აღჭურვილი ბაკოზე მოვლით თბილისის სადგურზე ჩამოხტა, იალტის სამეურნეო სკოლის ფორმაში გამოწყობილი გიტა უკვე წვერ-ულვაშიანი, დასრულებული ვაჟაკი იყო.

სადგურის მახლობელ სასტუმროს ზედა სართულში დაიჭირა ყველაზე იაფი ოთახი. ერთი დღე დაისვენა, გამოიძინა, სამოქალაქო ტანისამოსი ჩაიცვა და ქალაქში გავიდა, იქნებ ვინმე ნაცნობს გადაგვეყაროს, ან სემინარიელ ამხანაგს წავაწყდეთ.

მის აქ არ ყოფნაში ქალაქი გარეგნულად არ შეცვლილიყო. მშობელ დედასავე ტყბილი თბილისი ისევ ძველებურად წამოფიცებულყო მზეზე და ცხოვრობდა ნირშეუცვლელად. ამაყად დააბიჯებდნენ ქუჩებში პოლიციელები და ბაზრებში ძველებურად ირეოდა მრავალ ენაზე მოლაპარაკე ხალხი. ერთი შეხედვით გიტას მოეჩვენა, თითქოს ხალხი ნერვიული და თავშეკავებული გამხდარიყო, როგორც გალიის კედლებს დამორჩილებული ნადირი.

ამხანაგებთან შეხვედრაში გიტას შეება ვერ აგრძნობინა, ის შეება, რაც აღამანას ხელად ამოვიწებს ხოლმე თავის ადგილს ახალ მდგომარეობაში. ჩინოვნიკების ფორმაში გამოწყობილებმა ცივად მიიღეს. მოერიდნენ ოდესღაც ამრევ სემინარიელს და ამეამად რაღაც „საექვო“ პროფესიის და უსაქმურად მოხეტიაელსთან საქმის დაქერას. ერთმა კი ავღებულად გადაჰქრა: „მიწის ჩიჩქნას რაღა იალტა უნდოდა, მამაშენმა მაგის მეტი რა იცისო!“

ხელის ჩამორთმევისას იფეთქებდა წამით სკოლის მეგობრობის საამუთრო ხალისი და განშორების უმალვე ქრებოდა იგი.

ხუთიოდეს ანაფორა ჩაეცვა. მღვდლად კურთხეულ იყვნენ. გაეტეხნათ ატესტატის აღების დღეს დადებული ფიცა.

სამიოდე მიყრუებულ სოფელში გაემწყესებინათ მასწავლებლად და იქ გალოთებულყო. არსად ჩანდა ოთხი ამხანაგი. ნახულმა ამხანაგებმა გიტას მათ შესახებ ვერაფერი ცნობა ვერ მისცეს. იმ განშორების დღის შემდეგ ისინი აღარსად შეგვხვედრიანო, უთხრეს.

ამის შემდეგ გიტამ საუფლისწულო მამულების უწყებას შეუარა. სამსახურში მიღების თხოვნა დასწერა და მიართვა. მეტად ცუდი გუნებით დაბრუნდა სასტუმროში. იქ მას უნდა მოეცაღნა, ვინ იცის, რამდენ ხანს თხოვნის პასუხისათვის.

ოთხი დღე გარეთ აღარ გამოსულა. ძველად ნაცნობ ბუკინისტისაგან შეძენილ წიგნებს კითხულობდა ზღვის ბალახის ლეიბზე გულაღმა წამოწოლილი. ქალაქში გასეირნება ჯიბეს უთხელებდა. საფიქრელად ვადაექცა: სად ვიქთენებინა ლამეები, თუ თხოვნის პასუხი ძალიან დაიგვიანებდა და უკანასკნელი მანეთის ზურდა გამოეღეოდა.

თხოვნის პასუხი კი არ მოდიოდა. საუფლისწულო მამულების უწყებაში უბნებოდნენ ტრაფარეტულად: ვაქანსია ბრა გვაქვს, როცა გამოჩნდება, თვითონ გაცნობებთო. მეექვსე დღეს გიტამ ფული გადათვალა და გამოიანგარიშა: გროშები ორ ლამეს გაათვივნებდნენ კიდევ პატარა ოთახში და სამჯერ აქმევიდნენ კიდევ ყველ-პურის საუბრეს. საქირო შეიქმნა გადაწყვეტილ-

ბის მიღება. დასწერა წერილი სოფელში მამასთან გასაგზავნად და ისევე დახია. გაუარა ფიქრმა, დაესხებოდა ამხანაგებს, მაგრამ იმაზედ არ ღელავდა. ისინი უკვე აღარ იყვნენ სემინარიის კედლების ამხანაგები. ახლ ბოლოს მოაგონდა: საეკოიაფში ტანსაცმელი ედო, ურომლისოდნე არ იყო. წასვლა შეეძლო. ამაზე შეჩერდა. გახსნა საეკოიაფი და მასში გაიტანა იალტის სამეურნეო სკოლის ფორმა. გაიტანა და ნახევარ ფასში დაკარგა. აქედან ისევ საუფლისწულო მამულების სამმართველოს შეუარა, პასუხის გასაგზავნი მისამართი შეაცვლევინა თხოვნაზე, დაჰყვა ბიბლიოთეკებს, ტანსაცმელში ამოგებული ფული საწინდარებში დაარიგა, ამოირჩია წიგნები, შეჰკრა, ზოგი ილიაში ამოიღო, ზოგი ხელში დაიჭირა, გასწია სასტუმროში, რომ იქიდან საეკოიაფი წაეღო და მატარებელში ჩამჯდარიყო სოფელში გასამგზავრებლად. ვერის ხილზე მიდიოდა, გერმანელების კირკისაყენ, რომ უეცრად გაიგონა:

— გიტა! გიტა! ხომ არა ხარ?

გიტა შეჩერდა და მიიხედა. ხმა სანაპიროს ქუჩის მხრიდან მოდიოდა. მიიხედა და სწორედ ის დაინახა, ვის შეხვედრასაც თითქოს ერიდებოდა. რუსუდანი იყო. ქალმა ქუჩა გადაიბრინა და მივიარა მას, თითქოს თავს დაესხაო.

— დიახ, მე ვახლავართ, — მიუგო გიტამ და გაიფიქრა: მართლა ხომ არ არსებობს ბედისწერაო.

დღეს დაახლოებით ისევე სასოწარკვეთილი იყო, როგორც იმ დღეს, როცა, რამდენიმე წლის წინათ, ყოფაქცევაში ოთხიანი ატესტატით ჯიბეში დადიოდა, და არ იცოდა, რაში გამოეყენებინა ეს ატესტატი. მის შემდეგ კი, რაც რუსუდანს შეხვდა, სულ სხვა რიგად მოტრიალდა საქმე. გიტამ წიგნები ქვაფენილზე დასდო და ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა გახურებულ შუბლსა და საფეთქლებზე. რუსუდანმა ორივე ხელი დაუჭირა და ჰკითხა:

— როდის ჩამოხვედი?

— უკვე შერვე დღეა. რასა იქ?

— რა მიშავს! — იყო პასუხი.

რუსამ ახლოს მიიწია, თვლებში ჩახედა და უსაყვედურა:

— ისეთი რა მოხდა, რვა დღე აქა ხარ და არ გაგახსენდი?

— სწორედ დღეს ვაბარებდი, — იცრუა გიტამ.

— თუ აგრე იყო, კიდევ არა უშავს-რა, — სთქვა ქალმა და გიტას მარჯვენა, აქამდე რომ ხელს არ უშვებდა, თავის გვერდით მდგარ კაცს მიაჩენა მარჯვენა ხელში. ის კაცი ბარძიმ თუშელიშვილი იყო, რომელიც გიტას მოულოდნელობის გამო ვერ ეცნო ან ვერ დაენახა. ამიტომაც გიტამ ბოდიში მოიხადა და ხელი მაგრა ჩამოართვა.

— მეც აგრე ვფიქრობ, როგორც რუსუდანი. ღირსი ხართ საყვედურისა, მოვალე იყავით დეკანოზიანთას მისულიყავით, — სთქვა თუშელიშვილმა.

— დიახ, პირველ დღესვე, პირველ დღესვე, — დაუჭრა კვერი რუსუდანმა და წიგნების კონას, ძირს რომ ელაგა, მტრულად გადახედა და გაანჩხლებულად განაგრძო: — სადაც ესენი იშოვება, იქ მაგას აბა ვინდა გაახსენდება! თითქოს ჩვენც არ ვკითხულობდეთ წიგნებს. წასვლის წინაც ხომ ასეთი იყო, ბატონო ბარძიმ, ისევ მე თუ მოვნახავდი, თორემ...

ქალმა სათქმელი აღარ დაამთავრა, რადგან სულ სხვა რამ უტრიალებდა თავში. თვალთ ვაზომევა მოასწრო გიტასი. გამხდარი და დაღუული სემინარიელი დამშვენებულ ვაჟკაცად გადაქცეულიყო. სწორედ ისეთად, როგორიც რუსუდანს თავის საქმრო ჰყავდა წარმოდგენილი.

— გეფიცებით, ძალიან შინდოდა მოსვლა, ძალიან, მეგონა ამ წიგნებში აქ აღარ იქნებოდით და გადაფეხვით, იქ, სოფელში ვინამღღებ მთქი, — გამოუტყდა გიტა.

— იალტაში როდისღა ბრუნდები? — ჰკითხა ქალმა.

— დაემათაერე, სამუდამოდ დაებრუნდი.

— აბა, უთუოდ სამსახურს ეძებთ.

არ შემცდარხარ, აგრეა, რუსა, საუფლისწულო უწყებას მივეცი თხოვნა და ვუცდი ამინდს ზღვის პირად.

— დანაშაულიც კი ჩაგიდენიათ. — ჩაერია ისევ ბარძიმ თუშელიშვილი. — თხოვნაზე პასუხს უცდით და თომასას ერთხელაც არ ამოხვედით! თომასაზე თუნდაც იფიქრეთ, აქ არ იქნებაო, ეს კარგი, მაგრამ შე აღარ გაგახსენდით მაინც? ან როგორ არ იცით: თუ იქ, იმ უწყებაში, ან შიგნიდან, ან გარედან ბანს არავენ გაწევს, სამსახურში არ მიგიღებენ! ჩვენამდე, იმ შენ ძველ ნაცნობებამდე რომ მოგვხვია, ამდენს არ იწვალდები. თუნდაც ათ თხოვნაზე გაეცემინებდნენ აქამდე პასუხს. ერთს ჩემებურად დაუტრიალებდი და მორჩა... აბა, ახლა მაინც წამოდით, ვესტუმროთ დეკანოზს. იქ შივიფიქროთ, როგორ მოვიტყუოთ, — სთქვა თუშელიშვილმა და შეეტლეს ანიშნა ეტლი მოეყენებინა.

ჩასხდნენ. გიტამ რიგი წიგნებისა საზურგულს იჭით, ეტლის ქორჯის ნაკეცში ჩააწყო, რიგი მუხლებზე დაილაგა და გასწიეს.

მართლაც, გულით უნდოდა მისვლა გიტას დეკანოზისას. რუსულანის დანახვა სიცოცხლესავეთ წყუროდა, მაგრამ ზოგიერთი სემინარიელი ამხანაგის შეხედრამ შეაჩერა და აფიქრებინა: იქნება რუსულანიც გამოიკვალა, დამიფიწყაო, ამიტომ იკლავდა თავს. ახლა კი ისე გაერთო რუსულანთან საუბარში, თითქოს ქვეყანაზე მათ მეტი აღარავენ იყო. მათ გვერდით ბარძიმი მდუმარედ ათვალისწიებდა გიტას წიგნებს.

ეტლი ვერის ზემოთ შეკცვა, როცა თუშელიშვილმა სიჩუმე დაარღვია:

— ბატონო აკრონომო! თქვენმა საკითხავემა წიგნებმა დამარწმუნეს, რომ პოლიტიკას არ მოშვებინართ.

— დიახ, — მიუგო გიტამ.

— უფროთხილდით, ეგ ისეთი ხილია, გაძლომა გაწყენთ. ზომიერება მოიხმარეთ, კვლავ აღარ გადაიკიდოთ ყოფაცქეცვაში ოთხიანი, თორემ გაჭირდება შევლა.

გიტას ცალი ყურით ესმოდა მისდ ლაპარაკი.

ეტლი ჭისკართან გაჩერდა.

ეზოში ხეები გაზრდილიყვნენ. ბაღში მთლიანი ჩრდილი იდგა. ვაზებსა და სუროებს მთლად დაეფარათ აუვნები. გიტამ ცალი თვალით გახედა იმ კუთხეს, ტუის იმ ბუჩქებს, სადაც მას რუსულანმა პირველი კოცნა აჩუქა. ქალიც იჭით იყურებოდა. უცერად ერთმანეთს შეხედეს და შეზარხოშებულემივით შეკაცუნ კიბის საფეხურებს.

დეკანოზი თომა აიენაზე დაუხვდათ. ვილაც ბერთან ერთად მრავალ შაგიდას უსხდნენ. კორექტურას უყეთებდნენ დაბადების ხუცურ გამოცემას.

— მამა, აბა შეხედე, ვინ მოვიყვანეთ! — დაუძახა მას კიბის თავიდან რუსულანმა.

დეკანოზი წამოდგა, მიეგება მათ, ბერის დანახავად გიტას ჯვარი გადასახა, რამაც ბარძიმ თუშელიშვილი გააცინა. მერე დეკანოზმა გიტას ხელი

შკლავში მოჰკიდა, დასვა სკამზე, ახლოს მიუჯდა და ამბავი განჰყოფდა მგზავრობისა.

დღე მშვენიერად წავიდა. ბერი უსადილოდ არ გაუშვეს. დეკანოზის დედალი უყო ბარძიშს: აბა ერთი შენებურად მისდები ამ ცხონებულს, აბა მისი უღებდა რჯულზე მაცინეო. ბარძიშს თვალიც არ უნდოდა. როგორც კი რუსულდანი იქაურობას მოსცილდა, რაღაც ამბებს მოჰყვა ქალებზე. ჯიბიდან იღებდა სხვადასხვა პოზეტში გამოვლენილ პორნოგრაფულ ფოტო-სურათებს და საითაც მიიბრუნებდა ბერი თავს, იქით მიუტრიალებდა და შეახედებდა. ბერი მოთმინებით ისმენდა და უცქერდა ბარძიშის ოინებს, არ იცინოდა. სამაგიეროდ თომა იჭაჭებოდა სიცილით.

რუსულდანი ნარდი გამოიტანა. ბარძიშმა ხელი წააგლო ნარდს და ბერი გამოიწვია. ბერმა ჯერ იუარა, მერე კი ჩვეულებრივსავე აღარ დასჯერდა, იკითხა: კიდევ ხომ არავე არის მოსასვლელი და გრძელი ნარდი მოითხოვია, თანაშობის ყინი რომ მოერიკა, აღარავეის, დავარებსაც კი აღარ მოერიდა და ხმა-მალა დასძახოდა: „აბა მიშველე, კამათლო, წყვილები, თორემ დავიღუპე“, „შაშებო, თქვენი ჭირიმი!“, „იაგანო, ღმერთი არა გწამთ, რა დროს თქვენი გამოხატომა იყო“, „დავი“, „დავბასე“, და, ბოლოს, რაც ჯიბეში ედო, სულ რომ წაუგო ბარძიშს, ქარვის მუშტუკს ჩავიდა. თუშელიშვილმა ისიც მოუგო, ჩაიდო ჯიბეში, თითები გაფსკვნა, უჩვენა ბერს და ზეზე წამოაყენა.

ამ ხნის განმავლობაში გიტა და დეკანოზი ცალკე საუბრობდნენ. დეკანოზს ძალიან აინტერესებდა რუსეთში მამულების მოწყობისა და მართვის საკითხები. გიტა ვატიცებით უამბობდა ყველაფერს, რაც ენახა და ვაგონა. ბოლოს თსლბრუნეაზე და სელექციაზე შეჩერდნენ. გიტამ ხან ტიპირიაზევი მოიშველია, ხან ბერბანიკი და ხან სხვა უცნობ-ნაცნობნი. ახალგაზრდა აგრონომს ახარებდა ის გარემოება, რომ დეკანოზი იცნობდა აგრომენციერებას, მის მოდუაწევებს და აფასებდა მათ.

რუსულდანი დიასახლისობდა. დააჯავღოაგებდა დავარებს, მზარეულს და მოჯავაგორებს. ხანდახან გაირბენდა აივანზე, გამოიტანდა რამე ჭურჭელს და ისევ შევიდოდა შინ. განსაკუთრებით რთავდა სუფრას. გაბრწყინებული სახით შეხედავდა ხოლმე მამასთან საუბარში გართულ გიტას.

პანსიონის ცხოვრებას მიჩვეულმა გიტამ თითქმის არაფერი ჭამა. ნაზობდა ბერიც. ხან რაზე იტყოდა უარს, ხან რაზე, ამის ჭამა ცოდოაო. თუშელიშვილი თინზე სწორედ იმ ნაჭრებს უდებდა თეფშზე. ბერიც ვითომ გამწყვრალი ეტბნებოდა თუშელიშვილს: ცოდო შენი იყოსო. თუშელიშვილი ბოხი ხმით, თითქოს თვითონ ღმერთს უნდა ვაგონოსო, ბერს საპასუხოდ ეტბნებოდა: „უტმელობით მოპოვებული სასუფეველი შევარცხვინეო“. ლანგრიდან ხორცის ნაჭრებს იღებდა, სჭამდა და ამბობდა: „მომეცით, მომეცით, თუ ამითი კაცი წაწყდება, ჩემი სასუფეველში შესელა ახლავე ვიცი, არ შეიძლებაო“. ამ ლაპარაკში მაგიდიდან ვაჭრო, გამოხრა თუშური თოხლის მთელი თქო და გოქის მეოთხედი. ყველაზე გვიან აღვა სუფრიდან. აივანზე ვიარა-გამოიარა, ეზოშიაც ჩავიდა. კარვა ხანს არსად სჩანდა და, როცა დაბრუნდა, მძიმედ ჩაეშვა საფარძელში, მხარ-მკლავები უკან გადაჰყარა, ჩაჰკიდა, ხენეშოდა ძალზე, ამოყინებდა მალულად და ეტუქებოდა თვალები. ბოლოს ისიც ჩაება დეკანოზისა და გიტას სადილობამდე გაწყვეტილსა და ნასადილევს განახლებულ საუბარში, რაც მამულების დამუშავებას შეეხებოდა ქართლის პირობებში. უეცრად სიტყვა წაართვა დეკანოზს, ბოხის და გულმოსულის კილოთი, თითქოს

რაც საქართველოში უთაური მეურნეა, სულ გიტას ბრალია. საქვედრებში მიაყარა ახალგაზრდა აგრონომს:

— თქვენი და თქვენი გამორჩეული წიგნებისა არ იყოს! ასე ვიცი, ქართველებმა, დანას ძროხის კულზედა ვტვებით. ჩვენმა მესაკუთრებმა... ჩვენა გაახილეს თვალები, სომეხ ჩარჩების ვალ-ვახშიდან გაქორევებით თუ დაღსინებით ამოძვრნენ, ბანკები ნდობით ეკიდებიან, ისწავლეს მამულის მოვლა-გამლოლა და სწორედ ახლა, ამ სიკეთის დროს მოგვაცენეს კარზე რევოლუციის არეულ-დარეულა და, ვინ იცის, კიდევ რამდენი რა. მე რომ რევოლუციები გამიგია, ისე თუ დათავდა, ამას კიდევ არა უშავს-რა, როგორც იქნება, კაცი გაუძღლებს, აიტანს, იქნება ისეთი რევოლუცია სჯობია კიდევაც მესაკუთრისათვის: უფრო მეტად გაინძრევა, მეტს იფიქრებს და მეტ შემოსავალსაც მიიღებს მამულიდან. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ საქმე აგრე როდი ვახლავთ. ასე გაიძახიან, ის რევოლუციები რა რევოლუციები იყო. ჩვენ ისეთი კი არა, სულ სხვანაირი რევოლუცია გვინდაო. ასე გვეუბნებიან: ვინ ყრიხართ თქვენ, ეს კუნზიანი ხალხი, რა ფასი გაქვთო.

— მაინც როგორი რევოლუცია გვინდაო? ვინ აყენებს იმ სხვაგვარი რევოლუციის საკითხს, რომელიც ბურჟუაზიულ რევოლუციას არ უნდა ჰგავდესო? — სტეკიტა ყურები გიტამ.

საგარძელში ყაენივით ჩაწოლილ-ჩაგვარდნილმა თუშელიშვილმა წამოიწია, თვალები დააბრიალა და დაიწყო:

→ რა თქმა უნდა, ბევრი რამ, რაც აქ მოხდა, თქვენ არ გეცოდინებათ. მე კი აქ მაწევს გულზე ლოდვიით დარდი (ბარძიმმა მკერდი ჩაიშვილა), აქა! ბედნიერი ხარ, აგრონომო, რომ ამდენი ხანია აქ არ იყავი, შენთვის იჯექი იალტაში, ის არ გესმოდა, რაც ჩემმა სმენამ გადაიტანა.

→ ჩემთვის ეგ ბედნიერება არ არის, ჩემზე ნუ სწუხართ. რა მოხდა, რა გესმოდათ ასეთი? ნუ თუ ჩვენში ილიაზე მეტი ავტორიტეტი ვაჩნდა, ან იქნება ილიაზე ამბობთ?

თუშელიშვილი მძიმედ წამოღგა, ბაჯბაჯით და მღუმარედ შევიდა დეკანოზის სამუშაო ოთახში.

გიტა გააცინა ამ ლორმუცელა და ყაჩაღის შესახედაობის კაცის გულმხურვალე და გააფთრებულ-გაწიწმბატებულმა ინტერესმა პოლიტიკურ ცხოვრებისადმი. იგრძნო კი რაღაც ძალა, რაც მის აქ არ ყოფნის პერიოდში ისე გამძღავრებულა, რომ ეს კაცი თავის ქერქიდან დაუძრავს და მიძინებული ნადირივით ბუნავიდან წამოუგდია. ცდილობდა თუშელიშვილის გამოსვლამდე ეს ძალა წარმოედგინა, რადგან ის თავისი აზრის დასამტკიცებელ საბუთების მოსატანად გავიდა მეორე ოთახში. დამაბულად ფიქრობდა.

თუშელიშვილი გამოვიდა, ილლიით გაზეთები, ჟურნალები, თხელ-ტანოვანი ბროშურები გამოიტანა და ისევე მძიმედ ჩაეშვა საგარძელში.

— ილიას, ილიას თავი დავანებოთ, თუმცა რად უნდა დავანებოთ თავი? ის არა ბრძანდებოდა, რომ კავკაიდან თბილისამდე ნიავს ფრთებს უსწორებდა: „მოძრაობა“, „მოძრაობაო“, — დასცინა თუშელიშვილმა. — და აი ესეც თქვენი მოძრაობა. თვითონ რა უჭირს, საცაა წავა. აქ დასანანი არა რჩება რა, მწვერვალზე იყო წამოჭიმული მთელი ნახევარი საუკუნე. სკიპტრა და გვირგვინი არა ჰქონია ხელთ, თორემ მეფე იყო. ჰო-და, ნიავს რომ ფრთებს უსწორებდა, ქარი და გრივალი, მები და მეწყერი ჩვენ გვიხდებდა მოსამკალად. მოვიმგით კი? ღმერთმა იცის. კლდის გვერდა ადგილიდან ამოგდება ადვილი საქ-

შეა, შეჩერება კი აბა სცადოს ვინმემ! ქვეშ მოჰყვება და გაიჰყლიტება უწყალოდ. მანამ თვითონ არ გაჩერდება, ტყუილად გზაზე ნუ გადაეღობები. და სწორედ იქ არ გაჩერდება, სადაც გინდა. თუ ასე არ არის, მწუხრებანსა და მწუხრებანს ეს ნაბეჭდები შევით თვითრზე. აი რით ერთობა ჩვენი ახალგაზრდობა და რას ვაწვდიან საკითხავად მთელი მუშათა კლასის, ერის და ხალხის სახელით. ღმერთო, დაგვიფარე! ჯერ მარტო ამათი შოვნა სთქვი, მერე შენახვა, მერე იმაზე ფიქრი, თუ ვინ გაჰმედაეს და რას უბასუხებს. ღმერთმანი, გული მისკდება მათი წაკითხვის დროს, მაგრამ რომ არ ვიცოდე, არ შეიძლება, თუნდაც საკუთარი ხელით და ხანჯლით გამომიჭრია ყელი.

თუ შელიშვილმა ლიტერატურა სავარძლის დასაყრდენზე დაუდო გიტას, რომელსაც მისი ლაპარაკი გადაჭარბებულ-გაზვიადებულად ეჩვენებოდა და ინტერესი დაჰკარგა აიღო წიგნები ხელში.

— აგრონომო, ტყუილად არ გეგონოთ ვცხარობდე, აიღეთ და წაკითხეთ, თქვენ უთუოდ გეხსოვებათ ეგ ავტორები და თუ მხედველობაში მივიღებთ უთხიანს თქვენს ატესტატში, იქნება იცნობდეთ კიდევაც მათ პირადად.

გიტა გამოუხეზლდა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, ხელი დახვია ლიტერატურას, სინათლისკენ მიბრუნდა და კითხვა დაიწყო. რამდენიმე წუთისაც არ გაუვლია, რომ ზეზე წამოვარდა, სახეზე ცუცხლმოკიდებულებით იყვირა:

— ის არის, ის!

თუ შელიშვილი წამოადგა, ახლოს მივიდა მისთან, ზემოდან გადაადგა და გიტასავით ჩაზედა ნაბეჭდს. გიტა ამოიძახებდა ხოლმე „ის არის, ის“, თუ შელიშვილი ამშვიდებდა:

— მოიცათ, მოიცათ, ეგ ჯერ რა არის! ცოტა ქვემოთ ჩაიკითხეთ და მერე ნახავთ. გული მისკდება, აბა, თვითონ ხედავ, რაც არის, რომ მაწუხებს და მოსვენებას მიკარგავს.

— ეს ხომ ჯულაშვილის სტატიაა, ნეტავ სად არის ახლა? ფსევდონიმიც მისია, სტილიც, კილოც, აზრების და ლოგიკის თანამიმდევრობაც, ყველაფერი მისია. ისე ვიცნობ, როგორც ჩემი ხელით დაწერილ კონსპექტს.

— ჰო, სწორედ ის ვახლავთ, ნამდვილად ის არის, სხვა მავნაირი ყალიბის ვატი ჩვენში არავინაა. აბა, დაუკვირდი, ხომ მქონია საღარდელად საქმე, როცა მხედველობაში ევა მყავს, აგრონომო? მერწმუნეთ, არა თუ რუსეთის იმპერიაში, გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთსა და ავსტრიაშიც არაფერი მოუფიქრებიათ მაგგვარი. სწერს — სწეროს, ამას ვინ უშლის. საქმე ისაა, სხვას რას აკეთებს. ერთიც ვნახოთ, მაგ აზრების განხორციელება კი არა, იქნამდე მიყვანა შესძლოს, ვინც სახეში ჰყავს, ვისთვისაც სწერს. მარტო ის იკმარებს. ერთიც ვნახოთ, მართლაც შესძლოს მთელი იმპერიის მუშათა მთლიანი ორგანიზაციის შექმნა ცენტრით, შესძლოს აიყოლიოს გლეხობაც, მაშინ ხომ ყველაფერი წაივინდა ხელიდან. შენი ბარძიმის ცხოვრებას კაბეკად აღარ ვიყიდი. რალა ვიქნები უმამულოდ? მოკვდე ის შირჩენიან. ამაზე გეუბნებოდით, აგრონომო, ჭარბელებმა ძროხის კულზე დანის გატეხვა ვიცი-მეთქი. ეგეთი ძლიერი კაცი გვკირდებოდა ჩვენ, შემამულეებს, ბურჟუაზიას, ნახავდი, რა გამოვიდოდა მაშინ, ახლა ჩვენ კი არა, სულ სხვა ხალხსა ჰყავს და, წარმოიდგინე, რამდენი მიმდევარი ჰყავს თვითონ ინტელიგენციაში! სულ ერთმანეთს აწყდებიან, ლამის ჰკლავთ შეიშალონ, ისე გააქვთ და გამოაქვთ ხელიდან ხელში. ოჯახიდან ოჯახში ეგ ლიტერატურა. არც ლეთისა ეშინიათ და არც პო-

სვით ლიახვის წყალი, მოკეთდით და ელიზბარი ინახულეთ. გადაეცით ჩემ მაგერად მოკითხვა და ეს დაუხურავე პაკეტი. მავაში სწერია ის რაც შეთქმენთვის მოვიფიქრე. ჯერ ამით დაეკმაყოფილდეთ, შემდეგ ღმერთია მოწყალე.

გიტამ კიდევ გადაუხადა მადლობა. პაკეტი ჩამოართვა. ქუდი წინაზე დაემშვიდობა ბარძიმს და თომას. ოთახში შეიხედა, სადაც რუსულდანი ეგულებოდა და გამობრუნდა ისევ, რადგან ქალი იქ არ დაუხვდა.

წიგნებს რომ იღლიავენბდა, რუსულდანი მივიდა, გამოართვა ისინი, დაუძახა მოჯამაგირეს და უბრძანა, სასტუმრომდე გაუტანო. მერე გიტას კიბეზე ჩაჰყვა.

— ხეალ... — დაიწყო რაღაც სათქმელი რუსულდანმა.

— არა, დღესვე მივდივარ სოფელში.

— რაღა ასე ჩქარა, იქნება ხეალამდე მინც მოხვდები? — შეეხეწა რუსულდანი.

როგორ არა, გიტა დარჩება ხეალამდეც, ზეგამდეც, ერთ კვირასაც, მაგრამ რა ჰქნას, როცა ჰამა ჰონებაზე ჰვილია და როცა ჯიბეში ყურგახვრეტელი კაპეციც არ უგლია.

— არა, არ შემოძლიან, მოხუცებთან მიმეჩქარება. დედა არ მინახავს აგერ ჩამდენი ხანია, — გულისწუყვეტით იუარა გიტამ.

— წადი, წადი, დედასთან მიხეალ, მე რაღა მეთქმის! — ნაღვლიანად სთქვა ქალმა.

გიტა მობრუნდა ქისკარში, ხელი ჩამოართვა და ხმადებლა უთხრა:

— რუსა, გმადლობ, ორი ვინმე მიყვარს ქვეყანაზე, დედაჩემი და შენ. შინ მიმეჩქარება. ამ დღეებში მგონია შენც ჩამოხეალ. გნახავ, გნახავ, სულ შენთან ვიქნები, აბა, რას ვიზამ!

— ჩქარა ჩამოვალ! მამას ცოტაოდენი საქმეები აქვს იმ წიგნის გამო, დღეს რომ ბერთან ერთად ასწორებდა, მორჩება და ერთად წამოვალთ, — უთხრა რუსულდანმა და გამოსამშვიდობებლად გაუშვირა ხელი.

გიტამ ჩამოართვა, მაგრამ ხელების დაცილება აღარ ხერხდებოდა. ხან ქალი იყო მისი წინააღმდეგი, ხან ვაფი. გამოიყვანეს ისინი თავდაფიწყებიდან დაგარებმა, რომელნიც გიტას გამოსამშვიდობებლად ქისკარში ჩასულიყვნენ. გიტას ისინი ზემოთ არ გახსენებია. რაღა გიტას? ისინი საერთოდ აღარავის აღარ ახსოვდა, თუ თვითონ არ მოაგონებდნენ ვინმეს საკუთარ თავს. ასეც იქცეოდნენ. ახლაც თავათ მოვიდნენ და კუთვნილი მიიღეს.

(პირველი წიგნის დასასრული შემდეგ ნომერში)

ალფონს დოდა

ჯაუჭი ბავჭი

მას სტენი ერქვა, პატარა სტენი. პარიზელი ბავჭე იყო, სუსტი და ფერ-
 მკრთალი. იგი შეიძლება ათი წლისა ყოფილიყო, თხუთმეტისაც. ამ მუშლს
 ვერაფერს გაუგებდი. დედა არა ჰყავდა. მამა, მოხუცი ჯარისკაცი, ტამპლის
 უბანში სკვერს უვლიდა. მამა სტენს ყველა იცნობდა და აღმერთებდა: პატარა
 ბავჭეები, ვადიები, საკეც-სკამიანი მოხუცი მანდილოსნები, ღარიბი დედე-
 ბი, მთელი პარიზი, რომელიც ამ მშვიდ ადგილას, ტროტუარებით მოჭარვულ
 ყველინარში მოდიოდა საბავშვო ეტლებით. მათ იცოდნენ, რომ მამა სტენის
 უხეშ უღვაშებ-ქვეშ, სტენის, რომელიც ძაღლებსა და უსაქმურებს შიშის
 ზარს სცემდა, კეთილი, ნაზი, თითქმის დედობრივი, ღიმილი იმალებოდა. ამ
 ღიმილის სანახაუად საკმარისი იყო ამ კარგი მოხუცისთვის გვეკითხათ მხოლოდ:

— როგორა გყავთ პატარა ბიჭი!

მამა სტენს ძალიან უყვარდა თავისი ბიჭი. როგორ ბედნიერად გრძნობდა
 თავს საღამოთი, სკოლის შემდეგ მის წასაყვანად რომ მივიდოდა! მასთან
 ერთად გაისეირნებდა ხეივნებში, ყოველ სკამთან შეჩერდებოდა, რომ მუღ-
 მივ სტუმრებს მისალმებოდა, კარგი თავდაქერისათვის სამაგიერო მიეზლო
 მათთვის.

ალყის შემორტყმამ ყველაფერი შესცვალა. მამა სტენის სკვერი დაიკე-
 ტა, — ნაეთის საწყობად გადააქციეს, და საწყალი მოხუცი იძულებული იყო
 ამ საწყობისთვის ფეხმოუცვლელად ეგდო ყური. მისი ცხოვრება დაცარიე-
 ლებულ და აოხრებულ უზარმაზარ შენობებს შორის მიიზღაწუნებოდა. მარტო
 დარჩა. უთამბაქოდ. თავის ბიჭუნას მხოლოდ შინ ნახულობდა, საღამოთი,
 გვიან. უნდა გენახათ მისი უღვაშები, როდესაც იგი გერმანელებზე ლაპარა-
 კობდა... პატარა სტენი კი ამ ახალ ცხოვრებას მაინცადამაინც არ ემდუროდა.

დიახ, ალყა შემოარტყეს! ქუჩის ბიჭებისთვის ეს საუცხოო გასართობია...
 არც სკოლა, არც ერთმანეთის სწავლებას მუღმივი არდადეგები და ბაზარი-
 ვით ახმაურებული ქუჩა.

ბავჭე დიდიდან საღამომდე გარეთ იყო, სულ დარბოდა. სიმაგრეების-
 კენ მიმავალ უბნის ბატალიონებს მიჰყვებოდა. უმთავრესად ისეთს ირჩევდა,

მელნიც, ცად-აწედილნი, მაგრამ ჩამქრალნი და დაზიანებულნი, ნისტში იკარგებოდნენ. შორს მოსჩანდნენ: გუშაგი, კაპიშონიანი ოფიცრები, დღერბანდით რომ იქტირებოდნენ, და მბეჭუტავ ცეცხლის პირას მდგარი, თოვლისაგან დასველებული პატარა კარვები.

დიდმა ბიჭმა გზა იცოდა. საგუშაგოებს რომ ასცდნოდა, შუა მინდორზე მიდიოდა. მაგრამ თავისუფალ მსროლელთა საყარაულო ასეულს მიინც ვერ ასცდნენ. იქ, სუასონის რკინიგზის ლიპნდავის მთელ სიგრძეზე, ლაბადიანი თავისუფალი მსროლელნი წყლით სავსე სანგრებში ისხდნენ. დიდმა ბიჭმა ამოდ წამოიწყო თავისი ამბავი: გავლის ნებას არ აძლევდნენ. ბავშვების ტორილის დროს გზის დარაჯის სახლიდან გამოვიდა მოხუცი სერგანტი, მთლად გათეთრებული, სახე დაღარული. იგი მამა სტენს ჰგავდა.

— ნუ ტირით, პაწიებო, — უთხრა მან ბავშვებს, — იქ, თქვენს კარტოფილებში, გაგიშვებენ, მაგრამ მანამდე შემოდით, ცოტა გათბით. ეს ბიჭუნა, ეტყობა, სულ გაყინულა.

პატარა სტენი-კი თითოდა არა სიცივისაგან, არამედ შიშისა და სირცხვილისაგან... საგუშაგოში მბეჭუტავი ცეცხლის გარშემო, ნამდვილი ჰქვივის ცეცხლის გარშემო, რამდენიმე ჯარისკაცი იჯდა. ხიშტის წვერზე წამოცმულ გაყინულ ბისკვიტებს ალზე ალხობდნენ. ბავშვებისთვის ადგილის დასათმობად მიიწ-მოიწიეს. არაყი და ცოტა ყავა დააღვეინეს. ამ დროს ერთი ოფიცერი კარს მოადგა, სერგანტს დაუძახა, ჩუმიად რაღაც უთხრა და იმწამსვე წავიდა.

— ბიჭებო! — სთქვა სახეგაბრწყინებულმა სერგანტმა შესვლისთანავე. — ამაღამ დიდი ხოცვა-ტღეტა იქნება... გერმანელების პაროლი დავიჭირეთ. დარწმუნებული ვარ, ამ წყევულ ბურჯეს წავართმევთ.

ვაშა და სიცილი გაისმა. აცეკვდნენ, ამღერდნენ, ხმლებსა და ზიშტებს აბრიალებდნენ. ბავშვებმა ამ აურზაურით ისარგებლეს და გაიპარნენ.

სანგარს რომ გასცილდებოდნენ, გაშლილი მინდორი იყო, სიღრმეში კი მოსჩანდა გრძელი თეთრი კედელი, სათოფურები. ამ კედლისაქვე გასწიეს. ფეხის ყოველ გადადგამაზე ჩერდებოდნენ, თითქოს კარტოფილს იღებდნენ.

— დაებრუნდით.... იქ ნუ წავალთ, — ამბობდა განუწყვეტლად პატარა სტენი.

დიდი ბიჭი მხრებს აიჩეჩნდა და სულ წინ მიდიოდა. უეცრად თოფის გატენის ხმა მოესმათ.

— დაწექი! — უთხრა დიდმა ბიჭმა და მიწაზე გაიშოტა.

დაწვა თუ არა, დაუსტენია. მეორე სტენამ პასუბი ვასცა. ბავშვები სიმაგრეს მიადგნენ... კედლის წინ, მიწის პირად, გასერილი ბერეტის ქვეშ ორი ყვითელი უღვაში გამოჩნდა. დიდი ბიჭი თხრილში ჩახტა, გერმანელს გვერდით.

— ეს ჩემი ძმია, — უთხრა მან გერმანელს ამხანაგის შესახებ.

სტენი ისე პატარა იყო, რომ მის დანახვაზე გერმანელს სიცილი აუტყდა. იტლებული ვახდა სტენი ზელში აყვანა, რათა კედლის ნახვრეტში გაეჭვინა.

კედლის მეორე მხარეს მაღალი მიწაყრილები იყო, წაქცეული ხეები, შავი თრმოვები თოვლში და ყოველ ორმოში იჯივე ბინძვრი ბერეტი, იჯივე ყვი

თელი უღვაშები. ისინი იცინოდნენ, მათ წინ ბავშვები რომ ჩაიყრიდნენ. ერთ კუთხეში, ხის მორების თაღქვეშ, მებაღის მორტიცილი სახლი თვალებდა სართული ჯარისკაცებით იყო საესე. ბანქოს თამაშობდნენ, წვენი ბარშავდნენ დიდ ცეცხლზე. კომპოსტოს და ღორის ქონის სუნი გრძელდებოდა. როგორ არ ჰგავდა იქაურობა თავისუფალ მსროლელთა ბანაკს! შერთე საართულში ოფიცრები იყვნენ, იქიდან ისმოდა პიანინოს ხმა, აგრეთვე შამპანურის ბოთლის გახსნის ხმა. პარიზელების შესვლას მხიარული შეძახილით შეხედნენ. ბავშვებმა ყურნალები გადასცეს. სტუმრებს ღვინო დაუსხეს და ლპარაკი გაუბეს. ყველა გერმანელ ოფიცერს ამაყი და ბოროტი სახე ჰქონდა. მაგრამ დიდი ბიჭი ართობდა მათ თავისი გარეუბნული გონებაშავილობით, ქუჩის ბიჭის ლეჟსიკონით. გერმანელები იცინოდნენ, მის სიტყვებს იმეორებდნენ.

პატარა სტენსაც ძალიან უნდოდა ლპარაკი იმის დასამტკიცებლად, რომ არც ის იყო უტყვი. მაგრამ როგორღაც სცხვენოდა. სტენის პირდაპირ სხვებზე უფრო ხნიერი, დინჯი გერმანელი ჯანაპირებულოყო, ის თითქოს კითხულობდა და სტენს თვალს არ ამორებდა. მის გამოხედვაში საყვედური და სინაზეც იხატებოდა. თითქოს ამ კაცს თავის ქვეყანაში სტენისოდენა ბავშვი ჰყავს და თითქოს ამბობს: „ჩემმა შვილმა რომ ეს ჩაიდინოს, სიკვდილს ვამჯობინებდი“.

ამის შემდეგ სტენი თავს ისე გრძნობდა, თითქოს გულზე ხელი დააჭირეს და გულისცემა შეუშალეს.

ამ ტანჯვისაგან თავის დასაღწევად სმა დაიწყო. ჩქარა მის გარშემო ყველაფერი დატრიალდა. ხარხარში გაურკვეველად ესმოდა, როგორ დასცილოდა მისი ამხანაგი ფრანგთა ნაციონალურ გვარდიელებს, მათ სამხედრო ვარჯიშობნას, როგორ აჯავრებდა მარეს შეიარაღებულ აჯანყებას, ღამის განგაშს სიმაგრეებზე. შემდეგ დიდმა ბიჭმა ხმას დაუწია. ოფიცრები მიუახლოვდნენ, სერიოზული გამომეტყველება მიიღეს. უბედურმა ისინი გააფრთხილა: თავისუფალი მსროლელები იერიშისთვის ემზადებიანო.

მოულოდნელად პატარა სტენი ფეხზე წამოიჭრა, გაცოფებული, გამოფხიზლებული:

— არა, არა!.. მე არ მინდა!

მაგრამ დიდმა ბიჭმა მხოლოდ გაიცინა და განაგრძო. მას სიტყვა არც კი დაუსრულებია, რომ ოფიცრები ფეხზე წამოიჭრნენ. ერთმა მათგანმა ბავშვებს კარი უჩვენა:

— გადით აქედან! — დაუყვირა.

და ურთიერთ შორის ლპარაკი გააბეს. ლპარაკობდნენ სწრაფად, გერმანულად.

დიდი ბიჭი ვაეიდა, დოვივით ამაყი. ჯიბეში ფულს აჩრიალობდა. სტენიც გაჰყვა, თავდახრილი. მან გერმანელს ჩაუარა, იგი მის გამოხედვას თვალს ვერ უსწორებდა. სტენს სევდიანი ხმა მოესმა:

— სიბილწეა, სიბილწეა!

სტენს თვალზე ცრემლი მოადგა.

გარეთ რომ გავიდნენ, სიბილით წავიდნენ და მალე დაბრუნდნენ. ტომარა გერმანელების მიერ მოცემული კარტოფილით ჰქონდათ საესე, ამით და-

უმრავლესად გადაიარეს თავისუფალ მსროლელთა სანჯარს. ლამის იერი-შისათვის ემზადებოდნენ. ჯარი წყნარად მოდიოდა, კედლებს უკან გროვებ-ბოდა. მოხუცი სერენტიც იქ იყო, ჯარისკაცების დაწყობაშია. ცხელი სა-ხეზე ბედნიერება ეხატა. ბავშვებმა რომ ჩაიარეს, იცნო და აღტკინდა. ლამი-ლი მიაგება...

ოჰ, რა ტანჯვა მიაყენა ამ ღიმილმა პატარა სტენსი ერთ წამს უნდოდა ეყვირა:

— იქ ნუ მიდიხართ! ჩვენ ვილატეთ...

მაგრამ ღიმილმა ბიჭმა უთხრა:

— თუ იტყვი, დაგხვრეტენ...

და სტენი შიშმა შეაკავა.

გურნევეში ერთ მიტოვებულ სახლში შევიდნენ ფულის გასაყოფად. უნდა ითქვას, რომ გაყოფა პატიოსნად მოხდა. როდესაც პატარა სტენმა ხალათის ქვეშ ამ მშვენიერი ფულის ჩხრიალი გაიგონა და წარმოიდგინა, რომ ხელ-გალოს ითამაშებდა, თავისი დანაშაული მან არც ისე შემადრწუნებლად მიიჩნია.

მაგრამ როდესაც უბედური ბავშვი მარტო დარჩა, როდესაც ღიმილმა ბიჭმა კარებთან მიატოვა, მან ჯიბეების დამძიმება იგრძნო, გულზე დაჭერილი ხელი არასოდეს არ დასწოლია ასე ძლიერად, როგორც ახლა. პარიზი გამოცვლილი ეჩვენებოდა, გზაში შეხვედრილი ადამიანები უფრო მკაცრად შესცქეროდ-ნენ, თითქოს იცოდნენ, საიდან მოდიოდა იგი. სიტყვა „ჯაშუში“ ესმოდა თელების ხმაურობაში, დოღების რაკრაკში, რომლებსაც არხის გასწვრივ უკ-რავდნენ. ბოლოს, შინ მივიდა და თავი ბედნიერად იგრძნო, მამა რომ არ დახვდა: ჯერ არ დაბრუნებულყო. სტენი სწრაფად ავიდა თავის ოთახში, ბალიშქვეშ ამოსდო ფული, რომელიც ასე ამძიმებდა.

არასოდეს სტენის მამა ისეთი კეთილი და მხიარული არ ყოფილა, რო-გორც ამ საღამოს, შინ რომ დაბრუნდა. პროვინციიდან ცნობები მიუღიათ: საქმე უკეთ მიდიოდა. სტენის მამა, ძველი ჯარისკაცი, პურსა სკამდა, კე-დელზე ჩამოკიდებულ თოფს შესცქეროდა და ალერსიანი ღიმილით ბავშვს ეუბნებოდა:

— პა, ბიჭო, შენ რომ ახლა ღიმი იყო, ხომ წახვიდოდი გერმანელების წინააღმდეგ საბრძოლველად!

მერვე საათზე ზარბაზნის სროლა გაისმა.

— ეს ობერვილიეა... ბურეში იბრძვიან, — სთქვა კეთილმა მოხუცმა, რომელიც ყველა სიმავრეს იცნობდა.

პატარა სტენი გაფითრდა, დაღლილობა მოიმიზეზა და დასაწოლად წავიდა, მაგრამ არ დაუძინია.

ზარბაზანი გრუხუნს ვანავრძობდა. ბავშვმა წარმოიდგინა თავისუფალი მსროლელები, რომლებიც ღამით გერმანელებს მოულოდნელად თავს ესხმოდ-ნენ და ჩასაფრებულ მტერს თვითონ უეარდებოდნენ ხელში. გაიხსენა სერ-ენტი, რომელმაც გაუღიმა, ხედავდა მას, თოვლში გაშლართულს, და კი-დევე ბევრ სხვას... მთელი ამ სისხლის ფასი ბალიშქვეშ ედგა, ბოლო თავად ბატონი სტენის, ჯარისკაცის შვილი იყო... ცრემლი ახრჩობდა. ესმოდა, რო-გორ დადიოდა მამა გვერდის ოთახში, როგორ აღებდა თანჯრებს. ქვემოთ,

მოედანზე, ამხედრების ნალარა დაუკრეს, მოძრავი გვარდიის ბატალიონები წასასვლელად ემზადებოდნენ. ეს მართლა ნამდვილი ბრძოლა იყო. ~~უბედურ~~ მა ქვითინი ველარ შეიკავა.

ბატალიონი
ბრძოლისა

— რა დაგემართა? — ჰკითხა შესულმა მამამ.

ბავშვმა ველარ გაუძლო მოწოლილ ბოლმას. საწოლიდან გადმოხტა და მამას ფეხებში ჩაუვარდა. ამ მოძრაობისას ფული იატაკზე დაგორდა.

— ეს რა არის? მოიპარე? — ჰკითხა აკანკალებულმა მოხუცმა.

მამინ სულმოუთქმელად უამბო პატარა სტენმა, როგორ იყო გერმანელებთან და რა ჩაიდინა იქ. ამ ლაპარაკში ბავშვი გრძნობდა, დანაშაულის აღიარების გამო როგორ ეშვებოდა გულზე. ბოლოს დამშვიდდა. მამა სტენი საშინელი სახით უგდებდა ყურს. როდესაც ბავშვმა ამბავი დაასრულა, მამამ თავი ხელებში ჩამალა და ატირდა.

— მამავ, მამავ!.. — წამოიძახა ბავშვმა.

მოხუცმა უპახუხოდ მოიშორა და ფული აკრიფა.

— სულ ეს არის? — ჰკითხა.

პატარა სტენმა ანიშნა, სულ ეს არისო. მოხუცმა თოფი და ფალასკა ჩამოხსნა, ფული ჯიბეში ჩაიდო.

— კარგი, — სთქვა მან, — ამ ფულს მათვე გადავცემ.

მეტი აღარ უთქვამს-რა. აღარც მოუხედავს, ძირს ჩავიდა და შეერია მოძრავ გვარდიელებში, რომლებიც იმ ღამეს ომში მიდიოდნენ. მერე იგი აღარავის უნახავს.

თარგმანი ფრანგულიდან ირ. ლ. დიონ მანუარაძისა



ა. შვიკალსკი

თეატრი ურთხის

თეატრი თანამგზავრია წითელი არმიისა მისი პირველი ნაბიჯებიდანვე. მისი არსებობის უკვე პირველსავე თვეებში იმართებოდა წითელარმიელებისათვის წარმოდგენები და კონცერტები, რაც სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებდა. მოსკოვში 1918 წლის 2 ივლისს არმიამ გაწვეულთათვის გამართულ კონცერტ-მიტინგებზე, ლენინისა, სვერდლოვისა და საბჭოთა მთავრობის სხვა ხელმძღვანელთა სიტყვების შემდეგ, გამოდიოდნენ მაშინ უკვე სახელგანთქმული მომღერალი ა. ნეცდანოვა, აგრეთვე ფართოდ ცნობილი დრამატიული არტისტი ა. იაბლოჩკინა (ახლა სსრკ სახალხო არტისტები) და დრამისა, ოპერისა და ბალეტის ბევრი სხვა გამოჩენილი ოსტატი.

1918 წლის 7 ნოემბრის წინაღობით, ე. ი. ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლისთავზე, ვანათლების სახალხო კომისარიატის სათეატრო განყოფილებამ გამოსცა დადგენილება, რომლითაც წინადადება ეძლეოდა მოსკოვის ყველა თეატრს, სტუდიას, დრამატიულ და მუსიკალურ სკოლას, ცირკსა და სხვა მისთანათ—გამოეყოთ თავიანთი წრიდან ამხანაგები, რომელნიც შესძლებდნენ ოქტომბრის დიდი რევოლუციის წლისთავის საზეიმო დღეებში წასულიყვნენ ფრონტზე წარმოდგენებში და კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად. ამ დროს ფრონტებზე უკვე მუშაობდნენ მთელი რიგი სათეატრო და საკონცერტო დასები. 1918 წელს პეტროგრადიდან ფრონტზე მიემართებოდნენ ხოლმე მთელი საოპერო დასები. 1918 წლის დასაწყისში ათასამდე პეტროგრადელი არტისტი ფრონტზე იყო.

ძალიან დიდი როლი ითამაშეს სპეციალურად ჩამოყალიბებულმა საფრონტო მოძრაემა დასებმა. რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს პოლიტიკურმა სამმართველომ, თავისი მხრით, მოაწყო ამ დასების სამასზე მეტი გასვლა სხვადასხვა ფრონტზე. ხოლო ამას გარდა, მრავალი სხვა საფრონტო დასი მუშაობდა ცალკეული ფრონტებისა, არმიებისა და დივიზიების ფარგლებში.

წითელი არმიის სარდლობა დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა წარმოდგენებსა და კონცერტებს წითელარმიელთა საბრძოლო განწყობილების აღმავლობაში. იშვიათი არ იყო, რომ მოძრავი დასები იგზავნებოდნენ გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მომენტში ფრონტის ყველაზე პასუხსაგებ ადგილას. მაგალითად, როდესაც მტერი კიევის უბედა, — ფრონტზე უკანასკნელ მაშველ ჯარებთან ერთად გაიგზავნენ მსახიობნიც. გამცემლების მიერ კრონშტადტში მოწყობილ აჯანყების დროს, რამდენიმე საათით ადრე იერიშამდე, პოზიციებზე წითელარმიელთა წინაშე გამოდიოდა მოძრავი დასი. იქვე გაგზავნილი მეორე დასი გზიდან დააბრუნეს, რაკი წითელმა არმიამ კრონშტადტი უკვე აიღო.

საფრონტო დასები ხშირად თამაშობდნენ უშუალოდ ბრძოლის ხაზზე. ერთ-ერთი ასეთი დასის ხელმძღვანელი არტისტი პ. ნიკანდროვი ასე იგვიწერდა შემდგომ ერთ-ერთ წარმოდგენას დასაველეთ ფრონტზე: „გარ-შემო ბრძოლა იყო. ჩვენ ვერსახევეარზე ვიყავით პოზიციებიდან შიგნით; სა-ღამოთი სპექტაკლს ვთამაშობდით...სკენა ორ ქოხს-შუა გასასვლელში იყო მოწყობილი. მებრძოლი ნახევარწრედ პირდაპირ მიწაზე ისხდნენ, ხოლო ზოგიერთი ქოხის სახურავზე აკოცდა. „შურისმაძიებელს“ თანასდევდა არა ბუტაფორული, არამედ ნამდვილი სროლა, რაც ჩვენ მეტისმეტად გვაზნებებ-და. წარმოდგენა გვიანობამდე გაგრძელდა. დავამთავრეთ იგი ანთებული სან-თლებით, რომლებიც მებრძოლთ ეჭირათ“.

მეტადრე მკიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი არმიის საბრძოლო მოქმე-დებასთან დივიზიებთან არსებული საფრონტო ჯგუფები. ასეთი იყო, მაგა-ლითად, ჯგუფი 25-ე დივიზიასთან, რომელსაც უფროსობდა სახელგანთქ-მული სარდალი ვ. ჩაპაევი. მ. გორაკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის (მოსკოვში) ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია წერილო რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი უფიდან 1919 წლის 16 ივნისის თარიღით, ხელმოწერით: „25-ე მსროლელთა დი-ვიზიის სამხედრო-პოლიტიკური კომისარი ფურმანოვი“. იმ წერილში დ. ფურმანოვი სხვათაშორის იტყობინებოდა: „როგორც არის, საკუთარი სა-შუილებებით ვაკონწივებთ აქ, პოზიციაზე, სალაშქრო თეატრებს. ვახერხებთ თუ არა სადმე რამდენიმე დილით გაჩერებას—ეკურავით (заряжаем) აშხ. წო-თელარმიელებისათვის სპექტაკლებსა და კონცერტებს“. 25-ე დივიზიის დასის შედგენილობაში იყვნენ პროფესიონალი მსახიობნი და სტენისმოყვარე-წო-თელარმიელები. პირველ ხანს, ვიდრე წარმოდგენებში პროფესიონალების მო-ნაწილეობა ჯერ კიდევ მოგვარებული არ იყო, წითელარმიელები ქალის რო-ლებსაც თამაშობდნენ. ქალაქებსა და სოფლებში, რომლებსაც 25-ე დივიზია იჭერდა, წარმოდგენებს მოედნებზე მართავდნენ, რისთვისაც მოძრავ დე-კორაციებს დგამდნენ. მაყურებლები იყვნენ მიწაზე, საზიდარზე, ლობე-ებზე, სახლის სახურავებზე. ჩაპაევი არამარტო დიდად იყო დაინტერესებუ-ლი დასის საქმიანობით, არამედ აგრეთვე ხშირად წარმოდგენის დაწყების წინ გამოუძახებდა ხოლმე მეგარმონეებს და თვით ცეკვავდა მაყურებელ-მებრძოლთა და ადგილობრივ მცხოვრებთა წინაშე. ერთხელ წარმოდგენის დროს განგავში გამოცხადდა, — და ჩაპაეველმა მსახიობებმა, შესწყვიტეს რა წარმოდგენა, სტაცეს თოფს ხელი და როგორც იყვნენ, გრიშში და თეატრა-ლურ ტანისამოსში, ბრძოლის ველს მიაშურეს.

ჩაპაევის დივიზიის კომისარი დ. ფურმანოვი შემდგომ, როგორც ვიცით, დიდი მწერალი გახდა. მან განსაკუთრებით სახელი გაითქვა მოთხრობით „ჩაპაევი“, სადაც ხალასი სიმაართლით მოგვითხრო 25-ე დივიზიის გმირული ბრძოლა. ამ მოთხრობაში მან მოგვცა დივიზიის დასის ასეთი დახასიათება:

„...დივიზიის დასი სწორედ იმიტომ უყვარდათ მეტადრე წითელარმი-ელებს, რომ ისინი აქ თავისსავე მებრძოლ ძმას ხედავდნენ, ძმას, რომელიც ყოველთვის მათთანაა, და, თუ საჭიროა, მათთან ერთად შეტევაშიც მიდის...“

თავიანთ დასს წითელარმიელები ყოველთვის უდიდესი მოუთმენლობით ელოდნენ და ჩვეულებრივად ზედმეტი სიზუსტით იცოდნენ ყოველი მომენ-ტი და ადგილი, სად იმყოფებოდა იმ დროს დასი, რომელ ბრძოლაში. დიდ-ხანს დარჩება იქ თუ არა, მათთან მოვა თუ სხვა ბრძოლაში. და როცა ვაიგებ-

დნენ, რომ დასი მათთან მოდის, განწყობილება მაღლა იწევდა და ამის გამო ისე ლაპარაკობდნენ, როგორც უდიდეს სიხარულზე. იწყებოდა მსახურება და როცა დასი ადგილზე მოვიდოდა, ხშირად თავიანთი მცირე საშუალებებით ახანაჯურ მასპინძლობასაც კი უწყევდნენ“...

როდესაც შემდეგში უკვე ჩაპაევის დაღუპვისას, 25-ე დღეებში აღმოსავლეთ ფრონტიდან დასავლეთ ფრონტზე იყო გადაყვანილი, დასს — მაშინ უკვე პროფესიონალურს — ბევრ სიძნელეთა გადატანა მოუხდა. სარდლობა ყველაფერს შერებოდა, რათა მსახიობებისათვის ლაშქრული ცხოვრება შეემსუბუქებინა. წითელარმიელნი უზიარებდნენ მათ რაც რამ გააჩნდათ, მაგრამ ომი მაინც ომი! თანაც ჩვენი ქვეყანა საშინლად აოხრებული იყო მრავალი წლის ომისა და ცხოვრების საერთო მოშლილობისაგან. და აი, ლაშქრობის დროს მსახიობი მამაკაცები და ქალები მებრძოლებთან ერთად ყინვა-სიცივეში კარგა მანძილს ფეხით გადიოდნენ ხოლმე მსუბუქად ჩაცმულნი, ხანდახან მტერიც ტყვიას უშენდა. ისინი ხიდების აღდგენაზე მუშაობდნენ, აქრობდნენ ხანძრებს, უელიდნენ დაქირით, ფცქენდნენ კარტოფილს და იმავე დროს მართავენ წარმოდგენებს ზოგჯერ მოწინავე პოზიციებზე. არა ჰქონდათ გრიმი — ნაცვლად დამწვევარ კორპს ხმარობდნენ, აკლდათ პუდრი — კბილის ფხვნილს იყენებდნენ; პარიკისა და წვერ-ულვაშისთვის — ძენძი ჰქონდათ. ასეთი ვითარების მიუხედავად მსახიობნი ერთუზიანებით მუშაობდნენ და წითელარმიელნი სასყიდელს მათ მხურვალე სიყვარულით უხდიდნენ.

ყოველგვარ დახმარებას უწყევდა წარმოდგენებისა და კონცერტების მოწყობას აგრეთვე შერეულ სარდალიც, ხალხის მასიდან გამოსული, პირველი ცხენოსანთა არმიის მე-14 კავალერიის დივიზიის უფროსი, სახელგანთქმული ა. პარხომენკო. ამ დივიზიასთან მყოფი პროფესიონალი არტისტები ახლაც მაღლობით იხსენიებენ პარხომენკოს, რომლის მეგობრულმა საუბრებმა დიდი როლი ითამაშა მსახიობთა საზოგადოებრივ განვითარების საქმეში, ვინაიდან იმ დრომდე მათი ინტერესები კულისებს არა სცილდებოდა.

იყვნენ მოძრავი დასები, რომლებიც საავიტაციო მატარებლებსა და ვეგებზე მუშაობდნენ. ახეთი მოძრავი დასის მუშაობას იგონებს, სხვათაშორის, რსფსრ დამსახურებული არტისტი მ. სინელნიკოვა.

„რჩის (რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭო — იმ დროს უმაღლესი სამხედრო ორგანო — ა. ფ). წვერის ამხანაგი სტალინის სახელობის ავიატარებელი მიმაგრებული იყო სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის პოლიტგანყოფილებაზე. იგი შედგებოდა რვა, ცოცხლად მოხატული, ვაგონისაგან, სადაც მოთავსებული იყო სტამბა, რადიო, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რეტრიბუნალის გამსუვლელი სესია და ორი ვაგონი თეატრი... ჩვენ ყველა საღვურზე ვჩერდებოდით; ავიატორები მართავენ მიტინგს; შემდეგ ალომდებარე სოფლებიდან და დაბებიდან თავმოყრილ უამრავ წითელარმიელთა და მცხოვრებთა თანდასწრებით მიმდინარეობდა რეტრიბუნალის სესია, ბოლო ამის შემდეგ გამოვდიოდით ჩვენ — არტისტების დასი... 6 კაცის შედგენილობით. ერთი თვის განმავლობაში მოვაწყეთ 69 სექტაკლი და კონცერტი, ასე რომ ხშირად დღეში სამ-სამჯერ გამოვდიოდით. ჩვენი სასცენო ფართობი, ჩვეულებრივ, ქვანახშირის ყრილი იყო ხოლმე რკინიგზის ლიანდაგის შორი-ახლო... ჩვენ ვთამაშობდით მებრძოლთა წინაშე, რომელნიც ზოგჯერ წარმოდგენის შემდეგ პირდაპირ ფრონტზე მიდიოდნენ ხოლმე. და რა შესა-

ნიშნავი აუდიტორია იყო ეს აუდიტორია! თვითეული სიტყვა ალწვედა მათამდე, თვითეული ეპიზოდი აღიქმოდა, ვით ცხოველი ცხოვრებას.

როდესაც დაიწყო გადამწყვეტი შეტევა თეთრგვარდიელებზე, კონკრეტული საფარეოსის წინააღმდეგ — ყიროშზე, სადაც გამაგრდა თავისი უკუთქვენიერალი გრანგელი, — სამხრეთის ფრანტის სარდალმა მ. ფრუნზემ წინადადება მისცა ფრანტის პოლიტიკურ სამმართველოს — დაუყოვნებლივ გაეგზავნა ყველა არმიაში საავიტაციო მატარებლები საერთო ლოზუნგით: „გრანგელის საბოლოოდ განადგურება!“ სამი დღელამის განმავლობაში მუშაობდნენ დღისითაც და ღამითაც პოლიტიკური სამმართველოს თანამშრომელი, მსახიობნი, მხატვარნი და მუსიკოსნი. დაიწერა რამდენიმე მოკლე საავიტაციო პიესა, მოამზადეს რეპეტიციებზე აქვე შექმნილ თორმეტ დამკვრელ დასში, რომლებსათვისაც დამზადებული იყო თორმეტი კომპლექტი დეკორაცია. წარმოდგენის შემდეგ, რომელიც გამართული იყო ხარკოვის ცენტრალურ სახეულებელ წითელარმიულ თეატრში სამხრეთის ფრანტის სარდალობის თანდასწრებით, ყველა დასი ჩაჯდა საავიტაციო მატარებლებში და გაემართა ფრანტისაკენ, სადაც ეს დასები თავიანთი ხელოვნებით ამხნევებდნენ ბრძოლაში მიმავალ წითელარმიელებს.

ცარიცინის (ახლა სტალინგრადი) ბრძოლების დროს ფრანტზე გაიგზავნა ვოლგაზე მცურავი აგიტგემი „იაკობ სვერდლოვი“ დრამატიული დასით, საკონცერტო ანსამბლით, ორკესტრით, მოძრავი კინოთი და ბიბლიოთეკით. დრამატიული დასის წარმოდგენები და კონცერტები ყოველდღე იმართებოდა, ზოგჯერ კი დღეში რამდენჯერმე, თუმცა „იაკობ სვერდლოვს“, ისევე როგორც სხვა გემებს, რომლებიც თეთრგვარდიელების მიერ აღყაშუმორტყბულ ქალაქ ჩოჩნი იართან იღვენენ, მტერი არაერთხელ ყუშმარებასა და თვითმფრინავეებიდან ტყვიას უშენდა. იყო შემთხვევები, როდესაც ავიაციის თავდასხმა წარმოდგენების დროს ხდებოდა, მაგრამ წარმოდგენას მაინც ბოლომდე განაგრძობდნენ.

არსებობდა ცირკის მოძრავი დასი, რომელიც ფრანტისპირა ზოლში მიმოდოდა ეგრეთწოდებულ „აგიტცირკ-ვაგონში“. ამ დასის შემადგენლობაში იყვნენ ცირკის გამოჩენილი ოსტატები, მათ შორის შესანიშნავი ვიტალი ლახარენკო. ორ თვეში დასმა 60 წარმოდგენა გამართა. მის რეპერტუარში იყო სპეციალური ნომრები აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ერთ-ერთი ასეთი ნომერი, რომელიც დასდგა ვიტალი ლახარენკომ მოსკოვის მეორე სახელმწიფო ცირკში, მით უფრო ამ ნომრის ტექსტის ავტორი იყო დიდი პოეტი ვლადიმირ მაიაკოვსკი. ამ საცირკე „ანტრე“-ში „Чемпионат всемирной классовой борьбы“ მაიაკოვსკიმ გამოიყენა საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის აგიტაციისათვის საცირკე სანახაობის ერთ-ერთი ტრადიციული ფორმა — კიდაობა — პაროდული გარდატეხით ცირკის სხვა ასეთსავე ტრადიციულ ფორმაში — კლოუნადაში. ჩემპიონების როლებში გამოდიოდნენ საბჭოთა რუსეთის მოწინააღმდეგენი. „ჩემპიონატში“ მაიაკოვსკისათვის ჩვეული მანერა პოეტური მეტყველებისა შეერთებულია ეგრეთწოდებული ხალხური „ლუბოკ“-ის სტილთან და ცირკული რეპრიზის ფორმასთან.

ამნაირად, „ჩემპიონატ“-ში მაიაკოვსკი გამოდის როგორც ერთ-ერთი დრამატიკოსი, № 3.

მატურგი იმათ შორის, ვინც სამოქალაქო ომის პერიოდში ასახვევად თავის პიესებში სამოქალაქო ომის ამბებს და მასთან დაკავშირებულ გაქვლებს. ამ პიესების ავტორები მოუწოდებდნენ ხალხს სამშობლოსა და ბრძოლით მოპოვებული თავისუფლების დაცვისათვის, განმარტავდნენ ბრძოლის მტკვრელებდნენ ხალხის ძალაზე, როდესაც იგი შეგნებულა და გაერთიანებული, აღიღებდნენ წითელი არმიის გამარობას და ნათელყოფდნენ მის მარჯვანებულ და განმანათლებელ როლს გლეხობის მიმართ, გვიჩვენებდნენ მტრის მხეცურ სახეს და გვაგონებდნენ, რომ საჭიროა სიფხიზლე მისი ზრციებისა და ოინებისადმი.

ახალი პიესები საღღესო თემებზე ჯერ კიდევ ცოტა იყო და როგორც სტაციონარული, ისე მოძრავი თეატრების რეპერტუარში სჭარბობდა რუსი და უცხოელი კლასიკოსების პიესები. ხშირად კლასიკური პიესები საავტორიო პიესებად გადაიქცეოდა ხოლმე.

სწორედ ასე იყო ლოპე-დე-ვეგას შესანიშნავი პიესის „ფუნტოვეხუნა“-ს („ცხერის წყაროს“) დადგმისას კოტე მარჯანიშვილის მიერ კიევის ლენინის სახელობის დრამატულ თეატრში 1919 წლის 1 მაისს. უკრაინის მშრომელთა რევოლუციურმა აღფრთოვანებამ, რომელიც გადაედო სახელგანთქმულ რეჟისორს კოტე მარჯანიშვილს და მის მსახიობებს, და სამოქალაქო ომის ფონტის სიხლოვემ ააფლერა ეს წარმოდგენა ესპანელ გლეხთა აჯანყებისა XV საუკუნის ფეოდალების წინააღმდეგ თანადროულობის კოლოზე. და ფუნტოვეხუნას გლეხთა მოწოდებას შურისძიებისათვის ტირან-კომანდორის წინააღმდეგ მყურებლები აღიქვამდნენ უით სოციალისტური სამშობლოს მტერთა წინააღმდეგ გამკლავების მოწოდებას.

პიესის ბოლოს, როგორც აკვიწერს წარმოდგენის დამსწრე ალ. დეინი, „აჯანყება და იმ მომენტში, როდესაც ხალხის მტრები მარცხდებოდნენ და ბრძოლის ველიდან ილტვოდნენ, იწყებოდა შესანიშნავი ცეკვა წამოსასხამებით—ცეკვა გამარჯვებულთა... ფეთქავდა გამარჯვებული კლასის ახალგაზრდობა, ღონე, ძალოვნება!..“

და ყოველთვის უცვლელად ჩვენს თვალწინ იყო ერთიდაიგივე რეაქცია მყურებელთა დარბაზისა: ოვაციები აზანზარებდნენ შენობის ოთხსავე იარუსს. ორგანიზებული მყურებელი — წითელარმიელები, მუშები — აღფრთოვანებით ეგებებოდნენ ამ გამარჯვებას. და ამ დროს ძველზე ძველი ლოპე-დე-ვეგა კარპიო სასწაულებრივ ეხმაურებოდა ახალგაზრდა კლასს, მის წარმომადგენლებს, რომელნიც დღეს, ის იყო — ახლა, ამ წუთში აესებდნენ მყურებელთა დარბაზს, ემოციებით ითვრებოდნენ, ხოლო ხვალ უნდა წასულიყვნენ ფრონტზე პეტლურას, დენიკინის, პოლონელი პანების და ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც კი ჯერ კიდევ ვაცოფებით ლამობდა შეემუსრა პროლეტარიატის ახალგაზრდა დიქტატურა.

ორმოცდარო დღეს ზედიზედ იდგმებოდა ეს პიესა და ყოველთვის ერთიდაიგივე ამბავი ხდებოდა: მქუხარე ოვაციები ლაურენსიას მონოლოგის შემდეგ და სტიქიურად აღძრული მყურებელთა დარბაზში საერთო მღერა „ინტერნაციონალისა“, როდესაც გამარჯვების აღტყინებულ ხეობრივად თავდებოდა სცენაზე თავდავიწყებულ ცეკვა, ჩუმდებოდა მუსიკა და იხურებო-

და შიშვე ფარდა იმის ნიშნად, რომ დრამა დამთავრებულია. და მოწინააღმდეგე მორატე, გაცილებით უფრო დიდი ისტორიული დრამისა, ოქტომბრის რევოლუციის აქტიური მებრძოლი სტოვებდნენ მაყურებელთა დარბაზს, კლასიკური უმაღლესი აღფრთოვანების გრძნობით*.

მეორე მაყურებელი, რომელიც დასწრებია წითელარმიელებისათვის გამართულ „ფუნტოვებუნას“ ერთ-ერთ წარმოდგენას, წერდა შემდეგში:

„მასხოვს დარბაზი, წითელარმიელებით ვაქედელი. ეს იყო ქართველი. არმიის სარდალმა, რომელიც სწმენდდა უკრაინას პეტლურელებისაგან, უთხრა მარჯანოვს წარმოდგენის შემდეგ, რომ იგი გამოგზავნის ფრონტზე ჰრმაველ ჯარის ყველა ნაწილს „ცხვრის წყაროს“ სანახავად: იგი დარწმუნებული იქნება გამარჯვებაში“.

ამ დადგმის მნიშვნელობა სცილდება სამოქალაქო ომის პერიოდის ფარგლებს. სამ წელიწადნახევრის შემდეგ კოტე მარჯანიშვილმა უკვე თბილისში იბრია „ფუნტოვებუნა“ იმ პიესად, რომლის დადგმითაც მან განიზრახა დაეწყო მუშაობა ქართული თეატრის აღორძინებისათვის ახალ საფუძველზე. და „ფუნტოვებუნას“ მისი სათბილისო წარმოდგენა, რომელშიაც მან, რასაკვირველია, ბერძენი რამ გადაიტანა იქიდან, რაც მანვე შექმნა კიევის წარმოდგენაში, იყო არსებითად პირველი საბჭოთა სპექტაკლი ქართულ სცენაზე და საბჭოთა თეატრის დასაწყისი საქართველოში.

კლასიკური პიესებით გატაცებული იყვნენ არა მარტო პროფესიული, არამედ აგრეთვე თვითმოქმედი წითელარმიული სათეატრო კოლექტივები.

განსაკუთრებით დიდი ხალისით იღვებოდა ოსტროვსკის კომედიები. დიდ წარმატება ჰქონდათ აგრეთვე თითომოქმედებიან პიესებს, ვოდვეილებს. აქ პირველი ადგილი ეკუთვნის ჩეხოვის თითომოქმედებიან პიესებს.

წითელარმიული თეატრალური თვითმოქმედება მეტისმეტად ფართოდ იყო განვითარებული. წითელარმიელები მართავენ თაყიანთ წარმოდგენებს ზურგის ვარნიზონებშიაც და მოწინავე პოზიციებზედაც საბრძოლო ვითარებაში.

„ცხვრისანთა არმიის მებრძოლებს, — სწერდა შემდგომ საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ბუდიონი, — ახსოვთ 1920 წლის იელის-სექტემბრის თვეები... ახსოვთ ამ პერიოდის მკაცრი, დაძაბული ბრძოლები, ახსოვთ თუ ფრონტზე ჩამოვარდნილ მყუდროების იშვიათ წუთებში იქვე, ჯარის ნაწილებში, 2—3 კილომეტრზე მტრისაგან, როგორ ისმენდნენ და უყურებდნენ ისინი წარმოდგენებს და თითონაც იღებდნენ მონაწილეობას „თვითმოქმედების საღამოებში“. ახსოვთ, თუ გახურებული წარმოდგენის დროს როგორ იწყებოდა კვლავ ბრძოლა და მათ შინაურობაშიც გაწვრთნილი კონფერანსიე იძულებული იყო განეცხადებინა — ჩვენი პროგრამის შემდეგ ნომერს ბრძოლის შემდეგ დაეამთავრებთ“.

წითელარმიულმა თვითმოქმედმა თეატრმა თავისი დრამატურგია შექმნა: ინსცენირება, რომელიც გადმოგვცემდა გამარტებულ სასცენო ფორმით ნამდვილ ამბებს; ცოცხალი გაზეთი, რომელშიაც საგაზეთო მასალა ჩამოყალიბებული იყო საესტრადო წარმოდგენის ფორმაში; პოლიტიკური პანტომიმა; სააგიტაციო სასამართლო. მაგალითად დიდად საინტერესო მასიური

დადგმა სასამართლოს ფორმით განხორციელებული იყო 1920 წელს/ჯანაყა კრემსკიაიას (ყუბანი) მოედანზე ათი-ათასი წითელარმიელის თანდასწრებით. ის იყო — განადგურებულ იქნა ყუბანში გადმოსხმული დესანტის ვერსიონალ ფრანგელისა, და იმ დღეების ხელმძღვანელებმა, რომელმაც კრემსკიაიას განადგურების ავანტურის ლიკვიდაცია, გადაწყვიტეს განემტკიცებინათ წითელარმიელთა შეგნებაში მიღწეული გამარჯვების მნიშვნელობა „ფრანგელის სასამართლების“ მოწყობით. ეს იყო სასამართლოს სხდომის ნახევრადიმპროვიზირებული ინსცენირება. სასამართლოს ყველა მონაწილე იყო გრიმგავთიებული და სათანადო ტანისამოსი ეცვა. მაყურებელთა მასა ჩააბეს მოქმედებაში, და ფრანგელის დამკველთა და მოწმეთა სიტყვებს აწყვეტინებდნენ შეძახილებით: „ცრუობ, ვერ მოგვატყუებ, სისხლისმსმელო!“ სასამართლო განხილვის მსვლელობისას გადიშალა ფრანგელისა და საერთოდ თეთრგვარდიელების მიერ სამშობლოს მიმართ ჩადენილ მრავალ დანაშაულთა სურათი. სასამართლო დამთავრდა განაჩენის გამოცხადებით: „ფრანგელი უნდა მოისპოს. განაჩენი დაუყოვნებლივ აღსრულებულ უნდა იქნეს საბჭოთა რუსეთის ყველა მშრომელის მიერ“.

წითელარმიელი თეატრალური თვითმოქმედების წიაღიდან წარმოიშვა ფრანდიოზული მასიური ქმედებანი, რომლებიც იმართებოდა 1920 და შემდგომ წლებში პეტროგრადის მოედანზე გამოჩენილი რევისორებისა და მხატვრების ხელმძღვანელობით და ათასობით წითელარმიელთა და მცხოვრებთა დიდი მასების თანადასწრებით. მაგალითად, ოქტომბრის რევოლუციის შესამე წლისთავზე ნაჩვენები იყო მასიური ქმედება „ზამთრის სასახლის აღება“; მონაწილეობას იღებდა ათი-ათასამდე წითელარმიელი, წითელფლოტელი და თეატრალური ახალგაზრდობა. ამოქმედებულ იქნა არტილერია და 320 სატვირთო მანქანა. მაყურებელმა თავი მოიყარა ასი ათასამდე. ზამთრის სასახლის წინ, მოედნის ორ ბაქანზე პირობით-რეალისტურ და ბუფონურ ფორმაში ნაჩვენები იყო 1917 წლის ამბები, რომლებიც წინ უძღოდა ოქტომბრის რევოლუციას, ხოლო შემდეგ მოქმედება, გადატანილი რეალურ-ისტორიულ ვითარებაში, გადაიქცა ოქტომბრის ბრძოლის რეკონსტრუქციად: რევოლუციურ რაზმებს იერიში მიჰქონდათ ნამდვილ ზამთრის სასახლეზე და ხელახლად ნევაში ჩამდგარმა ნამდვილმა კრეისერმა „ავრორამ“ ბათქებით შეარყია ჰაერი, როგორც სამი წლის წინათ ამ ზეიმამდე.

წითელარმიელებზე ნაკლებ არც წითელფლოტელები იყვნენ თეატრით გატაცებული. მაგალითად, შლისელბურგში მეზღვაურთა კლუბთან არსებობდა სტუდია, რომელმაც თავისი საქმიანობა მოლიერის კომედიით „ბარბულიეს ეკვიანობით“ დაიწყო და შემდეგ აჩვენა მაყურებლებს იტალიური *commedia dell'arte*-ს სცენების საფუძველზე დამუშავებული პანტომიმა. სასცენო ბაქანი მორთული იყო სსსიგნალო ბაირალებით. ტანისამოსები პირობითი იყო: ჩვეულებრივ ტანისამოსს დართული ჰქონდა ფერადი ქსოვილის ნაჭრები, ქღალღის ქედები, ბამბის პარიკები და სხვა.

თვითმოქმედებითი წარმოდგენები იმართებოდა შორეულ აღმოსავლეთის პარტიზანულ რაზმებშიაც კი. პარტიზანული თეატრალური წრეები, რომლებიც რაზმებთან ერთად მიმოდიოდნენ ჩვეულებრივ, სოფლის სკოლების შენო-

ბებში თამაშობდნენ და მაცურებლები — პარტიზანები და გლეხები — იმ ზომამდე აესუბდნენ სადგომს, რომ თვით ზამთრის ყინვაშიც კი იძულებული იყვნენ ფანჯრები გაეღოთ.

მეტივენი

წითელი არმიის რიგებში მებრძოლი უნგრელი მწერალი მასტივსკის ტახი დაიღუპა 1937 წელს ფრონტზე ესპანეთში, სადაც ცნობილი იყო გენერალ მაულ ლუქაჩად) გვიამბობდა, რომ თეატრალურ წარმოდგენებში, რომლებიც წითელი არმიის ინტერნაციონალურ ნაწილებში იმართებოდა, მონაწილეობას თურმე იღებდა, როგორც ავტორი და აღმასრულებელი, შემდეგში შესანიშნავი ჩეხი მწერალი იაროსლავ ხაშეკი, „ყოჩაღი სალდათის შეიქის თავგადასავალი“-ს ავტორი.

წითელ არმიაში იმართებოდა აგრეთვე ბევრი პროფესიული და თვითმოქმედებითი წარმოდგენა საბჭოთა ქვეყანაში მოსახლე სხვადასხვა ხალხის ენაზე — უკრაინულსა, თათრულსა, უზბეკურსა, აზერბაიჯანულსა, ნარჩულსა და სხვა ენებზე. ზოგიერთი ნაციონალური თეატრი, რომელიც ახლა დიდ მხატვრულ ორგანიზაციას წარმოადგენს, წარმოიშვა სამოქალაქო ომის ფრონტზე მებრძოლთათვის მოთამაშე თეატრალური ახალგაზრდობის კოლექტივის სახით, უფრო მეტიც — კახაბ ხალხს ოქტომბრის რევოლუციამდე თავისი თეატრი არა ჰქონია და პირველი კახახური წარმოდგენები გაჩნდა კახაბ წითელარმიელთა რაზმში.

სამოქალაქო ომის ფრონტებზე მოქმედმა თეატრმა უდიდესი გავლენა მოახდინა მთლად საბჭოთა ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე. ბევრი დიდი ოსტატი საბჭოთა ხელოვნებისა ამ ომის აქტიური მონაწილე იყო. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ისეთმა შესანიშნავმა კინორეჟისორებმა, როგორიც არიან ს. ეიზენშტეინი და ა. აღექსანდროვი, თავიანთი მხატვრული მოღვაწეობა წითელარმიულ თვითმოქმედებითს თეატრალურ წრეებში დაიწყეს.

წარმოდგენელ მძიმე პირობებში საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა და უპირველეს ყოვლისა წითელმა არმიამ შექმნეს ახალი ტიპის თეატრი — თეატრი სარეკლუციო ავტაციისა. ეს თეატრი, ნაკლოვანებათა მიუხედავად, რაც მისი ამოცანის სიახლით და სიძნელით აიხსნება და რაც დაძლეულ იქნა მისივე განვითარების პროცესში, საფუძვლად დაედვა მთლად საბჭოთა თეატრის მშენებლობას.

ჩვენი სამშობლოს მშრომელთა გმირულმა ბრძოლამ თეთრგვარდიელთა ურდოებისა და თოთხმეტი იმპერიალისტური სახელმწიფოს არმიების წინააღმდეგ ახალი თაობანი აღზარდა, კერძოდ, მანვე მოგვეცა ახალი თაობა საბჭოთა თეატრის და დრამატურგიის მტკიცე და ნიჭიერი მოღვაწეებისა, რომელნიც, იყვნენ რა ამ გმირული ბრძოლის მოვლენათა მონაწილენი თუ მოწმენი, მტკიცედ იწრთობოდნენ მის ბრძმედში და ითვისებდნენ ცხოვრების ახლებურად აღქმას და უდიდეს შემოქმედებითს მასალას. ამ ბრძოლამ განსაზღვრა საბჭოთა ხელოვნების მამაკური, ნებისმიერი სტილი. ხელოვნება ვახდა ბრძოლის იარაღი. აქედანაა — მოწინავე საბჭოთა თეატრისა და დრამატურგიის პოლიტიკური სწრაფვა და საბრძოლო ხასიათი, მათი ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი და მიძლეარება ხალხის მტრებისადმი.

სრულიად ზუნებრივია, რომ საბჭოთა თეატრის დიდებული ტრადიციები განსაკუთრებულის ძალით გამოვლინდნენ დღევანდელი სამამულო ომის

დღეებში. ამ ხნის განმავლობაში თეატრიც შევლოდა გმირულ წითელ არმიას ჩვენი სამშობლოს მტრების განადგურებაში სამოქალაქო ომის ფრონტებზეც.

როდესაც იფეთქა ახლანდელმა ომმა, როდესაც მთლად დატყვევდა ხალხი აღდა სამშობლოს დასაცავად, ზელოვნების მსახურნი პატრიოტული სენსიტივობის კეთილშობილმა გრძნობამ მოიცვა. მოსკოვის სამხატვრო თეატრის ზელმლენელმა ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკომ, როგორც საბჭოთა ზელოვნების უძველესმა მოღვაწემ, სრულის უფლებით განაცხადა, რომ საბჭოთა არტისტი მზად არის სამშობლოს დასაცავად. და მართლაც, ყოველი საბჭოთა არტისტი აქტიური მონაწილეა სამშობლოს დაცვისა, მონაწილეა ფაშისტური აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევისა.

მთელი რიგი არტისტები შევიდნენ წითელი არმიის შწყობრში, სხვანი სახალხო მოლაშქრებელად გამოცხადდნენ, რათა იარაღით ხელში დაიცვან სამშობლო. ბოლო ზელოვნების მსახურთა მთელი მასა, სქესისა და ასაკის განურჩევლად — მხცოვანი, დიდებით მოსილი ოსტატებიც და დამწყები ახალგაზრდობაც — უდიდესი გატაცებით გამოდიან წითელი არმიის მებრძოლთა დ მეთაურთა წინაშე.

მათი გამოსვლის ადგილებია — არმიას გაწვეულთა შეკრების პუნქტები, ჯარის ნაწილები, პოსპიტლები, ქუჩები (სადაც ისინი გამოდიან სატვირთო მანქანებზე) — თანაც, რასაკვირველია, თეატრები, საკონცერტო დარბაზები და რადიო-სადგურები. რეპერტუარი მეტისმეტად მრავალსაზოვანია.

მაყურებელთა პატრიოტულ აღტყინებას იწვევს საბჭოთა ხალხის სამამულო ომის თემებზე დაწერილი ახალი დრამატული, პოეტური და ვოკალური ნაწარმოებები. ვმირების მადიდებელ ლექსს სცელის სამხიარულო სკეტჩი, ლირიკული სიმღერა.

არტისტების ამ პატრიოტულ მოღვაწეობას ისეთი ვასაქანი აქვს, რომ საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ საჭიროდ დაინახა სამხედრო მოქმედებათა ერთ-ერთ თავის ცნობაში (12 სექტემბრისა) აღენიშნა, რომ ზელოვნების ლენინგრადელმა მღვაწებმა მოაწყვეს წითელი არმიისა და წითელი ფლოტისთვის 3500 კონცერტი და 100-ზე მეტი გამსულელი წარმოდგენა ფრონტის ხაზზე, ხოლო მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის არტისტებმა გამართეს 3800-ზე მეტი კონცერტი.

პირველი არტისტული ჯგუფი, რომელმაც დაიწყო ფრონტზე გამოსვლა, წითელი არმიის ცენტრალური თეატრის არტისტების ბრიგადა იყო. 22 ივნისს, საბჭოთა კავშირზე პიტლერული გერმანიის გერაგული თავდასხმის მომენტში, ეს ბრიგადა იმყოფებოდა ოდესის სამხედრო ოლქის ბანაკებში, სადაც მართავდა კონცერტებს წითელარმიელთათვის. იმავე დღეს ბრიგადა გაემართა მოქმედ არმიასი. თვენახევრის განმავლობაში ბრიგადამ მოაწყო ფრონტზე 100-ზე მეტი კონცერტი, გამოდიოდა რა ჯარის ლაშქრობისა და შეჩერების დროს, ვზაზე, ტყეში და სატვირთო მანქანის ბაქანზე, წითელარმიულ საველე კლუბში, კოჩალში და სასანიტარო მატარებელში.

ამ ბრიგადის ერთ-ერთი კონცერტი ფრონტის აეროდრომზე იყო. მოულოდნელად კონცერტი შეწყვეტილ იქნა: გაისმა განგამის სიგნალი, აგუგუნ-

დნენ, მოტორები, აგრილდნენ გამსკდარი ყუმბარები. მფრინავი მთქურებლები ჩასხდნენ თვითმფრინავებში და აფრინდნენ ჰაერში, რათა უკუეგდოთ გერმანული ყუმბარმშენები. სამი ყუმბარმშენის ჩამოგდებისა და ღინარჩენების განდევნის შემდეგ დაბრუნებულმა მფრინავებმა მოიხადეს მუხარადები, გაიხადეს კომბინეზონები, — და კონცერტი გაგრძელდა.

სხვა შემთხვევაში ამ არტისტების ბრიგადა მინდვრად გამოდიოდა საბრძოლოდ გამზადებული სატანკო ნაწილის წინაშე. მეტანკეები ისმენდნენ კონცერტს ლუკებიდან თავგამოყოფილნი. თუმცა ზარბაზნის გრიალი და თავსხმა წვიმა იყო, კონცერტი მაინც ბოლომდე არ შეწყვეტილა.

ფრონტზე არტისტები და არმია ერთის ცხოვრებითა ცხოვრობდნენ: როცა საჭირო იყო, არტისტები ხერხელებს თბრიდნენ, სანიტრების მოვალეობას ასრულებდნენ, — შველოდნენ არმიას ყველაფერში, რითაც კი შეეძლოთ. მოსკოვში დაბრუნებისას ბრიგადამ განაახლა რეპერტუარი და კვლავ ფრონტს მიაშურა.

ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ფართოდ ცნობილი სხვა კულექტივის — წითელარმიული სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლის — ბრიგადების მონაწილეებს ფრონტზე მისვლისას არ შემოუზღუდავთ აგრეთვე თავიანთი მუშაობა მართოდ მხატვრული მოღვაწეობით: მაშინვე, იარაღის მიღებისთანავე, ისინი ზოგჯერ შემთხვევაში ეწეოდნენ საგარნიზონო სამსახურს; მათ დაიპირეს მტრის რამდენიმე დივერსანტი. ერთბელ, როდესაც ანსამბლის არტისტები ავტომანქანით საკონცერტო გამოსვლის ადგილას მიდიოდნენ, მათ თავს დაესხა დაბლა ჩამოსული გერმანული თვითმფრინავი და ერთი არტისტთაგანი დაიჭრა.

მწერალი — ფლოტის ბრიგადის კომისარი ვს. ვიშნევსკი ასე აგვიწერს წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის თეატრისა და წითელფლოტელი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ერთ-ერთ გამოსვლას:

„ვირო გზით, ვაცხოველებულ ნავსადგურისაკენ, გზას იკვლევს დიდი მანქანა. დაბრკოლებების მარჯვენა აელა-შემოვლით შოფერს მიჰყავს მანქანა ნავსადგურის კედლის ნაპირამდე. აქ დაგროვილა რამდენიმე პატარა საბრძოლო გემი, რომლებიც დროებით შესულან ბაზაში.“

სასწრაფოდ ვადიხსნება მანქანის გვერდული კედლები და არც თუ აგრეთრიგად თავსატეხი მოწყობილობის მეშვეობით წარმოიქმნება „დიდი თეატრი“ წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტისა. უკან დეკორაციებია. მართლაც და ნამდვილი დეკორაციები. თეატრი მზად არის დაიწყოს გამოსვლები. ვაბტისაგან თავისუფალ წითელფლოტელთა და კომანდირთა მრავალრიცხოვანა თუდიტორია განლაგებულია, ვისაც როგორ ეპრობანება და ელიან დაწყებას. სმენა! სიჩუმე! ხანდახან მას არღვევს ბუქსირების საყვირი. გაშლილ ჰაერზე ასობით მაყურებლის წინაშე ამაყად და ძლიერად ეღერს უკვდავი მაიაკოვსკის ლექსი. კითხვას სცვლის ცეკვა, ცეკვას — აკრომატიკა.

უკვე ხშირდება მწუხრი, იმპროვიზირებულ თეატრის ზევით მისცურავს თვითმფრინავი — ჰაერის დარაჯი. სიმაღლიდან იგი არჩევს თავის ძველ ნაცნობებს, გუშინ რომ მის ესკადრილიაში გამოდიოდნენ. მიესალმება ფრთების აქნევით და მფრინავი წაიყვანს მანქანას დასაზვერად.

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის თეატრის მუშაკნი მუშაობენ ფრონტზე ძალღონისა და ღრის დაუზოგველად. ნამდვილი მობილიზაციაა ზელოვნებისა!

და მართლაც, სამი თვის განმავლობაში თეატრის ბრიგადებმა გამართეს 1500 კონცერტი. თეატრის რეპერტუარი თვალსაჩინოდ არის გაფართოებული. მოწყობილია ტიკინების თეატრის ჯგუფი. კონცერტების რეპერტუარში შეტანილია საცირკე ნომრები.

მოქმედ არმიაში არტისტებს უხდებათ ზარბაზნისა და ტყვიაფორქვევის ცენტლის ქვეშ მიმოსვლა შენიღბულ სატვირთო მანქანაში, რომელსაც გამოსვლის დროს ესტრადად იყენებენ. ზშირად არტისტები ყუმბარშენის ბომბარდირებაში მოხედებიან ხოლმე და მოწმენი ხდებიან ჰაერში ბრძოლისა. ხოლო, როდესაც ისინი იძულებული არიან შესწყვიტონ კონცერტი მტრის თავდასხმის გამო (ასეთი ამბავი ემართებათ არა მარტო წითელი არმიის ცენტრალური თეატრის ბრიგადებს), — მფრინავი-მაყურებლნი, საბრძოლოდ მიმავალნი, ყოველთვის ზრუნავენ, რათა მათი სტუმარი-არტისტები თავშესაფარში იქნენ მოთავსებულნი. გამოჩენილი ლენინგრადელი არტისტების ბრიგადის ერთერთი გამოსვლის შემდეგ მფრინავმა გოლუბებმა აღუთქვა მათ მეორე დღისათვის მტრის თვითმფრინავის ჩამოგდება. მეორე დღეს კონცერტის წინ ერთ-ერთმა პილოტმა მოითხოვა სიტყვა და აცნობა, რომ მფრინავმა გოლუბებმა თავისი აღუთქმა შეასრულა.

მოქმედ არმიაში არტისტები გამოდიან მფრინავებისა, მეტანკეებისა, არტილერიისტებისა, ქვეითელებისა და მტრის ზურგში რეიდთან დაბრუნებული პარტიზანების წინაშე. ხანდახან კონცერტი იმართება ხოლმე მოწინავე ხაზების უშუალო სიახლოვეზე, ბლინდავებთან და თხრილებთან. მოქმედ ფლოტში ისინი თამაშობენ არა მარტო ნაპირზე, არამედ აგრეთვე გემებზედაც. ერთი წითელფლოტელი გვიამბობს: „არტისტები ბრუნდებოდნენ შინ ჩრდილოეთიდან კონცერტების შემდეგ. ისინი მიცურავდნენ გემით. გარშემო მთები ირყინდნენ, წყალი სვეტებად დგებოდა. ქვეით გვესვროდა არტილერია, ჰაერით გვიშენდა ბიკირებული ყუმბარშენი, მაგრამ გემი მაინც გზას განაგრძობდა. არტისტებს გარდა ამ გემზე იყვნენ ქალები ბავშვებით, ავადმყოფები და რამდენიმე დაჭრილი. სროლის ხმით შეშინებული ბალღები ტიროდნენ. მაშინ არტისტები იყვანდნენ მათ ხელში, ისევადნენ მუხლზე და ზღაპრებს მოუთხოვოდნენ, უმღეროდნენ და ბავშვებიც ჩუმდებოდნენ. რამდენჯერმე წამოგვიფრინა მტრის ყუმბარშენმა და ბიკირებით ტყვია დაგვაყარა. არტისტებმა ბავშვები ტრიუმში გაიტაცეს.“

არ დაიბნეს განსაცდელის ქამს, გაამხნევოს სხეები — ასეთია წესი საბჭოთა არტისტ-მოქალაქისა. როგორც ერთერთი მაგალითი საბჭოთა ხელოვანის მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობისა, შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი ფაქტი: ომის მეორე დღეს 71 წლის ლენინგრადელმა არტისტმა პავლოვმა მოითხოვა — მოქმედ არმიაში გაეგზავნათ იგი. ვერავითარმა განმარტებამ, თუ რამდენად ძნელია ლაშქრობაში ყოფნის პირობები, ვერ გადაათქმევინა მოხუცის მისი განზრახვა. იგი დამშვიდდა მხოლოდ მაშინ, როდესაც არტისტთა საფრონტო ბრიგადაში ჩარიცხეს. იგი მშვენიერად ასრულებს ნაკისრებ მოვალეობას.

არანაკლებ ესაჭიროება ასეთი ხელოვნება ომის ზურგსაც, — მით უფრო, რომ ახლანდელ ომში ზურგი — ფარდობითი ცნებაა. ომის ზურგის ტალაქებში,

რომლებსაც თავს ესხმიან მტრის თვითმფრინავები, არტისტები გამოდიან მათი ქალაქის დამცველი მფრინავებისა, მეზენიტეებისა და მებრძოლ ექვტორების წინაშე და, მაშასადამე, იმათაც საქმე აქეთ ისეთ აუღიანსანსაა რომ მელსაც შეადგენენ მუდამ ბრძოლაში მონაწილე მებრძოლნი.

არტისტებმა იკისრეს აგრეთვე ბევრი სხვა მოვალეობაც, რაც დაკავშირებულია საომარ ღროსთან: ისინი სისტემატურად სწავლობენ სამხედრო საქმეს; თავიანთსა, შინ, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ საპაერო თავდაცვის საქმეში; მაგალითად, ბევრნი არტისტებს შორის, რომელთა სახელებიც იცის მთლად ჩვენმა ქვეყანამ, წარმოდგენიდან დაბრუნებისას, შეუდგებიან ხოლმე სახანძრო რაზმების მებრძოლთა და უფროსთა მოვალეობის აღსრულებას და სახლის სახურავეებზე მდგარნი, იცავენ სახლს მტრის თვითმფრინავების მიერ ჩამოგდებული ცეცხლგამჩენი ყუმბარებისაგან.

მთელი რივი არტისტი-ქალები წარმატებით სწავლობენ სამედიცინო ღების კურსებზე.

საბჭოთა არტისტებმა გვიჩვენეს, რომ ისინი თავიანთი საშუაობლს ღირსეული შეილნი არიან და იმ დღეს, როდესაც საბჭოთა ქვეყანა, მთელ კულტურულ მსოფლიოსთან ერთად, იღლესასწაულებს საბოლოო გამარჯვებას ფაშისტ ბარბაროსებზე, საბჭოთა ყოველ არტისტს შეუძლიან სიამაყით თქვას: ამ გამარჯვებაში ურევია ჩემი წილიც ბრძოლისა და შრომისა.

ნმ. ჩახვაშვილი

როგორ იბრძოდნენ ჯარისკაცები საბჭოთა ხელისუფლების დაყარა- ბისთვის საქართველოში

ჯარისკაცთა მიზინვარება და მოთხოვნები 1917 წ.

1917 წლის „თებერვლის რევოლუციას ამიერ-კავკასიის მშრომელი კლასების მდგომარეობაში არსებითი ცვლილებანი არ შეუტანია“¹⁾. რევოლუციის გამარჯვების შემდეგაც შთელს ამიერ-კავკასიისა და საქართველოში შტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული ბატონყმობის ნაშთებს, სახელმწიფო ძალაუფლება შეძლებული კლასების ხელში იყო, მეშათა კლასი და მშრომელი გლეხობა იტანჯებოდა და გმინავდა პოლიტიკური უუფლებობისა და მემამულე-კაპიტალისტების კაბალური ექსპლოატაციის უღელქვეშ.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველი დღეებიდანვე საქართველოს მეშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღა მემამულე-კაპიტალისტების მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ მის მოსასპობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

მუშებსა და გლეხებთან ერთად ბრძოლას აწარმოებდნენ ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ჯარისკაცებიც.

მემამულე-კაპიტალისტების დროებითი მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცები არაფერს ზოგავდნენ და არაფერს ერიდებოდნენ. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჯარისკაცები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აჯანყებებში, აწყობდნენ მიტინგებს და მანიფესტაციებს და გადაქრით მოითხოვდნენ დროებითი მთავრობის დამხობასა და მთელი ძალაუფლების მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების საბჭოების ხელში გადასვლას.

1917 წლის 8 მარტს, ჭალაქ თბილისში 218-ე პოლკის რევოლუციურად განწყობილმა ჯარისკაცებმა მოაწყეს მანიფესტაცია, ყოფილ ერევნის მოედანზე (ამჟამად ლ. პ. ბერიაის სახელობის მოედანი) გაიმართა მიტინგი. მიტინგს, ვარდა უამრავი რევოლუციური ჯარისკაცისა, დაესწრნენ ჭალაქის მშრომელი მოსახლეობის წარმომადგენლებიც. ჯარისკაცებმა წამოაყენეს ბოლშევიკური მოთხოვნები.

კვირას, 12 მარტს, კვლავ მოეწყო თბილისის ვარნიზონის ჯარისკაცთა მანიფესტაცია. მანიფესტაციაში მონაწილეობას იღებდნენ ჯარის სხვადასხვა

¹⁾ ი. ს. ტაღიანი — „ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის წინააღმდეგ“, გვ. 8.

შენაერთები. ჯარისკაცები მღეროდნენ მარსელიეზს და სხვა რევოლუციურ სიმღერებს. ყოფილ ერევნის მოედანზე ჯარისკაცებმა მოაწყეს მიტინგი. მიტინგზე მისასაღმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ბოლშევიკურეპრეტების წარმომადგენლებმა. ბოლშევიკი ორატორები ჯარისკაცებმა მქუტყუტყუ დააჯილდოვეს.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, იმის შემდეგ, რაც რევოლუციის მონაპოვარი ხელში ჩაიგდეს მემამულეებმა და კაპიტალისტებმა, უფრო მეტად გაიზარდა კლასობრივი წინააღმდეგობა, უფრო მეტად მომწიფდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაქცევის კრიზისი. იმისათვის, რომ დროებით მიეყუჩებინა შინაური კლასობრივი წინააღმდეგობა და უკმაყოფილო კლასების ყურადღება საგარეო საკითხებზე გადაეტანა, დროებითმა მთავრობამ კერენსკის მეთაურობით მოითხოვა იმპერიალისტური ომის გაგრძელება, ფრონტზე შეტევა. კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის ამ მოწოდებას სავსებით და მთლიანად მხარი დაუჭირეს ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა და მის ირგვლივ დარაზმულმა მენშევიკებმა, დაშნაკელებმა, მუსავატელებმა და სხვა ანტიბოლშევიკურმა პარტიებმა, რომელნიც თავდადებით იცავდნენ შეძლებულ კლასთა ინტერესებს. ამიერ-კავკასიის მთელ მშრომელ მოსახლეობასთან ერთად რევოლუციურ ჯარისკაცებს სასტიკად სძულდათ დროებითი მთავრობა და მისი შეტევის პოლიტიკა, რის გამოც არაშადა კერენსკი რევოლუციურ ჯარისკაცებს მშვიშრებსა და მხდალებს უწოდებდა. იგი თვითმპყრობელობის მათრახებს უმზადებდა ამ ჯარისკაცებს. კერენსკის კონტრრევოლუციური მოთხოვნის წინააღმდეგ და მის საპასუხოდ თბილისის გარნიზონის სხვადასხვა ნაწილების ჯარისკაცთა გრანდიოზულ მიტინგზე, მიღებულ რეზოლუციაში ჯარისკაცები სწერდნენ: „...ჩვენ მთელი მგზნებარებით, მთელი გადაწყვეტილებით პროტესტს ვაცხადებთ იმის წინააღმდეგ, რომ რუსი ჯარისკაცს ბრალი დაედვას მხდალობაში, არა, მოქალაქე-მინისტრო კერენსკი! რუსი ჯარისკაცი, ფაბრიკისა და სოფლის ჯარისკაცი მხდალი ჰრ არის, მას არ ესაჭიროება „თვითმპყრობელობის მათრახი“, როგორც ეს თქვენა სთქვით: ის თავის სიცოცხლეს გასწირავს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, როცა ეს საჭირო იქნება რევოლუციისათვის, თავისუფლებისათვის. მეგრამ მას არა სურს გაიღოს სისხლის არც ერთი წვეთი ბურჟუაზიისა და კაპიტალისტების ინტერესებისათვის. გაუმარჯოს საერთაშორისო მშვიდობიანობას! გაუმარჯოს ყველა მშრომელის ერთიანობას! გაუმარჯოს მთელი ძალა-უფლების გადასვლას მეშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დემუტატების საბჭოების ხელში“¹⁾.

28 მაისს თბილისში შესდგა ამიერ-კავკასიის საარტილერიო დივიზიის, საყარაულო ბატალიონის, არსენალის 218-ე პოლკის ტყვიამფრტვეველთა რაზმის და ჯარის სხვა ნაწილების მიტინგი. მიტინგზე განიხილეს დროებითი მთავრობის განკარგულება შეტევის შესახებ, რის წინააღმდეგაც ჯარისკაცებმა სასტიკი პროტესტი განაცხადეს და ბოლშევიკური რეზოლუცია მიიღეს.

31 მაისს ქალაქ თბილისში, ყოფილ ალექსანდრეს ბაღში, შესდგა ჯარისკაცთა მიტინგი. სიტყვებით გამოვიდნენ ბოლშევიკი ორატორები, აგრეთვე

¹⁾ ვაზ. „კავკასკი რაზმი“. № 83, 1917 წ.

სხვა პარტიის წარმომადგენლები. მიტინგზე დამსწრე ჯარისკაცთა თანაუგრძობდნენ და მხარს უჭერდნენ ბოლშევიკებს. მიტინგის დამთავრების შემდეგ, საღამოს 10 საათზე, 800-მდე ჯარისკაცი რევოლუციურ სემიური გაემართა ვაზეთ „კავკასსკი რაბოჩის“ რედაქციისაკენ. რევოლუციურ ჯარისკაცები მიესალმნენ ბოლშევიკურ განეთსა და მის რედაქციას და ფონდისათვის გადასცეს 13 მანეთი და 30 კაპ. რედაქციის წარმომადგენლებმა ჯარისკაცებს მგზნებარე, რევოლუციური სიტყვებით მიმართეს. ჯარისკაცებს დაურთვეს ვაზეთ „კავკასსკი რაბოჩის“ ნომრები და რუსეთის საერთო კონფერენციის რეზოლუციები¹⁾.

1917 წლის ივნისის დღეებში, როგორც რუსეთში, ისე საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში რადიკალურად შეიცვალა მშრომელთა ფართო მასებზე განწყობილება და დამოკიდებულება დროებითი მთავრობისადმი. მასობრივ მიტინგებზე ისინი მოითხოვდნენ დროებითი მთავრობის დამხობასა და სახელმწიფო ძალა-უფლების გადასვლას მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების ხელში. ერთ-ერთ მიტინგზე, რომელიც გაიმართა ყოფილ ალექსანდრეს ბაღში 1917 წლის 10 ივნისს, სიტყვით გამოსულმა 218-ე ქვეითი სათადარიგო პოლკის ჯარისკაცმა მოითხოვა: „ძირს დროებითი მთავრობა, მთელი ძალა-უფლება მუშათა და ჯარისკაცთა დემუტატების საბჭოებს! ძირს შეტევა! აუცილებელია ბურჟუაზიის გადაყენება“²⁾.

მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების რევოლუციური მოქმედებისა და მოლაწივობის გამო მენშევიკებმა და სხვა კონტრრევოლუციურმა პარტიებმა, რომელთაც ხელთ ეპყროთ სახელმწიფო ძალა-უფლება, უფრო მეტად შეავიწროვეს ბოლშევიკები და დევნა დაუწყეს მათ. მიუხედავად ამისა, მშრომელი მოსახლეობა და რევოლუციური ჯარისკაცები სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილან — ისინი უფრო მეტის ორგანიზაციულობით, უფრო მტკიცედ დაირგმნენ ლენინ-სტალინის პარტიის უძლეველ დროშის ქვეშ დროებითი მთავრობის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

15 ივნისს ქალაქ თბილისში შესდგა 218-ე ქვეითი სათადარიგო პოლკის საყარაულო ბატალიონის ჯარისკაცთა მიტინგი. მიტინგს დაესწრნენ თბილისის გარნიზონის სხვა ნაწილების წარმომადგენლებიც. მიტინგზე დამსწრე ჯარისკაცები უაღრესად ბოლშევიკურად იყვნენ განწყობილი. რევოლუციური ჯარისკაცები მხარს უჭერდნენ ბოლშევიკურ პარტიას და აღუთქვამდნენ მას, რომ ისინი იბრძობდნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და დაიბოცებოდნენ რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისათვის. მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ჯარისკაცები სწერდნენ:

„ჩვენ, ჯარის სხვადასხვა ნაწილის ჯარისკაცები, ქალ. თბილისის მუშები და მოქალაქეები, გავეცანით რა ალექსანდრეს ბაღში გამართულ მთელ რიგ მიტინგებზე ამხ. ბოგდანოვის სიტყვებიდან მომენტის მდგომარეობას, რუსეთის რევოლუციის მსვლელობას და მის ამოცანებს, ამ რეზოლუციით ვაღიარებთ, რომ ახლანდელ მომენტს და რევოლუციის ინტერესებს უფრო მეტად შეესაბამება სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკების პროგრამა და რომ მხოლოდ მათი ტაქტიკა წარმოადგენს ყველაზე თანმიმდევრულ, ყველაზე გაბედულ და ვადამწყვეტ ტაქტიკას, რომელსაც მივყვართ ყველაზე უკეთესად

¹⁾ ვაზ. „კავკასსკი რაბოჩი“, № 66, 1917 წ. 4 ივნისი.

²⁾ ს. ბერიძე — „1917 — 1921 წლები საქართველოში“, გვ. 21.

და ყველაზე მოკლე გზით ხალხის საბოლოო გამარჯვებისაკენ მის ჩამოლა-
ში კაპიტალის წინააღმდეგ.

საგესებით ვუერთდებით რა მათს ყველა ლოზუნგს, ჩვენ ამჟამინდელი მხურ-
ვალე მხურ სალამს ვუგზავნით ამხანაგ ბოლშევიკებს და კრესტინეზურ ქალ-
ლონეს, სიმტიციეს და უძლეველ ენერჯიას რუსეთის რევოლუციის საბო-
ლო გამარჯვებამდე მიყვანის საქმეში.

გარდა ამისა, ჩვენ, ჯარისკაცები, ვაცხადებთ, რომ, თუ თავისუფლების
საქმე საფრთხეში ჩავარდება, თუ ვინმე სადმე ან ოდესმე ამ თავისუფლებას
დაემუქრება, ჩვენ, ჯარისკაცები, როგორც ერთი კაცი, მკერდით დავიცავთ
ამ თავისუფლებას და უშალვე, უკანასკნელ კაცამდე, დავიხოცებით, ვიდრე
დავთანხმდეთ იმას, რომ კვლავ დაგვებრუნდეთ სიბნელის, ძალადობისა და
თვითნებობის ძველ სამეფოს.

გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს რევოლუციას! გაუმარჯოს ჩვენი
ძალების, თავისუფალი რუსი ხალხის ურყევი ძლიერების რწმენას! გაუმარ-
ჯოს საერთაშორისო მშვიდობიანობას და ხალხთა საერთაშორისო ძმობას!
პროლეტარებო, დაჩაგრულო და ბედკრულო პროლეტარებო ყველა ჭკვიანისა,
სადაც არ უნდა იყოთ, — შეერთდით! ¹⁾

21 ივნისს ქალაქ თბილისში შესდგა თბილისის გარნიზონის სხვადასხვა
ნაწილის ჯარისკაცთა დიდი მიტინგი. მიტინგს დაესწრო 6.000 კაცზე მეტი.
ერთხმად მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუციები. მიტინგზე მიღებულ
რეზოლუციაში ჯარისკაცები ამბობდნენ: „ჩვენ კვლავ დაივინებით, კვლავ გა-
დაჭრით შოვითხოვთ, რომ მთელი ძალა-უფლება გადავიდეს მუშათა, ჯარის-
კაცთა და გლეხთა დებუტატების საბჭოების ხელში“ ²⁾.

24 ივნისს ქალაქ თბილისში, ყოფილ ალექსანდრეს ბაღში, კვლავ შესდგა
ჯარისკაცთა მიტინგი. მიტინგს დაესწრო 4.000-ზე მეტი ჯარისკაცი. განხი-
ლულ იქნა მომენტის საკითხი. ჯარისკაცებმა სასტიკად დაჰკმენ დროებითი
მთავრობის კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული პოლიტიკა და მიიღეს
ბოლშევიკური რეზოლუცია. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი სა-
ქართველოში და მთელს ამიერ-კავკასიაშიც.

25 ივნისს ქალაქ თბილისში, ყოფილ ერევნის მოედანზე, გზიშართა დიდი
მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს თბილისის გარნიზონის ყველა
ნაწილების ჯარისკაცებმა. მიტინგს მეტწილად ჯარისკაცები დაესწრნენ. ამ
მიტინგის შესახებ ბოლშევიკური პარტიის ორგანო, გაზეთი „ბრძოლა“ სწერ-
და: „მიტინგის მონაწილე დიდი უმეტესობა ბოლშევიკური გამოდგა: დიდის
ხალხით და ყურადღებით უსმენდნენ ბოლშევიკების კომიტეტის მიერ წა-
მოყვებულ ორატორებს, ოვაციით ეგებებოდნენ მათ ლოზუნგებს, ერთხმად
ღებულობდნენ მათ რეზოლუციას. დროშებისა და პლაკატების უმეტეს ნა-
წილზე წარწერილი იყო ბოლშევიკური ლოზუნგები. მაგალითად: „მთელი
ძალა-უფლება მუშათა, სალდათთა და გლეხთა დებუტატების საბჭოებს“,
„ძირს შეტევა“, „გაუმარჯოს საერთაშორისო ზავს“, „ძირს ათი მინისტრი-

¹⁾ გაზ. „კავკასკი რაზონი“, № 61, გვ. 3, 1917 წ. 30 მაისი.

²⁾ გაზ. „კავკასკი რაზონი“, № 83, გვ. 3, 1917 წ. 24 ივნისი.

კაპიტალისტა“, „პური, ზავი და თავისუფლება“ და სხვი. მრავალრიცხოვანი მიტინგზე ერთხმად მიღებულ იქნა ბოლშევიკების რეზოლუცია¹⁾.

მსგავსად თბილისისა, რევოლუციურ ჯარისკაცთა მიტინგებზე წყევლობდა ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და სხვა სამაზრო ქალაქებში²⁾ ყველგან მიტინგზე ჯარისკაცები ჰგმობდნენ მემამულე-კაპიტალისტების დროებით თავრობას, გამოჰქონდათ ბოლშევიკური რეზოლუციები და მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

რევოლუციურ ჯარისკაცებს უდაოდ სწამდათ ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკა, მისი პროგრამა და აღიარებდნენ ბრძოლას მისი განხორციელებისათვის. ამავე დროს რევოლუციური ჯარისკაცები თავდადებით იცავდნენ ბოლშევიკური პარტიის ბელადებს — პროლეტარული რევოლუციის სულის ჩამდგმელებს.

აი რას სწერდნენ ერთ-ერთი ნაწილის ჯარისკაცები თავიანთ რეზოლუციაში: „ჩვენ, კავკასიის სამხედრო საავიაციო სკოლის ჯარისკაცები, განვიცდით რა რუსეთის რევოლუციის ახლანდელი მომენტის სერიოზულობას, ვაღიარებთ, რომ ტაქტიკა, რომელიც დასახულია სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკების მიერ, არის საუკეთესო გამოსავალი პროლეტარიატის გაჭირვებული მდგომარეობიდან. ბოლშევიკების ტაქტიკა არის უსწრაფესი და ნამდვილი გზა სხივოსან სოციალიზმისაკენ, ამიტომ ჩვენ, ჯარისკაცები ზემოთდასახელებული სკოლისა, მთლიანად ვუერთდებით ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც სწერია სოციალ-დემოკრატული მუშათა პარტიის — ბოლშევიკების სახელოვან წითელ დროშაზე და ვკისრულობთ მთავრელობა გავუწიოთ ინტერნაციონალის სახელოვან თავდადებულ მებრძოლებს, ფიზიკად დაეიცავით მათ ყოველგვარ თავდასხმისაგან და არ დაეუშვებთ მათ წინააღმდეგ უხეშ ძალადობას შებენელი ძალების მხრიდან. გამოგვაქვს რა ასეთი რეზოლუცია, ვთხოვთ ყველა ამხანაგ ჯარისკაცს შეუერთდეს მას.

ამხანაგებო, თუ თქვენთვის ძვირფასია ჩვენი ძმების სისხლით მოპოვებული თავისუფლება, თუ ჩვენ გვინდა სამუდამოდ გამოვიდეთ წყვედიანიდან ნათელი მომავლისაკენ, ჩვენი პირველი მოვალეობაა — დაეიცავთ რევოლუციის საქმის ძვირფასი მუშაგები, თვალის ჩინივით გაუფრთხილდეთ მათ, ბოლო ყოველგვარი ძალადობა და ხელყოფა ჩვენი ბოლშევიკი ამხანაგებისადმი არის ჩვენი თავისუფლებისადმი ხელყოფა.

გაუმარჯოს ს.-დ. ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც ჩვენი მფარველობითა და მხარდაჭერით მიდის სხივოსანი სოციალიზმის საყვარელი მიზნისაკენ! გაბედულად, ამხანაგებო, თამამად გასწიეთ და იცოდეთ, რომ ჩვენ, ჯარისკაცები, თვითუფლ თქვენს ნაბიჯს და თვითუფლ მოთხოვნას ხიშტებით დაედასტურებთ. შორს ჩვენი გზიდან შებენელი ძალები უკუეგდოთ დაბრკოლებები სოციალიზმისაკენ მიმავალ გზაზე! გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატულ მუშათა პარტიას ბოლშევიკებისას³⁾.

1 ივლისს ქ. თბილისში, ჯარისკაცთა კლუბში, გაიმართა 218-ე ქვეითი სათადარიგო პოლკის ჯარისკაცთა მიტინგი. მიტინგზე ილაპარაკეს ბოლშევიკური პარტიისა და აგრეთვე სხვა პარტიების წარმომადგენლებმა. მიტინგზე დამსწრე ჯარისკაცთა აბსოლუტური უმრავლესობა ბოლშევიკურად იყო

1) გაზ. „ბრძოლა“, № 5, გვ. 3, 1917 წ. 2 ივლისი.

2) გაზ. „კავკასიის დაბოი“, № 83, გვ. 3, 1937 წ. 24 ივლისი.

განწყობილი. მათ აღიარეს სოციალისტური რევოლუციის აუცილებლობა და მოითხოვეს სახელმწიფო ძალაუფლების მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დემუტატების საბჭოების ხელში გადახველა.

24.11.1917

3—5 ივლისის დღეების შემდეგ სისტემატურად იმართებულ იქნა მუშათა მიტინგები როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა ქალაქებში. ამ მიტინგებზე ბოლშევიკური რეზოლუციები გამოაქვინდათ.

1917 წლის აგვისტოში უფრო ხშირად ეწყობოდა რევოლუციური ჯარისკაცთა მიტინგები. 6 აგვისტოს ყოფილ ალექსანდრეს ბაღში შესდგა ჯარისკაცთა მიტინგი, რომელსაც 5.000 კაცი დაესწრო, 7 აგვისტოს იმავე ბაღში შესდგა ჯარისკაცთა მიტინგი, რომელსაც 4.000 კაცი დაესწრო. აღნიშნულ მიტინგებზე ჯარისკაცებმა აშკარად გაილაშქრეს დროებითი მთავრობისა და მისი ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წინააღმდეგ. მიტინგზე მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუციები.

9 აგვისტოს მოეწყო კავკასიის არმიის ზურგის საავტომობილო ნაწილის ჯარისკაცთა მიტინგი, რომელზედაც ჯარისკაცებმა ერთხმად მოითხოვეს სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს სასწრაფოდ დათხოვნა, რადგან აღნიშნული ორგანოები წარმოადგენდნენ ყოველგვარი კონტრრევოლუციის ამოსავალ პუნქტს. მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ჯარისკაცები ამზობდნენ: „ჩვენ აგრეთვე ვუცხადებთ ხალხის ყველა მტერს, რომ ამათ შათი ოცნებანი: ძველისაკენ დაბრუნება არ მოხდება და არც შეიძლება მოხდეს. ჩვენ უმალვე დაეიხოვებით, ვიდრე დაეთმობთ ჩვენს თავისუფლებას!“.

25 სექტემბერს ქალაქ თბილისში შესდგა კავკასიის სასწავლო ტყვიამფრქვეველთა რაზმის ჯარისკაცების მიტინგი. მიტინგზე მოსმენილ იქნა მოხსენება მიმდინარე მომენტზე. მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუციები. ჯარისკაცებმა მოითხოვეს გლეხებისათვის მიწების უსასყიდლოდ გადაცემა, საეკლესიო და სამონასტრო ქონების კონფისკაცია, წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესება და სხვა. დაახლოებით ასეთივე შინაარსის რეზოლუცია მიიღო ახალციხის გარნიზონის საციხოვნო არტილერიის ჯარისკაცთა მიტინგმა. 1917 წლის 6 ოქტომბერს ქალაქ თბილისში შესდგა კავკასიის რკინიგზის პოლკის მე-4 ასეულის ჯარისკაცთა საერთო კრება. კრებაზე დამსწრე ჯარისკაცებმა სასტიკად დაჰკმეს მემამულეებისა და კაპიტალისტების დროებითი მთავრობა, რომელიც მენშევიკებთან, ესერებთან და სხვა ანტიპროლეტარულ პარტიებთან შეთანხმებით ურცხვად ატყუებდა მშრომელ მოსახლეობას. კრებაზე მიღებული ბოლშევიკური რეზოლუცია შემდეგი სიტყვებით თავდებოდა: „გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას (ბოლშევიკებისას), რომელიც მტკიცედ და ურყევად იბრძვის ბურჟუაზიის მტაცებლების წინააღმდეგ და მოაპოვებს ჯარისკაცებისათვის ზავს, გლეხებისათვის მიწას, მუშებისათვის 8 საათის სამუშაო დღეს და წარმოებაზე კონტროლს, ხალხთათვის თავისუფლებას! გაუმარჯოს საბჭოების ხელისუფლებას!“.

„პარტიკულარის მუშების გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა“

რუსეთში მომხდარი ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო საქართველოსა და მთელ ამიერ-კავკასიას.

*) ვაზ. „კავკასიის რაზმი“, № 130, 1917 წ. 20 აგვისტო.

*) ვაზ. „კავკასიის რაზმი“, № 181, გვ. 3, 1917 წ. 24 ოქტომბერი.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით აღფრთოვანებული მუშაკთა გლეხები და ჯარისკაცები სისტემატურად აწყობდნენ მიტინგებს და გამოსვლებს რევოლუციები, რომლებშითაც მხარს უჭერდნენ პეტროგრადის (დღევანდელი ლენინგრადის) აჯანყებულ პროლეტარიატს და რუსეთში დამსჯილ საბჭოთა ხელისუფლებას.

27 ოქტომბერს შესდგა კავკასიის რკინიგზის პირველი პოლკის მეორე ასე-
ულის ჯარისკაცთა საერთო კრება. კრებამ განიხილა ინფორმაცია მიმდინარე საკითხზე. მიღებულ იქნა ბოლშევიკური რევოლუცია, რომლითაც ჯარისკაცები მხარს უჭერდნენ პეტროგრადის რევოლუციურ კომიტეტსა და გარნიზონს — ესალმებოდნენ ძალა-უფლების გადასვლას მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ხელში და აღუთქვამდნენ აქტიურ დახმარებას საჭიროების შემთხვევაში.¹⁾

იმავე 27 ოქტომბერს შესდგა კავკასიის სათადარიგო ავტოასეულის სარე-
ზერვო რაზმის საერთო კრება, რომელმაც ერთსულოვნად მხარი დაუჭირა პეტროგრადის აჯანყებულ პროლეტარიატსა და ჯარისკაცებს.

28 ოქტომბერს შესდგა მესამე ქვეითი პოლკის ჯარისკაცთა საერთო კრება. კრებაზე დამსწრე ჯარისკაცებმა ერთსულოვნად მხარი დაუჭირეს სახელმწიფო ძალა-უფლების მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადასვლას. ასეთივე მიტინგები და კრებები შესდგა თბილისის გარნიზონის 218-ე პოლკის მეოთხე ბატალიონში, კავკასიის ფრონტის საავტომობილო ქონების საწყობის ჯარის ნაწილში, კავკასიის საარტილერიო-სათადარიგო დივიზიონის პირველ და მეორე ბატარეაში და ჯარის სხვა ნაწილებში, ეს მიტინგები და კრებები მიმდინარეობდნენ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. კრებებზე და მიტინგებზე მიღებული რევოლუციებით ჯარისკაცები ერთსულოვნად მხარს უჭერდნენ პეტროგრადის (დღევანდელი ლენინგრადის) გმირული პროლეტარიატისა და რევოლუციური ჯარისკაცების აჯანყებას და სახელმწიფო ძალა-უფლების მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოს ხელში გადასვლას.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით სისტემატურად ეწყობოდა ჯარისკაცთა მიტინგები 1917 წლის ნოემბერშიაც. აღნიშნულ მიტინგებზე ჯარისკაცები ისმენდნენ მოხსენებებს მიმდინარე მომენტზე და მხურვალე სალამს უგზავნიდნენ რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს და პეტროგრადის რევოლუციურ გმირულ არმიას, რომელმაც თავგანწირული ბრძოლით დაამხო კერენსკის კონტრრევოლუციური მთავრობა და საფუძველი ჩაუყარა პროლეტარიატის დიქტატურასა და საბჭოთა ხელისუფლებას.

სხვა მიტინგთა შორის 1917 წლის 11 ნოემბერს ქალაქ თბილისში შესდგა ჯარისკაცთა საგარნიზონო მიტინგი, რომელსაც რამდენიმე ათასი რევოლუციური ჯარისკაცი დაესწრო. მიტინგზე მიღებულ იქნა ბოლშევიკური რევოლუცია. აღნიშნულ რევოლუციაში ვკითხულობთ: „...მხოლოდ მუშურ-გლეხურ მთავრობას შეუძლიან მიახიჭონ ქვეყანას საყოველთაო მშვიდობი-

¹⁾ ვაზ. „კავკასიო რაზმი“, № 188, გვ. 4, 1917 წ. 1 ნომბერი.

ანობა, მისცეს პური მშვირთ, მიწა — გლეხებს, თავისუფლება — ყველას და შეუბრალებლად ჩაახშოს ყოველგვარი კონტრარევოლუციური ცდები“⁷).

მსგავსად ჯარის სხვა ნაწილებისა, მე-5 პოლკის ჯარისკაცებმაც უდიდესი აღფრთოვანებით მიესალმნენ პეტროგრადის გმირულ პროლეტარატს⁸.

საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის მშრომელი მოსახლეობა, რევოლუციური მუშათა კლასი, გლეხობა და ჯარისკაცები ერთსულოვნად უპერდნენ მხარს პეტროგრადის აჯანყებულ პროლეტარიატს.

პეტროგრადის გმირული პროლეტარიატის გამარჯვებაში ჩვენი ქვეყნის მშრომელი მოსახლეობა და რევოლუციური ჯარისკაცები თავიანთ გამარჯვებას ხედავდნენ. გაზეთი „ბრძოლა“ ერთ-ერთ თავის წერილში გადაქრით აცხადებდა: „ამხანაგებო მუშებო! სალდათებო! და ყველა მშრომელო ხალხო! გწამდეთ, რომ... თვითეული პეტერბურგის მუშების გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა“⁹). (ხაზასმა ჩვენია.—ნ. ჩ.)

1917 წლის დამლევსათვის, რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, უფრო აშკარა და თვალსაჩინო გახდა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე მყოფი ჯარის ნაწილების ბოლშევიზაცია. ამას ნათლად ადასტურებს კავკასიის არმიის მეორე ყრილობა, რომელიც შესდგა 1917 წლის დეკემბერს. ყრილობაზე არჩეულ იქნა არმიის საოლქო საბჭო, მის თავმჯდომარედ-კი ბოლშევიკური პარტიის წევრი ამხანაგი ყორღანოვი.

ყრილობაზე განხილულ ყველა საკითხის ირგვლივ მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუციები.

ბოლშევიკი ჯარისკაცები უდიდესი აღფრთოვანებით უპერდნენ მხარს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს, ახალგაზრდა საბჭოთა ზელისუფლებას და მოითხოვდნენ მის დაცვას შინაურ და გარეშე კონტრარევოლუციისაგან. აი რას ვკითხულობთ ყრილობაზე მიღებულ ერთ-ერთ რეზოლუციაში: „...ჩვენ გამოვდივართ მშრომელი ხალხის ინტერესებიდან და საჭიროდ მიგვაჩნია ენერგიული დახმარება აღმოუჩინოთ სახალხო კომისართა საბჭოს (მუშათა და გლეხთა მთავრობას), რომელიც გამოყოფილია სრულიად-რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მეორე ყრილობის მიერ და დადასტურებული გლეხთა დეპუტატების მეორე საგანგებო ყრილობის მიერ. საჭიროდ მიგვაჩნია დახმარება გაუწიოთ მას კონტრარევოლუციასთან ბრძოლის საქმეში.

კონტრარევოლუციური კლასების ყოველგვარი გალაშქრება საბჭოთა მთავრობისა და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების წინააღმდეგ დაუნდობლად უნდა იქნას აღმოფხვრილი“¹⁰).

ყრილობამ მისასალმებელი დეკრეტი გაუგზავნა პეტროგრადის სახალხო კომისართა საბჭოს, რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობის წარმომადგენლებს. ყრილობა გაგზავნილი დეკრეტით არწმუნებდა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს, რომ კავკასიის არმიის მეორე ყრილობა და მის მიერ არჩეული საოლქო საბჭო იყო და იქნებოდა საბჭოთა ძალ-უფლების მალიარებელი და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტების მტკიცე გამტარებელი.

⁷) გაზეთი „კავკასსკი რაბოჩი“, № 206, 1917 წ. ნოემბერი.

⁸) გაზ. „ბრძოლა“, № 28, 1917 წ.

⁹) გაზ. „კავკასსკი რაბოჩი“, № 229, 1917 წ. დეკემბერი.

10. „მნათობი“, № 3.

კავკასიის არმიის მეორე ყრილობაზე დამსწრე ბოლშევიკ ჯარისკაცთა დელეგატები გადაჭრით მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქართველოში და მთელ ამიერ-კავკასიაში, რაც აუცილებლად ხელს შეუწყობდა ამიერ-კავკასიის ხალხთა სოლიდარულ კავშირს და თავიდან ექვემდებარებულ ნაციონალური შუღლი და მტრობა. ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აუცილებლობის შესახებ ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ადგილობრივი ხელისუფლების საკითხში, კავკასიის ცხოვრების განსაკუთრებული პირობების გამო, სადაც ერთმანეთშია გადახართული წერილ ეროვნებათა სხვადასხვა ინტერესები, ხაზს ვუსვამთ საბჭოთა ხელისუფლების შექმნის საჭიროებას და ვცნობთ მხოლოდ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დემუტატების საბჭოების წიაღიდან გამოსულ ხელისუფლებას. (ხაზგასმით ჩვენია — ნ. ჩ.), რადგან მართოდენ საბჭოებს, სადაც წარმოდგენილია კავკასიის ყველა ეროვნება თავისი მშრომელი ელემენტების სახით, შეუძლიანთ თავიდან აგვაცდინონ ის გრანდიოზული ხანძარი, რომელმაც შეიძლება იფეთქოს კავკასიის ამა თუ იმ ეროვნების ნაციონალურ-ტერიტორიული ზრახვების ნიადაგზე“¹⁾.

ვინაიდან ბოლშევიკურად განწყობილი ჯარის ნაწილები არ წარმოადგენდნენ ერთგულ სამხედრო დასაყრდენ ძალას მენშევიკებისა, დამნაქელებისა და მუსავატელებისათვის, მათ, ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციურ კომისარიატთან ერთად, გადასწყვიტეს ფორმალურად, ჯარისკაცებისათვის თვალის ასახვევად, გამოეცხადებინათ 25 წლის ასაკზე უფროსი ჯარისკაცების დათხოვა. ფაქტურად უნდა დაეთხოვათ ყველა ბოლშევიკი და ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცი. კონტრრევოლუციონერთა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს ბოლშევიკურად განწყობილმა ჯარისკაცებმა. ისინი უარს აცხადებდნენ იურილის ჩაბარებაზე და სახლში წასვლაზე მანამ, სანამ საქართველოში და ამიერ-კავკასიაშიც არ დამყარდებოდა საბჭოთა ხელისუფლება. აი რას სწერდნენ ამის შესახებ მე-7 პოლკის ჯარისკაცები თავიანთ რეზოლუციაში: „ვრჩებით ჩვენ ჩვენს ადგილებზე. ის ჯარისკაცები, რომლებიც ვაგვანთავისუფლეს სამსახურიდან 25 წელზე ზევით ნაციონალურმა საბჭომ და კომისარიატმა, ვრჩებით მანამდე, სანამ ამიერ-კავკასიაშიც ძალა-უფლება არ გადავა გლეხების, სალდათებისა და მუშების საბჭოების ხელში“²⁾.

ასე იბრძოდნენ 1914—1917 წ. წ. იმპერიალისტური ომის ქარცეცხლში გამოვლილი რევოლუციური ჯარისკაცები საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. ასეთი იყო ბრძოლა ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცებისა და რუსეთის ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის დასაცავად, პეტროგრადის (დღევანდელი ლენინგრადის) რევოლუციური პროლეტარიატისა და გარნიზონის მხარის დასაჭერად, შინაურ და გარეშე კონტრრევოლუციის გასანადგურებლად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლა უფრო აშკარა და თვალსაჩინო გახდა რევოლუციური ჯარის იმ ნაწილებში, რომელნიც მენშევიკურმა მთავრობამ შეადგინა. ამას ნათლად ქვემოთ დავინახავთ.

¹⁾ გაზ. „კავკასკი რაზი“, № 229, 1917 წ. დეკემბერი.

²⁾ გაზ. „ბრძოლა“, № 29, 1918 წ.

„ჩვენ მხარს ვუჭირთ სახალხო კომისარების საბჭოს“

მუშებისა და გლეხების შეიარაღებულმა ბრძოლამ შემამულე-კაპიტალისტების ბატონობის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებლად საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში უფრო გრანდიოზული ნასიათი მიიღო იმ დღიდან, როდესაც რუსეთში „ოქტომბრის რევოლუციამ“ მკვეთრად შესცვალა მდგომარეობა. მან ერთი ხელის მოსმით თავდაყირა დააყენა ყველა ურთიერთობა და დასვა საკითხი მშრომელი კლასების ხელში ძალაუფლების გადასვლისა... ამიერ-კავკასიის შეძლებულმა კლასებმა ნათლად დაინახეს, რომ ოქტომბრის რევოლუცია და საბჭოთა ხელისუფლება მათთვის აუცილებელ სიკვდილს მოასწავებდა. ამიტომ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მათთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი გახდა¹⁾.

ერთის მხრივ, რუსეთში დამყარებული ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის, ხოლო, მეორეს მხრივ, საქართველოში დაწყებული მუშებისა და გლეხების შეიარაღებული აჯანყებების წინააღმდეგ საბრძოლველად, შემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით, მენშევიკურმა მთავრობამ²⁾ ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციურ კომისარიატთან ერთად, მთავარი იმედი დაამყარა ევროპის იმპერიალისტურ ქვეყნებზე და პირველ რიგში ოკუპანტ გერმანელებზე, რომელნიც 1918 წლის მთელ მანძილზე თარეშობდნენ საქართველოში და შიშის ზარსა სცემდნენ ჩვენი ქვეყნის მშრომელ მოსახლეობას. გარდა ამისა, რუსეთში მომხდარ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად და შემამულე კაპიტალისტების ინტერესების დაცვის მიზნით მენშევიკურმა მთავრობამ გადასწყვიტა რეგულარული ჯარის ნაციონალურ პოლკების შედგენა და ამ მიზნით 1918 წლის 15 იანვრისთვის მობილიზაცია გამოაცხადა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მშრომელი მოსახლეობა უდიდესი მტრობითა და მჭულვარებით შეხედა მობილიზაციას, მენშევიკურმა მთავრობამ ძალდატანების საფუძველზე მაინც შეადგინა რეგულარული ჯარის ნაციონალური პოლკები.

მენშევიკები ფიქრობდნენ, რომ რეგულარული ჯარის ნაციონალური ნაწილები უერთგულესი დამცველები იქნებოდნენ შემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესებისა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გაღრმავებით ჯარისკაცებში დაიჩრდილებოდა რევოლუციური სულისკვეთება. მენშევიკებს იმედები არ გაუმართლდათ: რეგულარული ჯარის ნაციონალური პოლკები უადრესად რევოლუციურად, ბოლშევიკურად განწყობილნი აღმოჩნდნენ. ჯარის ნაციონალურმა ნაწილებმა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასთან და მშრომელ გლეხობასთან ერთად აქტიური ბრძოლა გააჩაღეს შემამულე-კაპიტალისტების — მენშევიკურ მთავრობის წინააღმდეგ.

მენშევიკები საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ რეგულარული ჯარის ნაციონალური ნაწილები მათთვის ხელსაყრელი არ იყო. ისინი სწერდნენ: „საუბედუ-

¹⁾ ა. ს ტ ა ლ ი ნ ი — „ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის წინააღმდეგ“, 1936 წ., გვ. 9.

როდ ქართველმა ჯარმა არა თუ არ გაამართლა იმედი, ყოველ მოლოდინსაც გადააპარბა და საშინელი არევ-ღარევა და უწყსოება შეიტანა ჩვენს ისედაც აფორიაქებულ ცხოვრებაში“.)

მენშევიკური მთავრობის ნაციონალური პოლიტიკის უკუგაბრუნებელი უკუგაბრუნებელი მოქმედება და მტრული განწყობილება შემამულე-კაპიტალისტთა მთავრობისადმი შედეგი იყო, ერთის მხრივ, იმ აუტანელი ეკონომიური და უფლებრივი პირობებისა, რომელშიც ჯარისკაცები იმყოფებოდნენ, ხოლო მეორეს მხრივ იმ უდიდესი არალეგალური მუშაობისა, რომელსაც ამ ჯარებში ბოლშევიკური პარტია აწარმოებდა.

მენშევიკებმა ჯარისკაცებს წაართვეს პოლიტიკური უფლებები, ეს იმ დროს, როცა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლება ეძლეოდათ ყოველი ჯურის კონტრარევილუციონერებსა და პარაზიტებს. მენშევიკების ამ მოქმედებით ჯარისკაცები დიდად იყვნენ აღშფოთებულნი. ჯარისკაცები მეტად აუტანელ უფლებრივ პირობებში იმყოფებოდნენ. მენშევიკების ციხე-ყაზარმაში ჯარისკაცის პიროვნება მეტად შევიწროებული და დაწიხლული იყო. ჩვეულებრივი მოვლენა იყო ოფიცრისა და უფრო დაბალი სამხედრო თანამდებობის პირის მიერ ჯარისკაცის ლანძღვა უშვერი სიტყვებით, ფიზიკური შეურაცხყოფა, დაპატიმრება და სხვა. მენშევიკების ყაზარმა და სამხედრო წესები სწორედ ისეთივე იყო, როგორც თვითმპყრობლობის ყაზარმები და სამხედრო წესები.

ბოლშევიკურად განწყობილ ჯარისკაცებს მენშევიკებთან ერთად ავიწროებდნენ საქართველოში მოთარეშე არამზადა გერმანელები. ჯარისკაცები აღშფოთებულნი იყვნენ იმ გარემოებით, რომ სამშობლოს მოკლალატე იმპერიალისტების ლაქია მენშევიკური მთავრობის სამხედრო სამინისტროს თხოვნით ოკუპანტ გერმანელების გენერალმა ფონ-კრესმა მენშევიკური მთავრობის სამხედრო ნაწილებში დანიშნა გერმანელი ინსტრუქტორები“).

მენშევიკური მთავრობის სამხედრო სარდლობა ფეხქვეშ ეგებოდა გერმანელ გენერლებს და უსიტყვოდ ასრულებდა მათ ბრძანებებსა და შითითებებს. საზიზღარი გერმანელები თავად-აზნაურთა წრიდან გამოსულ მენშევიკურ ოფიცრობასთან ერთად უდიერად ეპყრობოდნენ ჯარისკაცის ფარაჯაში გახვეულ ქართველ მუშებსა და გლეხებს.

ჯარისკაცები იმყოფებოდნენ მეტად აუტანელ ეკონომიურ პირობებში. მართალია, 1918 წლის 28 ივლისს გამოქვეყნდა მენშევიკური მთავრობის სამხედრო სამინისტროს ბრძანება იმის შესახებ, რომ თვითუფლ ჯარისკაცს დღეში მისცემოდა ნახევარი ვირეანქა ხორცი, 8 მისხალი მარლი, ახალი ბოსტნეული 60 მისხალი, პილპილი 1/2 მისხალი, ცხიმი ან ზეთი — 8 მისხალი, შაქარი — 8 მისხალი, ლობიო, ბურღული — 8 მისხალი, ჩაი 1/2 მისხალი. მაგრამ ეს ნორმები ქალაქებში არსებობდნენ. სინამდვილეში ჯარისკაცები საშინელ შიმშილსა და გაჭირვებას განიცდიდნენ.

მენშევიკური მთავრობის ყაზარმებში ჯარისკაცები ჰუკუსა და სიბინძურეში ცხოვრობდნენ. ისინი ტიტველნი და ფეხშიშველნი იყვნენ. მთავრობა სრულიად არა ცდილობდა დაეკმაყოფილებინა ჯარისკაცები ჩაცმით, დახურვითა

1) გაზ. „ალიონი“, № 7, 1918 წ. 28 იანვარი.

2) გაზ. „ერთობა“, № 221, გვ. 3, 1918 წ.

და კვებით, მაშინ როცა იარაღი, ტანსაცმელი და ჯარისკაცთა საკვები სურსათი იმდენი დარჩათ მენშევიკებს 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, რომ შეეძლოთ თუნდაც 50 ათასი კაცის შეიარაღება, შემოსვა და გამოკვება ათი წლის განმავლობაში.

ასეთ აუტანელ ბირობებში იმყოფებოდნენ მენშევიკური მთავრობის რეგულარული ჯარის ჯარისკაცები — ეს იმ დროს, როდესაც მენშევიკების მიერ მოწყობილი ელემენტებისაგან შემდგარი გვარდია და საქართველოში მყოფი ოკუპანტ გერმანელთა ჯარი მენშევიკური მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი იყო საუკეთესო საკვებით, ჩასაცმელითა და სამხედრო ამუნიციით. ბოლშევიკურად განწყობილმა ჯარისკაცებმა კარგად იცოდნენ ყოველივე ეს და უფრო მეტად ღელავდნენ. მაქსიმალური უფლებობა, შიმშილი და სიტყველ სასტიკ აღშფოთებამ იწვევდა ჯარისკაცებში და რაზმავდა მათ მემამულე-კაპიტალისტების მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რევოლუციური ჯარისკაცების ბრძოლას მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ორგანიზებული ხასიათი მისცა ბოლშევიკურმა პარტიამ.

ლენინ-სტალინის პარტიის თავდადებული მუშაობის შედეგად მენშევიკური მთავრობის რეგულარული ჯარის თითქმის ყველა ნაწილში დაარსდა არალეგალური კომუნისტური ორგანიზაციები. ყველაზე უფრო ძლიერი ორგანიზაცია არსებობდა ჯარის რაღია ნაწილში, მესანჯრეთა ბატალიონში, საღარაჯო ბატალიონში, საბურთალოს საარტილერიო ბატარეაში, ჯარის ავტო-მექანიკურ ნაწილში, იუნკერთა სკოლაში, სატყვიამურჭვევო გუნდსა და თბილისში მყოფ ჯარის სხვა ნაწილებში. ასეთივე არალეგალური კომუნისტური ორგანიზაციები არსებობდნენ დაბა-ქალაქებში დაბანაკებული ჯარის ნაწილებში.

არალეგალური კომუნისტური ორგანიზაციები უდიდეს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას აწარმოებდნენ ჯარისკაცთა შორის. ეს მუშაობა გამოიხატებოდა უმთავრესად ბროშურების, პროკლამაციების, ფურცლების გავრცელებასა და აგიტაცია-პროპაგანდაში. არალეგალური კომუნისტური ორგანიზაციები ჯარისკაცთა ბოლშევიკურ მიტინგებსა და შეიარაღებულ აჯანყებებს აწყობდნენ.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიტინგები მოეწყო 1918 წელს მეხუთე, მეშვიდე, მესამე, მერვე და სხვა პოლკებში. მიტინგი, როგორც პოლიტიკური ბრძოლის თავისებური ფორმა, მიმართული იყო მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ მიტინგებზე მიღებული რეზოლუციები უდავოდ ამტკიცებდნენ ბოლშევიკურ პოზიციებზე ჯარისკაცების დგომას და მათს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცები, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, სასტიკ პროტესტს აცხადებდნენ კონტრრევოლუციონერ მენშევიკებისა და ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ, რომელთაც შრომელი ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ, მოსწყვიტეს ამიერ-კავკასია საბჭოთა რუსეთს და ევროპის იმპერიალიზმის — ოკუპანტ გერმანელების პლაკდარმად და შეძლებულ კლასთა კოალიციის სამეფოდ გადაქციეს. ჯარისკაცები გადაჭრით მოითხოვდნენ კომისარიატისა და ნაციონალური საბჭოების გაუქმებას და მსგავსად რუსეთისა, მთელი სახელმწიფო ძალა-უფლების მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადასვლას.

1918 წლის 3 თებერვალს ქ. გორში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით შესდგა მე-4 პოლკის ჯარისკაცთა მიტინგი, რომელმაც მიიღო შემდეგი

რეზოლუცია: „1. სახალხო კომისარების საბჭო წარმოადგენს ნამდვილ სახალხო მთავრობას, რომელიც თავგანწირულად ემსახურება ყველა მშრომელთა და გაყვლეფილთა ინტერესებს და რომელიც აწარმოებს სამკერო-საბოლო ცხოვრობის ბრძოლას კონტრრევოლუციონურ ბურჟუაზიისა და შინა დამპყვების წინააღმდეგ.

2. ერთად-ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ოქტომბრის რევოლუციას სრულ გამარჯვებამდე მიყვანა, არის მუშების, სალდათებისა და გლეხების დეპუტატების საბჭოები, რომელთა ხელში არის სრული სახელმწიფო ძალა-უფლება.

3. ოქტომბრის რევოლიუცია არის რევოლიუცია მუშების, სალდათების და გლეხების, რომლის (რევოლიუციის) სრული გამარჯვება შექმნის რუსეთში საბჭოთა რესპუბლიკას, შრომის რესპუბლიკას, როცა აღარ ექნება ადგილი ადამიანის მიერ ადამიანის, კლასის მიერ კლასის გაყვლეფა-დამონაგებას, როცა დამყარდება ნამდვილი, პროლეტარული ძმობა, ერთობა, თანასწორობა.

4. ამიერ-კავკასიის ობორონცულ-ნაციონალისტურ კომისარიატის პოლიტიკამ, რომელიც ფაქტურად ზურგს უმაგრებდა კონტრრევოლუციას ჩრდილო კავკასიაში და ხელს უწყობს ეხლა კონტრრევოლუციის გაღვიძებას ამიერ-კავკასიაშიაც, — ამ პოლიტიკამ დაღუპვის კარამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა, ამ პოლიტიკამ გამოიწვია შამხორ-განჯის ამბები.

5. ჩვენ ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ, რომელმაც დაადგინა ამხ. შაუმიანის დატუსაღება, რომელიც დანიშნულია კავკასიის კომისარად, სახალხო კომისარების საბჭოს მიერ.

6. ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია იხსნას დემოკრატია და რევოლიუცია ჩვენში, მდგომარეობს იმაში, რომ გადაყენებულ იქნას ობორონცული კომისარიატი და მოხდეს სრული ძალა-უფლების მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების ხელში გადასვლა.

7. ჩვენ ვცნობთ ერთად-ერთ ცენტრალურ მთავრობას — სახალხო კომისარების საბჭოს, რომელსაც აღუთქვამთ ენერგიულ დახმარებას. გაუმარჯოს სახალხო კომისარების საბჭოს! გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების რევოლიუციას! უძღვნიტ ცხარე სალამს რუსეთში მიმავალ კავკასიის რევოლუციონურ ჯარისკაცებს...“¹⁾

თითქმის ასეთივე შინაარსის რეზოლუცია მიიღეს მე-3 პოლკის ჯარისკაცებმა მიტინგზე, რომელიც შესდგა ქალაქ ფოთში 1918 წლის 22 თებერვალს.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი რევოლუციურ მუშათა კლასთან და მის ირგვლივ დარაზმულ სოფლის მშრომელ გლეხაკობასთან. ჯარისკაცები არა მარტო თანუგრძობდნენ მუშებსა და გლეხებს მენ-შევიკურ მთავრობასთან ბრძოლაში, არამედ მიისწრაფოდნენ იქითკენ, რომ თვითონაც მიეღოთ აქტიური მონაწილეობა შეიარაღებულ აჯანყებაში. სწორედ ამიტომ იყო, რომ მენშევიკური მთავრობა აჯანყებული მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ საბრძოლველად პირველ რიგში არა რეგულარულ ჯარს, არამედ მოსყიდულ ელემენტებისაგან შემდგარ „სახალხო“ გვარდიას და საქართველოში მოთარეშე ოკუპანტ გერმანელების ჯარის ნაწილებს ჰგზავნიდა.

¹⁾ ვაზ. „ბრძოლა“, № 28, 1918 წ. 6 თებერვლი.

მემამულე-კაპიტალისტების ინტერესების დამცველ კონტრრევოლუციონერ მენშევიკებთან ერთად საზიზლარი გერმანელები სისხლში ახშობდნენ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ მუშებისა და გლეხების რევოლუციურ მოძრაობასა და აჯანყებებს. 1918 წლის 7 სექტემბერს ^{საქართველოში} გერმანულმა ფონ-კრესსმა წინადადება მისცა მენშევიკურ მთავრობას, რომ "ერთში" ანაკლიაში, ზუგდიდისა და სენაკის რაიონებში დაწყებული გლეხთა მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად გაეყვანათ გერმანელთა ჯარები და ერთხელ და სამუდამოდ "გაეწმინდათ" აღნიშნული რაიონები¹⁾. ასეთივე წინადადება ხშირად მიუციათ არამზადა გერმანელებს იმპერიალისტების ლაქია მენშევიკური მთავრობისათვის. საქართველოში მოთარეშე ოკუპანტ გერმანელების თვითმფრინავებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ლეჩხუმის, დუშეთისა და სხვა მაზრების გლეხთა აჯანყებების ჩაქრობაში. ამიტომ იყო, რომ მუშებს, გლეხებსა და რევოლუციურ ჯარისკაცებს უზომოდ სძულდათ და ეზიზღებოდათ მოძალადე გერმანელები.

დღეს გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ წარმოებულ სამამულო ომის ფრონტზე მრავალი ჯარისკაცი და მეთაურია, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ ზემოთაღნიშნულ რევოლუციურ ბრძოლებში. ისინი წარსულში თავდადებით იბრძოდნენ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის დასაცავად, საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, თავისუფლებისათვის, სამშობლოსათვის. დღეს ძველი და ახალი მებრძოლენი, პატრიოტული გრძობებით აღვზნებული პარტიული და უპარტიო ბოლშევიკები, თავისუფლების, სამშობლოს, მამულის, მშობლებისა და ცოლშვილის მოსიყვარულე საბჭოთა ადამიანები ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძვიან იმ რწმენითა და იდეით, რომ ორას მილიონიანი საბჭოთა ხალხის უზომო სისხლითა და ურიცხვი მსხვერპლით მოპოებული თავისუფლება არ შეიძლება ვისმეს დავუთმოთ, არ შეიძლება საბჭოთა ქვეყნის თავისუფალი ხალხის სხვის მონებად გადაქცევა.

თვითუფლ საბჭოთა ადამიანის გადაუდებელ ამოცანას შეადგენს დაეხმაროს სამამულო ომის ფრონტსა და ზურგს, გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ „... ჩვენ მკერდით დავიცვათ ჩვენი თავისუფლება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სამშობლო, ჩვენს სამამულო ომში გერმანიის ფაშიზმთან.“ (ი. სტალინი).

¹⁾ გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, № 407, 1918 წ. 7 სექტემბერი.



„სიმღერა ბამარჯშეშისა“

ბამონც. „ფილირანია“, 1942 წ.

აღიო მამაშვილი ქართული საბჭოთა პოეზიის ერთი ნათელი ფიგურაა. მის პოეტურ სიტყვაში შადრევანივით ჩქედს სიხარულის მაღალი გრძნობა და ქვეყნისა და ხალხის სიზღარული. აღიო მამაშვილის პოეზია ყოველ ეტამზე ძლიერია ღრმა პოეტურ გააზრებით, ადამიანურს კონკრეტული შეგრძნებით, შინაგანი სურათოვნებით, ჯამსალი პატრიოტიზმით, გულწრფელი ამღერებითა და ხალასი შემოქმედებითი გატაცებით. ლექსის ბუნებრივმა მუსიკალობამ, სისადავემ, მოვლენისა და საგნის მაღალმა პოეტურმა წარმოსახვამ, განცდის დიდმა უშუალობამ პოეტს თავიდანვე დიდი პოპულარობა მოუპოვეს. მან შექმნა მხატვრული შემეცნების საკეთარი სფერო, გამოიწვევა საკეთარი პოეტური ხმა და მტკიცედ დაიმკვიდრა ჩვენს მწერლობაში თავისი იდგილი.

აღიო მამაშვილმა, მთელ თავის თაობასთან ერთად, ქართული პოეზია გაამდიდრა ახალი მხატვრული სტილით, რომლის შთავარ ღირსშესანიშნავ თვისებას წარმოადგენს ჩენი დიდი და შრავალფეროვანი ეპოქის სიახლის გრძნობა. პოეტის ყოველ ლექსში, რა თემასაც არ უნდა ეხებოდეს ის, იგრძნობა ახალე და თავისებური მისევა საგანთან, თავისებური პოეტური გაშუქება მოვლენისა. იგი დაჯილდოებულია იმ მაღალი მწერლური უნარით, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ მწერალმა ყოველ მოვლენასა და საგანს, რომელსაც ის ეხება და რომელსაც შეხებია შრავალი სხეც, თავისებური კუთხე მოუნახოს, აღმოაჩინოს მასში ჩაღაც „ახალი“ და ამით საინტერესო და ესთეტიკურად უშუალო გახადოს ის მკითხველისათვის.

აღიო მამაშვილი მკითხველისათვის საინტერესო და საყვარელი იმით, რომ მის ლექსებში იგი ნახულობს თავის სულის ნაწილს, რომ მის პოეტურ სულთან შინაგანად არის შეერთებული თანამედროვე მოწინავე ადამიანის განცდები.

საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომამდე პოეტმა თავის ლექსებში ასახა წარსულის გაღნაშობთან ბრძოლა და თანამედროვე ადამიანის სოციალისტური დამოკიდებულება სანამდღილესთან. ამ ლექსებში მან ორგანიულად გამოხატა საბჭოთა პატრიოტიზმის დიადი გრძნობა, თავისუფალი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და ჩენი ხალხის თავდადებული ერთგულება ლენინ-სტალინის იდეებისადმი. ომის პერიოდში დაწერილ ლექსებში პოეტმა ეს სახალხო გრძნობა ორგანიულად ჩაქსოვა ჩენი ხალხის ზმირულ სულისკვეთებასთან, მის ზღარულ მამაკობასთან და თავგანწირულ ბრძოლის ხასიათთან, რომელიც გამოამელავნა მან (საბჭოთა ხალხმა) უდიდესი განსაცდელის მომენტში, საბჭოთა კავშირზე ფაშისტთა ურდობის ვერაგული თავდასხმისა და სამკედრო-სასიკოცხლო ომის პროცესში.

ომის წინ დაწერილ ლექსებში მამაშვილმა სრულის ხმითა და მთელის განცდით გვიჩვენა ბედნიერი ცხოვრებით შთავონებული, სიხარული თავისუფალი ადამიანისა, რომელიც მზად არის საჭირო შემთხვევაში სიკოცხლე მისცეს თავის სამშობლოს. ეს არ მოიხილავს პოეტის მიერ ლამაზად დახატული სურათი თავისუფალი სამშობლოსი:

„თი ქვეყანა, სად უნაყოფოდ
უბრალო ხეც კი არ დაჩხეულა,
მთა ჩახვეულად მთის ეფარება,
შიგ ელვასავით გზა დახვეულა.
გინდა მთელი დღე უსმენდე ნიავს,
რომ სიხარული იგრძნოს სხეულმა.
მიღამო პურის ნამქერებს მიატყვს,
მზის შადრევნებით ცა გარღვეულა“.

(„სამშობლო ზელადისა“)

ან კიდევ:

ჩემი ქვეყანა, ივრე ლამაზი,
 შავი ზღვის პირად აღმართულია,
 თავზე გვირგვინად მუდამ მზე ადგას,
 მისგან ღრუბლებიც დაფანტულია.
 ხან გაშლილია უგზო-უკვალოდ,
 ხან ეწინააღმდეგება დახლართულია,
 შთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი,
 ეს ფიროსმანის დაბატრულია". (იქვე)



მგზნებარე ოპტიმიზმა ზარის რეკევისათვის გაიშმის პოეტის ლექსებში. იგი გაღვლეებით იმიტომ, რომ შეგავსებოთ, ვაყვარებთ იმიტომ, რომ ვაგვიტყავთ და დავაინტერესოთ წარსულით, აწმყოთ და მომავლით, როდესაც პოეტი ხატავს თავისი სამშობლოს ლამაზ სურათს, აქ იგი ბუნებრივობის დაურღვეველად გიჩვენებთ მისი დოვლათის სიტყვებს და ინტელექტუალურ ენერჯიას, რამოდენიმე წუთით უკან მოგაბრუნებთ, რომ თანამედროვეობის ელვებზე ვივლით მოგვრით და დავაგვირით, გარეგნული ზემოქმედების გარეშე გააღვიძოს თქვენში სოციალისტური თანადროობისა და მომავლისადმი დიდი რწმენა.

იმიტომ სოციალისტური საქართველოს აყვავებულ შთა-ველის, სოფლისა და ქალაქების ლამაზი მხატვრული სურათებისა და ბუნებრივი ხალხის სასიხარულო განწყობილების გვერდით არ ირღვევა ბუნებრივობა პოეტის ხმაში, სადა ის ოპტიმიზმს გადმოგვცემს:

„როგორ იქნება შედრკეს ქვეყანა,
 პატარა, მცირამ მარჯვე წელისა,
 რომელმაც შშობა გმირი სტალინი,
 დამამბობელი ქვეყნად ბნელისა,
 როგორ დაქნება მთების მშენებია,
 ან სურნელმა მინდორ-ველისა,
 როგორ იქნება ჩაუქრობელი
 ჩაქრეს ნათელი რუსთაველისა?!

(„პიში სამშობლოს“).

და პოეტის მართებულ წარმოსახვაში ამ დაუცხრომელი ოპტიმიზმისა და სიხარულის წყარო არის ის ადამიანი, რომლის შესახებაც ყველა თავისუფალ ხალხს შეუძლიან გაიმეორონ მისი სიტყვები:

„მზად იყავ მშრომელ ხალხის გულსთთვის
 დაჭრილ გულიდან სისხლი გულგარა,
 გაბოროტებულ შტრების წინაშე
 არასდროს ქედი არ მოგებარა,
 აზრებს თესავდი დედამიწაზე,
 რომ გაზაფხული ამოგვეყვანა,
 კიდევ აღსრულდა: შენი დროშებით
 გათენებულა ჩემი ქვეყანა“.

(„სამშობლო ბელადისა“).

ამ დიდი ადამიანის დაუღალავი ზრუნვით, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, საქართველოს ხალხს, რომელსაც წარსულში მრავალი ცრემლი და ნალექი უნახავს, რომლის ხმაშიც ყოველივეს სევდა და ნალექი ისმოდა, ახლა შეუძლია მთელის ხმით იმღეროს და ამ სიმღერაში ისტორიაში გულგონარი საზეიმო განწყობილება ჩააქსოვოს. ყველა მკითხველის სულთან და გულთან მიდის პოეტის სიტყვები:

„ჩემო სამშობლოც, დღეს შენი ერი
 განახლებული ქართლის ერია,
 ასე ხშირად და ბედნიერად
 შენ არასოდეს არ გიმღერია.
 ალისფერია შენი მიდამო,
 ეგ შენი დროშაც ალისფერია,
 შენი სიკაცებე არის სტალინი,
 შენი მარჯვენა არის ბერია!“.

(„პიში სამშობლოს“).

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში ალიო მაშაშვილმა შესანიშნავი ლექსები დაწერა. ეს ლექსები თანაბრად ზღიდარია მხატვრული საღებავებითა და გრძობითა უშუალოებით. სამამულო ომზე და მის გმირებზე დაწერილ ლექსებში პოეტი ისეთივე ერთგული რჩება მხატვრული ფორმისადმი, რაგორც იდენისა და გრძობისადმი. მამაშვილი ამ ლექსებში გვიხატავს ჩვენი ომის სამართლიანობას, საბჭოთა ჯარისკაცთა გმირულ განწყობილებებს და ომის ცალკეულ გმირთა ნათელ სახეებს. სამამულო ომისადმი მიძღვნილი ლექსები გამოხატაა ღირსების მღიერი ცეცხლით, რაც მკითხველზე ემოციურად და იდეურად ზემოქმედების წყაროდ ხდება.

გერმანელმა ფაშისტმა ვანდალებმა მშვიდობისმოყვარულ საბჭოთა ხალხს ძალით თავზე მოახვიეს ომი. ფაშისტები მიისწრაფვიან დაიმონონ და უსიტყვოდ მორჩილ მონებად აქციონ მთელი მსოფლიოს მოსახლეობა. მათ სურთ აღადგინონ საშუალო საუკუნოებრივი ბიზანტიზმი და სთესონ ერთა შორის უფლი, მტრობა და მოუსვენრობა. მაგრამ საბჭოთა ხალხი, რომელმაც სისხლით მოიპოვა თავისუფლება, მშვიდობიანი და ღალი ცხოვრება, საშუალებას არ მისცემს გერმანელ კაცობამებს განახორციელონ თავიანთი ველური და უგუნდო გეგმები. ომის პერიოდში უფრო მეტად განმტკიცდა საბჭოთა ხალხების შეგობრობა და ერთხლოვნება საერთო მტრის წინააღმდეგ:

„პირსისხლიანი, მკაცრი
თავზე დაგვესხა მტერი,
აღგა, ვით ერთი კაცი,
მოვლი საბჭოთა ვრი“.

(„ომი ომს“).

ომის პირველ დღეებში პატრიოტიზმი პოეტმა დაწერა სამამულო ომის გმირებისადმი მიძღვნილი ლექსი — „წერილი“. ამ ლექსში გმობობისა და სამშობლოსადმი თავგანწირვისა, მტრის სრული განადგურებისა, ცენ მოუწოდებდა პოეტი წითელ მეომრებსა და საბჭოთა იდამიანებს:

„სამშობლო გასაჭირშია,
შზად ხართ? მოვლის ხმით ევერი მე,
მოგზიდან, დამართებდიდან —
შზად ვარ! — მეძახის გმირი მე,
დასცხეთ, დაქარით, ბიჭებო,
არ ენაბო მათი ძირი მე,
სად შეგულდება სამშობლო
მტრებისთვის გასაჭირი მე.
არ გამეგონოს არასდროს
მანდ თქვენი გასაჭირი მე,
დასცხეთ, დაქარით მტარვალებს,
დაქარით, თქვენი ქირიმე!“

ლექსში „ბელადის მოწოდებაზე“ ალიო მაშაშვილმა დაგვიხატა დიდი ბელადის მწერდართმობიერული ძალა, რომლის ერთმა დამაბილმა მთელი საბჭოთა ხალხი ფებზე დააყენა და დაძრა მტრის წინააღმდეგ:

„აღგა გმობით-გმობი სტალინი,
დასძრა მშრომელთა ლაშქარი,
წინ ეღვის ხმალი მიძღვის,
ბრძოლებში ნაკაშკაშარი.
შიწის ხიშტების ტყე ფარავს,
ეს — შევარდნების ღრუბელი.
ეს ჩემი ქვეყნის ძალაა,
ჩისხვაა დაუგუბელი“.

მკაცრი და უღმობელი ომი სწარმოებს ფაშისტთა და თავისუფლებას შორის, სიკვდილისა და სიცოცხლის შორის ამ ომში პოლომდე იბრძოლებს საბჭოთა ხალხი, ხტალინის ზელ-

მღვანელობით დაამარცხებს იგი გერაგ მტერს და კაცობრიობას გადაარჩენს. იქ ასე დიადი აზრი, რომლითაც არის გაუღწეველი პოეტის ლექსი: „გამარჯვებისკენ მადვიწოდებს დიდი სტალინი“... ეს დიდი აზრი ნათელ პოეტურ ფორმაშია გამოხატული:

„ამხედრდა რისხვით
საბჭოეთის ზალხი დიადი,
არა, სიმაართეს არ დავუთმოვთ
მტერს ამ არეში,
ყორნების ხროვა,
ვით მძეინვარე ლამის წყვედიადი,
სისხლში იზრზობა,
იძირება ზნელ სამარეში.
შოლოდ სიკვდილი —
მტერს არ ელის შერტი სახსნელი,
მოკვდება ომიც,
სხვის მიწაზე გადატანილი,
ბრძოლა იქნება
სასტიკა და უკანასკნელი,
კაცობრიობას გადაარჩენს
გმირი სტალინი“.

ბიბლიოგრაფია

აღიო მამაშვილმა დასწერა სამამულო ომის თემაზე სასიმღერო ლექსებიც. ეს ლექსები უბრალოებითა და თავისუფალი, ადვილად დასამღერი პოეტური ფორმით იქცევენ ყურადღებას. ამ ლექსებში იგივე მჭიდვარე გმირული პატრიოტიზმია ამღვრებული:

„შხად ვართ დავიციეთ სამშობლო,
ზალხს ივაცილოთ ზიანი,
დავიციეთ ჩვენი სტალინი,
ჩვენი სიცოცხლე შვიანი“.

ან კიდევ:

„ვინ გაბედავს: ჩაგვიჭროს
სამურთი დრო შვების,
ამხედრდებით, ადგება
ჭარიშხალი დროშების“.

შებრძოლი პეროიკითა და ლირიკული უშუალოებით გამოირჩევიან ლექსები „ზღვის არწივი“, „მამა“, „მშენი“, „ადედა და შვილი“ და სხვ. ლექსი „ზღვის არწივი“ გვიხატავს სამამულო ომის ჭარბველი გმირის, კაპიტან წურწუმის მხატვრულ სახეს. წურწუმის თავი ისახელა გმირული შეუპოვრობითა და მამაცობით. მისი ეაჯაკური ბრძოლის მგალი-სებები მთელს ჩვენს ქვეყანას მოედო. იგი ვახდა უკვდავი გმირი, რომლის საბედიც შთამომავლობას გადაეცემა:

„ციდან მვრგვინავი შენი ძახილი
მხეთა ბუნაგებს რისხვად ეცემა,
ელვით ნატყორენი შენი სახელი
მოღვმიდან მოდგმას გადაეცემა“.

თანამედროვე ომში წაშალა ძველი ომის საზღვრები ფრონტსა და ზურგს შორის, თავისუფლებისა და სამშობლოს სიყვარულმა თოფი ააღებინა ზელში ახალგაზრდა შვილსა და მოხუც მამას, რომელიც პარტიზანთა რიგებში იბრძვის. ომზე და თავისთანა გამარჯვებაზე ფიქრობს სახლში დარჩენილი დედაც, რომელმაც იმედად შვილს თავისი ზელით მოჭოვილი ზალათა გაატანა. რამდენი სითბო და რამდენი გრძობაა ჩაღვრილი პოეტის სიტყვებში:

„მტრის მიმართ ზალხის რისხვას აჩაღებს
ზურგის და ფრონტის ერთი მიზანი,
იქ შვილი მუსრავს ეელურ ყაჩაღებს,
იქ მამა იბრძვის — ტყის პარტიზანი!..“

დედამ შექვივთ მერთალი ხელები
 აღაყვრო, შეილი დალოცა ტბილად.
 შემდეგ მიიკრა მერდზე ცხელებით.
 ლაზლის ხალათი ჩააცვა თბილად.
 და უთბრა: შეილო, იმარჯვე ყველგან,
 იბჯრად გფარავდეს ტანზე ხალათი,
 მტერს ვაეცაკურად დაუბედი, შენგან
 არ გამეგონოს ქვეყნის ღალატი!"

(კამა*)

ზოგადი გმირობის პარალელურად პოეტმა გმირი შამისა და დედის ნათელი სახეები შექმნა, სამართლიანმა, დიდმა სამამულო ომმა წამოაყენა შერდარებული გმირები არა მარტო ნათელ მხედართაგან, არა მარტო ახალგაზრდების რიგებიდან, მოხლეკი მშობლებისაგანაც, რომლებიც თანაბრად განიცდიან დღევანდელი ვითარების სირთულეს და რომელთა მტერდშიც პატრიოტული გული სცემს დედა ომში ისტუმრებს შვილს და თან აბარებს:

"შეილო, არ შედრეკე! დაქა მტარვალბეს,
 არ შეარცხენო შამის სახელი!"

და ეს სიტყვები შვილს დედის რძესივით სხვულში გაუჯდება, ყოველთვის თან სდევს ისინი ბრძოლაში და განუწყვეტლივ ესმის: "დაქა მტარვალბეს, არ შეარცხენო შამის სახელი!" ამ სიტყვებით დედაც ფრონტზეა და შვილითან ერთად მონაწილეობს იღებს და შისტ დამპყრობელთა განადგურებაში:

"სხვებმაც იკადრეს რბენა ლარული,
 შამაპაპურად დასცხეს ჩვენებმა,
 შემდეგ დაიწყეს მძლავრი ლაშქრულით
 მათი შერისტვა და შერგენება.
 წინ მიუძლოდა მხედარი მზნე და
 მტერს მისთელადეა დეხქვეშ ლანდივით.
 და გამარჯვება მას, როგორც დედა,
 ეგებებოდა დროშის მანდილით!"

(*დედა და შვილი").

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი „სიმღერა გამარჯვებისა“. ეს ლექსი არის საბჭოთა შრომის დიკო. ეტი პოეტს დიდი სულიერი სიმძაფრითა და იდეური სიმამხილით აქვს დაწერილი. ეს ლექსი დაჩნდა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო პოეტური ნიმუში სამამულო ომზე შექმნილ პოეზიიდან. მისი დასასრული საბჭოთა წითელი შრომის ნამდვილი საბრძოლო ჰიმნია:

"სტალინის დროშა გავშალოთ, —
 ორბის-ფრთა ნაპერწყლოვანი,
 დაესაზხოთ ბრძოლის ყვირთ
 მრისხანე, ხმა-ცეცხლოვანი,
 მტერს დაესცხოთ, ქარბუქს მიჰქონდეს
 მათი ოხერა და გლოვანი,
 კვლავ ვასახლოთ გმირობით
 საშობლო სახელოვანი!"

ჭუთაისის ა. წულუჭიძის სახელობის სახელმწიფო კადასტრის ინსტიტუტის შრომები, ტომი I და ტომი II.

ჭუთაისი, 1940 და 1941 წ. გვ. 196 და 331.

ჭუთაისის პედინსტიტუტი თავისი სადიდით და მნიშვნელობით თბილისის სახ. უნივერსიტეტის შემდეგ ჩვენში მეორე ანალოგიური ხასიათის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს. ჭუთ. პედინსტიტუტს უკვე ჰყავს თავისი სასწავლო-სამეცნიერო კადრები, რომელთა ნაღვლი წარმოადგენილია აღნიშნული შრომების პირველ ორ ტომში. პირველ ტომში დაბეჭდილია გამოკვლევები როგორც ჰუმანიტარულ დარგებიდან, ისე საზღვრისმეტყველო საეციალოებიდან. მეორე ტომი კი საეციალოდ მიძღვნილია ჰუმანიტარულ დარგებისათვის. როგორც სწავს, პირველი ტომის გამოვლამ ჭუთაისის პედინსტიტუტის პროფესორ-ლექტორთა შორის ისეთი ცხოველი გამოხატულება ჰყოფა, რომ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შემდეგი ტომები გამოეშვა გადიდებული ზომით, ამასთან ცალკე ჰუმანიტარული და ცალკე საზღვრისმეტყველო დარგთ. სწორედ ამიტომ საზღვრისმეტყველო და მათემატიკის დარგების გამოკვლევები მოთავსებულია შრომების შესაბამე ტომში, რომელიც ახლახანს გამოდის.

შრომების მთავარი გარეგნული დადებითი მახეწებელი არის ის ფაქტი, რომ ჭუთაისის პედინსტიტუტის სახით საქართველოში უკვე არსებობს სამეცნიერო მუშაობისა და კვლევა-ძიების მეორე კერა. ამ კერას, რასაკვირველია, განმტკიცება და გაფართოება სჭირდება. მაგრამ მძლავრი საფუძველი უკვე ჩაყრილია, რაც, რასაკვირველია, მეტად სასიამოვნო მოვლენას წარმოადგენს.

შრომების ამავე ტომში მდიდრულიად არის წარმოდგენილი გამოკვლევები ფსიქოლოგიის ცალკე პრობლემებზე. ასეთია პროფ. ა. ბოჭორიშვილის გამოკვლევები: „ფსიქოლოგიის საგნის პრობლემები ინტერნაციონალურ ფსიქოლოგიაში და „ფსიქოლოგიის საგნის პრობლემები კონსტრუქციულ ფსიქოლოგიაში (მიუნსტერბერგი). ამას მისდევნებ დოც. გ. ბაქრაძის დოც. შ. ჩხარტიშვილის და დოც. მოსიავას გამოკვლევები.

საქართველოს ისტორიის საკითხები წარმოდგენილია შემდეგი ავტორების წერილებით: პროფ. ს. კაკაბაძე — „საფრანგეთის საეპიკო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 ს-ნე-ში“, დოც. ნ. შენგელია — „სახლთმშენებლის და ეპიკოსის თანამდებობა დას. საქართველოში“, დ. უჩანავიშვილი — „მასალია მე-19 საუკუნის სამეგრელოს ისტორიისათვის“. მეტად საყურადღებო მასალას იძლევა დოც. ა. ცინცაძის წერილი „რამდენიმე ცნობა რუსეთის თვითმპყრობელობის დაზვერვის და მისი აგენტების საქმიანობის შესახებ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში“. ავტორის მიერ მოსკოვის არქივ-საცემებში მოპოებულ მასალიდან ირკვევა, როგორ კარგად მუშაობდა მე-18 ს-ნეში რუსეთის თვითმპყრობელობის დაზვერვა საქართველოს მიმართ, როდესაც ეს მისთვის საჭირო იყო და როგორ ადივილად ხდებოდნენ ამ დაზვერვის გულუბრყვილო მსხვერპლი ერეკლე მეორის დროინდელი პასუხისმგებელი კართველები. კერძოდ, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ერეკლეს ელჩს გარსევან

ჭავჭავაძეს პეტერბურგში მდივნად ჰყოლია იტალი კართველი ეგნატაშვილი, რომელსაც იგი ყველაფერში ენდობოდა. ნამდვილად-ეი ეს ეგნატაშვილი, როგორც ა. ცინცაძის მასალიდან არკვევა, ყოფილა რუსეთის მაშინდელი მთავრობის აგენტი, რომელმაც ჭავჭავაძის მიერ ერეკლე მეორისაგან მიღებულ ყველა ჭაღალდის პირს რუსული ხობრების თვით ურდგენდა რუსეთის საიმპერატორო მთავრობის სათანადო დაწესებულებას და ასევე, მისი წყალობით, ვარსკვლავი ჭავჭავაძის ყოველი საიდუმლო წერილის შინაარსს თბილისზე იდრე რუსეთის მთავრობა გეტულობდა. რადგან კართველი შეფეების დროის კართულ არქივებს ჩვენამდის არ მოუღწევია, დიდი შინაშენლობა იქნეს ჯამეშ ეგნატაშვილის წყალობით რუსულ არქივში შემონახულ მთელ ამ მიწერ-მოწერას. ა. ცინცაძე ამ მასალის გამოქვეყნებასაც გეპირდება.

შრომების ორსავე ტომში კარგად არის წარმოდგენილი ლიტერატურის ისტორიის დარგი. ამ დარგს ეკუთვნის პროფ. ა. ბარამიძის წერილი — „გაბტანგ VI-ის ლირია“, დოც. გ. ბათასის — „შტუდიები ჰ. ჰაინეს ხელოვნების თეორიიდან“, დოც. გ. ჯიბლაძის — „გიორგი ერისთავის კომედიები“. საინტერესოდ არის გარჩეული დოც. ე. მექველიას მიერ ნ. ბარათაშვილის „მერანი“. დოც. მ. მენაბდე არკვევს საკითხს: „ადამიანი და გარემოება დიდროს მხატვრულ პროზაში“. დოც. გ. სამხარაძის წერილის თემაა „ლავერენტი ბერია კართულ ზეპირსიტყვიერებაში“. კეთ. სანიკიძეს თავის წერილში მოჰყავს დავით რექტორის დამატებანი „თიმსარიანიში“. მ. ალაფიძის, მ. სოვეტოვის (რუსულად) და დოც. გ. როყვას წერილები ეხებათ სხვადასხვა ენათმეცნიერულ საკითხებს.

პედაგოგიური ნაწილი წარმოდგენილია დოც. ე. გორგაძის წერილით — „ისტორიული დოკუმენტების გამოყენება ისტორიის სწავლებაში“ და პროფ. გ. თავაშვილის წერილით — „ჭ. დ. უშინსკის დახასიათება“.

შრომების ორივე ტომის შინაარსი საინტერესო და შრავალმზრივია.

სარგის კაკაბაძე

უიარაღო — „მაძიებელნი“

თბილისი, საბლიტგამი, 1941 წ.

უიარაღო (კ. თათარაშვილი) არის ავტორი პოპულარული ნოველის „მამულეკი“-ს. მწერალი ამ ნოველაში გვიხატავს მონებით ეპიკრობას მე-17-18 საუკუნეების მიჯნაზე. ნაწარმოებში შესანიშნავი მხატვრული სურათებია ნაჩვენები სამეგრელოს გლეხობის განუსაზღვრელი ტანჯვა-წამებისა.

უიარაღოს თემატიკა ადრე წლებში რელიგიურ-მისტიური მოტივებით განისაზღვრებოდა. რომანში „მაძიებელნი“ მწერალმა მოგვცა დასრულებული სურათები სამეგრელოს წერილი აზნაურობის ყოფისა ბატონყმობის გადავიარდნის შემდეგ: ნაწარმოები ებება იმ პერიოდს, როდესაც ჩვენი ქვეყანაში ხდებოდა ფეოდალურ-მემამულურ წყობიდან ბურჟუაზიულ ურთიერთობაზე გადასვლა. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ისედაც გალატაკებულ აზნაურობის მდგომარეობა კიდევ უფრო შეირყა. უდაბლელმა ცხოვრებამ თავდაზნაურობა სრულებით გადაიჭვია შრომას. ახლა არაფრისმჭონ სამეგრელოს თავდაზნაურობა ჩაბლატვა თავისი წოდების შენარჩუნებას. გაეარდა ხმა: თავდაზნაურობას საბუთი მოეთხოვოს და ამით მათი ღირსება დამტკიცდესო. ცალკე კომისიას ადგენენ და ეისაც სურს წოდება დაიმტკიცოს, საბუთები იქ უნდა წარადგინოსო, რომანში თავისი წოდების დამამტკიცებელ საბუთების მაძიებელნი არიან ბასილ შიბრაძე და მისი მოკეთონი. აქედან წარმოიშვა თვით ნაწარმოების სახელწოდება — „მაძიებელნი“.

თავდაზნაურობის უკანასკნელი გაბრძოლება არსებობისათვის რეალურ სურათებით გვჩვენა მწერალმა. სამეგრელოს თავდაზნაურობის ბედი მე-19 საუკუნის მიწურულში ძალიან მოგვგაონებს იმერეთის „შემოდგომის აზნაურების“ ბედს. დ. კლდიაშვილის გაველენა უთუოდ იგრძნობა ამ ნაწარმოებში.

რომანში საინტერესოდ არის ნაჩვენები ახლად ფეხდაფეხი ბურჟუაზიის წარმოშობაც. უღები ფარან თოხბატარია, კონსტანტინე ტომბაშვილი და სტეანი. ისინი მტკიცენი, ნიჭიერნი, წინდახედულნი არიან. ავტორის სიმპატია მათ მხარეზეა, ამიტომ იმარჯვებს რომანის ფინალში მთავარი გმირი ფარანა და ცოლად ირთავს აზნაურის ქალს. ახალი კლასი გრძნობს, რომ ჩვენი ქვეყანა უკვე კიდევ მთლიანად არ არის ახალ ურთაზე გადასული, მაგრამ საკვად ძველი ისტორიის ჩაბარდება.

რომანის გმირი ფარანა თოხბატარია რამდენიმედ უთუოდ ჩამოგავს გ. წერეთლის ბაბუა ფულავას. თვით ნაწარმოების საერთო ფონი და გარემო ერთი და იგივეა, მაგრამ ეს ოდნავ პრ ამტკიცებს ამ რომანის მნიშვნელობას. უიარაღომ გვიჩვენა სამეგრელოს ცხოვრება მთელი თავისი ღირსშესანიშნავი მოვლენებით, იმ ეპოქაში, როდესაც კაპიტალიზმი არღვევდა ბატონყმურ ფუძებს.

რომანში არის ისეთი გმირებიც, რომელთა დახატვით მწერალს ახალი სახე შემოაქვს ჩვენს ლიტერატურაში. ნიკოია თოხბატარია, ოდესღაც „კერაკაციეხებული“, ბატონყმობის გადავიარდნის შემდეგ თავისი სიჭმით, წინდახედულებით სოფელში გაველენიანი კაცი გახდა.

სოფლის შეკრებულობაში რამე საზოგადო საქმის გადაწყვეტის დროს მას ეკონტროლდნენ და მის აზრს მნიშვნელობას აძლევდნენ. ეს უკანასკნელი რომანში წელმეგობრი გლეხის ტიპია, ახალი ცხოვრების შეილი.

საინტერესო ტიპია სვეტიანე წყალაძე, მაგრამ იგი ავტორს მიუყვება მისივე ტიპის მხრივ დიუბიტაცას.

ეს ტიპი დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას სტოვებს. შკითხველი პირველ თავებში მოეღობა, რომ ის ნამდვილი გულშემატყვიარი გახდება სოფლის, ბოლოს კი ეს მოლოდინი არ მართლდება.

რომანის დანარჩენ პერსონაჟთა შორის მრავალ თავისებურებით გამოირჩევა მეწისქვილე, ძველი აბრაგი, გიუსწორებელი ქურდი მაძინია რულაია. რულაია ნამდვილი, რეალური ტიპია ძველი სამეგრელოს უფო-ცხოვრებისა. ის სულ რამდენჯერმე გამოჩნდება რომანში, მაგრამ მეტად დამახასიათებელი ხაზებით და ტიპურ სახედ წარმოგვიდგება.

რომანში ავტორი სამეგრელოს გლეხობის განსაკუთრებულ აღტანელ ცხოვრებას გვიხატავს. დაბეჩავებულ მეგრელი გლეხის ტიპს წარმოადგენს თემა ბოკოკია.

რომანი „მაძიებელნი“ საინტერესო ნაწარმოებია. ნაწარმოები უფოოდ მოიცავდა, რომ ზოგიერთი გადაჭარბებული ილწურა მოვლენებისა შეცვლილიყო. ავტორი ხშირად მიმართავს მეგრულ დიალექტს, ესეც მოითხოვდა შესაფერ შესწორებებს.

საერთოდ რომანი „მაძიებელნი“ ერთგვარ სამსახურს გაუწევს ჩვენს ახალგაზრდობას წარსული ცხოვრების შესწავლის საქმეში. რომანი პირველად დაიბეჭდა ეტრნალ „მნათობში“, ცალკე წიგნად გამოსცა „საბლიტგამმა“.

ლავით ზამათაია

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

| | |
|--|--------|
| ილიო მამაშვილი — გაზაფხული. გმირო-მხედარო! ჩემი ლექსები | 83-3-4 |
| კარლო კალაძე — დები (ლექსი) | 5 |
| შალვა დადიანი — თამბაქო (მოთხრობა) | 8 |
| ალექსანდრე ქუთათელი — პირისპირ (რომანი. ვაგროძელება) | 30 |
| კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი (პირველი კარის დასასრული) | 48 |
| კონ. ლორთქიფანიძე, ილიო მამაშვილი — ის კიდევ დაბრუნდება (ლიტერატურული სცენარი) | 78 |
| ზორის ჩხეიძე — ლიხვის პირას (ვაგროძელება) | 109 |
| ალფონს დოდე — ჯაშუში ბაეში (თარგმ. ირ. ქავეარაძისა) | 120 |

ხელოვნება ფრონტის სამსახურში

| | |
|---|-----|
| ა. ფევრალსკი — თეატრი ფრონტზე | 126 |
|---|-----|

წარსულიდან

| | |
|---|-----|
| ნიკ. ჩახვაშვილი — როგორ იბრძოდნენ ჯარისკაცები საბჭოთა ხელი-სუფლების დამყარებისთვის საქართველოში | 138 |
|---|-----|

ბიბლიოგრაფია

| | |
|---|-----|
| ერ. ასტვაცატუროვი — „სიმღერა გამარჯვებისა“ | 152 |
| ხარგის კაკაბაძე — ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები | 157 |
| დ. შამათია — უიარაღოს „მამიებელნი“ | 159 |

3360 4 856.

..29
.. КОЛЛЕКЦИЯ
КНИЖНО-ИЗДАТЕЛЬСКОГО
ОТДЕЛА
СОВЕТСКОГО
УНИВЕРСИТЕТА

03300005
СОВЕТСКОЕ ПЕЧАТСТВО



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ